

თანამედროვე ვეტერინარული პრეპარატები

- სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები
- სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო საშუალებები
- ცხოველთა საკვები და საკვებდანამატები

შემდგენლები:

ნიკოლოზ ზაზაშვილი - ვეტერინარიის დოქტორი
მიხეილ ჭიჭაყაყა - ბიოლოგიის დოქტორი
მარინა ჭიკაიძე - ვეტერინარიის დოქტორი
დავით ბოსტაშვილი - აგარარულ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი:

რობინზონ ბოსტაშვილი - ვეტერინარიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ტექნიკური უზრუნველყოფა:

დიმიტრი სააკიანი

გამოცემის უზრუნველყოფა:

„ასოციაცია მომავლის ფერმერი“

ცნობარში წარმოდგენილია ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ადგილობრივი და იმპორტირებული პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებები. მოცემულია სიახლე ვეტერინარული პრეპარატების ფარმაკოლოგიური მაჩვენებლების შესახებ.

165 დასახელების პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებებისა და პრეპარატებისათვის გადმოცემულია ფარმაცევტული, ფარმაკოდინამიკური, ფარმაკოკინეტიკური, ფარმაკოთერაპიული მახასიათებლები, ასევე მოკლედ აღსანიშნავია უჯრედულ და მოლეკულურ დონეზე მოქმედების მექანიზმი.

სამკურნალო საშუალებების კლასიფიკაციის საფუძველზე გამოკვეთილია ფარმაკოდინამიკური და ფარმაკოთერაპიული პრინციპები, რომელიც ვეტერინარ სპეციალისტებსა და სტუდენტებს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად განსაჯონ ნებისმიერი დაავადებისათვის თერაპიული ჩარევის სისწორე.

ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში უვნებელი პროდუქტის საწარმოებლად უმნიშვნელოვანესია ვეტერინარული პრეპარატების ზუსტი სქემებით მოხმარება. ამიტომაც ეს გამოცემა სიღრმისეულ ცოდნას მისცემს მომხმარებლებს.

ცნობარი ხელს შეუწყობს სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებათა გააზრებულ გამოყენებას და დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს ვეტერინარებს, ზოონოზურებს, სტუდენტებსა და ფერმერებს.

თბილისი 2015 წელი

1. სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალებები

1.1. პენიცილინის და ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკები

პენბექსი (საინექციო ხსნარი) -----	24
აც 555 (პერორალური ფხვნილი)-----	26
ამოქსიცილინი 200 (პერორალური ფხვნილი) -----	28
ამოქსიცილინი 15% LA (საინექციო ხსნარი) -----	29

1.2. ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკები

ცეფტივილი (საინექციო სუსპენზია) -----	31
---------------------------------------	----

1.3. ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები

ოქსიტეტრაციკლინი 200 (საინექციო ხსნარი) -----	34
პრიმავილინი (საინექციო ხსნარი) -----	35
პრიმავილინი La (საინექციო ხსნარი) -----	37
პრიმავილინი La 300 (საინექციო ხსნარი) -----	38
პრიმაფული (საინექციო ხსნარი) -----	40
ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი (პერორალური ფხვნილი) -----	41
პოლოდოქსინი (პერორალური ხსნარი) -----	43

1.4. მაკროლიდების ჯგუფის ანტიბიოტიკები

ტილოტექსი (საინექციო ხსნარი)-----	44
ტილოტექსი (პერორალური ფხვნილი)-----	46
ტილოზინა 200 (საინექციო ხსნარი)-----	49

1.5. პოლიპეპტიდური ანტიბიოტიკები

ანტიკოლი (პერორალური ფხვნილი) -----	50
-------------------------------------	----

1.6. ფტორქინოლების ჯგუფის ანტიბიოტიკები

ენროფლოქსი 10% (პერორალური ხსნარი) -----	52
ენროფლოქსი 5% (საინექციო ხსნარი) -----	53
ვილ-ფლოქსი (პერორალური ხსნარი) -----	54
ვილ-ფლოქს ფორტე (პერორალური ხსნარი) -----	56

1.7. ფენიკოლის ჯგუფის ანტიბიოტიკები

ფლორვილ 10% (პერორალური ხსნარი) -----	58
---------------------------------------	----

1.8. ნიტროფურანების ჯგუფის პრეპარატები

ფურაზოლიდონი (პერორალური ფხვნილი) -----	60
---	----

1.9. სულფანილამიდური პრეპარატები

სულტრიმი (პერორალური ტაბლეტი) -----	61
სულტრიმი (პერორალური ხსნარი) -----	63
სულტრიმი (პერორალური ფხვნილი) -----	64
ნორსულფაზოლი (პერორალური ფხვნილი) -----	66

1.10. კომპლექსური ანტიმიკრობული საშუალებები

ფუროქსი (პერორალური ფხვნილი) -----	68
ნფ-450 (პერორალური ფხვნილი) -----	69

გენტაპრიმი (საინექციო ხსნარი) -----	71
ტრომექსინი (პერორალური ფხვნილი) -----	72

2. პარაზიტების სანიანალმდეგო საშუალებები

2.1 ფართო სპექტრის ანტიჰელმინთები (ნემატოდები, ტრემატოდები, ცესტოდები)

ალბენდაზოლი 10%(პერორალური სუსპენზია) -----	74
ალბექსი 250 (პერორალური ტაბლეტი) -----	75
ალბექსი 400 (პერორალური ტაბლეტი) -----	76
ალბექსი 600 (პერორალური ტაბლეტი) -----	78
ალბექსი 3000 (პერორალური ბოლუსი) -----	79
ალბექსი 20% (პერორალური გრანული) -----	81
ფენბექსი 250 (პერორალური ტაბლეტი) -----	82
ფენბექსი 500 (პერორალური ტაბლეტი) -----	84
ფენბექსი 22,2% (პერორალური გრანული) -----	85
ფენდოქსი (ტაბლეტი) -----	87
ფენდოქსი სუპერი (პერორალური ტაბლეტი) -----	88

2.2. ნემატოდების სანიანალმდეგო პრეპარატები

ლევამიზოლი 7,5%(საინექციო ხსნარი) -----	90
ლევაზანი (პერორალური სუსპენზია) -----	91

2.3. ნემატოდებისა და ცესტოდების სანიანალმდეგო პრეპარატები

დეხინელ პლუსი (პერორალური ტაბლეტი) -----	92
--	----

2.4. ტრემატოდების და ცესტოდების სანიანალმდეგო პრეპარატები

ბიოზანი 900 (პერორალური ტაბლეტი) -----	94
ფისტოკოლოზანიდი 375 (პერორალური ტაბლეტი) -----	95
ფისტოკოლოზანიდი 500 (პერორალური ტაბლეტი) -----	97
ფისტოკოლოზანიდი 750 (პერორალური ტაბლეტი) -----	98
ფისტოკოლოზანიდი 1500 (პერორალური ბოლუსი) -----	99
ფისტოკოლოზანიდი 3000 (პერორალური ბოლუსი) -----	100
როლენოლი (საინექციო ხსნარი) -----	101
ფაზინტექსი (საინექციო ხსნარი) -----	103

2.5 ენდო და ექტო პარაზიტების სანიანალმდეგო პრეპარატები

ბიომექტინი (საინექციო ხსნარი) -----	104
პრომექტინი (საინექციო ხსნარი) -----	106
ვილმექტინი (სინექციო ხსნარი) -----	108
ვილმექტინ F (საინექციო ხსნარი) -----	110

2.6. კოქციდიოციდები

ბიოკოქცი (პერორალური ხსნარი) -----	112
პლურიკოკცინი (პერორალური ხსნარი) -----	114
ესპაკოქცი 2,5% (პერორალური ხსნარი) -----	115

2.7. კოქციდიოსტატიკები

ამპროვილი (პერორალური ხსნარი) -----	116
ციკოსტატი (პერორალური ფხვნილი) -----	117

ალექვერნატ ზიკოქცი (პერორალური ფხვნილი) -----	118
---	-----

2.8. პროტოზოების სანიწარმდეგო პრეპარატები

პიროტექსი 7% + B12 (საინექციო ხსნარი) -----	119
პიროტექსი +B12 1.57 და 2.36 (საინექციო ფხვნილი) -----	120
მეტრონიდაზოლი (პერორალური ტაბლეტი) -----	122
იმივიდოლი (საინექციო ხსნარი) -----	123

2.9. ინსექტო-აკარიციდული პრეპარატები

ექტოციდოლი 600 (გასაბანი ხსნარი) -----	124
ბიტოქსი (გასაბანი ხსნარი) -----	126
ბიტოქსი ძალღი, კატა (გასაბანი ხსნარი) -----	127
ინსექტოქსი (ფხვნილი) -----	129

3. სადერატიზაციო საშუალებები

ბროდიფაკუმი 0.005% “რეთსქილერი”(გრანული) -----	130
ბრომადილონი 0.005% “რეთსქილერი”(გრანული) -----	130
რატექსი (ხსნარი) -----	131
რათიმორი (პასტისებური მისატყუარი) -----	132

4. რეპელენტები

გველების ბიოლოგიური შემაჩერებელი (შესასხურებელი ხსნარი) -----	133
---	-----

5. ანტისეპტიკური და საღვინფექციო საშუალებები

იოდზეფი 10% (ხსნარი) -----	135
იოდზეფი 1%; 10% (სპრეი) -----	137
პრისიკა (ანტისეპტიკური ფხვნილი) -----	139
ჩემი სპრეი (აეროზოლი) -----	140
ახალი კანი (სპრეი) -----	141
ეკოციდ C (გრანულირებული ფხვნილი) -----	143
აქუა-ნეტ ეკო ტაბლეტი -----	145

6. მასტიტების სანიწარმდეგო პრეპარატები

ბიომასტი (ზეთოვანი სუსპენზია) -----	148
მასტიკლოქსი (ზეთოვანი სუსპენზია) -----	149
მასტილექსი (ზეთოვანი სუსპენზია) -----	150

7. საშვილოსნოზე მოქმედი და ინტრავაგინალური პრეპარატები

ფუროქსი (ბოლუსი) -----	152
------------------------	-----

8. დერმატოლოგიაში გამოსაყენებელი საშუალებები

დინდგელის მალამო -----	153
იხთიოლის მალამო 10%; 20% -----	154

იამის მალამო -----	155
ალემაზი (მალამო) -----	157
ტეტრაციკლინის მალამო 1% (თვალის) -----	158
თუთიის მალამო 10% -----	159
პისტის მალამო -----	159
ქაფურის მალამო 10% -----	160
ბიომექტინი (მალამო) -----	161
იოდზეფი 10% (ხსნარი) -----	135
იოდზეფი 1%; 10% (სპრეი) -----	137
ჩემი სპრეი (აეროზოლი) -----	140
ახალი კანი (სპრეი) -----	141

9. ანტიანემიური (რკინაშემცველი) პრეპარატები

პიეროდექსინი (საინექციო ხსნარი) -----	162
---------------------------------------	-----

10. ვიტამინურ-მინერალური და ამინომჟავური კომპლექსები

10.1. ვიტამინურ-ამინომჟავური პრეპარატები

ჩიკტონიკი (პერორალური ხსნარი) -----	163
განამინოვიტი (პერორალური ფხვნილი) -----	165
ციტოპლექს-სელენი (პერორალური ფხვნილი) -----	167
კალფოსტონიკი (პერორალური ფხვნილი) -----	169
ავალ პრემიუმ (პერორალური ხსნარი) -----	171
დასი (პერორალური ხსნარი) -----	173
ოლიგოფოსი (პერორალური ხსნარი) -----	176

10.2. ვიტამინური პრეპარატები

მულტივიტი (პერორალური ხსნარი) -----	177
ვიტამინი AD ₃ E (საინექციო ხსნარი) -----	179
ვიტამინი AD ₃ E (პერორალური ხსნარი) -----	180
ბეფორველი AD ₃ E (საინექციო ხსნარი) -----	180

10.3. ვიტამინურ-მინერალური პრეპარატები

განასუპერვიტი (პერორალური ფხვნილი) -----	182
ბეტამინტი (პერორალური ხსნარი) -----	183
ე-სევილ (საინექციო ხსნარი) -----	185
სელვიტე (პერორალური ხსნარი) -----	185

10.4 მინერალური პრეპარატები

კალფოსეტი (საინექციო ხსნარი) -----	187
------------------------------------	-----

11. ფარმინტული და ნაწლავური ფლორის აღმდგენი პრეპარატები

დასი (პერორალური ხსნარი) -----	173
ოლიგოფოსი (პერორალური ხსნარი) -----	176
რუმეფოსი (პერორალური ხსნარი) -----	188
გალი ზაიმი (პერორალური ფხვნილი) -----	190
ლივ-საკი (პერორალური ფხვნილი) -----	191

უნიდასი (პერორალური ფხვნილი) -----	192
ალქვერმიქს სტარტერ პრემიუმი (პერორალური ფხვნილი) -----	193
ალქვერმიქს კაუს (პერორალური ფხვნილი) -----	194
ალქვერნატ ნებსუ (პერორალური ფხვნილი) -----	195
ალქვერზიმ ავიარი (პერორალური ფხვნილი) -----	196

12. პროსტაგლანდინები და ჰორმონალური პრეპარატები

გალაპანი (საინექციო ხსნარი) -----	197
-----------------------------------	-----

13. საჭმლის მომნელებელ სისტემაზე და ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალებები

13.1. რუმინატორული საშუალებები

შხამას ნაყენი (პერორალური ხსნარი) -----	199
გლაუბერის მარილი (პერორალური ფხვნილი) -----	200
მენბუთონი 10% (საინექციო ხსნარი) -----	202

13.2. ლვიძლის დაავადებების სამკურნალო პრეპარატები

მენბუთონი 10% (საინექციო ხსნარი) -----	202
ჰეპავექს 200 (პერორალური ხსნარი) -----	203

13.3. პრებოტიკები

ოლიგოფოსი (პერორალური ხსნარი) -----	176
რუმეიფოსი (პერორალური ხსნარი) -----	188
დასი (პერორალური ხსნარი) -----	173

13.4. იმუნომასტიმულირებელი პრეპარატები

დასი (საინექციო ხსნარი) -----	204
-------------------------------	-----

14. ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები

14.1. არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები

ანილი (საინექციო ხსნარი) -----	207
--------------------------------	-----

14.2. საანესთეზიო საშუალებები

ვილკაინი (საინექციო სუსპენზია) -----	209
--------------------------------------	-----

14.3. ანტიქოლინერგული საშუალებები

ატროვილი 1 % (საინექციო ხსნარი) -----	212
---------------------------------------	-----

15. ბიოპრეპარატები

15.1 ფრინველის საპროფილაქტიკო ვაქცინები

ბიავაკი (პერორალურიად მისაღები, თვალში ჩასანვეთებელი ხსნარი) -----	215
ნიუევაკ ლა სოტა (პერორალურიად მისაღები, თვალში ჩასანვეთებელი ხსნარი) -----	216

15.2 ბოცვერის საპროფილაქტიკო ვაქცინები

მიქსოპემოვიროვაკი -----	218
-------------------------	-----

15.3 მსხვილფეხა პირუტყვის საპროფილაქტიკო ვაქცინები

რაქმა HS+BQ (პასტერელოზი + ემკარი) ----- 220
HS+BQ (პასტერელოზი + ემკარი) ----- 221
ბრუეაქსი (ბრუცელოზის სანინაარმდეგო) ----- 222

15.4 წვრილფეხა პირუტყვის საპროფილაქტიკო ვაქცინები

ბრუეაქსი რევ-1 (ბრუცელოზის სანინაალმდეგო) ----- 224

15.5. შრატები და იმუნოგლობულინები

ტეტანუსის სანინაალმდეგო შრატი ----- 225

16. თიპვის დაავადებების სამკურნალო პრეპარატები

პრიმავილინი აქუა (პერორალური ფხვნილი) ----- 226
ფავეტრიმ აქუა (პერორალური ფხვნილი) ----- 229
ფლორვილ აქუა (პერორალური ფხვნილი) ----- 230

17. მიწვეუტაროვანი გამოსაყენებელი პრეპარატები

აპიდასი (ხსნარი) ----- 232
სტარტოვიტი (გრანული) ----- 234
ვაროსტოპი (ხის ფირფიტა) ----- 235
ეკოსტოპი (ფირფიტა) ----- 237
ნოზესტატი (ხსნარი) ----- 238
ფუნგისანი (ხსნარი) ----- 240

**18. მიკოტოქსინების და ანთოგენური მიკრობების სანინაალმდეგო
საკვები დანამატები**

უნიდასი (პერორალური ფხვნილი) ----- 192
დეტოქსა პლუსი (პერორალური ფხვნილი) ----- 241
გალი ზაიმი (პერორალური ფხვნილი) ----- 190
ციტოპლექს-სელენი (პერორალური ფხვნილი) ----- 167
ალქვერმიქს სტარტერ პრემიუმი (პერორალური ფხვნილი) ----- 193
ალქვერფიდ ანტიოქს პლუსი (პერორალური ფხვნილი) ----- 242
ალქვერფიდ ანტიტოქსი (პერორალური ფხვნილი) ----- 244
ალქვერფიდ ანტიტოქსი პლუსი(პერორალური ფხვნილი) ----- 245
ალქვერმიქს კაუს (პერორალური ფხვნილი) ----- 194
ალქვერმოლდ ნატურალი (პერორალური ფხვნილი) ----- 246
ალქვერნატ ნებსუ (პერორალური ფხვნილი) ----- 195
ალქვერზიმი ავიარი (პერორალური ფხვნილი) ----- 196

19. ცხოველთა საკვები

ელვორ კლასიკი (პერორალური ფხვნილი) ----- 247
ელვორ პრემიო (პერორალური ფხვნილი) ----- 248
დაკ კეთი ----- 250
დაკ ფაფი ----- 250

დაკ შატინგი -----	251
მაი კომიდა კეთ ფუდი -----	252
მაი კომიდა დოგ ფუდი -----	253
მაი კომიდა სტანდარტ დოგი -----	253

20. ინჟექციური და ინვაზიური დაავადებები, მათი მკურნალობა და პროფილაქტიკა

20.1. თურქული -----	255
20.2. მონიეზიოზი -----	257
20.3. ფასციოლოზი -----	259
20.4. მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის დიქტიოკაულოზი -----	261
20.5. მსხვილფეხა პირუტყვის პიროპლაზმოზი -----	264

შემოკლებაში, რომელიც გამოიყენება ცნობარში

ცხოველთა სახეები:

მსხ. პირ. - მსხვილფეხა პირუტყვი

წერ. პირ. - წერილფეხა პირუტყვი

ცხვ - ცხვარი

ღ - ღორი

ფრ - ფრინველი

ძ - ძალლი

კ - კატა

მასის ერთეულები:

ტ - ტონა

კგ - კილოგრამი

გ - გრამი

მგ - მილიგრამი

მკგ - მიკროგრამი

ც.წ. - ცოცხალი წონა

მ.ე. - მოქმედი ერთეული

ს.ე - საერთაშორისო ერთეული

მოცულობის ერთეულები:

ლ - ლიტრი

მლ - მილილიტრი

სიგრძის ერთეულები:

მ - მეტრი

სმ - სანტიმეტრი

მმ - მილიმეტრი

დროის ერთეულები:

სთ - საათი

წთ - წუთი

დღ - დღელამე

ტემპერატურის ერთეული:

°C - ცელსიუსის გრადუსი

დანიშნულება	ს ა ხ ე ბ ა						პრეპარატები	დაყოფნ. პერიოდი	
	მსხ. პირ.	წვრ. პირ.	ლ.	ფრ.	ძ.	კ.		სორცი	რძე
ინფექციური დაავადებები									
ინფექციური აბორტი	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინ 200	22 დღე	7 დღე
			X				პრიმაველინი	22 დღე	7 დღე
	X	X					პრიმაველინ LA	22 დღე	7 დღე
	X	X					პრიმაველინ LA 300	22 დღე	7 დღე
	X	X					გალაპანი	48 სთ	–
	X						პენბექსი	30 დღე	3 დღე
აბსცესი							პენბექსი	30 დღე	3 დღე
							ოქსიტეტრაციკლინ 200	22 დღე	7 დღე
							პრიმაველინი	22 დღე	7 დღე
							პრიმაველინ LA	22 დღე	7 დღე
							პრიმაველინ LA 300	22 დღე	7 დღე
ბრონქოპნევმონია, პნევმონია, რესპირატორული დაავადებები	X	X	X				ტრომექსინი	15 დღე	4 დღე
	X	X	X				ვილ-ფლოქსი	11 დღე	–
	X	X	X	X			პრიმაველინ LA	22 დღე	7 დღე
	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინ 200	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმაველინ LA 300	22 დღე	7 დღე
	X	X	X				ტილოტექსი საინექ.	5 დღე	–
	X						პენბექსი	30 დღე	3 დღე
					X		აც 555	11 დღე	–
					X		ფლორვილ 10%	5 დღე	–
	X		X				ცეფტივილი საინ. სუსპ.	5-7 დღე	–
	X		X				ტილოზინა 200	21 დღე	–
წყლულოვანი ინ- ფექციები, ჭრილობა, დამწვრობა, ეგ ზემა, დერმატიტი	X	X	X	X	X	X	ჩემი სპრეი	–	–
	X	X	X	X	X		პრისიპკა რთული	–	–
	X	X	X	X	X	X	დინდგელის მაღამო	–	–
	X	X	X	X	X		იზტიოლის მაღამო	–	–
	X	X	X	X	X	X	ვიშნეკსკის ლინიმენტი	–	–
	X	X	X	X	X	X	თუთიის მაღამო	–	–

დანიშნულება	ს ა ხ ე ო ბ ა						პრეპარატები	დაყოფნ. პერიოდი	
	მს. პირ.	წვრ. პირ.	ღ.	ფრ.	ძ.	კ.		სორცი	რძე
გასტროენტერიტი	X	X	X	X			ტრომექსინი	15 დღე	4 დღე
	X	X	X	X			ოქსიტეტრაციკლინ 200	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმაველინი	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმაველინ LA	22 დღე	7 დღე
	X	X					პრიმაველინ LA 300	22 დღე	7 დღე
	X	X	X	X	X	X	ტილოტექსი საინექ	8 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი 480	7 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ორალ ხს.	7 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ფხვნილი	7 დღე	–
	X	X	X	X			ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი	21 დღე	7 დღე
	X	X	X	X		ნორსულფაზოლი	5 დღე	2 დღე	
ღიარვა	X		X	X			ფუროქსი ფხვნ.	14 დღე	–
	X	X	X	X	X	X	ვილ-ფლოქსი საინექ.	14 დღე	–
	X	X	X		X	X	ტილოტექსი ფხვნ.	5 დღე	4 დღე
	X	X	X		X	X	სულტრიმი 480	7 დღე	–
	X	X	X		X	X	სულტრიმი ორალ. ხს.	7 დღე	–
	X	X	X		X	X	სულტრიმი ფხვნილი	7 დღე	–
კოლიბაქტერიოზი	X	X	X	X			ტილოტექსი ფხვნ.	8 დღე	4 დღე
	X	X	X	X			ენროფლოქსი 10%	14 დღე	–
	X	X	X	X			პოლოდოქსინი	5 დღე	–
	X	X	X	X			სულტრიმი 480	7 დღე	–
	X	X	X	X			ვილ-ფლოქსი	11 დღე	–
	X	X		X			ფუროქსი	4 დღე	–
	X			X			ფურაზოლიდონი	4 დღე	–
				X			ანტიკოლი	8 დღე	4 დღე
				X			სულტრიმი ორალ. ხს.	7 დღე	–
			X			სულტრიმი ფხვნილი	7 დღე	–	
მეტრიტი	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინ 200	22 დღე	8 დღე
	X	X	X		X	X	ტილოტექსი საინ.	8 დღე	4 დღე
	X	X	X				პრიმაველინ LA	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმაველინ LA 300	22 დღე	3 დღე
	X	X	X				პენბექსი	30 დღე	–
	X						გალაპანი	48 სთ	–
	X		X				ცეფტივილი საინ.	5-7დღე	–
	X		X				ტილოზინა 200	21 დღე	–

დანიშნულება	ს ა ხ ე ო ბ ა						პრეპარატები	დაყოფნ. პერიოდი	
	მსხ. პირ.	წვრ. პირ.	ლ.	ფრ.	ძ.	კ.		სორცი	რძე
მასტიტი	X	X	X				პენბექსი	30 დღე	4 დღე
	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინ 200	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმავილინი	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმავილინ LA	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმავილინ LA 300	22 დღე	7 დღე
	X	X					ტილოტექსი	8 დღე	7 დღე
	X	X	X				მასტიკლოქსი	-	7 დღე
	X	X	X				ბიომასტი	-	2 დღე
	X	X					მასტილექსი	-	2 დღე
	X		X		X	X	აინილი	4 დღე	-
წითელი ქარი			X				ტილოტექსი	5 დღე	-
			X				სულტრიმი 480	7 დღე	-
			X				პენბექსი	30 დღე	-
			X				ოქსიტეტრაციკლინი 200	22 დღე	-
			X				პრიმავილინი	22 დღე	-
			X				პრიმავილინ LA	22 დღე	-
			X				პრიმავილინ LA 300	22 დღე	-
პასტერელოზი	X	X	X				პოლოდოქსინი	14 დღე	-
	X	X	X	X			ენროფლოქსი საინ.	22 დღე	4 დღე
	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინი 200	11 დღე	2 დღე
	X	X	X	X			ენროფლოქსი 10%	7 დღე	-
	X	X	X	X			სულტრიმი 480	7 დღე	-
	X	X	X	X			ტრომექსინი	15 დღე	4 დღე
							ტილოტექსი	5 დღე	7 დღე
	X	X	X	X			სულტრიმი პერორ. ხსნ.	7 დღე	-
	X	X	X	X			სულტრიმი ფხვნილი	7 დღე	-
	შარდსასქესო სის- ტემის ინფექცია	X	X	X				ენროფლოქსი საინ.	7 დღე
X		X	X	X			ვილ-ფლოქსი 10% საინ.	2 დღე	2 დღე
X		X	X				ოქსიტეტრაციკლინი 200	22 დღე	7 დღე
X		X	X				პრიმავილინი	22 დღე	7 დღე
X		X	X				პრიმავილინ LA	22 დღე	7 დღე
X		X	X				პრიმავილინ LA 300	22 დღე	7 დღე
				X			აც 555	11 დღე	-
X		X	X	X	X	X	სულტრიმი ფხვნილი	5 დღე	-
X		X	X	X	X	X	სულტრიმი პერორ. ხსნ.	5 დღე	-
X		X	X	X	X	X	სულტრიმი ტაბლეტი	5 დღე	-

დანიშნულება	ს ა ხ ე ო ბ ა						პრეპარატები	დაყონ. პერიოდი	
	მსხ. პირ.	წვრ. პირ.	ღ.	ფრ.	ძ.	კ.		სორცი	რძე
სალმონელოზი	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ფხვნილი	5 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ორალ. ხსნარი	5 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ტაბლეტი	5 დღე	–
	X	X	X	X			ენროფლოქსი 10%-ანი	11 დღე	–
	X	X	X				ვილ-ფლოქსი	11 დღე	–
	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინი 200	22 დღე	7 დღე
	X	X	X	X	X	X	ფურაზოლიდონი	4 დღე	–
	X	X	X		X	X	გენტაპრიმი	30 დღე	4 დღე
ქლამიდიოზი	X	X	X				ოქსიტეტრაციკლინი 200	22 დღე	7 დღე
	X	X	X				პრიმაველინი	22 დღე	7 დღე
	X	X					პრიმაველინი LA	22 დღე	7 დღე
	X						პრიმაველინი LA 300	22 დღე	7 დღე
ენტერიტი	X	X	X	X	X		ტრომექსინი	15 დღე	–
	X	X	X	X	X		ფუროქსი	4 დღე	–
					X		გენტაპრიმი	11 დღე	–
					X		ენროფლოქსი 10%	11 დღე	–
							ვილ-ფლოქსი	7 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ფხვნილი	5 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ორალ. ხსნარი	5 დღე	–
	X	X	X	X	X	X	სულტრიმი ტაბლეტი	5 დღე	–
ჰელმინთური დაავადებები									
ნემატოდოზი – ფილტვისა და კუჭ-ნაწლავის ნემატოდები	X	X					ფენბექსი 250	14 დღე	4 დღე
	X	X	X	X			ფენბექსი 500	7 დღე	4 დღე
	X	X	X	X			ფენბექსი 22,2%	14 დღე	2 დღე
	X		X	X			ლევაშიზოლი 10%	7 დღე	2 დღე
	X	X	X				ალბექსი 250	7 დღე	2 დღე
	X	X	X	X			ალბექსი 400	7 დღე	2 დღე
	X	X	X	X			ალბექსი 600	7 დღე	2 დღე
	X	X	X	X			ალბექსი 3000	7 დღე	2 დღე
	X	X	X	X			ალბექსი 20%	7 დღე	2 დღე
	X	X	X	X			ალბენდაზოლი 10%	7 დღე	2 დღე
	X	X		X			ვილმექტინი	35 დღე	2 დღე
	X						ვილმექტინი F	35 დღე	2 დღე
	X						პრომექტინი	35 დღე	–
	X						როლენოლი	35 დღე	–

დანიშნულება	ს ა ხ ე ო ბ ა						პრეპარატები	დაყოფნ. პერიოდი	
	მსხ. პირ.	წვრ. პირ.	ღ.	ფრ.	ძ.	კ.		ხორცი	რძე
პარამფისტომატოზი (ფაშვის ჭია) ტრემატოდოზები ფასციოლოზი, დიკრო- ცელიოზი (ღვიძლის ნალველ-სადინარების ჭია) დიქტიოკაულოზი (ფილტვის ჭია)	X	X					ფისტოკლოზანიდი 375	14 დღე	2 დღე
	X	X					ფისტოკლოზანიდი 500	7 დღე	4 დღე
	X						ფისტოკლოზანიდი 750	14 დღე	2 დღე
	X	X					ფისტოკლოზანიდი 1500	14 დღე	2 დღე
	X	X					ფისტოკლოზანიდი 3000	14 დღე	2 დღე
	X	X					ალბექსი 3000	14 დღე	2 დღე
	X	X					ალბექსი 400	14 დღე	2 დღე
	X	X					ალბექსი 600	14 დღე	2 დღე
	X	X					ფენბექსი 500	14 დღე	2 დღე
	X						ფაზინტექსი	7 დღე	4 დღე
X						ვილმექტინი	28 დღე	-	
X						ვილმექტინი F	35 დღე	-	
ასკარიდატოზები	X	X	X				ალბექსი 250	14 დღე	2 დღე
	X	X	X				ალბექსი 400	14 დღე	4 დღე
	X	X	X				ალბექსი 600	14 დღე	4 დღე
	X	X	X				ფენბექსი 250	14 დღე	4 დღე
	X	X	X				ფენბექსი 500	14 დღე	2 დღე
	X	X	X				ვილმექტინი	14 დღე	2 დღე
	X	X	X				პრომექტინი	7 დღე	4 დღე
ცესტოლოზი, ექინოკოკი	X	X	X				ფენბექსი 250	14 დღე	2 დღე
	X	X					ფენბექსი 500	14 დღე	4 დღე
	X	X	X				ალბენდაზოლი 10%-ანი	14 დღე	2 დღე
	X	X					ალბექსი 250	14 დღე	2 დღე
	X		X				ალბექსი 400	14 დღე	4 დღე
	X	X	X				ალბექსი 600	14 დღე	2 დღე
	X	X					ალბექსი 3000	14 დღე	4 დღე
მონიეზიოზი	X	X					ფისტოკლოზანიდი 500	14 დღე	2 დღე
	X	X					ფისტოკლოზანიდი 750	14 დღე	2 დღე
	X	X					ფისტოკლოზანიდი 1500	14 დღე	2 დღე
	X	X					ფისტოკლოზანიდი 3000	14 დღე	2 დღე
ცენუროზი	X	X	X				ფენბექსი 250	7 დღე	4 დღე
	X	X	X				ფენბექსი 500	7 დღე	4 დღე

დანიშნულება	ს ა ხ ე ბ ა						პრეპარატები	დაყოფნ. პერიოდი	
	მს. პირ.	წვრ. პირ.	ღ.	ფრ.	ძ.	კ.		სორცი	რძე
თელაზიოზი	X						პრომექტინი	35 დღე	–
	X						ვილმექტინი	35 დღე	–
	X						ვილმექტინ F	35 დღე	–
	X						ფენბექსი 250	14 დღე	2 დღე
	X						ფენბექსი 500	14 დღე	2 დღე
კატის და ძაღლის ჰელ- მინთოზები					X	X	ფენდოქსი	–	–
					X	X	ფენდოქსი სუპერი	–	–
ენდო და ექტო პარაზიტული დაავადებები									
პიპიდერმატოზი (კანის ბორა)	X						ექტოციდოლი 600	3 დღე	შეზღ
	X						პრომექტინი	35 დღე	შეზღ
	X						ვილმექტინი	35 დღე	შეზღ
	X						ვილმექტინი F	35 დღე	შეზღ
	X						როლენოლი	28 დღე	14 დღე
	X	X					ფაზინტექსი	28 დღე	12 დღე
	X	X			X		ბიტოქსი	5 დღე	3 დღე
	X	X	X			X	ბიომექტინი	28-37დღე	–
ცხოველთა პარაზიტების საწინააღმდეგო გარეგანი ხმარებისათვის	X	X	X				ექტოციდოლი 600	15 დღე	3 დღე
	X	X					ინსეტოქსი	5 დღე	3 დღე
	X	X	X		X	X	ბიტოქსი	5 დღე	3 დღე
პიროპლაზმოზი (ციება, დასიცხვა, ნაბარევი)	X	X			X		პიროტექსი+B12 საინ. ფხენ.	21 დღე	9 დღე
	X	X			X		პიროტექსი საინ. ფხენ.	21 დღე	9 დღე
	X	X			X		პიროტექსი 7%+B12	21 დღე	9 დღე
კოქციდიოზი	X	X		X			პლურიკოკინი	21 დღე	–
	X	X	X	X			სულტრიმი 480	7 დღე	–
	X	X		X			სულტრიმი პერორ. ხსნ.	7 დღე	–
				X			სულტრიმი ფხენილი	7 დღე	–
				X			ბიოკოკცი	8 დღე	–
				X			ამპროვილი	–	–
				X			ციკოსტატი	5 დღე	–
				X			ესპაკოქცი 2,5%	16 დღე	–
				X			ალტერნატ ზიკოქცი	–	–

დანიშნულება	ს ა ხ ე ბ ა						პრეპარატები	დაყოფნ. პერიოდი	
	მს.	წვრ.	ღ.	ფრ.	ძ.	კ.		ზორცი	რძე
	პირ.	პირ.							
საკვების, ვიტამინებისა და სხვადასხვა სტრეს ფაქტორებით გამოწვეული დაავადებები									
კვების დარღვევით გამოწვეული დაავადებები, არასწორი კვება, რძის ნაკლებობა, კვერცხმდებლობის შემცირება, მადის სტიმულაცია	X	X	X	X			კალფოსტონიკი	–	–
	X	X	X				ვიტამინი AD ₃ E (ორალ.)	–	–
	X	X	X	X			ვიტამინ AD ₃ E (საინექ.)	–	–
	X	X	X	X			ჩიკტონიკი	–	–
	X	X		X			ლაივ-საკი	–	–
	X	X		X			ციტოპლექს-სელენი	–	–
ვიტამინების, ამინომჟავების და მინერალების ნაკლებობა, სისუსტე, ზრდაში ჩამორჩენა	X	X	X	X			კალფოსტონიკი	–	–
	X	X	X	X			ვიტამინი AD ₃ E (ორალ.)	–	–
	X	X	X				ვიტამინ AD ₃ E (საინექ.)	–	–
	X	X	X	X			ჩიკტონიკი	–	–
	X	X		X			განამინოვიტი	–	–
	X			X			განასუპერვიტი	–	–
	X			X			მულტივიტი	–	–
	X			X			დასი	–	–
	X			X			ოლიგოფოსი	–	–
X			X			ციტოპლექს-სელენი	–	–	
სითბური სტრესები, მაღალი ტემპ. და ტენიანობის ფონზე პროდუქტიულობის ვარდნა, საკვების გადამუშავების გაუარესება.	X	X	X	X	X		ბეტამინტი	–	–
							ჰეპავექსი	–	–
ანორექსია	X						კალფოსტონიკი	–	–
	X	X	X				ჩიკტონიკი	–	–
	X	X	X	X			განასუპერვიტი	–	–
		X	X	X			განამინოვიტი	–	–
რკინადეფიციტური ანემია	X	X	X				ჰიეროდექსინი	–	–
რაქიტი	X	X	X	X			კალფოსტონიკი	–	–
	X	X	X	X			ვიტამინ AD ₃ E (საინექ.)	–	–

დანიშნულება	ს ა ხ ე ბ ა						პრეპარატები	დაყოვნ. პერიოდი	
	მსხ.	წვრ.	ღ.	ფრ.	ძ.	კ.		სორცი	რძე
	პირ.	პირ.							
ქირურგიული დაავადებები									
კასტრაცია,	X	X	X		X	X	ჩემი სპრეი	-	-
ჭრილობები, კიდურე-	X	X	X		X	X	ანტისეპტიკური ფხვნილი	-	-
ბის დაზიანებ.	X	X	X		X	X	იოდზეფი	-	-
ღია აბსცესი,	X	X	X		X	X	ახალი კანი	-	-
წყლულები									
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები									
სპაზმოლიტური, საფა-	X	X	X		X	X	გლაუბერის მარილი	-	-
ლართო საშუალებები									
ტიმპანია, ამისაცოხნი	X	X	X		X	X	მენბუთონი (საინექციო)	2 დღე	1 დღე
საშუალება	X	X					შხამას ნაყენი	-	-
ამოსახველებელი					X		შხამას ნაყენი	-	-
საშუალებები									

**ინფექციური და ინვაზიური დაავადების
მოქმედების არეალი და მისი შიმდგომი გამოსავალი**

დაავადება	ამთვისებული ცხოველი	ინკუბაციური პერიოდი	სიკვდილიანობა	გამოსავალი
ტრიხინელოზი ასკარიდოზი	ღორი, კატა, ძაღლი, მღრღნელები, ღათვი	3-5 დღე 2-3 კვირა	მწვავე ფორმის ღროს 12-15 დღე	მკურნალობას ექვემდებარება
დიქტიოკაულოზი (ფილტვის ჭია)	მსხ. პირ, ცხვარი			მკურნალობას ექვემდებარება
თელაზიოზი	მსხ. პირ.			მკურნალობას ექვემდებარება
პარამფისტომატოზი (ფაშვის ჭია)	მსხ. პირ.		მწვავე ფორმის ღროს 5-13 დღე	მკურნალობას ექვემდებარება
ფასციოლოზი (ღვიძლის ჭია)	სხვადასხვა სახის შინ. და გარ. ცხოველები			მკურნალობის ექვემდებარება
დიკროცელიოზი (ღვიძლის, ნაღვლის სადინრებისა და ნაღვლის ბუშტის ჭია)	მცოხნაგები			მკურნალობას ექვემდებარება
ექინოკოკოზი	მსხ. პირ., ცხვარი, თხა, ღორი			მკურნალობას ექვემდებარება
პიროპლაზმოზი (ციება, ნაბარევი, ღასიცხვა)	მსხ. პირ, ცხენი, ძაღლი	8-15-დან 24 დღემდე	სიკვდილიანობა 30-40 %	მკურნალობას ექვემდებარება
ბაბეზიოზი	მსხ. პირ., ცხენი, ძაღლი	8-14 დღე	4-8 დღე, სიკვდი- ლიანობა 60-80 %	მკურნალობას ექვემდებარება
ჰიპოდერმატოზი (კანის ბორა)	მსხ. პირ.			მკურნალობას ექვემდებარება
ემფიზემური კარბუნკული (ჭრიჭინა)	მსხ. პირ.	1-დან იშვიათად 3-5 დღემდე	70-80 % 6-დან 24 სთ-ში კვდება	ყოველთვის არ არის ეფექტური
პასტერელოზი (ლოკი, ბოღმა)	მსხ.პირ, ქათამი, ღორი, გარეული ცხოველები	12 საათიდან 1-2 დღემდე	70-100 % 2-3 დღეში კვდება	ნაკლებად ეფექტური
ბრადზოტი	2 წლის ასაკის ცხვრები, თხა	8-14 საათიდან 3-4 დღემდე	90-100% 1-2-3 დღეში კვდება	მკურნალობას არ ექვემდებარება
ჯილეზი – ციმბირის წყლული	მსხ. პირ., ცხენი, ღორი, გარეული ცხოველები	1-3 დღე	2-3 დღეში ცხოვე- ლი კვდება	მკურნალობას არ ექვემდებარება

დაავადება	ამთვისებული ცხოველი	ინკუბაციური პერიოდი	სიკვდილიანობა	გამოსავალი
ბრუცელოზი	თითქმის ყველა სახის ცხოველი, ადამიანი	2-4 კვირა	ავადმყოფი ცხოველი უნდა დაიკლას	მკურნალობა არ ტარდება
ცოფი	ყველა სახის შინაური და გარეული ცხოველი,	8-16 დღიდან 6 თვემდე	შმაგი ფორმა 3-11 დღე, წყნარი ფორმა 2-4 დღე	მკურნალობას არ ექვემდებარება
აუქსკის დაავადება - ცრუ ცოფი	ყველა სახის ცხოველი	3-16 დღე	მიმდინარეობს	მკურნალობა არაეფექტურია
თურქული	მსხ. პირ., ღორი 3 თვიდან, ადამიანი	36 საათიდან 7 დღემდე	10 დღე ლეტალობა 0,2-0,5%	3-4 კვირაში იკურნება

დეკლარაცია, ვაქცინაცია სეზონის მიხედვით

დაავადება	ცხოველის სახეობა	ლონისძიების ჩატარების დრო წლის I ნახევარში						ლონისძიების ჩატარების დრო წლის II ნახევარში						
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
ასკარიდოზი	ფრინველი					X	X						X	
ფასციოლოზი (ღვიძლის ჭია)	მსხ. პირ					X	X						X	
დიქტიოკაულოზი (ფილტვის ჭია)	მსხ. პირ					X	X		X	X			X	
პარამფისტომატოზი (ფაშვის ჭია)	მსხ. პირ					X	X						X	
ცხოველთა სადგომების დიზინფექცია	მსხ. პირ						X					X		
ჯილეხის საწ. აცრა	მსხ. პირ				X					X				
თურქულის საწ. აცრა	მსხ. პირ			X	X				X	X				
ცოფის საწ. აცრა	ძალღი			X	X				X	X				
ბრუცელაზოზზე გამოკვლევა	მსხ. პირ			X	X				X	X				
ტუბერკულოზზე გამოკვლევა	მსხ. პირ													
პასტერელოზის საწ. აცრა	მსხ. პირ						X					X		
ემპარის საწ. აცრა	მსხ. პირ					X	X						X	
მკრეჭავი მუნის საწ. აცრა	მსხ. პირ							X	X					
პიროპლაზმოზის საწ. აცრა	მსხ. პირ							X	X					
პიროპლაზმოზზე გაბანება	მსხ. პირ					X	X	X	X	X				
კანის ბორას საწ. გაბანება	მსხ. პირ									X	X			
კანის ბორას საწ. აცრა	მსხ. პირ										X	X		
წითელი ქარის საწ. აცრა	ღორი					X	X						X	
პასტერელოზის საწ. აცრა	ღორი					X	X						X	
ჭირის საწ. აცრა	ღორი					X	X						X	
ბრადზოტის საწ. აცრა	ცხვარი												X	
ფრინველის ჭირის საწ. აცრა	ფრინველი					X							X	

შაქვინაციის სქემა ასაკის მიხედვით

ცხოველის სახეობა, ასაკი	ინფექცია	პარაფრენი პი-3	რესპირატ., ინფექცია	საღმებლო	მკრეპატი მუნი	ჯილეხი	თურქული	ბრუცელოზი	ემკარი	პასტერელოზი	ცოფი	წითელი ქარი	კლასიკური ჭირი	აღსკი	ენტეროკალიტი	ნაუსკი	იფემი - ბურსალური დაფაქტა (ტაბორი)	მაქსიმალური და კვირავი	აქტიური	იმუნოდეფიციენცია
მსხვ. პირ. 12-18 დღის 40-45 დღის 120-130დღის 1 თვის 1,5-4 თვის 3 თვის 4 თვის 6 თვის 2-დან ზოგჯერ 4-დან ზოგჯერ	X	X	X																	
ცხვარი 3 თვის 4-6 თვის						X	X													
ლორი 20-30 დღ-მდე 1,5 თვის 2 თვის 2,5 თვის 3 თვემდე 3,5-4 თვემდე			X							X				X	X					
ფრინველი 1 დღიანი 10-12 დღის																X	X			
ბოცვერი 1 თვიდან ზევით																		X		
ძაღლი 2 თვიდან 2,5 თვიდან 3 თვიდან 6 თვიდან											X									X

რთული ეპიზოტიური მდგომარეობის შემთხვევაში ვაქცინაცია ტარდება:
 ცოფი (მსხვილფეხა პირუტყვი) - 3 თვიდან, რევაცინაცია 6 თვის ასაკში;
 კლასიკური ჭირი და წითელი ქარი - გოჭები 1,5 თვიდან.
ზრდასრულ ცხოველებს წელიწადში ერთჯერ უტარდებათ ვაქცინაცია:
მსხვ.პირ - თურქული, ჯილეხი, პასტერელოზი, ემკარი; **ლორი** - კლასიკური ჭირი

ჯანმრთელი ცხოველების ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლები

ცხოველთა სახეობა	ზრდასრული ცხოველების ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლები					
	ტემპერატურა, °C	პულსის რ-ბა	სუნთქვის რ-ბა	მაკეობის პერიოდი	ნაყოფის რაოდენობა	სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი)
1 ცხენი: ფაშატი ულაყი	37,5-38,5 37,5-38,5	48-72 28-32	9-10 9-10	336 დღე (11 თვე)	1	40-50
2 ვირი	35,5-35,7	45-60	10-14	390დღე (12-13თვე)	1	25-35
3 ჯორი	38,0-39,0	45-60		საშ. 350 დღემდე	1	40-მდე
4 ძროხა	37,5-39,5	40-60	12-18	285 დღე (9 თვე)	1-2	20-25
5 კამეჩი	37,5-39,0	40-70	10-18	307 დღე (10 თვე)	1	20-30
6 ღორი	39,0-40,0	100-110	8-18	110-118 დღე	5-16	20-25
7 ცხვარი	38,5-40,0	55-80	9-15	150 დღე (5 თვე)	1-2	12-15
8 თხა	38,5-40,5	70-80	9-15	150 დღე (5 თვე)	1-2	12-15
9 ძაღლი მცირეტანიანი მსხვილტანიანი	38,4-39,3 38,5-39,0 37,4-38,3	100-140 105-125 70-90	20-22 14-18 14-18	58-63 დღე	2-12	10-15
10 კატა	38,0 – 39,5	110-120	17-23	56-60 დღე	1-8	15
11 ბოცვერი	38,5 – 39,5	120-140	50-60	30-33 დღე	1-12	5-7

ფრინველის ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებელი

ფრინველთა სახეობა	ტემპერატურა, °C	პულსის რაოდენობა	სუნთქვის რაოდენობა	კვერცხის ინკუბაციის ხანგრძლივობა (დღე)	სიცოცხლის ხანგრძლივობა, წელი
ქათამი	40,5-42,5	180-440	15-30	19-24	15-20
ინდაური	40,5-41,5	120-140	12-18	26-29	8-9
ბატი	40,0-41,0	120-160	12-20	28-33	40-50
იხვი	41,0-43,0	140-200	16-28	28-32	8-10
მტრელი	41,0-44,0	140-200	30-70	17-19	7-8
თუთიყუში	41,0-42,0	400-600		19-25	75-100

1. სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება

1.1. პენიცილინის და ამინოგლიკოზიდების ჯგუფების ანტიბიოტიკები

პენბექსი (Penbex)

Penicilin G, Dihydrostreptomycin sulphate, Betametason, Clorfeniramine, Procaine Clorhidrate.

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: პროკაინ პენიცილინ G-ს 200,000 მ.ე; დიჰიდროსტრეპტომიცინ სულფატს 250 მგ; ბეტამეტაზონს 0.5 მგ; ქლორფენირამინის მალეატს 8 მგ; პროკაინ ჰიდროქლორიდს 15 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: დინატრიუმის ედეტატი(მარილის დიჰიდრატი), ნატრიუმის ციტრეტი, ლიმონმუჟა, ნატრიუმის მეთილის ეთერის პარა-ჰიდროქსიბენზოატი, ნატრიუმის პროპილის ეთერის ვპარა-ჰიდროქსიბენზოატი, პოვიდონი, ნატრიუმის ფორმალდეჰიდის სულფოქსილატი, საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 10 მლ, 50 მლ, 100 მლ, 250 მლ და 500 მლ ნარინჯისფერ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, კომპლექსური ანტიბაქტერიალური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი პენბექსი კომპლექსური ანტიბაქტერიალური მოქმედების პრეპარატია, მის შემადგენლობაში შედის: ორი ანტიბიოტიკი (პროკაინ პენიცილინ G და დიჰიდროსტრეპტომიცინ სულფატი), გლუკოკორტიკოიდი (ბეტამეტაზონი), ანტიჰისტამინური საშუალება (ქლორფენირამინის მალეატი) და ადგილობრივი მოქმედების ანესტეტიკი (პროკაინ ჰიდროქლორიდი).

პროკაინ პენიცილინ G-ს და დიჰიდროსტრეპტომიცინ სულფატის სინერგიული ნაერთი აფართოებს პრეპარატის ანტიბაქტერიალური მოქმედების სპექტრს. იგი მიეკუთვნება ბუნებრივი პენიცილინების ჯგუფს, გამოირჩევა მაღალი დონის აქტიურობით გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების, უმეტესი ანაერობების და სპიროქეტების მიმართ, მათ შორის *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Corynebacterium spp.*, *Listeria spp.*, *Clostridium spp.*, *Erysipelothrix spp.*, *Pasteurella multocida*, *Leptospira Stamebis Pomona*, *Grippytyphosa*, *Icterohaemorrhagiae* და სხვა. მისი მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს პეპტიდოგლიკანის სინთეზის ბლოკირებაში (ბაქტერიის კედლის ძირითადი კომპონენტი), რაც საბოლოოდ დაავადების აღმძვრელის სიკვდილს იწვევს. პროკაინ პენიცილინ G კუნთში ინექციით ნელა შეიწოვება და გახანგრძლივებულად მოქმედებს.

დიჰიდროსტრეპტომიცინ სულფატი - ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკია, ხასიათდება გამოსატყუი ბაქტერიციდული მოქმედებით გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების, მათ შორის *Escherichia coli*, *Salmonella spp.*, *Pasteurella spp.*, *Klebsiella spp.*-ის წინააღმდეგ. დიჰიდროსტრეპტომიცინ სულფატის ანტიბაქტერიული ეფექტი მდგომარეობს მიკრობული უჯრედის ცილის სინთეზის დარღვევაში.

ანტიბიოტიკები ორგანიზმიდან გამოიყოფა ძირითადად შარდით და ნალევლით, ხოლო

ლაქტაციის პერიოდში - ნაწილობრივ რძესთან ერთად. კუნთში ერთჯერადი ინექციით პროკაინ პენიცილინ G და დიჰიდროსტრეპტომიცინ სულფატი შეინივება სისხლით, ცხოველის დაზიანებულ ქსოვილებში მაქსიმალურ კონცენტრაციას ერთი საათში აღწევს და სისხლში ეფექტური კონცენტრაცია შენარჩუნებულია 24 სთ-ის განმავლობაში.

ბეტამეტაზონი ფოსფოლაიდების აქტიურობას აინჰიბირებს, ხელს უწყობს დაზიანების ადგილებში ანთების დათრგუნვას. მოქმედებს როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ქლორფენილამინის მალეატი ხასიათდება, ანტიჰისტამინური მოქმედებით, ზრდის ორგანიზმის დაცვით ფუნქციებს რესპირატორული ტრაქტის დაავადებების დროს, ამცირებს შეშუპებებს.

პენბექსი თბილსისხლიანი ცხოველების ორგანიზმზე ზემოქმედების მიხედვით მიეკუთვნება ზომიერად საშიშ ნივთიერებებს.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხენის, ცხვრის, თხის, ძაღლის და კატის ბაქტერიული ინფექციების, მწვავე და ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ, შარდსაქესო სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის, პასტერელოზის, გასტროენტეროკოლიტის, მასტიტის, ოპერაციული, ჭრილობების, მშობიარობის შემდგომი და სხვა პირველადი და მეორადი ბაქტერიული ეტიოლოგიის ინფექციების დროს, რომელთა აღმძვრელებიც მგრძობიარეა პენიცილინის და სტრეპტომიცინის მიმართ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეყავთ კუნთში ღრმად.

მსხვილფეხა პირუტყვი და ცხენი: 1 მლ/20 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ 3-5 დღის განმავლობაში; მძიმე შემთხვევებში, ასევე ხბოებს და კვიცებს 60კგ-მდე ეძლევათ 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ.

ღორი, ცხვარი და თხა: 1 მლ/10 კგ ც. წ-ზე, დღეში ერთჯერ 3-5 დღის განმავლობაში;

ძაღლი და კატა: 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ 3-5 დღის განმავლობაში;

პრეპარატის მაქსიმალური მოცულობა ერთ ადგილზე ინექციის დროს არ უნდა აღემატებოდეს: *მსხვილფეხა პირუტყვი და ცხენი* - 20 მლ; *ღორი* - 10 მლ; *ცხვარი და ხბო* - 5 მლ; *გოჭი, კატა და ძაღლი* - 2,5 მლ.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენება იშვიათად იწვევს ალერგიულ რეაქციას, ინექციის ადგილზე შეიჩნევა ადგილობრივი რეაქცია (ქავილი, ერითემა), რომელიც პრეპარატის შეწყვეტასთან ერთად ქრება.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები აღინიშნება იმ ცხოველებში, რომლებიც ჰიპერმგრძობიარენი არიან პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ.

მაკობის პერიოდის ბოლო მესამედში გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა ან აბორტი.

განსაკუთრებული მითითებები:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 30 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად თერმული დამუშავების შემდეგ ან ხორცისა და ძვლის ფქვილის საწარმოებლად.

აკრძალულია რძის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში და პრეპარატის ბოლო შეყვანიდან 3 დღის განმავლობაში. ასეთი რძე თერმული დამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებად.

დაყონების პერიოდი:

ხორცი - 30 დღე; რძე - 3 დღე (6 მონველა).

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5 - 15°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

აგ 555 (AC 555)

Amoxiciline, Ciprofloxacin

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

პრეპარატი აგ 555 - კომბინირებული პრეპარატია, რომლის შემადგენლობაში შედის ორი მოქმედი ნივთიერება ამოქსიცილინი და ციპროფლოქსაცინი.

1 გ ფხვნილი შეიცავს: ციპროფლოქსაცინს 200 მგ, ამოქსიცილინს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერება: ლაქტოზა.

გამოშვების ფორმა: 250 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში; 1 გ ლამინირებულ ქალაქის პაკეტში და 50 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ამოქსიცილინი - ნახევრად სინთეზური ანტიბიოტიკია, გააჩნია მოქმედების ფართო სპექტრი, აქტიურია აერობული გრამდადებითი ბაქტერიების *Staphylococcus* და *Streptococcus* და აერობული გრამუარყოფითი მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების მიმართ: *Haemophilus*, *Klebsiella*, *Pseudomonas*, *Pasteurella*, *Salmonella*. პენიცილინაზას მაპროდუცირებელი მიკროორგანიზმები რეზისტენტულია ამოქსიცილინის მოქმედებისადმი. იგი თრგუნავს ბაქტერიის უჯრედული კედლის სინთეზს.

ამოქსიცილინი გამოიყენება სასუნთქი სისტემის ინფექციების სამკურნალოდ (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, პნევმონია, პლევრიტი, ვირუსული ინფექციების გართულების შემდეგ), კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და შარდ-სასქესო სისტემის, ქირურგიული ინფექციების, ასევე ამოქსიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებების

დროს, განსაკუთრებით ინფექციები, რომელიც გამოწვეულია სტრეპტოკოკებითა და სტაფილოკოკებით.

ციპროფლოქსაცინი არის ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიბაქტერიული საშუალება. იგი ფართო სპექტრის ბაქტერიციდული საშუალებაა და მისი ბაქტერიციდული ეფექტი დამოკიდებულია კონცენტრაციის დონეზე.

ციპროფლოქსაცინის მიღებიდან 20-30 წუთის შემდეგ ვლინდება პრეპარატისადმი მგრძობიარე ბაქტერიციდული უჯრედების სიკვდილიანობა.

ციპროფლოქსაცინი პოსტანტიბიოტიკურ ეფექტს ავლენს გრამუარყოფითი და გრამდადებითი ბაქტერიების მიმართ, როგორც ლატენტურ ფაზაში, ასევე ბაქტერიების გამრავლების პერიოდში.

პრეპარატი აინჰიბირებს ბაქტერიულ დნმ-ჰირაზას, მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია ფერმენტ ჰირაზას (II ტიპი ტოპოიზომერაზები) ინჰიბირებასთან, რაც იწვევს სუპერსპირალიზაციისა და დნმ-ს სინთეზის პროცესის დარღვევას.

ციპროფლოქსაცინი აქტიურია გრამდადებითი ბაქტერიების შტაბჰელოცოცტუს და შტრეპტოცოცტუს და გრამუარყოფითი ბაქტერიების, კოკების მიმართ, სხვადასხვა სახეობის შტამების ჩათვლით *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella sp.*, *E.coli*, *Enterobacter*, *Campylobacter*, *Vibrio cholerae*, *Salmonella*, *Pasteurella*, *Clostridium*, *Haemophilus* და სხვა.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი - აც 555 მოიცავს ფართო სპექტრს გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების საწინააღმდეგოდ. გამოიყენება სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის ისეთი დაავადებების მიმართ, რომლებიც გამოწვეულია: *Salmonella*, *Pasteurella*, *Clostridium*, *Staphylococcus*, *Streptococcus*, *Haemophilus* და სხვა მიერ.

პერორალური მიღების შემდეგ პრეპარატი კარგად გაიწვევა ფრინველის კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ფართოდ ვრცელდება ორგანოებსა და ქსოვილებში. მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს და ნარჩუნდება 6 საათის, ხოლო თერაპიულ კონცენტრაციას ინარჩუნებს 24 საათის განმავლობაში.

პრეპარატი - აც 555 გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორისა და ფრინველის შემდეგი დაავადებების დროს:

- სასუნთქი გზების ინფექციების (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, პნევმონია, პლევრიტი, ვირუსული ინფექციების გართულების შემდეგ);
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და შარდ-სასქესო სისტემის ინფექციების;
- ფრინველის ქოლერის;
- ქირურგიული ინფექციების, ასევე სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური ინფექციების;
- კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზისა და მიკოპლაზმოზის სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი მიიღება პერორალურად, გახსნილი სასმელ წყალში.

ფრინველი - 1 გ/4 ლ წყალში, 3-5 დღის განმავლობაში;

ხბო, ღორი - 1 გ/20 კგ ც.წ-ზე დღეში 2-ჯერ 5-7 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით გამოყენების შემთხვევაში გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

მომატებული მგრძნობელობა ბეტა-ლaktამური ანტიბიოტიკების მიმართ.

დაყოვნების პერიოდი:

ფრინველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის მიცემიდან 11 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ამოქსიცილინი 200 (Amoxicilin 200)

Amoxiciline

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ამოქსიცილინის ტრიჰიდრატს 200 მგ.

დამხმარე ნივთიერება: პოლიეთილენგლიკოლი 6000, სახამებელი.

გამოშვების ფორმა: 50 გ პოლიეთილენის ფლაკონში და 250 გ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ამოქსიცილინი, პენიცილინის ჯგუფის ნახევრადსინთეზური ანტიბიოტიკია, რომელიც მოქმედებს ბაქტერიის უჯრედული კედლის სინთეზის დარღვევაზე. ფერმენტების ტრანსპეპტიდაზისა და კარბოქსიპეპტიდაზის ინჰიბირებით ირღვევა ოსმოსური ბალანსი, რაც იწვევს ბაქტერიის სიკვდილს. ამოქსიცილინს გააჩნია ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრი გრამდადებითი და გრამუარყოფით მიკროორგანიზმების მიმართ, როგორცაა *Actinomyces spp.*, *Bacillus anthracis*, *Clostridium spp.*, *Corynebacterium spp.*, *Erysipelothrix rhusiopathiae*, *Listeria monocytogenes*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Actinobacillus spp.*, *E.coli*, *Salmonella*, *Fusobacterium spp.*, *Haemophilus spp.*, *Moraxella spp.*, *Pasteurella spp.*, *Proteus mirabilis*, ასევე *Leptospira spp.* ამოქსიცილინი კარგად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და სწრაფად გადანაწილდება ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილში. ორგანიზმიდან გამოიყოფა ძირითადად შარდთან და ნაკლებად ნალველთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ფრინველის:

– სასუნთქი გზების ინფექციების სამკურნალოდ (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, პნევმო-

ნია, პლევრიტი, ვირუსული ინფექციების შემდეგ).

– კუჭ-ნაწლავის და შარდსასქესო სისტემის იმ ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ, რომელიც გამოწვეულია ამოქსაცილინისადმი მგრძობიარე მიკროორგანიზმებით.

– ფრინველის ქოლერას, კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზისა და მიკოპლაზმოზის დროს.

– ქირურგიული ინფექციების, ასევე სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური ინფექციების დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

ფრინველი: გამოჩეკვის შემდეგ პერიოდში (პირველი 10 დღე) 1 გ/8 ლ წყალზე შემდგომი პერიოდი 1 გ/4 ლ წყალზე 3-5 დღის განმავლობაში.

ხბო, გოჭი: 1-2 გ/10 კგ ც.წ-ზე, სასმელ წყალთან ან საკვებთან ერთად დღეში ერთჯერ გამოჯანმრთელებამდე (არაუმეტეს 7 დღისა).

ფრინველს სიცოცხლის პირველ დეკადაში 100 გ/400 ლ წყალზე, შემდგომ პერიოდებში 100 გ/200 ლ წყალზე 3-5 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენების დროს გვერდითი მოვლენები და გართულებები არ არის გამოვლენილი. ქ-ლაქტამური ანტიბიოტიკებისადმი ცხოველების მომატებული მგრძობილობისას შესაძლებელია სხვადასხვა ალერგიული რეაქციები (ანაფილაქსური შოკი).

უკუჩვენებები:

პრეპარატის გამოყენება არ არის რეკომენდებული ბოცვრების, ზღვის გოჭებისა და ზაზუნებისათვის. არ შეიძლება გამოყენება სხვა ბაქტერიოსტატიკურ ანტიბიოტიკებთან ერთად (ტეტრაციკლინი, ქლორამფენიკოლი, სულფანილამიდები და სხვ.).

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველების დაკვლა სახორცედ ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 15 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ამოქსიცილინი 15 % LA (Amoxicillin 15% LA)

Amoxicillin trihydrate

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ამოქსიცილინი (ტრიჰდრატი) 150 მგ, შემავსებელი 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 10 მლ, 50 მლ, 100 მლ, 250 მლ და 500 მლ მუქი ფერის მინის ფლაკონი, მოთავსებული მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ამოქსიცილინი 15 % LA-ს შემადგენლობაში შემავალი ამოქსიცილინი ტრიჰიდრატი, წარმოადგენს პენიცილინის რიგის ნახევრად სინთეზურ ანტიბიოტიკს, რომელიც ხასიათდება ფართო სპექტრის ბაქტერიციდული მოქმედებით, აქტიურია გარმდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ, როგორცაა: *Actinomyces spp.*, *Bacillus anthracis*, *Clostridium spp.*, *Corynebacterium spp.*, *Erysipelothrix rhusiopathiae*, *Listeria monocytogenes*, *Staphylococcus aureus*, *Streptococcus spp.*, *Actinobacillus spp.*, *E. coli*, *Salmonella spp.*, *Fucobacterium spp.*, *Haemophilus spp.*, *Moraxella spp.*, *Pasteurella spp.*, *Proteus mirabilis*, *Leptospira spp.*

ამოქსიცილინის მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს მიკროორგანიზმის ზრდის ფაზის დროს უჯრედის კედლის პეპტიდოგლიკანის სინთეზის დათრგუნვით, ტრანსპეპტიდაზის კონკურენტული ინჰიბირების გზით. ერთჯერადი ინექციის შემდეგ ამოქსიცილინი ტრიჰიდრატი კარგად შეიწოვება ინექციის ადგილიდან და მალევე ვრცელდება ორგანიზმში, სისხლში მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს შეყვანიდან 1-2 საათის შემდეგ და ინარჩუნებს თერაპიულ დონეს 48 საათის განმავლობაში. ამოქსიცილინი ორგანიზმიდან გამოიყოფა ძირითადად შარდთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

ამოქსიცილინი 15% LA გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, ღორების, ძაღლების და კატების ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის, რესპირატორული (რინიტი, პნევმონია, ბრონქოპნევმონია), კუჭნაწლავის ტრაქტის (დიარეა, ენტერიტიები, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი), შარდსასქესო სისტემის ორგანოების (ცისტიტი, ენდომეტრიტი, მეტრიტი, ვაგინიტი, ლეპტოსპიროზი), მასტიტების, კანის დაზიანების, რბილი ქსოვილის და ჩლიქის (ნეკრობაქტერიოზი, ართრიტი, აბსცესი) დაავადებების დროს, აგრეთვე ქირურგიული, პოსტოპერაციული ინფექციების პროფილაქტიკისათვის, გამონეფული ამოქსიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოყენების წინ ფლაკონი კარგად შეანჯღრიეთ ჰომოგენური სუსპენზიის მიღებამდე. ამოქსიცილინი 15% LA-ს თერაპიული დოზა ყველა მითითებული ცხოველებისათვის ერთნაირია, შეჰყავთ კუნთში ან კანქვეშ, 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე (15 მგ/კგ ც.წ-ზე), ერთჯერადად. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია პრეპარატის განმეორებით შეყვანა 48 საათის შემდეგ.

უკუჩვენებები:

პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკების მიმართ ცხოველების მგრძობიარეობის ინდივიდუალური მომატება, თან სდევს ალერგიულ რეაქციებს. ალერგიული რეაქციების არსებობის შემთხვევაში პრეპარატის გამოყენება წყდება და ინიშნება ანტიჰისტამინური საშუალებები. დაუშვებელია ამოქსიცილინი 15% LA-ს შერევა ერთ შპრიცში სხვა სამკურნალო პრეპარატებთან და ერთდროულად ბაქტერიოსტატიკურ ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან ერთად გამოყენება.

გვერდითი მოვლენები:

ამ ინსტრუქციის შესაბამისად გამოყენებით გვერდითი მოვლენები და გართულებები, როგორც წესი არ აღენიშნება.

განსაკუთრებული მითითებები:

ცხოველის დაკვლა და საკვებად გამოყენება ნებადართულია ბოლო ინექციიდან 14 დღის შემდეგ. მითითებული ვადის გასვლამდე იძულებით დაკლული ცხოველის ხორცი, შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის გამოსაკვებად ან ხორცის ფქვილის წარმოებისათვის. რძის გამოყენება საკვები მიზნებისათვის აკრძალულია მკურნალობის დროს და პრეპარატის შეყვანიდან ბოლო 48 საათის განმავლობაში.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

1.2 ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკები

ცეფტივილი (Ceftivil)

Ceftivil hydrochloride

წამლის ფორმა:

საინექციო სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ცეფტივილის ჰიდროქლორიდს, ექვივალენტური 50 მგ ცეფტიოფურის.

გამოშვების ფორმა: 50 მლ, 100 მლ და 250 მლ ფერადი შუშის ბოთლებში და მუყაოს კოლოფებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალება, ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ცეფტივილის საინექციო სუსპენზია ცეფალოსპორინის ჯგუფის (III თაობის) ანტიბიოტიკია, რომელიც სხვა ცეფალოსპორინების მსგავსად ხასიათდება ფართო სპექტრის ბაქტერიციდული მოქმედებით ზოგიერთი გრამ დადებითი და გრამ უარყოფითი ბაქტერიების (*Pasteurella haemolytica (Mannheimia spp.)*, *Escherichia coli*, *Pasteurella multocida*, *Haemophilus somnus*, *Fusobacterium necrophorum* და *Bacteroides melaninogenicus (Porphyromonas asaccharolytica)*, *Arcanobacterium pyogenes*, *Fusobacterium necrophorum*, *Arcanobacterium pyogenes*, *Pasteurella multocida*, *Actinobacillus pleuropneumoniae* და *Streptococcus suis*) მიმართ, ცეფტიოფური ბლოკავს ბაქტერიის უჯრედის კედლის სინთეზს, პეპტიდოგლიკანის სინთეზის დარღვევით.

ცეფტიოფურის კუნთში ან კანქვეშ შეყვანილ სწრაფად შეიწოვება. ხბოების კუნთში ინექციით, დოზით 1 მგ/კგ ც.წ-ზე პიკური პლაზმური (6 მკგ/მლ) კონცენტრაცია 30 წუთის შემდეგ მიიღწევა. ცეფტიოფური ვრცელდება, ნაწილდება ქსოვილებში და მეტაბოლიზდება სხეულში, რომელიც უნდა გადაიქცეს დესფუროლიცეფტიოფურად. ის ძირითადად გამოიყოფა შარდთან და ნაწილობრივ ფეკალთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

ცეფტრივილის საინექციო სუსპენზია, გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვისა და ღორების სასუნთქი სისტემის და რბილი ქსოვილების ინფექციების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია ცეფტრიოფურის მიმართ მგრძობიარე ბაქტერიებით.

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის ინფექციური დაავადებებისა და პნევმონიის სამკურნალოდ, როგორცაა:

- რესპირატორული ინფექციები, რომელიც გამოწვეულია *Mannheimia sp*-ით (*Mannheimia haemolytica*), *Pasteurella multocida*-ით, *Haemophilus somnus*-ით;

- მწვავე ჩლიქთაშორისი ნეკრობაცილოზის შემთხვევაში (პოდოდერმატიტი), რომელიც გამოწვეულია *Fusobacterium necrophorum* და *Bacterio des-melaninogenicus*-ით;

- შობიარობის შემდგომი მწვავე მეტრიტის დროს, რომელიც გამოწვეულია *E.coli*-ით, *Arconobacterium pyogenes*-ით და *Fusobacterium necrophorum*-ით.

ღორების ბაქტერიული რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ, რომლებიც ასოცირებულია *Mannheimia hemolytica*-თან, *Actinobacillus peuropneumoniae*-თან და *Streptococcus suis*-თან.

გამოყენების წესი და დოზირება:

ფარმაკოლოგიური დოზა:

მსხვილფეხა პირუტყვი - პრეპარატი შეჰყავთ კუნთში ან კანქვეშ, 1 მგ/კგ ც.წ.-ზე;

ღორი - კუნთში 3 მგ/კგ ც.წ.-ზე, დღეში ერთჯერ, მკურნალობის ხანგრძლიობაა 3 დღე.

პრაქტიკული დოზა:

მსხვილფეხა პირუტყვი - კუნთში ან კანქვეშ, 1 მლ/50კგ ც.წ.-ზე;

ღორი - კუნთში 1 მლ/16კგ ც.წ.-ზე, დღეში ერთჯერ, მკურნალობის ხანგრძლიობაა 3 დღე. ისეთ შემთხვევებში, როცა ვერ მოხერხდება შედეგის მიღწევა, მკურნალობა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 2 დღე.

როცა უფრო დიდი მოცულობების გამოყენებაა საჭირო, მთლიანი დოზა უნდა დაიყოს 15 მლ-ის ოდენობით.

გამოყენებამდე შენაჯღრიეთ ბოთლი ძლიერად, რომ სუსპენზიამ ერთგვაროვანი სახე მიიღოს.

უკუჩვენებები გააჩნია ინტრავენურ მიღებას.

გვერდითი მოვლენები:

კუნთში და კანქვეშ ინექციის შემდეგ შეყვანის ადგილზე ფერი იცვლება, რომელიც კისრის არეში 11 დღეზე მეტი, ხოლო უკანა ფეხზე 28 დღეზე მეტი ხანი გრძელდება. ამ ნაწილების გამოყენება შეუძლებელია ცხოველის დაკვლის შემთხვევაში, რაც იწვევს საჭმელად ვარგისი ხორცის მნიშვნელოვანი ნაწილის დანაკარგს. ბეტა-ლაქტამს გააჩნია გვერდითი მოვლენები, რომელიც იწყება მსუბუქი ალერგიით და მგრძობიარე ცხოველებში შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილიც.

სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

გააჩნია სინერგიული ეფექტი ამინოგლიკოზიდურ ანტიბიოტიკებთან მიმართებაში. დაუშვებელია მისი გამოყენება ბაქტერიოსტატიკურ ანტიბიოტიკებთან ერთად.

ჭარბი დოზირება:

ცეფტივილის საინექციო სუსპენზიას არ გააჩნია უარყოფითი ეფექტი, რეკომენდებული დოზით და დადგენილ პერიოდში მიღების შემთხვევაში. მაღალი დოზის გამოყენებისას ტოქსიკურობასთან ასოცირებული სიმპტომები არ დაფიქსირებულა. ხბოებს, რომელთაც ეძლეოდა ცეფტიოფური დოზით 55 მგ/კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ, 5 დღის განმავლობაში, გვერდითი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

დაყოვნების პერიოდი:

დაუშვებელია ცხოველის დაკვლა მკურნალობის დროს და პრეპარატის ბოლო მიღებიდან 7 დღის განმავლობაში. ღორების დაკვლა არ შეიძლება მკურნალობის პერიოდში და პრეპარატის ბოლო მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. მენველი ძროხების შემთხვევაში რძიდან პრეპარატის ნარჩენების გამოყოფის დრო "0" დღეა.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები აღინიშნება მგრძნობიარე და თირკმლების მწვავე დაავადებებით დაავადებულ ცხოველებში. ინექციის ადგილას შეიძლება აღინიშნოს ტკივილი კუნთში. გამოიყენება მაკულობის პერიოდში: ექსპერიმენტულ ცხოველებში ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ დოზით 1000 მგ/კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ არ იქონია გავლენა რეპროდუქციულობაზე და არ გამოავლინა ტერატოგენური ეფექტი. მაკე ძროხებში სპეციფიური კვლევა ცეფტიოფურის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა.

ზოგადი გაფრთხილებები:

მოულოდნელი ეფექტის შემთხვევაში მიმართეთ ვეტერინარს.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

პრეპარატის შეყვანისას მისაღები ზომები:

თავი აარიდეთ პრეპარატთან შეხებას და დაიბანეთ ხელები გამოყენების შემდეგ. ადამიანები, რომლებიც მგრძნობიარე არიან პენიცილინის ან ცეფალოსპორინების მიმართ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხონ პრეპარატს. თუ დაფიქსირდა ისეთი სიმპტომები, როგორცაა სახის, თვალების ან ტუჩების შეშუპება ან სუნთქვის გართულება, ასევე პირში მოხვედრით, კანზე შეხებისას ან ინჰალაციის დროს, საჭიროა სასწრაფო სამედიცინო ჩარევა. ასეთ შემთხვევაში ექიმს უნდა ეცნობოს პრეპარატის შესახებ და უნდა გადაეცეს მისი ეტიკეტი.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე (15-25°C).

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

1.3. ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები

ოქსიტეტრაციკლინი 200 (Oxytetracycline 200)

Oxytetracycline Dihydrate

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის დიჰიდრატს 200 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: მაგნიუმის ქლორიდი ჰექსაჰიდრატი; მონოეთანოლამინი ; 2-პიროლიდონი; ნატრიუმის ფორმალდეჰიდ სულფოქსილატი; პოვიდონი; საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 10 მლ, 50 მლ და 100 მლ გაუმჭირვალე მინის ფლაკონში, ჰერმეტიკულად დახუფული საცობებით და შემოფარგლული ალუმინის ჩაჩებით.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ოქსიტეტრაციკლინი, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკია, ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Pasteurella spp.*, *Escherichia coli*, *Salmonella spp.*, ასევე აქტინომიცეტების, პროტოზოების, სპიროქიტების, რიკეციების, მიკოპლაზმების და ქლამიდიების მიმართ. მისი მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს ბაქტერიების, რიბოსომების ცილის სინთეზის ინჰიბირებაში. პრეპარატში შემავალი გახანგრძლივებული მოქმედების შემავსებლის საშუალებით, მკურნალობის სრული კურსისათვის საკმარისია პრეპარატის ერთჯერადი შეყვანა, რადგან სისხლში მისი ეფექტური კონცენტრაცია 3 დღის განმავლობაში აღინიშნება.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სამკურნალოდ ბრონქოპნევმონიის, კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზისა და სხვა ინფექციური დაავადებების აღმძვრელი მიკროორგანიზმების მიმართ, რომლებიც მგრძნობიარეა ოქსიტეტრაციკლინის მიმართ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეჰყავთ კუნთში, 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე (20 მგ/კგ ც.წ-ზე), 3 დღეში ერთჯერ.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენების დროს გვერდითი მოვლენები და გართულებები არ არის გამოვლენილი.

უკუჩვენებები:

ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატების მიმართ მალალი მგრძნობელობა. ძაღლებში, კატებსა და ცხენებში პრეპარატის გამოყენება აკრძალულია.

განსაკუთრებული მითითებები:

არ შეიძლება პრეპარატი გამოყენებული იქნას კორტიკოსტეროიდებთან და ესტროგენებთან ერთდროულად. ანტიბაქტერიული ეფექტის დაქვეითებასთან დაკავშირებით, არ

არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება პენიცილინის და ცეფალოსპორინის რიგის ანტიბიოტიკებთან ერთად. ოქსიტეტრაციკლინი 200-თან მუშაობის დროს აუცილებელია დაცული იქნას პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი წესები, რომლებიც გათვალისწინებულია ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის დროს.

აკრძალულია პრეპარატის შეფუთვის გამოყენება საკვები პროდუქტების შეფუთვის მიზნით.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 22 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად თერმული დამუშავების შემდეგ ან ხორცისა და ძვლის ფქვილის საწარმოებლად.

აკრძალულია საკვებად გამოყენებულ იქნას რძე, მკურნალობის პერიოდში და პრეპარატის ბოლო შეყვანიდან 7 დღის განმავლობაში. ასეთი რძე თერმული დამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, კაშკაშა სინათლისა და მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

გასხნილი ფლაკონი გამოყენებული უნდა იქნას მთლიანად ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

პრიმაპილინი (Primavilin)

Oxytetracycline Hydrochloride

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერება: დიმეთილაცეტამიდი, ნატრიუმ ფორმალდეჰიდესულფოქსილატი, ეთანოლამინი, მაგნიუმის ქლორიდი, საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 50 მლ და 100 მლ საინექციო ხსნარი ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრიმავილინი ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკია, რომელიც ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკრობების, რიკეციების და ზოგიერთი მსხვილი ვირუსების მიმართ. ის ეფექტურია გრამდადებითი აერობების (*Bacillus spp.*, *Corynebacterium spp.*, *Erysipelothrix rhusiopathiae*, *Listeria monocytogenes* და *Streptococcus spp.*) გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Actinobacillus spp.*, *Bor-*

detella spp., Francisella tularensis, Haemophilus spp., Pasteurella multocida, Yersinia spp., Campylobacter fetus, Borrelia spp. და *Leptospira spp.*), ანაერობების (*Actinomyces spp., Fusobacterium spp.*) და *Micoplazma sp., Chlamidia sp., Ehrlichia sp., Coxiella burnetii, Anaplasma* წინააღმდეგ.

მისი ეფექტურობა ცვალებადია სტაფილოკოკის, ენტეროკოკის, ენტერობაქტერიის, ნაწლავის ჩხირის, კლებსიელას, პროტეუსის, სალმონელას, ბაქტერიოდის და კლოსტრიდიის წინააღმდეგ შექმნილი მდგრადობის გამო.

ტეტრაციკლინის მიმართ მდგრადებად ითვლებიან: *Pr. vulgaris, Ps.aeruginosa, C.jejuni, Staph.aureus, Serratia spp., M.bovis, M.hyopneumoniae, Strep. faecalis, Bac.Fragilis.*

ოქსიტეტრაციკლინს აქვს ბაქტერიოსტატიკური ეფექტი. მისი მოქმედების მექანიზმი გამოიხატება ბაქტერიების უჯრედების პროტეინის სინთეზის ბლოკირებით. პრეპარატის მიღებიდან სწრაფად შეინოვება. სისხლის მიმოქცევაში მოხვედრის შემდეგ ის უკავშირდება პლაზმის პროტეინებს 20-40 პროცენტით. მიეწოდება სხეულის ყველა ნაწილს, განსაკუთრებით კი ღვიძლს, თირკმელს და ფილტვებს. ორგანიზმიდან გამოიდევენება შარდით და ნალველით.

გამოყენების ჩვენებები:

პრიმავილინის საინექციო ხსნარი გამოიყენება ძროხების, ცხვრების და თხების სისტემური და ადგილობრივი ინფექციების, რესპირატორული და საშარდე სისტემის ინფექციების საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოწვეულია მგრძობიარე ბაქტერიით და მეორადი ბაქტერიული ინფექციებით (თურქული, პასტერელოზი, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი, ღორის წითელი ქარი, ჯილეხი, არავირუსული ეტიოლოგიის პნევმონია და გასტროენტეროკოლიტი, მასტიტი, ენდომეტრიტი, ვაგინიტი, ინფექციური აბორტი და სხვა).

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრებისა და თხებისათვის

ფარმაკოლოგიური დოზა: შეჰყავთ კუნთში და/ან ვენაში, 10 მგ/კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ.

პრაქტიკული დოზა: 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე.

დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით პრეპარატი მიიღება 24-48 სთ-ში ერთჯერ. კეთდება 3-5 ინექცია.

ინექცია ერთ ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს მსხვილფეხა პირუტყვისთვის 10 მლ, ხოლო ცხვრებისთვის 5 მლ-ს. მაღალი დოზების აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა, თანაბრად იქნეს გაყოფილი შესაყვანი პრეპარატის რაოდენობა და სხვადასხვა ადგილას გაკეთდეს.

გვერდითი მოვლენები:

მაკეობის პერიოდში პრეპარატის ხანგრძლივად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის ძვლებისა და კბილების ფერის შეცვლა. იგივე ეფექტი აღინიშნება მოზარდებშიც. მაკე ცხოველები და ცხოველებს, რომელთაც ღვიძლის უკმარისობა აქვთ, დიდი დოზის დიდი ხნით გამოვიყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰეპატოდეგენერაცია. ტეტრაციკლინმა ინექციის ადგილზე შეიძლება გამოიწვიოს ფოტოსენსიბილიზაცია, ალერგიული რეაქცია და გარდამავალი ადგილობრივი რეაქცია. პრეპარატის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს შარდის გაშუქება მსხვილფეხა პირუტყვში დროებითი ჰემოგლობინურის გამო. ტეტრაციკლინის ვენაში სწრაფმა ინექციებამ შეიძლება გამოიწვიოს გულსისხლძარღვთა კოლაფსი ყველა სახის ცხოველში. იშვიათად, მაგრამ, შეიძლება აღინიშნოს გაღიზიანება ინექციის ადგილზე.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 22 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად თერმული დამუშავების შემდეგ ან ხორცისა და ძვლის ფქვილის საწარმოებლად.

აკრძალულია საკვებად გამოყენებულ იქნას რძე, მკურნალობის პერიოდში და პრეპარატის ბოლო შეყვანიდან 8 დღის განმავლობაში. ასეთი რძე თერმული დამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებად.

უკუჩვენებები:

იკრძალება მისი გამოყენება ცხოველებში (ძაღვებში, ცხენებში და კატებში), რომელთაც ახასიათებთ ინდივიდუალური მგრძნობელობა ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებისადმი ან გააჩნიათ ღვიძლის ან თირკმლის უკმარისობა. არასასურველია დაენიშნოს მაცეცხოველებს.

ძირითადი გაფრთხილება:

შეინახეთ ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.

თუ ფლაკონი ღია მდგომარეობაშია ხსნარი შეიძლება გამოქედეს, მედიკამენტის ეფექტურობაზე ამას გავლენა არ აქვს.

შენახვის პირობები:

ინახება ბნელ, მშრალ ადგილას 15-25°C ტემპერატურაზე. თუ შენახვის პირობები დაცულია ვარგისია პირველი გამოყენებიდან 28 დღის განმავლობაში.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

პრიმავილინი - LA (Primavilin-LA)

Oxytetracycline Dihydrate

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის დიჰიდრატს 200 მგ.

გამოშვების ფორმა: 50 მლ; 100 მლ და 250 მლ საინექციო ხსნარი ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ოქსიტეტრაციკლინი ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკრობების, რიკეციების და ზოგიერთი მსხვილი ვირუსების მიმართ.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მწვავე რესპირატორული და შარდ - სასქესო გზების ინფექციების, მეო-

რადი ბაქტერიული ინფექციებისა და ვირუსული დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა, თურქული, პასტერელოზი, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი, ლორის წითელი ქარი, ჯილენი, არავირუსული ეტიოლოგიის პნევმონია და გასტროენტეროკოლიტი, მასტიტი, ენდომეტრიტი, ვაგინიტი ინფექციური აბორტი და ტრანსპორტირებით გამოწვეული სტრესების დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების და თხების სამკურნალოდ, შემდეგი დოზებით:

ფარმაკოლოგიური დოზა: 20 მგ/კგ ც.წ-ზე.

პრაქტიკული დოზა: შეჰყავთ ღრმად კუნთში, 1 მლ ყოველ 10 კგ ც.წ-ზე, ერთჯერადად. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია განმეორება 72 საათის შემდეგ.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი გადაიტანება კარგად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს მადის დაქვეითება, კანის ალერგიული რეაქციები.

უკუჩვენებები:

ცხოველების ინდივიდუალური მგრძობელობა ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკების მიმართ. არასასურველია დაენიშნოს მკაცრ ცხოველებს.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 22 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენვიანი ნადირის საკვებად თერმული დამუშავების შემდეგ ან ხორცისა და ძვლის ფქვილის საწარმოებლად.

აკრძალულია საკვებად გამოყენებულ იქნას რძე მკურნალობის პერიოდში, პრეპარატის ბოლო შეყვანიდან 7 დღის განმავლობაში. ასეთი რძე თერმული დამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები:

ინახება ბნელ, მშრალ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

პრინაპილინი - LA 300 (Primavilin - LA 300)

Oxytetracycline Dihydrate

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის დიჰიდრატს 300 მგ.

გამოშვების ფორმა: 100 მლ გაუმჭირვალე მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ოქსიტეტრაციკლინი ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია გრამდებითი და გრამუარყოფითი მიკრობების, რიკეციების და ზოგიერთი მსხვილი ვირუსების მიმართ.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება რესპირატორული და საშარდე სისტემის ინფექციების, ვირუსული დაავადებების შემდგომი მეორადი ბაქტერიული ინფექციების სამკურნალოდ, როგორცაა თურქული, პასტერელოზი, სახსრებისა და ჭიპლარის ინფექციები, ჩლიქების ინფექციები და ტრანსპორტირების სტრესი.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრებისა და თხებისთვის რეკომენდებულია შემდეგი დოზები:

პრაქტიკული დოზა: პრეპარატის 3-4 დღიანი ეფექტური მოქმედებისთვის - 1 მლ/15 კგ ც.წ-ზე, ხოლო 4-6 დღიანი მოქმედებისათვის - 1,5 მლ/15 კგ ც.წ-ზე.

შენიშვნა!

ინექცია ერთ ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს მსხვილფეხა პირუტყვისთვის 15 მლ, ხოლო ცხვრებისთვის 5 მლ-ს.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი გადაიტანება კარგად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს მადის დაქვეითება, კანის ალერგიული რეაქციები.

უკუჩვენებები:

ცხოველების ინდივიდუალური მგრძობელობა ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებისადმი. არასასურველია დაენიშნოს მკვე ცხოველებს.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 22 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად თერმული დამუშავების შემდეგ ან ხორცისა და ძვლის ფქვილის საწარმოებლად.

აკრძალულია საკვებად გამოყენებულ იქნას რძე მკურნალობის პერიოდში, პრეპარატის ბოლო შეყვანიდან 7 დღის განმავლობაში. ასეთი რძე თერმული დამუშავების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები:

ინახება ბნელ, მშრალ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

პრიმაფული (Primafule)

Oxytetracycline Dihydrate, Flunixin meglumine

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის დიჰიდრატს 300 მგ; ფლუნიქსინ მეგლუმინს 20 მგ, შემავსებელი.

გამოშვების ფორმა: 50 მლ და 100 მლ ფლაკონში და მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრიმაფულის საინექციო ხსნარი ფართო სპექტრის გახანგრძლივებული მოქმედების პრეპარატია, ეფექტურია ოქსიტეტრაციკლინის მიმართ მგრძობიარე მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიებისადმი. ოქსიტეტრაციკლინი უზრუნველყოფს ბაქტერიოსტატიკურ ეფექტს, აფერხებს მიკროორგანიზმების ცილის სინთეზს.

ის ეფექტურია გრამდადებითი აერობების (*Bacillus spp.*, *Corynebacterium spp.*, *Erysipelothrix rhusiopathiae*, *Listeria monocytogenes* და *Streptococcus sp.*), გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Actinobacillus spp.*, *Bordetella spp.*, *Francisella tularensis*, *Haemophilus sp.*, *Pasteurella multocida*, *Yersinia sp.*, *Campylobacter fetus*, *Borrelia sp.* და *Leptospira sp.*), ანაერობების (*Actinomyces spp.*, *Fusobacterium spp.*) და *Micoplazma sp.*, *Chlamidia sp.*, *Ehrlichia sp.*, *Coxiella burnetii*, *Anaplasma* წინააღმდეგ.

ინექციის ადგილიდან პრეპარატი ნელა შენოვება. სისხლში ეფექტურ კონცენტრაციას მიღებიდან 4-6 საათში აღწევს, მიწოდება სხეულის ყველა ნაწილს, განსაკუთრებით კი ღვიძლს, თირკმლებსა და ფილტვებს. სისხლში ეფექტური კონცენტრაცია 3-4 დღის განმავლობაში შენარჩუნებულია კუნთში 20 მგ/კგ ც.წ-ზე ინექციის შემთხვევაში, ხოლო 5-6 დღე 30 მგ/კგ ც.წ-ზე ინექციით. სხეულიდან გამოიყოფა შარდთან და ფეკალთან ერთად.

ფლუნიქსინი არის არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიენდოტოქსიკური, სიცხის დამნევი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. მოქმედებს ფერმენტების პროსტაგლანდინის სინთეზის შეკავებით.

გამოყენების ჩვენებები:

პრიმაფულის საინექციო ხსნარი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების, თხების და ხბოების სისტემური და ადგილობრივი ინფექციების, რესპირატორული და საშარდე სისტემის ინფექციების სამკურნალოდ, რომელიც გამოწვეულია მგრძობიარე ბაქტერიებით და მეორადი ბაქტერიული ინფექციებით, გამოწვეული *Pasteurella haemolytica*-ს მიერ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეჰყავთ ღრმად კუნთში, შემდეგი დოზით:

პრაქტიკული დოზა: მსხვილფეხა პირუტყვი - 1 მლ 10 კგ ც.წ-ზე.

ცხვარი, თხა და ხბო - 1,5 - 2,5 მლ 50 კგ ც.წ-ზე.

ანთების საწინააღმდეგო ეფექტი შენარჩუნებულია 24-36 საათი, ხოლო ანტიბაქტერიული ეფექტი 5-6 დღე.

ინექცია ერთ ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს 15 მლ-ს.

გვერდითი მოვლენები:

მაკეობის პერიოდში პრეპარატის ხანგრძლივად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის ძვლებისა და კბილების ფერის შეცვლა. იგივე ეფექტი აღინიშნება მოზარდებშიც. მაკე ცხოველები და ცხოველებს, რომელთაც ღვიძლის უკმარისობა აქვთ, დიდი დოზის დიდი ხნით გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს ჰეპატოდეგენერაცია. ტეტრაციკლინმა შეიძლება გამოიწვიოს ფოტოსენსიბილიზაცია, ალერგიული რეაქცია და გარდამავალი ადგილობრივი რეაქცია ინექციის ადგილზე. პრეპარატის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს შარდის გამუქება მსხვილფეხა პირუტყვში დროებითი ჰემოგლობინურიის გამო. ტეტრაციკლინის ვენაში სწრაფმა ინექციებამ შეიძლება გამოიწვიოს გულსისხლძარღვთა კოლაფსი ყველა სახის ცხოველში. იშვიათად, მაგრამ, შეიძლება აღინიშნოს გაღიზიანება ინექციის ადგილზე.

უკუჩვენებები:

არ შეიძლება ინტრავენური ინექცია.

არ შეიძლება მისი გამოყენება ცხოველებში, რომლებიც მგრძნობიარენი არიან ტეტრაციკლინის მიმართ, აგრეთვე იმ ცხოველებში, რომელთაც აღენიშნებათ თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა.

არ შეიძლება პრეპარატის გამოყენება 6 კვირაზე ნაკლები ასაკის ცხოველებისთვის, პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან იზღუდება ხორცის გამოყენება 35 დღე და რძე 12 დღე (24 მონველა).

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილზე 15-25°C ტემპერატურაზე.

პრეპარატი ინარჩუნებს ეფექტურობას პირველი გამოყენებიდან 28 დღის განმავლობაში, თუ შენახულია შეფუთვაზე მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი

Oxytetracycline Hydrochloride

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს 1000 მგ.

გამოშვების ფორმა: 250 გ პოლიეთილენის პაკეტში და 0,5 გ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური მოქმედება:

ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკი მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების (*Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Pasteurella spp.*, *Escherichia coli*, *Salmonella spp.*), ასევე ზოგიერთი სახეობის

მიკოპლაზმების, ქლამიდებისა და სპიროქეტების მიმართ.

არ არის აქტიური პროტეუსის, ლურჯი დაჩირქების ჩხირის, მრავალი სოკოებისა და ვირუსების მიმართ. რეკომენდებულ დოზებში პრეპარატი ნაკლებად ტოქსიკურია თბილისხლიანი ცხოველებისთვის, არ ავლენს ადგილობრივ გამაღიზიანებელ და მასენსიბილიზირებელ მოქმედებას.

სისხლში ანტიბიოტიკის თერაპიული კონცენტრაცია ნარჩუნდება 24 ან 48 საათის განმავლობაში. ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდთან ერთად.

ფარმაკოკინეტიკა:

ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი კარგად შეიწოვება პერორალური მიღებისას კუჭნაწლავიდან და სწრაფად აღწევს ყველა ორგანოსა და ქსოვილში. ანტიბიოტიკის თერაპიული კონცენტრაცია, მისი ერთჯერადი მიღების შემდეგ ორგანიზმში შენარჩუნებულია 12 საათის განმავლობაში. ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდთან და ფეკალთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის, ღორების და ფრინველების, რესპირატორული და კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ასევე შარდ-სასქესო გზების ინფექციების სამკურნალოდ.

მსხვილფეხა პირუტყვი - ინფექციები ვირუსული პნევმონიის, კოლიბაქტერიოზის, მალარიის დროს;

ცხვარი და თხა - ბაქტერიული ენტერიტის, სასუნთქი გზების ინფექციის დროს;

ღორი - ატროფიული რინიტის, პლევროპნევმონიის, ბაქტერიული ენტერიტის დროს;

ფრინველი (ქათამი) - კოლი-ინფექციის, ქოლერის, სტრეპტოკოკოზის და სტაფილოკოკოზის, ფსევდოტუბერკულოზის, მიკოპლაზმისა და ვირუსული დაავადებების დროს.

ცხენებში პრეპარატის გამოყენება რეკომენდებული არ არის.

გამოყენების წესი და დოზები:

მიღებამდე პრეპარატს ხსნიან წყალში ან ურევენ საკვებში და აძლევენ ერთ სულზე შემდეგი დოზებით:

მსხვილფეხა პირუტყვი - 10-25 გ;

ღორი, თხა და ცხვარი - 2-5 გ;

ფრინველი - 0,5 გ;

დღეში 2-3 ჯერ, 3-6 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

შესაძლებელია ალერგიული რეაქციები.

უკუჩვენებები:

ოქსიტეტრაციკლინის მიმართ ცხოველთა ინდივიდუალური გაზრდილი მგრძობელობა, თირკმელების უკმარისობა, მაკუობის მეორე ნახევარი. ქათმებში შეზღუდვა აქვს კვერცხისდების პერიოდში.

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატის მიღების შემდეგ ალერგიული რეაქციის ან ანაფილაქსური შოკის წარმოქმნის შემთხვევაში საჭიროა გამოყენებულ იქნას ადრენალინი, გლიკოკორტიკოიდები და ანტიჰისტამინური პრეპარატები არ არის რეკომენდებული მარილების შემცველ პრეპარატებთან.

დაყოვნების პერიოდი:

ნამკურნალები ცხოველებიდან მიღებული რძე პრეპარატის ბოლო მიღებიდან 7 დღის განმავლობაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საკვებად. ცხოველთა სახორცედ დაკვლავნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 21 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 15-30°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 4 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

პოლოდოქსინი (Polodoxin)

Doxycycline

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: დოქსიციკლინის (გიკლატი) 100 მგ, შემავსებელი.

გამოშვების ფორმა: 1 მლ მინის ამპულაში, 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

დოქსიციკლინი წარმოადგენს ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატს. დოქსიციკლინის ბაქტერიციდული მოქმედება აფერხებს მიკრობული უჯრედის ცილის სინთეზს.

იგი წარმოადგენს ფართო სპექტრის ანტიბაქტერიული მოქმედების საშუალებას. აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ: *Pasteurella spp.*, *Escherichia coli*, *Salmonella spp.* გრამდადებითი როგორცაა: *Staphylococcus aureus*, *Streptococcus spp.*; აერობული ბაქტერიების: *Clostridium spp.*, მიკოპლაზმოსის, ქლამიდიების და სხვა გაცილებით მარტივი ბაქტერიების მიმართ.

დოქსიციკლინი კარგად გაიწვევა ფრინველის კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, მაქსიმალურ კონცენტრაციას სისხლში აღწევს 2-4 საათის შემდეგ, დოქსიციკლინის ცნობილადობა უზრუნველყოფს ფართოდ გავრცელებას ყველა ორგანოებსა და ქსოვილებში, თირკმლის არხების მეშვეობით კარგად განიცდის რეაბსორბციას.

კონცენტრაცია სისხლში ნარჩუნდება 18-24 საათს, გამოყოფა ხდება ძირითადად ფეკალურ მასებთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

ფრინველი - მიკოპლაზმოზი, კოლიბაქტერიოზი, ქრონიკული რესპირატორული დაავადე-

ბები, დოქსიციკლინისადმი მგრძობიარე მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციები.

ლორი - სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ. ღორების რესპირატორული დაავადებების აღმძვრელები: *Pasteurella multocida*, *Bordetella bronchiseptica* და *Mycoplasma hyopneumoniae*. *Mycoplasma hyopneumoniae* (ატროფიული რინიტი) და *Pasteurella multocida* ენზოოტიური პნევმონია.

მსხვილფეხა პირუტყვი - ბრონქოპნევმონია, პასტერელოზი, ვირუსული დაავადებების შემდგომი მეორადი ინფექციები.

ცხვარი - პნევმონია, პასტერელოზი, ქლამიდიოზური აბორტები.

გამოყენების წესი და დოზები:

მიიღება პერორალურად, სასმელ წყალში გახსნილი.

ფრინველი: 0,5 - 1 მლ პოლოდოქსინი იხსნება 1 ლ სასმელ წყალში, მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

ლორი, მსხვილფეხა პირუტყვი და ცხვარი: 1 მლ პრეპარატი 10 კგ ც.წ.-ზე სასმელ წყალთან ერთად 5 დღის განმავლობაში.

უკუჩვენებები:

არ შეიძლება პრეპარატის მიცემა ტეტრაციკლინის მიმართ მგრძობიარე ცხოველებისთვის. არ გამოიყენება თირკმლის უკმარისობის, მაკეობისა და ლაქტაციის დროს, არ გამოიყენება კვერცხისმდებელ ქათმებში.

გვერდითი მოვლენები:

პოლოდოქსინის გამოყენებისას ცხოველი უნდა მთავრად პირდაპირ მზის სხივებს, რადგან ანტიბიოტიკმა შეიძლება გაზარდოს კანის ფოტომგრძობელობა. მკურნალობის გაგრძელების შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ნაწლავების ალტერაცია.

დაყოვნების პერიოდი:

ფრინველის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის ბოლო მიცემიდან 5 დღის შემდეგ, ღორის ხორცი - 10 დღის შემდეგ. რძე - 4 დღე. პრეპარატი არ ეძლევა კვერცხისმდებელ ფრინველს. კვერცხი საკვებად არ გამოიყენება.

შენახვის პირობები:

ინახება, მშრალ, გრილ სინათლისაგან დაცულ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

1.4. მაკროლიდების ჯგუფის ანტიბიოტიკები

ტილოტამსი (Tyloteks)

Tylozin Tartrate

ნამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ტილოზინს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერება: პოლივინილპიროლიდონი, საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 5 მლ, 10 მლ, 20 მლ, 50 მლ და 100 მლ ნარინჯისფერ მინის ფლაკონში.
ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ანტი-ბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ტილოტექსი მაკროლიდების ჯგუფის ფართო სპექტრის ბაქტერიისტატიკური მოქმედების ანტიბიოტიკია. იგი აქტიურია გრამდადებითი და ზოგიერთი გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ: *Escherichia coli*, *Bacillus anthracis*, *Pasteurella spp.*, *Haemophilus spp.*, *Leptospira spp.*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Erysipelothrix spp.*, *Corynebacterium spp.*, *Mycoplasma spp.*, *Chlamydia spp.*, *Treponema spp.* (*Brachispira*), ასევე მოქმედებს პსიტაკოზის ჯგუფის მსხვილ ბაზოფილურ ვირუსებზე.

პრეპარატის აქტიური მოქმედება ეფუძვნება აქტიური ნივთიერების რიბოსომებთან შეერთების გზით პროტეინების ბაქტერიალური სინთეზის დათრგუნვას. ამასთანავე ხდება პეპტიდილტრანსფერაზასთან ინტერფერენცია, რაც აბრკოლებს პეპტიდური ჯაჭვის ფორმირებას.

პრეპარატი ამორჩევივითად მოქმედებს პათოგენურ მიკოპლაზმებზე.

ტილოზინის ტარტრატი ხელს უწყობს სასუნთქი გზების მიკოპლაზმოზის თავიდან აცილებას, ფრინველის მასის გაზრდას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

პრეპარატი შეთავსებადია სულფანილამიდებთან, ნიტროფურანებთან, ერთთრომიცინთან, სპექტომიცინთან.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი – სასუნთქი გზების დაავადებები, დიფტერია, მასტიტი, მეტრიტი, ვირუსული დაავადებების შემდგომი მეორადი დაავადებები;

ცხვარი – ინფექციური აგალაქტია, თხის - პნევმონია;

ლორი – ენდემური პნევმონია, მიკოპლაზმური ართრიტი, ლორის წითელი ქარი, დიზენტერია, გასტროენტერიტი, ბაქტეროილოგიური ეტიოლოგიის დაავადებები.

ძაღლი, კატა – კუჭნაწლავის ტრაქტის, სასუნთქი და შარდსასაქესო სისტემების ბაქტერიული ეტიოლოგიის დაავადებები.

ფრინველი – რესპირატორული მიკოპლაზმოზი და ინდაურის ინფექციური სინუსიტი, წინილებისა და ინდაურების ქრონიკული რესპირატორული ინფექციები, ქათმებისა და ინდაურების საბროქეტოზი, ნეკროზული ენტერიტი და ქათმების გადაამდები სურდო.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეჰყავთ კუნთში, დღე-ღამეში ერთჯერ, მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

მსხვილფეხა პირუტყვი, თხა, ცხვარი: 1 მლ/10-20 კგ ც.წ-ზე;

ლორი: 1 მლ/10-50 კგ ც.წ-ზე;

ძაღლი, კატა: 1 მლ/10-20 კგ ც.წ-ზე;

ფრინველი: 0,1 მლ/კგ ც.წ-ზე.

პრეპარატი შეჰყავთ კუნთში დღე-ღამეში ერთჯერ, მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

შ ე ნ შ ე ნ ა! ხსნარის რაოდენობა ინექციის ერთ ადგილას არ უნდა აღემატებოდეს ღორისთვის - 5 მლ-ს, მსხვილფეხა პირუტყვისთვის - 10 მლ.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზებით პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ გამოვლენილა. დოზების გადაჭარბების შემთხვევაში პრეპარატი ითვლება ნაკლებად საშიშ პრეპარატად.

უკუჩვენება:

არ გამოიყენება ცხენების სამკურნალოდ. არ შეიძლება პენიცილინის, ცეფალოსპორინის და ლინკომიცინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან ერთდროულად გაკეთება.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით შეიძლება პრეპარატის ბოლო მიცემიდან 8 დღის შემდეგ. რძე – გამოიყენება მკურნალობის დამთავრებიდან 4 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ სინათლისაგან დაცულ ადგილას 20°C-მდე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ტილოტამსი (Tyloteks)

Tylozin Tartrate

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ შეიცავს: ტილოზინის-ტარტრატს 1000 მგ.

გამოშვების ფორმა: 0.5 გ, 25 გ პოლიეთილენის ფლაკონში და 250 გ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ტილოტექსი მაკროლიდების ჯგუფის ფართო სპექტრის ბაქტერიოსტატიკური მოქმედების ანტიბიოტიკია, იგი აქტიურია გრამდადებითი და ზოგიერთ გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ, როგორცაა: კოკი, კორინებაქტერია, კლოსტრიდია, პასტერელა, შემოფილუსი, ლეპტოსპირები, ნეისერია, ბრუცელა, რიკეტცია, სპიროქეტა, ვიბრიონი, ერინიპელოტრიქსი. ასევე მოქმედებს პსიტაკოზის ჯგუფის მსხვილ ბაზოფილურ ვირუსებზე.

პრეპარატის ანტიმიკრობული მოქმედება ეფუძნება აქტიური ნივთიერების რიბოსომებთან შეერთების გზით პროტეინების ბაქტერიალური სინთეზის დათრგუნვას. ამასთანავე

ხდება პეპტიდილტრანსფერაზასთან ინტერფერენცია, რაც აბრკოლებს პეპტიდური ჯაჭვების ფორმირებას.

პრეპარატი ამორჩევივითად მოქმედებს პათოგენურ მიკოპლაზმებზე. ტილოზინის ტარტრატი ხელს უწყობს სასუნთქი გზების მიკოპლაზმოზის თავიდან აცილებას, ფრინველის მასის გაზრდას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

პრეპარატი შეთავსებადია სულფანილამიდებთან, ნიტროფურანებთან, ერთრომიცინთან, სპექტომიცინთან.

ფარმაკოკინეტიკა:

ტილოზინ ტარტრატი კარგად ადსორბირდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ძირითადად ნაწლავიდან. ტილოზინის ელიმინაცია ხდება შარდით და ნაღველით. ფრინველში - კვერცხიდან.

გამოყენების ჩვენებები:

ტილოზინის ტარტრატის ფხვნილი გამოიყენება:

ფრინველი - რესპირატორული მიკოპლაზმოზის და ინდაურის ინფექციური სინუსიტის, წინილუმბის და ინდაურების ქრონიკული რესპირატორული ინფექციების, ქათმების და ინდაურების სპიროქეტოზის, ნეკროზული ენტერიტის და ქათმების გადამდები სურდოს პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გოჭი - დიზენტერიის, ბაქტერიული ეთიოლოგიის გასტროენტეროკოლიტის, ასევე ბრონქოპნევმონიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

ხბო, ბატკანი, თიკანი - ტილოზინისადმი მგრძობიარე მიკრობებით გამოწვეული დიზენტერიის, გასტროენტეროკოლიტის, ბრონქოპნევმონიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევა პირუტყვს და ფრინველს უნიშნავენ პერორალურად სასმელ წყალთან ერთად. პროფილაქტიკისა და მკურნალობის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ ანტიბიოტიკიანი წყალი.

პრეპარატს წინასწარ ხსნიან მცირე რაოდენობის წყალში და ეს წყალი ემატება პრეპარატს და არა პირიქით. მომზადებულ ხსნარს ხსნიან წყალში საჭირო კონცენტრაციის მიღებამდე.

რესპირატორული მიკოპლაზმისა და ინფექციური სინუსიტის პროფილაქტიკისათვის პრეპარატს უნიშნავენ შემდეგი კონცენტრაციით:

1 გ ტილოზინის ტარტრატი 2 ლ სასმელ წყალში 3-5 დღის განმავლობაში ასეთი მიმდევრობით:

სანაშენე ფრინველი - გამოჩევიდან პირველ 72 საათის განმავლობაში სასმელ წყალში უმატებენ ტილოზინის ტარტრატის 35 გ ყოველ 1000 წინილაზე. 0,5 გ (ნახევარი ჩაის კოვზი) 1 ლ სასმელ წყალზე. პროფილაქტიკას ატარებენ 1-3 დღის განმავლობაში.

ერთი თვის ასაკში განმეორებით აძლევენ იგივე დოზას 1-3 დღის განმავლობაში.

9-12 კვირის ასაკში პროფილაქტიკის მიზნით ატარებენ მე-3 დამუშავებას, რისთვისაც პრეპარატს 0,5 გ ხსნიან 1 ლ სასმელ წყალში. პროფილაქტიკას ატარებენ 1-3 დღე. ასეთივე შეფარდებით ატარებენ პროფილაქტიკას 18-20 კვირის ასაკში.

მეკვერცხული ჯიშის სამრეწველო ფრინველი - პროფილაქტიკის მიზნით ამუშავებენ

გამორჩევიდან 72 საათის განმავლობაში, შემდეგ 4 კვირის ასაკში და მესამე დამუშავებას 84-85 დღის ასაკში.

ბროილერი - პროფილაქტიკის მიზნით პირველ დამუშავება ტარდება გამორჩევიდან 72 საათის განმავლობაში, განმეორებით ამუშავებენ 28-29 დღის ასაკში.

ქათმების რესპირატორული მიკოპლაზმოზით, ქრონიკული რესპირატორული ინფექციით, სპიროქეტოზით, ნეკროზული ენტერიტით ან ინფექციური სურდოთი დაავადების შემთხვევაში მკურნალობას ატარებენ 3-5 დღის განმავლობაში. 0,5 გ პრეპარატი 1 ლ სასმელ წყალზე.

ინდაური - პირველი 5 დღის განმავლობაში ეძლევა 12,5 გ ტილოზინის ტარტრატი, 0,5 გ (ნახევარი ჩაის კოვზი) 1 ლ სასმელ წყალში განზავებით, 1-3 დღის განმავლობაში. ერთი თვის ასაკში განმეორებით დამუშავებას ატარებენ შემდეგი გაანგარიშებით: 7,5 გ ყოველ 100 ინდაურზე, პროპოციით 0,5 გ/ლ სასმელ წყალზე. ასეთი პროფილაქტიკა საკმარისია 16 კვირის ასაკში. ინდაურების რესპირატორული მიკოპლაზმოზით, ქრონიკული რესპირატორული ინფექციით, სპიროქეტოზით, ნეკროზული ენტერიტით ან გადამდები სურდოთი დაავადების შემთხვევაში პრეპარატს აძლევენ შემდეგი გაანგარიშებით: პრეპარატის 0,5 გ/ლ სასმელ წყალზე არაუმეტეს 5 დღე.

გოჭი - დიზენტერიის და გასტროენტერიტიების სამკურნალოდ ტილოზინის ტარტრატს უნიშნავენ შემდეგი კონცენტრაციით: 0,25 გ (1/4 ჩაის კოვზი) ანტიბიოტიკი 1 ლ სასმელ წყალზე 3-10 დღის განმავლობაში (2-12 მგ/კგ-ზე გაანგარიშებით), დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით.

ხბო, ბატკანი, თიკანი - გასტროენტეროკოლიტის, დისპეფსიის და ბრონქოპნევმონიის მკურნალობისათვის პრეპარატს ხსნიან შემდეგი შეფარდებით: 1 გ ანტიბიოტიკი 1 ლ სასმელ წყალში გახსნილი (6-15 მგ/კგ-ზე გაანგარიშებით) 3-8 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზებით პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ გამოვლენილა. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ერთთრემა.

დოზის გადაჭარბების შემთხვევაში ტილოზინი ითვლება ნაკლებად საშიშ პრეპარატად.

უკუჩვენებები:

არ არის მიზანშეწონილი პრეპარატის გამოყენება ცხენებში, რადგან მათ შეიძლება განვითარდეს ძლიერი დიარეა. პრეპარატი არ ეძლევა კვერცხისმდებელ ქათმებს, რომელთა კვერცხი გამოიყენება საკვებად.

დაყოვნების პერიოდი:

ფრინველის და ღორის ხორცი გამოიყენება პრეპარატის შეწყვეტიდან 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება ბნელ, მშრალ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ტილოზინა 200 (Tilozina 200)

Ganadexil

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ტილოზინს 200 მგ; შემავსებელი ქ.ს. 1 მლ.

გამოშვების ფორმა: 50 მლ; 100 მლ და 250 მლ კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ტილოზინი არის ანტიმიკრობული საშუალება, მაკროლიდების ნარევი, რომელიც წარმოებულია *Streptomyces fradiae* შტამების ზრდის შედეგად. ძირითად შემადგენლობაში შემავალი ტილოზინა, არ უნდა იყოს 80%-ზე ნაკლები, ასევე ტილოზინი ბ (დესმიკოსინი), ტილოზინი გ (მაკროცინი) და ტილოზინი დ (რელომიცინი), შედის ამ პრეპარატის შემადგენლობაში. შესაბამისად წარმოდგენილი ოთხი ფაქტორი ჯამში შეადგენს სულ მცირე 95%-ს. ქიმიურად ტილოზინი წარმოადგენს მაკროციკლური ლაკტონის რგოლს.

ანტიბიოტიკი ტილოზინი რეკომენდებული დოზებით ხასიათდება ბაქტერიოსტატიკური, ხოლო მაღალი დოზების გამოყენებისას ბაქტერიციდული მოქმედებით. ტილოზინი მოქმედებს ბაქტერიებზე პასიური დიფუზიით და აბრკოლებს ბაქტერიული პროტეინის სინთეზით 50S რიბოსომული ქვეერთეულთან შეერთებას. ის არის ეფექტური შემდეგი ბაქტერიების წინააღმდეგ:

- *Mycoplasma spp.*;
- *Spirochaetes: Treponema hyodysenteriae, Leptospira spp.*;
- *Chlamydia spp.*;
- გრამდადებითი ბაქტერიები: *Staphylococcus spp., Streptococcus spp., Erysipelothrix rhusiopathiae, Corynebacterium pyogenes, Clostridium spp.*;
- გრამუარყოფითი ბაქტერიები: *Fusobacterium necrophorum, Pasteurella spp., Bordetella bronchiseptica.*

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი (ფურები მშრალობის პერიოდში): ხარის რესპირატორული კომპლექსი, ზოგადად დაკავშირებულია *Pasteurella multocida* და *Corynebacterium pyogenes*, პნევმონია, ბრონქიტი, დიფტერია და მეტრიტი.

ლორი: ართრიტი, პნევმონია, ვიბრიონული დიზენტერია.

დოზირება:

პრეპარატი გამოიყენება კუნთში შესაყვანად.

მსხვილფეხა პირუტყვი: 0,5-0,9 მლ/10 კგ ც.წ-ზე (რაც ექვივალენტურია, ტილოზინის ფუძე 10-18 მგ/კგ ც.წ-ზე) 24 საათში ერთჯერ 3-5 დღის განმავლობაში.

ლორი: 0,45-0,5 მლ/10 კგ ც.წ-ზე (რაც ექვივალენტურია, ტილოზინის ფუძე 9-10 მგ/კგ

ც.ნ-ზე) 12 საათში ერთჯერ 3 დღის განმავლობაში.

უკუჩვენებები:

არ უნდა გამოიყენოთ 3 კგ-ზე ნაკლები წონის მქონე გოჭებისთვის.

გვერდითი მოვლენები:

კანქვეშ შეყვანით ინექციის ადგილას შესაძლოა მტკინვეული გაღიზიანების და ადგილობრივი შეშუპების განვითარება. კუნთში ინექციის შემდეგ შეიძლება წარმოიქმნას ადგილობრივი რეაქცია ნეკროზით, სისხლდენით და ახალ წარმოქმნილი კონიუქტივებით, მსგავსი დაზიანებები გამოვლინდება პრეპარატის შეყვანიდან 6 დღის შემდეგ.

რამოდენიმე შემთხვევაში, გოჭებთან დაფიქსირდა სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის და ვულვას შეშუპება, რექტალური პროლაპსი, დიარეა, ერითემა და მთიანად კანის ქავილი. დოზის გადაჭარბების შემთხვევაში, დიდი ცხოველების კანზე და სეროზულ გარსზე შეიძლება გამოჩნდეს გაღიზიანება.

ხარებში აღინიშნება გახშირებული პულსი და რესპირატორული მოქმედება.

ურთიერთმოქმედება:

არ შეიყვანოთ ბაქტერიციდული მოქმედების ანტიბიოტიკებთან ერთად.

ქარბი დოზირება:

ტილოზინს აქვს ფართო უსაფრთხოების დიაპაზონი ნებისმიერი სახის მიკროორგანიზმებთან მიმართებაში.

დაყოვნების დრო:

ხორცი: 21 დღე.

ლაქტაციის პერიოდში რძის გამოყენება ადამიანის საკვებად არ არის მიზანშეწონილი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან და სიცხისგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

1.5. პოლიპეპტიდური ანტიბიოტიკები

ანტიკოლი (Antikol)

Colistin Sulphate

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: კოლისტინის სულფატს 0.058 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ლაქტოზა.

გამოშვების ფორმა: 250 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალება, ანტი-ბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

კოლისტინის სულფატი ციკლოპექტიდური ანტიბიოტიკია, რომელიც წარმოებულია პოლიმიქსინ E-გან და ეკუთვნის პოლიმიქსინის თერაპიულ ჯგუფს. კოლისტინის სულფატი ბაქტერიციდულად მოქმედებს გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ, რომელთაც საფუძვლად უდევს ბაქტერიული უჯრედის გარეგანი მემბრანის და ციტოპლაზმატური სტრუქტურის ფუნქციის მოშლა. მათ მიმართ მგრძობიარეა *Escherichia coli* და ენტერობაქტერიის ცალკეული სახეობები: *Klebsiella spp.*, *Salmonella spp.*, *Shigella spp.*, *Pseudomonas aeruginosa* u *Haemophilus influenzae*. მდგრადობა კოლისტინის სულფატის მიმართ არ დაფიქსირებულია. პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების, თხების, ღორების და შინაური ფრინველის მიმართ მგრძობიარე ბაქტერიებით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება გასტრო-ინტესტინალური ტრაქტის ინფექციებისას, რომლებიც გამოწვეულია კოლისტინის სულფატის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით, *Escherichia coli*, *Klebsiella spp.*, *Salmonella spp.*, *Shigella spp.*, *Pseudomonas aeruginosa* და *Haemophilus influenzae*) ყველა სახის შინაურ ცხოველებსა და ფრინველში - ხბო, თხა, ცხვარი, ღორი, ფრინველი. აგრეთვე გამოიყენება კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის და ბაქტერიული დიარეის სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარტი ეძლევა პერორალურად, ერთჯერადად, საკვებთან ან სასმელ წყალთან ერთად. ხბო, თხა, ცხვარი - 5 გ/100 კგ ც.წ-ზე 5-7 დღის განმავლობაში.

ფრინველი - 0,7 კგ/1000 ლ წყალში განზავებით ან 1 კგ/1500 ლ სასმელ წყალში ან 750 კგ საკვებში შერევით, 3-5 დღის განმავლობაში.

ღორი - 1 კგ/1000 ლ სასმელ წყალში ან 500 კგ საკვებში 5-7 დღის განმავლობაში.

მკურნალობის კურსი 7 დღე.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღენიშნება. კოლისტინის სულფატის მიმართ მაღალმგრძობელობის გამო შეიძლება გამოვლინდეს თირკმლის ფუნქციის დარღვევა, ნეიროტოქსიკურობა და ნეირომუსკულარული ბლოკადა.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენება სხვა ანტიბაქტერიულ პრეპარატებთან კომბინაციაში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიცემიდან 3 დღის შემდეგ. კვერცხი საკვებად გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

1.6. ფტორქინოლების ჯგუფის ანტიბიოტიკები

ენროფლოქსინი 10% (Enroflox 10%)

Enrofloxacin

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ენროფლოქსაცინს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: კალიუმის ჰიდროქსიდი, ბენზილის სპირიტი, საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 1 მლ მინის ამპულაში, 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ფტორქინოლების ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფტორქინოლიდები ჯგუფის ანტიბაქტერიული პრეპარატი მოქმედების ფართო სპექტრით.

აქტიურია გრამდამდებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, მათ შორის *Escherichia coli*, *Haemophilus spp.*, *Klebsiella spp.*, *Pasteurella spp.*, *Pseudomonas spp.*, *Bordetella spp.*, *Campylobacter spp.*, *Erysipelothrix spp.*, *Corynebacterium spp.*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Actinobacillus spp.*, *Clostridium spp.*, *Bacteroides spp.*, *Chlamydia spp.*, *Rickettsia spp.*, *Mycoplasma spp.*

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი განპირობებულია დნმ-ის გირაზას ფერმენტის დამუხრუჭებით, რომელიც ბაქტერიული უჯრედის ბირთვში დნმ-ს რეპლიკაციის კატალიზატორად გვევლინება.

გამოყენების ჩვენებები:

შინაური ფრინველის (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი) და ღორის კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის, სტრეპტოკოკოზის, მიკოპლაზმოზის, *Enteritis nekrotica* (ცალკეული და შერეული ინფექციები), ინდაურების *Pseudomonas aeruginosa*, *Staphylococcus*, *Coriza*, *Pasteurella*, *Erysipelothrix*-ით გამოწვეული ინფექციების სამკურნალოდ, ასევე შერეული ინფექციური დაავადებების და ვირუსული დაავადებების დროს გვერდითი ინფექციების სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი მიიღება პერორალურად 0,10 მლ/კგ ც.წ-ზე ან 0,5 ლ/1000 ლ სასმელ წყალთან განზავებული 3 დღის განმავლობაში, სალმონელოზის დროს - 5 დღის განმავლობაში.

ხსნარს ამზადებენ დღე-ღამური წყლის მოთხოვნილების გათვალისწინებით, მიიღება მხოლოდ პრეპარატის შემცველი წყალი.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით გამოყენების შემთხვევაში გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

არ დაიშვება პრეპარატის მიღება კვერცხმდებელ დედლებში;

ქინოლონის მიმართ მომატებული მგრძობელობა.

განსაკუთრებული მითითებები:

არ არის რეკომენდებული პრეპარატის ქლორამფენიკოლთან, მაკროლიდებთან ან ტეტრაციკლინთან ერთდროული მიღება ანტაგონისტური ეფექტის გამოვლინების გამო.

პრეპარატთან მუშაობის დროს დაცული უნდა იქნას ჰიგიენისა და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობისას უსაფრთხოების ტექნიკით გათვალისწინებული წესები. აკრძალულია პრეპარატის ცარიელი ყუთების გამოყენება საკვები პროდუქტებისათვის.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა შესაძლებელია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 11 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად ან ხორცისა და ძვლის ფქვილის წარმოებაში.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, მზისაგან დაცულ ადგილას 5-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

დამფასოებელი: ბიოტექსი, საქართველო.

ენროფლოქსი 5% (Enroflox 5%)

Enrofloxacin

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ენროფლოქსაცინს 50 მგ, შემავსებელი.

გამოშვების ფორმა: 50 მლ, 100 მლ და 250 მლ მუქი ფერის შუშის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალება, ფტორქინოლების ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფტორქინოლონების ჯგუფის ანტიბაქტერიული პრეპარატი მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, მათ შორის *Escherichia coli*, *Haemophilus spp.*, *Klebsiella spp.*, *Pasteurella spp.*, *Pseudomonas spp.*, *Bordetella spp.*, *Campylobacter spp.*, *Erysipelotrix spp.*, *Corynebacterium spp.*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*, *Actinobacillus spp.*, *Bacteroides spp.*, *Clostridium spp.*, *Mycoplasma spp.*, *Chlamydia spp.*, *Rickettsia spp.* პრეპარატის მოქმედების მექანიზმი განპირობებულია დნმ-ს გირაზას ფერმენტის დამუხრუჭებით, რომელიც ბაქტერიული უჯრედის ბირთვში ძირითადად დნმ-ის რეპლიკაციის კატალიზატორად გვევლინება. ენროფლოქსაცინი შეყვანის ადგილიდან კარგად შეიწოვება და აღწევს ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილში. პრეპარატის მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლში მიიღწევა 0,5-1 სთ-ში და შენარჩუნებულია 6 სთ, თერაპიული კონცენტრაცია გრძელდება 24 სთ-ის განმავლობაში.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვის და ღორის ბრონქოპნევმონის, ენზოოტიური პნევმონის, კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ, რომელიც გამოწვეულია მიკროორგანიზმებით მგრძობიარე ფტორქინოლონების მიმართ.

ძალღებისა და კატების რესპირატორული და შარდსასქესო სისტემის, საჭმლის მომწელებელი ტრაქტის ინფექციური დაავადებების დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ხბო: პრეპარატი შეჰყავთ კანქვეშ, დოზით 0,5-1 მლ/10 კგ ც.წ-ზე 3 დღის განმავლობაში. სალმონელოზის და სხვა მძიმე ინფექციების დროს მკურნალობა გრძელდება 5 დღე.

ღორი: კუნთში, 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე, მკურნალობის კურსი 3 დღე. სალმონელოზის და სხვა მძიმე ინფექციების დროს მკურნალობა გრძელდება 5 დღე. ერთ საინექციო უბანზე უკეთდება არაუმეტეს 10 მლ, გოჭებს - 2,5 მლ.

ძალღი, კატა: კანქვეშ, 1 მლ/კგ ც.წ-ზე, მკურნალობის კურსი 5 დღე.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით გამოყენების შემთხვევაში გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

დაუშვებელია პრეპარატის გამოყენება ლევომიციტინთან, თეოფილინთან სტეროიდებთან, ასევე ცხოველების მაკოების და ლაქტაციის პერიოდში. არ არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება ძალღის სიცოცხლის პირველ წელიწადს, დიდი ჯიშის ძალღებისთვის სისცოცხლის პირველი 18 თვის განმავლობაში.

დაყონების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა შესაძლებელია პრეპარატის საბოლოო მიღებიდან 14 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად ან ხორცისა და ძვლის ფქვილის წარმოებაში.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, 5-დან 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ვილ-ფლოქსი (Vil-Floks)

Enrofloxacin

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ენროფლოქსაცინს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ბენზილ ალკოჰოლი, ასკორბინის მჟავა.

გამოშვების ფორმა: 100 მლ ფლაკონში და 1 ლ ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ფტორქინოლების ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ენროფლოქსაცინი მიეკუთვნება ფტორქინოლების ჯგუფს. ხასიათდება ბაქტერიული მოქმედების ფართო სპექტრით. ახდენს დნმ-ის სინთეზის ინჰიბირებას დნმ-ის ჰირაზას ქმედების დაბლოკვით (ტოპოიზომერაზა II).

აქტიურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების, მათ შორის *E.coli*, *Salmonella sp.*, *Enterobacter sp.*, *Serratia sp.*, *Proteus sp.*, *Klebsiella sp.*, *Shigella sp.*, *Yersinia sp.*, *Moraxella sp.*, *Actinobacter sp.*, *Actinobacillus sp.*, *Pasteurella sp.*, *Leptospira sp.*, *Campylobacter sp.*, *Citrobacter sp.*, *Haemophilus.*, *Ehrlichia sp.*, *Coxiella brunette*, *Staphylococcus sp.*, მიმართ. ენროფლოქსაცინი სწრაფად შეინოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.

გამოყენების ჩვენებები:

შინაური ფრინველები

გამოიყენება მიკოპლაზმური ინფექციების – ინფექციური სინოვიტი და პოლიცეროზიტი, ინდაურის მგუდავი ანთება და სხვა მიკოპლაზმური ინფექციები. ბაქტერიული ინფექციები: კოლი და კოლისეპტიცემია - კოლიბაცილოზი, ტიფი, პარატიფი და პულტოროზი, ჰემორაგიული სეპტიცემია - პასტერელოზი, ქოლერა, გადამდები სინუსიტი, ავიანური ფსევდოტუბერკულოზი, ფსევდომონიაზი, ვიბრიოზი, ტულარემია, ლისტერიოზი, ქლამიდიის ინფექციები, ჰისტომონიაზი, ჰეკსამიტიოზი, სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური ინფექციები, ლარინგოტრაქეიტი, სპიროქეტოზი, ინფექციური ჰეპატიტი, წიწილების ადრეულ ასაკში დახოცვა, ვირუსული ინფექციების მეორადი გართულებები გამონეული სტრესული მდგომარეობით.

შინაური ცხოველები

მიკოპლაზმური ინფექციები – ახალშობილი ცხოველების გადამდები და ენოოტიური პნევმონია, პოლიართრიტი, მასტიტი, აგალაქტია, გადამდები კერატოკონიუქტივიტი და ვულვოვაგინიტი. ბაქტერიული ინფექციები – ახალშობილთა სეპტიცემია, კოლისეპტიცემია, დიზენტერია, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი, კლოსტრიდიოზი და ღვიძლის ინფექციური ნეკროზი, ენტერიტი, მასტიტი, აგალაქტია, მეტრიტი, ჰემორაგიული სეპტიცემია, პასტერელოზი, ციება, ენოოტიური პნევმონია, ბრონქოპნევმონიით გამონეული საჭმლის მომწელებელი, სასუნთქი და უროგენიტალური გზების ინფექციები, აგრეთვე გარე ყურის, კანის და რბილი ქსოვილების ინფექციური დაავადებები.

გამოყენების წესი და დოზები:

მხოლოდ პერორალური გამოყენებისთვის;

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი, ცხვარი, თხა – 0,5 მლ/10 კგ ც.წ-ზე.

კატა, ძაღლი – 0,1-1 მლ/2-20 კგ ც.წ-ზე.

შინაური ფრინველი – დღეში 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე (რეკომენდებული დოზის საფუძველზე 10 მგ ენროფლოქსაცინი ყოველ 1 კგ ც.წ-ზე).

1 ლ პრეპარატი ერევა 1000 ლ სასმელ წყალში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველთა სახორცედ დაკვლა შესაძლებელია პრეპარატის საბოლოო მიღებიდან 11 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად ან ხორცისა და ძვლის ფქვილის წარმოებაში.

უკუჩვენებები:

არ აღინიშნება.

შენახვის პირობები:

ინახება ბნელ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, ოთახის (15-25°C) ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

3ილ-ფლოქს ფორტი (Vil-Floks forte)

Enrofloxacin

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ენროფლოქსაცინს 200 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ბენზილ ალკოჰოლი, ასკორბინის მჟავა.

გამოშვების ფორმა: 100 მლ და 1000 მლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება, ფტორქინოლების ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ენროფლოქსაცინი წარმოადგენს ფართო სპექტრის ანტიბიოტიკს, რომელიც მიეკუთვნება ფტორქინოლინების ჯგუფს. პრეპარატი აკავებს დნმ გირაზას მოქმედებას (ტოპოიზომერაზა II) და ამით ხელს უშლის დნმ-ის სინთეზსა და ტრანსკრიპციას. მგრძნობიარეა: *E. coli*, *Salmonella spp.*, *Enterobacter spp.*, *Serratia spp.*, *Proteus spp.*, *Klebsiella sp.*, *Shigella sp.*, *Yersinia sp.*, *Moraxella sp.*, *Actinobacter sp.*, *Actinobacillus sp.*, *Pasteurella sp.*, *Leptospira sp.*, *Campylobacter sp.*, *Citrobacter sp.*, *Haemophilus sp.*, *Ehrlichia sp.*, *Cooxiella brunetti*, *Staphylococcus sp.* იმ ბაქტერიების ჩათვლით, რომელიც მგრძნობიარეა მეთიცილინსა და გენტამიცინის - *N.gonorrhoeae*, ასევე იმ ბაქტერიების ჩათვლით, რომელიც მგრძნობიარეა პენიცილინის მიმართ - *N. meningitidis*, *Corynebacterium spp.*, *Chlamydia sp.*, *V.cholerae*, *Mycoplasma sp.* და *Mycobacterium sp.* პრეპარატის პერორალურად მიღებისას შინაურ ფრინველებში 10 მგ/კგ ც.წ-ზე, პრეპარატი მაქსიმალურ კონცენტრაციას პლაზმაში 1 საათში აღწევს - 2,44 გ/მლ, სბოებში, პერორალური მიღებით 2,5 გ/კგ ც. წ-ზე, მაქსიმალურ კონცენტრაციას პრეპარატი პლაზმაში აღწევს 60 წუთში - 0,9 გ/მლ. პრეპარატი ინარჩუნებს თავის აქტიურ დონეს 12-24 საათის განმავლობაში სხეულის ყველა ორგანოებში, განსაკუთრებით ღვიძლში, ფილტვებსა და თირკმელებში. მისი უმეტესი ნაწილი გამოიყოფა შარდთან ერთად ცვლილებების გარეშე.

გამოყენების ჩვენებები:

ვილ-ფლოქს ფორტე პერორალური ხსნარი გამოიყენება სახორცე მიმართულების ინდაურებსა და ქათმებში, ასევე ხბოებსა და ბატკნებში, სასუნთქი და საკვების მომწესმე სისტემის დაავადებების, როგორცაა პლევროპნევმონია და გასტროენტერიტი, სეპტიცემიის, კოლიბაქტერიოზისა და რბილი ქსოვილების სხვა დაავადებების მკურნალობისთვის, ასევე ვირუსული დაავადებების ენროფლოქსაციინისადმი მგრძობიარე ბაქტერიული დაავადებების მკურნალობისთვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ბატკანი და ხბო:

ფარმაკოლოგიური დოზა: 5 მგ/კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ.

პრაქტიკული დოზა: გამოიყენება პერორალურად, 1 მლ/40 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ, წყლთან ერთად.

ინდაური და ქათამი:

ფარმაკოლოგიური დოზა: 10 მგ/კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ.

პრაქტიკული დოზა: გამოიყენება პერორალურად წყალში გახსნილი 1 მლ/20 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ.

1000 ფრთა ფრინველისთვის

ცხოველის ასაკი	ცოცხალი წონა საშუალო (გ)	დასალევი წყლის ოდენობა (ლ)	Vilflox forte-ს დოზა (მლ)
1 დღე	50	5	2.5
1 კვირა	200	20	10
2 კვირა	400	40	20
3 კვირა	750	60	40
4 კვირა	1200	100	60
5 კვირა	1650	140	80
6 კვირა	2000	180	100

გამოჯანმრთელების მდგომარეობის მიხედვით თერაპია გრძელდება 3-5 დღე. რთული და ქრონიკული ინფექციების დროს დოზა შეიძლება გაორმაგდეს.

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან:

პრეპარატი სინერგისტულ ურთიერთქმედებას ავლენს ფტორქინოლონების, ამინო-გლიკოზიდების, ბეტა-ლაქტამურ და სულფანილამიდურ პრეპარატებთან.

გვერდითი მოვლენები:

ენდროფლოქსაციინმა, საშარდე ტრაქტში შეიძლება ხანდახან გამოიწვიოს კრისტალიზაცია. ამიტომ პრეპარატის მიღებისას წყლის მიწოდება არ უნდა შეიზღუდოს.

დიდი დოზების გამოყენების შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა, ღებინება, თავბრუსხვევა და სისუსტე.

უკუჩვენებები:

ღვიძლის და თირკმლის უკმარისობის მქონე ცხოველებში.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი 11 დღე, კვერცი არ გამოიყენება.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 15-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

1.7. ფენიკოლის ჯგუფის პრეპარატები

ფლორვილ 10% (Florvil 10%)

Florfenicol

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: 100 მგ ფლორფენიკოლს.

გამოშვების ფორმა: პრეპარატი გამოდის 100 მლ, 250 მლ, 1000 მლ თეთრ პოლიეთილენის ბოთლებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული პრეპარატი, ფლორფენიკოლის ჯგუფის ანტიბიოტიკი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი ფლორვილ 10%-ის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერება ფლორფენიკოლი ამფენიკოლის მონოჰიდრატის წარმოებულია, რომელიც ქლორფენიკოლისგან განსხვავებით შეიცავს პ-მეთილ სულფონილის ჯგუფს, პ-მეთილ ნიტრო ჯგუფის ნაცვლად. ფლორფენიკოლი ხასიათდება მოქმედების უფრო ფართო სპექტრით, თიამფენკოლთან და ქლორფენიკოლთან შედარებით. ფლორფენიკოლის მაღალი ეფექტურობა ეფუძნება ფტორის ფერმენტული აცეტილირების ინჰიბირებას, რომელიც ჰიდროქსილის ჯგუფში ანაცვლეს მე-3 ნახშირბადის ჯგუფს. პრეპარატს ახასიათებს ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური მოქმედება, რომელიც ბაქტერიულ რიზოსომებში პროტეინის სინთეზის ინჰიბირებას ეფუძნება.

ფლორფენიკოლი ხასიათება ძლიერი ანტიბაქტერიული მოქმედებით *E.coli*-ის მიმართ, რომელიც იწვევს კოლიბაქტერიოზს ფრინველში. იგი მაღალ ეფექტურია გრამდადებითი (*Corynebacterium pyogenes*, *Streptococcus* sp., *Staphylococcus* sp., *Clostridium* sp.) და გრამუარყოფითი ბაქტერიების (*E.coli*, *Pasteurella haemolytica*, *P. multocida*, *Haemophilus somnus*, *Actinobacillus pleuropneumonia*) მიმართ.

პრეპარატის პერორალური გზით მიღებისას ფლორფენიკოლი სწრაფად და ხარისხიანად აღსორბირდება საჭმლის მომწელებელ ტრაქტში და სისხლით მიეწოდება ყველა ორგანოსა და ქსოვილს. თერაპიული კონცენტრაცია ნარჩუნდება ფრინველის ორგანიზმში 24 სთ-ის განმავლობაში. ანტიბიოტიკი ორგანიზმიდან ძირითადად გამოიყოფა შარდით 97%, დარჩენილი ნაწილი კი ფეკალთან ერთად. შარდში არსებული ნაწილი უცვლელი სახით გამოიყოფა (52%), ხოლო ნაწილი ფლორფენიკოლის (7,5%) და ოქსამინისმჟავის (25%) სახით. ამ მე-

ტაბოლიტების ეფექტი ძალიან მიახლოებულია ანტიბაქტერიულ ეფექტურობასთან.

გამოყენების ჩვენებები:

ფლორვილ 10%-ის პერორალური ხსნარი გამოიყენება შინაური ფრინველის, ბროილერის რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ (*E.coli*-ით გამოწვეული რესპირატორული დაავადება, კოლისეპტიცემია), რომლის გამომწვევია *E.coli*.

გამოყენების წესი და დოზირება:

ბროილერს პრეპარატი ეძლევა პერორალურად, 20 მგ/კგ ც.წ-ზე ან 200 მლ პრეპარატი 1000 კგ ც.წ-ზე სასმელ წყალთან ერთად, 5 დღის განმავლობაში.

მკურნალობის პერიოდში დასაღვეად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ პრეპარატიანი წყალი. სასმელი წყალი უნდა იყოს ახალი მომზადებული და შეიცვალოს ყოველდღიურად.

უკუჩვენებები:

პრეპარატის ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებით, უკუჩვენებები არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზების გამოყენებით გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

პრეპარატის ურთიერთქმედება:

არ შეიძლება პრეპარატიან წყალში სხვა პრეპარატების შერევა.

ჭარბი დოზირება:

ფლორფენიკოლის 20-60 მგ/კგ ც.წ-ზე სასმელ წყალთან ერთად 7 დღის განმავლობაში გამოყენებისას არ იწვევს უკუჩვენებებს. საჭიროა მისი რეკომენდებული დოზით გამოყენება.

განსაკუთრებული მითითებები:

დაუშვებელია მკურნალობის პერიოდში რეკომენდებული დოზის გადაჭარბება.

გაუფრხილებლობით მიღებული დაზიანებების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

მოერიდეთ პრეპარატთან შეხებას, გამოყენების შემდეგ დაიბანეთ ხელები.

დაყონების პერიოდი:

დაუშვებელია ფრინველის ხორცის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში და ბოლო მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. არ შეიძლება კვერცხის საკვებად გამოყენება მკურნალობის დროს.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას ოთახის (15-25°C) ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Vilsan, თურქეთი.

1.8. ნიტროფურანების ჯგუფის პრეპარატები

ფურაზოლიდონი (Furazolidone)

Furazolidone

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ფურაზოლიდონს 1000 მგ.

გამოშვების ფორმა: 250 გ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფურაზოლიდონი ანტიბაქტერიული პრეპარატია. მიეკუთვნება ნიტროფურანების ჯგუფს, ფურაზოლიდონი აქტიური გრამუარყოფითი და გრამდადებითი ბაქტერიების მიმართ, გააჩნია მაღალი ანტიბაქტერიული აქტივობა ისეთი მიკროორგანიზმების მიმართ, როგორცაა: *Shigella dysenteria spp.*, *Shigella flexneri spp.*, *Shigella boydii spp.*, *Shigella sonnei spp.*, *Salmonella typhi*, *Salmonella paratyphi*. სუსტად მოქმედებს ანაერობულ ინფექციებზე.

ფურაზოლიდონი ბლოკავს ცილების ნიტროჯგუფს და არღვევს უმარტივესთა უჯრედებში ჟანგვა-აღდგენით ბალანსს, რაც იწვევს ტოქსიკური პროდუქტების დაგროვებას, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ უმარტივესთა დნმ-თან, რის შედეგადაც ისინი იღუპებიან.

ფურაზოლიდონი კარგად შეიწოვება ცხოველების კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, აღწევს ორგანოებსა და ქსოვილებში. სისხლში თერაპიული კონცენტრაცია ნარჩუნდება 6-12 საათი. დიდი ნაწილი გამოიყოფა ორგანიზმიდან შარდთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

ფურაზოლიდონი გამოიყენება სასოფლო სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ბაქტერიული ინფექციების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

ფრინველი - ჰისტომონოზი, ტრიქომონოზი, სალმონელოზი, ეიმერიოზი;

ლორი - ბალანტიდიოზი, ბაქტერიული დიზენტერია, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

ფურაზოლიდონი მიიღება პერორალურად საკვებთან ერთად ან ინდივიდუალურად შემდეგი დოზებით:

გამოიყენება მოზარდებში:

წინილები - ჰისტომონოზი, სალმონელოზი, ტრიქომონოზი, ეიმერიოზი - 2,5 - 3 მგ/კგ ც.წ-ზე 5-8 დღის განმავლობაში;

ხბო და გოჭი - ბალანტიდიოზი, ბაქტერიული დიზენტერიები, კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი:

ხბო - 4-5 მგ/კგ ც.წ-ზე, 3-5 დღე.

გოჭი - 10 მგ/კგ ც.წ-ზე, 3-7 დღე.

ძალი და კატა გამოიყენება ამებით გამოწვეულ კოლიტზე - 2,2 მგ/კგ ც.წ-ზე, ყოველ 8 სთ-ში ერთჯერ, 7 დღის განმავლობაში.

უკუჩვენებები:

არ არის რეკომენდებული პრეპარატის მიღება გაზაფხულის პერიოდში დასუსტებულ ხბობებში.

იკრძალება მისი გამოყენება მაკე ცხოველებში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის ხორცის გამოყენება ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიცემიდან 4 დღის შემდეგ.

რძე საკვებად გამოიყენება პრეპარატის ბოლო მიღებიდან 48 სთ-ის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 18-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

1.9. სულფანილამიდური პრეპარატები

სულტრიმი - ტაბლეტი (Tabletiae Sultrim)

Sulfamethoxazole, Trimethoprim

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: სულფადიმიდინ ნატრიუმს 400 მგ; ტრიმეტროპრიმს 80 მგ.

დამხმარე ნივთიერება: ლაქტოზა, სახამებელი, ტალკი, კალციუმის სტეარატი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: 80 ტაბლეტი, პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატ სულტრიმის ანტიმიკრობული მოქმედება დამოკიდებულია მასში შემავალი კომპონენტების თვისებებზე. იგი წარმოადგენს სულფამეტოქსაზოლის და ტრიმეტროპრიმის კომბინაციას და ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით. სულფამეტოქსაზოლი ახდენს ბაქტერიის უჯრედში დიჰიდროფოლიუმის მჟავას სინთეზის დარღვევას, ტრიმეტროპრიმი ბლოკავს ტეტრაჰიდროფოლიუმის მჟავის სინთეზს, რაც იწვევს პურინების და პირიმიდინის ნაერთების წარმოქმნის შეწყვეტას, მოქმედებს ნუკლეინის მჟავის სინთეზზე, რომელიც აჩერებს მიკროორგანიზმის ზრდას და გამრავლებას.

გამოყენების ჩვენებები:

სულტრიმის ტაბლეტები გამოიყენება ყველა სახის შინაური ცხოველების ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, რომელთა გამომწვევია სულფამეტოქსაზოლისა და ტრიმეტროპრიმისადმი მგრძნობიარე მიკროორგანიზმები.

- ზედა და ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები;
- საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადება;
- შარდსასქესო ორგანოების ინფექციები;
- ვირუსული დაავადებების დროს მეორადი ინფექციები;
- კანის და რბილი ქსოვილების ინფექციები;
- რბილი ქსოვილების ინფექციები.

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ხორცისმჭამელი ცხოველები: დიარეა, კოლისეპტიცემია, სტრეპტოკოკებით გამოწვეული პოლიართრიტი, სალმონელოზი, პასტერელოზი, პნემონია, სტაფილოკოკებით გამოწვეული აბსცესი.

ლორი: კოლიბაქტერიოზი, ატროფიული რინიტი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ტოქსოპლაზმოზი, ჰემოფილოზური პლევროპნემონია, წითელი ქარი.

ფრინველი: კოქციდიოზი, პასტერელოზი, კოლისეპტიცემია, სალმონელოზი, სტაფილოკოკოზი, ინფექციური სურდო.

ბოცვერი: კოქციდიოზი, სალმონელოზი, სტაფილოკოკოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ხორცისმჭამელები, ლორი და ბოცვერი - პრეპარატი ეძლევათ საკვებთან, წყალში ან რძეში შერეული შემდეგი დოზირებით - 1 ტაბლეტი (480 მგ) 15 კგ ც.წ, 12 საათის ინტერვალით 3-5 დღის განმავლობაში.

ფრინველი - 1 კვირამდე ასაკის წინილებს - 1/4 ტაბლეტი (120 მგ) გახსნილი 2 ლ სასმელ წყალში.

მეხორცული და მეკვერცხული მიმართულების მოზარდ ქათმებს - (1-8 კვირის ასაკის) - 1/2 ტაბლეტი (240 მგ) - 2 ლ წყალში ან 1 კგ საკვებში.

კვერცხმდებელი ქათმები (20 კვირაზე მეტი ასაკის) - 1/2 ტაბლეტი (240 მგ) გახსნილი 1 ლ სასმელ წყალში ან 3/4 ტაბლეტი (360 მგ) 1 კგ საკვებში.

ინდაური (5-20 კვირის ასაკის) - 1/2 ტაბლეტი (240 მგ) 1 ლ წყალში.

პრეპარატის წყალით მიცემისას პრეპარატის საჭირო რაოდენობას წინასწარ ხსნიან მცირე რაოდენობის წყალში (100-150 მლ) ერთგვაროვანი სუსპენზიის მიღებამდე. მიღებულ სუსპენზიას უმატებენ სრულ გახსნამდე.

ყველა სახის ცხოველის მკურნალობას აწარმოებენ დაავადების კლინიკური ნიშნების გაქრობამდე 2 მომდევნო დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ გამოვლენილა. ძალს და ღორს სულფანილამიდის მიმართ მალალმგრძობელობის გამო შეიძლება განუვითარდეს ლებინება, პოლიართრიტი, ამ შემთხვევაში პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

უკუჩვენებები:

მაკეობა, ლაქტაცია, პრეპარატისადმი მაღალი მგრძობელობა.

ზრდასრულ ცხოველებისათვის პრეპარატის მიცემა რეკომენდირებული არ არის. ასევე არ შეიძლება პრეპარატის მიცემა სისხლმზადი ორგანოების, ღვიძლის და თირკმლების დაავადებების დროს.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპურატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

სულტრიმი - პერორალური ხსნარი (Sultrim- Oral solution)

Sulfamethoxazole, Trimethoprim

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: სულფამედიმიდინ ნატრიუმს 100 მგ; ტრიმეტოპრიმს 20 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: პოლივინილპიროლიდონი, წყალი.

გამოშვების ფორმა: 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

სულტრიმი წარმოადგენს სულფამეტოქსაზოლის და ტრიმეტოპრიმის კომბინაციას და ხასიათდება ძლიერი ანტიმიკრობული მოქმედებით დაავადებების გამომწვევ გრამდადებით და გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე. პრეპარატის ანტიმიკრობული მოქმედება განპირობებულია მასში შემავალ მოქმედ ნივთიერებებზე. სულფამეტოქსაზოლი ახდენს ბაქტერიის უჯრედში დიჰიდროფოლიუმის მჟავის სინთეზის დარღვევას.

ტრიმეტოპრიმი ბლოკავს ტეტრაჰიდროფოლიუმის მჟავის სინთეზს, რომელიც იწვევს პურინების და პირიმიდინის ნაერთების წარმოქმნას, რაც თავის მხრივ მოქმედებს ნუკლეინის მჟავის სინთეზზე და აჩერებს მიკროორგანიზმის ზრდა-განვითარებას.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ყველა სახის შინაურ ცხოველში, ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, რომელთა გამომწვევია სულფამეტოქსაზოლისა და ტრიმეტოპრიმისადმი მგრძობიარე მიკროორგანიზმები.

- ზედა და ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები;

- საჭმლის მომწელებელი ტრაქტის დაავადება;
- შარდსასაქესო ორგანოების ინფექციები;
- ვირუსული დაავადებების დროს მეორადი ინფექციები;
- კანის და რბილი ქსოვილების ინფექციები;
- რბილი ქსოვილების ინფექციები.

მსხვილფეხა პირუტყვი, ხორცისმჭამელი ცხოველები - დიარეა, კოლისეპტიცემია, სტრეპტოკოკებით გამოწვეული პოლიართრიტი, სალმონელოზი, პასტერელოზი, პნევმონია, სტაფილოკოკებით გამოწვეული აბსცესი.

ლორი - კოლიბაქტერიოზი, ატროფიული რინიტი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ტოქსოპლაზმოზი, ჰემოფილოზური პლევროპნევმონია, წითელი ქარი.

ფრინველი - პასტერელოზი, კოლისეპტიცემია, სალმონელოზი, სტაფილოკოკოზი, კოქციდიოზი.

ბოცვერი - კოქციდიოზი, სალმონელოზი, სტაფილოკოკოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ხორცისმჭამელი ცხოველები, ლორი, ბოცვერი, ფრინველი - ეძლევათ შემდეგი დოზებით 1,5 გ/1 ლ წყალში გახსნილი 3-5 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ ფიქსირდება. ძალღს, კატას და ღორს სულფანილამიდის მიმართ მაღალი მგრძობელობის გამო შეიძლება განუვითარდეს ლებინება, პოლიართრიტი. ამ შემთხვევებში პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

უკუჩვენება:

მაკეობა, ლაქტაცია, პრეპარატისადმი მაღალი მგრძობელობა. ზრდასრული მცოხნაგები-სთვის პრეპარატის მიცემა არაა რეკომენდებული. პრეპარატის მიღება უკუნაჩვენებია სისხლმზადი ორგანოებით, ლვიძლით და თირკმელებით დაავადებულ ცხოველებში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის ბოლო მიცემიდან 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

სულტრიმი - პერორალური ფხვნილი (Sultrim - Oral pulvis)

Sulfamethoxazole, Trimethoprim

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემაღგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: სულფადიმიდინ ნატრიუმს 200 მგ; ტრიმეტროპრიმს 40 მგ.

დაძმარე ნივთიერებები: ლაქტოზა.

გამოშვების ფორმა: 250 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული სამშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

სულტრიმი - პერორალური ფხვნილი, წარმოადგენს სულფამეტოქსაზოლის და ტრიმეტროპრიმის კომბინაციას, ხასიათდება ძლიერი ანტიმიკრობული მოქმედებით დაავადებების გამომწვევ გრამდადებით და გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე. პრეპარატის ანტიმიკრობული მოქმედება განპირობებულია მასში შემავალ მოქმედ ნივთიერებებზე. სულფამეტოქსაზოლი ახდენს ბაქტერიის უჯრედში დიჰიდროფოლიუმის მჟავის სინთეზის დარღვევას.

ტრიმეტროპრიმი ბლოკავს ტეტრაჰიდროფოლიუმის მჟავის სინთეზს, რომელიც იწვევს პურინების და პირიმიდინის ნაერთების წარმოქმნას, რაც თავის მხრივ მოქმედებს ნუკლეინის მჟავის სინთეზზე და აჩერებს მიკროორგანიზმის ზრდა-განვითარებას.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება ყველა სახის შინაური ცხოველების ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, რომელთა გამომწვევია სულფამეტოქსაზოლისა და ტრიმეტროპრიმისადმი მგრძობიარე მიკროორგანიზმები.

- ზედა და ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები;
- საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადება;
- შარდსასქესო ორგანოების ინფექციები;
- ვირუსული დაავადებების დროს მეორადი ინფექციები;
- კანის და რბილი ქსოვილების ინფექციები;
- რბილი ქსოვილების ინფექციები.

მსხვილფეხა პირუტყვი, ხორცისმჭამელი ცხოველები - დიარეა, კოლისეპტიცემია, სტრეპტოკოკებით გამოწვეული პოლიართრიტი, სალმონელოზი, პასტერელოზი, პნევმონია, სტაფილოკოკებით გამოწვეული აბსცესი.

ღორი - კოლიბაქტერიოზი, ატროფიული რინიტი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ტოქსოპლაზმოზი, ჰემოფილოზური პლევროპნევმონია, წითელი ქარი.

ფრინველი - პასტერელოზი, კოლისეპტიცემია, სალმონელოზი, სტაფილოკოკოზი, კოქციდიოზი.

ბოცვერი - კოქციდიოზი, სალმონელოზი, სტაფილოკოკოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

ეძლევა საკვებში შერევით ან წყალში განზავებით შემდეგი დოზებით:

მსხვილფეხა პირუტყვი, ხორცის მჭამელი ცხოველები, ღორი - პირველ დღეს - 1 გ/10 კგ ც.წ-ზე ან 750 გ/1000 ლ სასმელ წყალთან ერთად, დღეში ორჯერ, შემდეგ პერიოდში დღეში

ერთჯერ, 3-5 დღის განმავლობაში.

ფრინველი და ბოცვერი - პირველ დღეს 1 გ/ლ, შემდეგი 2-3 დღე 0,5 გ/ლ სასმელ წყალთან ერთად.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები და გართულებები არ ფიქსირდება. ძალღს, კატას და ღორს სულფაზოლიამიდის მიმართ მალალი მგრძნობელობის გამო შეიძლება განუვითარდეს ღებინება, პოლიართრიტი ამ შემთხვევებში პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

უკუჩვენება:

მაკეობა, ლაქტაცია, პრეპარატისადმი მალალი მგრძნობელობა. ზრდასრული მცონნაგებისთვის პრეპარატის მიცემა არაა რეკომენდებული. პრეპარატის მიღება უკუნაჩვენებია სისხლმზადი ორგანოებით, ღვიძლით და თირკმელებით დაავადებულ ცხოველებში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის ბოლო მიცემიდან 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ნორსულფაზოლ-ნატრიუმი (Sulfathiazole natrium)

Sulfathiazole sodium

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ნორსულფაზოლ-ნატრიუმს 998 მგ.

გამოშვების ფორმა: 250 გ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ნორსულფაზოლ-ნატრიუმს გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტიმიკრობული აქტივობა მრავალი გრამდამდებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, როგორცაა: *Streptococcus*, *Minengococcus*, *Salmonella*, *E.coli*, *Pasteurella* და ა.შ. პრეპარატი ადვილად გაინოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და სწრაფად გამოიყოფა ორგანიზმიდან. სისხლში თერაპიული კონცენტრაცია შენარჩუნებულია 6-12 საათის განმავლობაში. ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

კატარალური ბრონქოპნევმონია, პლევრიტები, სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური სეფსისი, გასტროენტერიტები, დიპლოკოკური სეპტიცემია და სხვა ბაქტერიული ინფექცი-

ბი, რომლის გამომწვევი ბაქტერიებიც მგძნობიარეა ნორსულფაზოლის მიმართ.

გამოყენების წესი და დოზები:

ნორსულფაზოლ-ნატრიუმი გამოიყენება ყველა სახის შინაურ ცხოველებში - მსხვილფეხა პირუტყვი, ხბო, ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი, კურდღელი, ფრინველი. ეძლევათ პერორალურად, გახსნილი სასმელ წყალში, ინდივიდუალური ან ჯგუფური თერაპიისას, ჯგუფური გამოყენებისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პრეპარატის თანაბარი გადანაწილება საკვებში.

კურდღელი - კოკციდიოზის სამკურნალოდ 1 დღეს - 0.4 გ/კგ ც.წ-ზე. 0.5-1%-იანი სასმელი წყლის ხსნარი 2-ჯერ დღეში. ან უნიშნავენ შესვლებულ საკვებში 0.2 გ/კგ ც.წ-ზე, მომდევნო 4 დღეს 0.1 გ/კგ ც.წ-ზე.

ხბობები - 0.02-0.05 გ/კგ ც.წ-ზე. საწყისი დოზა 2-ჯერ მეტია რეკომენდებულზე. მიიღება 3-4 დღის განმავლობაში.

5-10% ხსნარი შეჰყავთ ვენაში, მაშინ როდესაც არ შეგვიძლია მისი პერორალურად მიცემა.

10% იანი ხსნარი გამოიყენება თვალების დაავადების დროს (კონუქტივიტი, ბლეფასიტები და სხვა) 2 - 3 წვეთი.

20% ხსნარი 1 მლ/კგ ც.წ-ზე მიეცემა ფრინველს პასტერელიოზის დროს.

ერთ სულზე გადათვლით ეძლევათ:

ცხენი და მსხვილფეხა პირუტყვი - 10-25 გ.

ღორი, ცხვარი და თხა - 2-5 გ.

ფრინველი - 0,5 გ. დღეში 2-3 ჯერ, 3-6 დღის განმავლობაში.

თერაპიული მოქმედების ასამაღლებლად მიზანშეწონილია კომბინაცია იოდის პრეპარატებთან.

უკუჩვენებები:

ნეფრიტები, ნეფროზები, სისხლმბადი სისტემის დაავადებები.

გვერდითი მოვლენები:

როგორც წესი არ შეინიშნება. იშვიათად აღინიშნება ლებინება, დიარეა. ხანგრძლივი გამოყენებისას შეიძლება განვითარდეს დერმატიტები, ასევე ნერვული და გულ-სისხლძარღვაო სისტემის მხრივ დარღვევები.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველების და ფრინველების სახორცედ დაკვლა შეიძლება პრეპარატის მიღებიდან 5 დღის შემდეგ. რძის გამოყენება სასმელად შეიძლება პრეპარატის მიღებიდან 2 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება ქარხნული შეფუთვით ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

1.10. კომპლექსური სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული საშუალებები

ფუროქსი (Furoxy)

Oxytetracycline hcl, Furazolidone, Metronidazole

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს 300 მგ, ფურაზოლიდონს 330 მგ, მეტრონიდაზოლს 300 მგ.

დამხმარე ნივთიერება: ლაქტოზა.

გამოშვების ფორმა: 250 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფუროქსი წარმოადგენს კომპლექსურ პრეპარატს, მასში შემავალი ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდის, ფურაზოლიდონისა და მეტრონიდაზოლის კომბინაცია ხასიათდება მაღალი ეფექტურობით, ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური მოქმედებით. მეტრონიდაზოლი ბლოკავს ცილების ნიტროჯგუფს და არღვევს უმარტივესთა უჯრედებში ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, რაც იწვევს ტოქსიკური პროდუქტების დაგროვებას, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ უმარტივესების დნმ-თან, რის შედეგადაც ისინი იღუპებიან.

პრეპარატში შემავალ კომპონენტებს გააჩნიათ ანტიმიკრობული მოქმედება შემდეგი ბაქტერიების მიმართ: *Balantidium, Entamoeba histolytica, Treponema hyodysenteriae, Histomonas meleagridis, Lamblia intestinalis, Eimeria spp., Trichomonas columbae, T gallinae*. ასევე ანაერობების მიმართ: *Bacteroides, Fusobacterium, Clostridium, Eubacterium*. პრეპარატი აქტიურია ასევე უმრავლესობა გრამდადებითი და გრამუარყოფითი კოკების მიმართ.

გამოყენების ჩვენებები:

ფუროქსი გამოიყენება ყველა სახის შინაურ ცხოველებში, ინფექციური დაავადების სამკურნალოდ, რომელთა გამომწვევი პრეპარატში შემავალი კომპონენტებისადმი მგრძობიარე მიკროორგანიზმებია.

ფრინველი - ჰისტომონოზა, სალმონელოზი, ტრიქომონოზი, ეიმერიოზი;

მსხვილფეხა პირუტყვი - კოლიბაქტერიოზი, სალმონელოზი, ტრიქომონოზი, ეიმერიოზი, გაურკვეველი ეტიოლოგიის ენტერიტები, ასევე ქირურგიული ჩარევის შემდგომი გართულებით გამოწვეული ინფექციები;

ლორი - ბალანტიდიოზი, ბაქტერიული და პროტოზოული ეტიოლოგიის დიზენტირია, სალმონელოზი, ეიმერიოზი;

ბოცვერი, ნუტრია - ეიმერიოზი (ღვიძლის კოქციდიოზი).

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება ინდივიდუალური ან ჯგუფური თერაპიის დროს. ჯგუფური გამოყენებისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პრეპარატის თანაბარი შერევა საკვებში.

ფრინველი - მკურნალობა: 1 გ/კგ საკვებში შერევით 5-6 დღის მანძილზე,

პროფილაქტიკა: - 1 გ/2 კგ საკვებში 8 -10 დღის განმავლობაში.

მსხვილფეხა პირუტყვი - მკურნალობა: 1გ/20კგ ც.წ-ზე, 5-6 დღის მანძილზე,

პროფილაქტიკა: 1გ/30კგ ც.წ-ზე, 8-10 დღის განმავლობაში.

ლორი - მკურნალობა: 1 გ/კგ საკვებში შერევით, 5-7დღის მანძილზე ან 0,15 გ/10 კგ ც.წ-ზე, ყოველ 12 სთ-ში ერთჯერ, ორი კვირის განმავლობაში.

პროფილაქტიკა: 1 გ/2 კგ საკვებში შერევით ან 0,06 გ/10 კგ ც.წ-ზე, ყოველ 12 სთ-ში ერთჯერ, 10-12 დღის განმავლობაში.

ბოცვერი, ნუტრია - მკურნალობა: 0,05 გ/კგ ც.წ-ზე, 3-ჯერ დღეში 3-4 დღის განმავლობაში.

პროფილაქტიკა: მოზარდებში ასხლეტვის დროს 0,25 გ – 10 ბაჭიაზე 10-12 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

არ უნდა იქნეს გადაჭარბებული დოზირება ერთ თვემდე ასაკის ხბოებისათვის, რადგანაც შესაძლებელია მაღალი მგრძნობელობა ფურაზოლიდონისადმი.

ცალკეულ ცხოველებს მეტრონიდაზოლის მიმართ მაღალი მგრძნობელობის გამო შესაძლებელია განუფითარდეთ ალერგიული რეაქციები როგორცაა: სისუსტე, ციებ-ცხელება, ჭინჭრის ციება, ლებინება.

უკუჩვენებები:

პრეპარატი უკუნაჩვენებია მაკეობის პერიოდში, ლაქტაციის პერიოდში, კვერცხმდებელ ქათმებში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიცემიდან 14 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

63 450 (NF 450)

Neomicin, Furazolidone

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ნეომიცინის სულფატს 0,25 გ, ფურაზოლიდონს 0,2 გ.

დამხმარე ნივთიერებები: ლაქტოზა.

გამოშვების ფორმა: 250 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფურაზოლიდონს ახასიათებს მაღალი ანტიბაქტერიული აქტივობა, იგი ბლოკავს მის მიმართ მგრძობიარე ბაქტერიების ფერმენტულ სისტემას. ფურაზოლიდონს ახასიათებს აქტიურობა *Salmonella*, *Shigella*, *Campylobacter*, *Enterobacter*, *Giardia*, *Vibrio cholerae*, *Trichomonas*, *Coccidia*, *E. coli*-ის ბევრი შტამის მიმართ. ფურაზოლიდონი ასევე აინჰიბირებს მონო-ამინოოქსიდაზას.

ნეომიცინი მოქმედებს ძირითადად გრამუარყოფით აერობულ მიკროორგანიზმებზე, სხვა ამინოგლიკოზიდებისაგან განსხვავებით ნეომიცინი განსაკუთრებით ეფექტურია ზოგიერთი გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების *Salmonella*, *klebsiella*, *E.coli* და *pseudomonas* მიმართ.

გამოყენების ჩვენებები:

ნფ 450 გამოიყენება, როგორც ანტიბაქტერიული საშუალება, ყველა სახის შინაურ ცხოველებში, სტაფილოკოკური ინფექციების, მიკოპლაზმოზის, კოქციდიოზის, საღმონელოზის, კოლიბაქტერიოზის, ბაქტერიული ეტიოლოგიის გასტროენტეროკოლიტის და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი მიკროორგანიზმების სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზები:

ფრინველი: 140-180 გ/1 ტონა საკვებში შერევით ან 70-100 გ/1 ტ სასმელ წყალში განზავებით. ეძლევა 3-5 დღის განმავლობაში.

შინაური ცხოველები: 10 გ/50 ლ სასმელ წყალში განზავებით 3-5 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი ეფექტები რომელიც გამოვლენილია „ნფ 450“ გამოყენებისას მინიმალურია. ზოგჯერ აღინიშნება ანორექსია სპაზმური ტკივილები და დიარეა.

უკუჩვენებები:

მომატებული მგრძობელობა ფურაზოლიდონისა და ნეომიცინის მიმართ.

განსაკუთრებული მითითებები:

დოზის მნიშვნელოვნად გადაჭარბებისას რეკომენდირებულია ნაწლავების გამორეცხვა. სხვა ამინოგლიკოზიდურ ანტიბიოტიკებთან (სტრეპტომიცინი, გენტამიცინი, სინომიცინი, კანამიცინი) ერთად ტოქსიკური მოქმედების შესაძლო გაძლიერების გამო.

დაყოვნების პერიოდი:

სასორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 7 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბოტეკსი, საქართველო.

გენტაპრიმი (Gentaprim)

Gentamicin sulphate, Sulfadimethoxine, Trimethoprim

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: გენტამიცინის სულფატს (20 მგ ფუძის ეკვივალენტი) 30 მგ, სულფადიმეთოქსინს 200 მგ, ტრიმეტოპრიმს 40 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ნატრიუმის მეთასულფიტი, ნიზაგინი, საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 10 მლ, 40 მლ, 100 მლ, 250 მლ ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის ფარმაკოლოგიური თვისებები განპირობებულია, მის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტების (ანტიბიოტიკი გენტამიცინისა და სულფანილამიდის ტრიმეტროპტიმთან კომბინაციით), ანტიმიკრობული მოქმედებით.

გენტამიცინი ანტიბიოტიკია ამინოგლიკოზიდების ჯგუფიდან, მოქმედების ფართო სპექტრით, ახასიათებს ბაქტერიციდული აქტიურობა გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების *Escherchia coli*, *Shigella spp*, *Salmonella spp.*, *Enterobacter spp.*, *Klebsiella spp.*, *Serratia spp.*, *Pseudomonas aeruginosa*, *Acinetobacter spp.*, *Staphylococcus spp* და *Streptococcus spp* ზოგიერთი შტამის მიმართ.

პრეპარატის მოქმედება გაძლიერებულია სულფადიმეთოქსინ - ტრიმეტოპრიმის ანტიბაქტერიული ნაერთით, რომელიც აქტიურია გრამუარყოფითი და გრამდადებითი კოკების მიმართ. შემთხვევები ბაქტერიების მდგრადობის პრეპარატისადმი ძალზედ იშვიათია.

გენტაპრიმი კარგად შეიწოვება ინექციის ადგილიდან და სწრაფად ნაწილდება ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილში. სამკურნალო პრეპარატის შეყვანიდან თერაპიული კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში მიიღწევა 0,5-1 სთ-ში. ორგანიზმიდან გამოიყოფა ძირითადად შარდთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხენის, ცხვრის, თხის, ძაღლის და კატას ინფექციური პროცესების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია გენტამიცინისა და სულფადიმეთოქსინ - ტრიმეტოპრიმის მიმართ მგრძობიარე მიკრობებით. მათ შორის ის გამოიყენება რესპირატორული ტრაქტისა და შარდსასქესო სისტემის ინფექციების, საშვილოსნოს ანთების, პიელიტის, პიელონეფრიტის, ცისტიტის, ურთერთიტის, პასტერელეზის, ახალგაზრდა ცხოველებში დიარეის და მასტიტის შემთხვევაში.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ღორი, ცხენი, ცხვარი, თხა, ძაღლი და კატა:

პრეპარატი შეჰყავთ კუნთში, დოზით 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე ყოველ 12-24 საათში, 3-5 დღის განმავლობაში.

უფრო მწვავე შემთხვევებში პრეპარატის მიღება შესაძლებელია 7 დღის განმავლობაში ან

უფრო ხანგრძლივი პერიოდით, როგორც ამას ვეტერინარი გადაწყვეტს. თირკმლის უკმარისობის შემთხვევაში, აუცილებელია დოზის შემცირება.

ჭარბი დოზირებისას არ დაფიქსირებულა ინტოქსიკაცია მოცემული პრეპარატით. დოზის გადაჭარბების შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს ტრადიციული ზომები და ჩატარდეს სიმპტომატური მკურნალობა.

გვერდითი მოვლენები:

ძირითადად გენტაპრიმს არ გააჩნია გვერდითი ჩვენებები, მაგრამ ინექციის ადგილზე შეიძლება გაჩნდეს ლოკალური რეაქციის ნიშნები.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:

მისი გამოყენება არ შეიძლება ოტოტოქსიურ და ნეფროტოქსიურ პრეპარატებთან ერთად. არ შეიძლება მისი კომბინაცია პარა-ამინო-ბენზოზოფაგას სულფონამიდებთან მისი ანტიბაქტერიული ეფექტის გამო.

უკუჩვენებები:

მედიკამენტი ფრთხილად ინიშნება თირკმლის უკმარისობის შემთხვევაში. მაკე ცხოველების შემთხვევაში უნდა შეფასდეს რისკი და სარგებელი, მიუხედავად იმისა, რომ სულფამიდებს არ ახასიათებთ ტოქსიკურობა მაკეობის დროს.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი: 30 დღე; რძე: 4 დღე.

იკრძალება მისი გამოყენება ადამიანებისთვის საკვებად, აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებითი დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად ან ხორცისა და ძვლის ფქვილის წარმოებაში.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ტრომექსინი (Tromexin)

Sulfamethoxypyridazine, Trimetoprim,

Tetracycline, Bromgeksine

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება მხოლოდ ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: სულფამეტოქსის პირიდაზინს 200 მგ, ტრიმეტოპრიმს 60 მგ, ტეტრაციკლინს (ქლორჰიდრატი) 110 მგ, ბრომჰექსინს 1.3 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ფენილბუტაზონი.

გამოშვების ფორმა: 500 გ, 1 კგ და 25 კგ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბაქტერიული საშუალება.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი - პასტერელოზი, რესპირატორული სისტემის დაავადება; ენტერიტი;

ცხერი, თხა - დიზენტერია, პნევმონია, ნეკროზული პოდოდერმატიტი;

ლორი - პნევმონია, გასტროენტერიტი, სეპტიცემია;

შინაური ფრინველი - ენტერიტი, გართულებული ქრონიკული რესპირატორული დაავადება, რინიტი;

ბოცვერი - რინიტი, პასტერელოზი, ენტერიტი.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება პერორალურად, წყალთან, რძესთან და საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა პირუტყვი, ლორი: პირველი დღე: 3 გ/30 კგ ც.წ-ზე, მომდევნო 2-3 დღის განმავლობაში: 2 გ/30 კგ ც.წ-ზე ან 1 კგ პრეპარატი 2000 ლ წყალში განზავებით ან 1000 კგ საკვებში შერევით.

ფრინველი და ბოცვერები: პირველი დღე: 2 გ/ლ წყალში განზავებით, მე-2 მე-3 დღე: 1 გ/ლ წყალთან ერთად. მძიმე შემთხვევებში შეიძლება დოზის გაორმაგება.

გვერდითი მოვლენები:

ცხოველებს, რომელთაც აქვთ თირკმლის უკმარისობა, შეიძლება განუვითარდეს წყლის შეკავება ორგანიზმში შემდგომი შეშუპებით.

უკუჩვენებები:

არ ეძლევა პრეპარატი ცხოველს, რომელიც პრეპარატის შემადგენლობაში შემავალ რომელიმე კომპონენტზე მგრძნობიარეა.

დაყვნების პერიოდი:

იზლუდება ხორცის საკვებად მიღება, პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან:

ფრინველი - 5 დღე.

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ლორი, ბოცვერი - 15 დღე.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 5 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანთი.

2. პარაზიტების სანიწალფლაგო საშუალებები

2.1. ფართო სპექტრის ანტიჰელმინთები (ნემატოდები, ტრემატოდები, ცესტოდები)

ალბენდაზოლი 10% (Albendazole 10%)

Albendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ალბენდაზოლს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ჰიდროქსიეთილცელულოზა; ნატრიუმის მეთილ ჰიდროქსიბენზოატი; ნატრიუმის პროპელ ჰიდროქსიბენზოატი; ნატრიუმის მეტაბისულფატი; ნატრიუმის ციტრატი; ლიმინმუჟავა პოლისორბატ 80; გლიცერინი.

გამოშვების ფორმა: 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი: ნემატოდებით, ცესტოდებით და ტრემატოდებით გამოწვეული კუჭ-ნაწლავის და ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევა წინასწარი მშვიერი დიეტის გარშე, ინდივიდუალურად, პერორალურად შემდეგი დოზებით:

- ჰემონქოზის, ოსტერტაგიოზის, ეზოფაგოსტომოზის, ტრიქოსტროგილიდოზის, კოოპერიოზის, ნემატოდინოზის, ქაბერტიოზის, დიქტიოკაულოზის, მონიეზიოზის სამკურნალოდ:

მსხვილფეხა პირუტყვი - 0,75 მლ/10 კგ ც.წ-ზე (7,5 მგ მოქმედი ნივთიერება 1კგ ც.წ-ზე);

წვრილფეხა პირუტყვი - 0,5 მლ/10 კგ ც.წ-ზე (5 მგ მოქმედი ნივთიერება 1 კგ ც.წ-ზე);

- ფასციოლოზის სამკურნალოდ:

მსხვილფეხა პირუტყვი - 1 მლ - 10 კგ ც.წ-ზე (10 მგ მოქმედი ნივთიერება 1 კგ ც.წ);

წვრილფეხა პირუტყვი - 0,75 მლ 10 კგ ც.წ-ზე (7,5 მგ მოქმედი ნივთიერება 1 კგ ც.წ);

- ცხვრისა და თხის დიქტიოკაულოზის სამკურნალოდ:

1,5 მლ/10 კგ ც.წ-ზე (15 მგ მოქმედი ნივთიერება 1 კგ ც.წ-ზე).

გამოყენების წინ პრეპარატი უნდა შეინჯღერეს.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

არ აღინიშნება.

განსაკუთრებული მითითებები:

მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში პრეპარატის გამოყენებისას არ უნდა გადავაჭარბოთ მაკეობის პირველი თვისათვის განსაზღვრულ დოზას.

დოზების გადაჭარბებისას ინტოქსიკაცია არ ვლინდება. ცხოველს შეიძლება განუვითარდეს ანორექსია, წონაში დაკლება, მოტორული კოორდინაციის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში უნდა შეწყდეს პრეპარატის მიცემა და ჩატარდეს სიმპტომური მკურნალობა.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 20 დღის შემდეგ, ხოლო რძე - 7 დღის (14 მონველა) შემდეგ.

აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებული იქნას ბენვიანი ნადირის საკვებად. რძე გამოიყენება თერმული გადამუშავების შემდეგ ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება დახურულ ჭურჭელში, მშრალ, გრილ, სინათლისა და ბავშვებისაგან დაცულ ადგილას 5-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ალბექსი 250 (Albeks 250)

Albendazole

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: ალბენდაზოლს 250 მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილი, პოლივინილპიროლიდონი, ლაქტოზა, საღებავი მწვანე, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: 100 ტაბლეტი კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალბენდაზოლის ანტიჰელმინთური მოქმედება დაფუძნებულია პარაზიტების ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ინტერფერენციაზე და კრებსის ციკლის ენზიმის - ფუმარატ რედუქტაზას შებოჭვაზე, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. ზოგ პარაზიტებში ალბენდაზოლი იწვევს ცილოვან ტუბულარული სინთეზის დათრგუნვას.

პრეპარატი მოქმედებს ჰელმინთებზე განვითარების ყველა სტადიაში, რაც ამცირებს სადგომების დაინვაზირებას.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი: ნემატოდებით, ცესტოდებით და ტრემატოდებით გამოწვეული კუჭ-ნაწლავის და ფილტვის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევათ პერორალურად, ერთჯერადად, წინასწარი მშვიდი დიეტის გარეშე, ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით, საკვებთან ერთად.

სხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა: კუჭ-ნაწლავის და ფილტვის ნემატოდები, ცესტოდები 1 ტაბლეტი 25 კგ ც.წ-ზე, ტრემატოდები - 1 ტაბლეტი 16 კგ ც.წ-ზე.

ლორი: კუჭ-ნაწლავის და ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბლეტი 20 კგ ც.წ-ზე.

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - 1 ტაბლეტი 30 კგ ც.წ-ზე, ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბლეტი 7,5 კგ ც.წ-ზე.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი მიეკუთვნება მცირეტოქსიკურ შენაერთს, გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს დოზის 3-ჯერადი გადიდების დროსაც კი.

უკუჩვენებები:

პრეპარატი არაა რეკომენდებული დაუძღვრებული ცხოველების სამკურნალოდ, მწვავე ფსაცვილოზის დროს და მაკეობის პირველ მესამედში.

დაყოვნების პერიოდი:

მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი გამოიყენება საკვებად პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 14 დღის შემდეგ, ღორისა და ფრინველის - 7 დღის შემდეგ, რძე - 2 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ ადგილას 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ალბექსი 400 (Albeks 400)

Albendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: ალბენდაზოლს 400 მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილი, პოლივინილპიროლიდონი, ლაქტოზა, საღებავი მწვანე, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: 100 ტაბლეტი პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალბენდაზოლის ანტიჰელმინთური მოქმედება განპირობებულია პარაზიტების ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე მოქმედ ფერმენტ რედუქტაზას – კრებსის ციკლის ენზიმის შებოჭვაზე, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. ზოგ პარაზიტებში ალბენდაზოლი იწვევს ტუბულარული ცილის სინთეზის დათრგუნვას. პრეპარატი მოქმედებს ჰელმინთების განვითარების ყველა სტადიაში.

ფარმაკოკინეტიკა:

ალბენდაზოლი პერორალურად მიღებისას კარგად შეიწოვება. დოზის დაახლოებით 47% 9 დღის განმავლობაში გამოიყოფა შარდთან ერთად მეტაბოლიტების სახით. პერორალური მიღების შემდეგ პირველადი შენაერთები პლაზმაში ან არ აღინიშნება, ან აღინიშნება მხოლოდ დროის მცირე პერიოდში, რის შედეგადაც ეფექტი ძალიან სწრაფად ვლინდება.

გამოყენების ჩვენებები:

ცხენის, მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორის, სხვა ცხოველების, ფრინველის დეჰელმინთიზაცია, მათ შორის:

ცხენი, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - სტრონგილატოზი.

ფილტვის ნემატოდები: დიქტიოკაულოზი. ცესტოდები - მონიეზიოზი.

ტრემატოდები: ფასციოლოზი, დიკროცელიოზი, პარამფისტომიდოზები.

ღორი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ეოზოფაგოსტომოზი.

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდიოზი, ჰეტერაკიდიოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევათ პერორალურად, ერთჯერადად, დიეტის გარეშე ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა პირუტყვი, ირემი, აქლემი, ველური მცოხნავეები:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები, ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბლ/4 0კგ ც.წ-ზე (10 მგ/კგ ც.წ-ზე), ცესტოდები 1 ტაბლ./55 კგ ც.წ-ზე (7.5 მგ/კგ ც.წ-ზე); ტრემატოდები - 1 ტაბლ /30 კგ ც.წ-ზე (15 მგ/კგ ც.წ-ზე).

ცხვარი, თხა: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები, ფილტვის ნემატოდები, ცესტოდები - 1 ტაბ/40 კგ ც.წ-ზე (10 მგ/კგ ც.წ-ზე);

ღორი: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები - 1 ტაბლ/25 კგ ც.წ-ზე (17 მგ/კგ ც.წ-ზე).

ხვა ცხოველები: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები, ცესტოდები – 1 ტაბლ/40 კგ ც.წ-ზე (10 მგ/კგ ც.წ-ზე).

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები - 1 ტაბლ/25 კგ ც.წ-ზე (17 მგ/კგ ც.წ-ზე); ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბლ/30 კგ ც.წ-ზე (15 მგ/კგ ც.წ-ზე).

გვერდითი მოვლენები:

ალბექსი ტოქსიკოლოგიური მაჩვენებლებით მიეკუთვნება მცირეტოქსიკურ შენაერთს. გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს დოზის 3-ჯერადი გადაიდების დროსაც კი.

უკუჩვენებები:

პრეპარატი არ გამოიყენება დაუძღვრებულ ცხოველებში, მწვავე ფასციოლოზის დროს და მაკეობის პირველ მესამედში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნაბადართულია დეჰელმინთიზაციიდან არაუადრეს 14 დღისა. რძე გამოიყენება 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო.

ალბექსი 600 (Albeks 600)

Albendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: ალბენდაზოლს 600 მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილი, პოლივინილპიროლიდონი, ლაქტოზა, საღებავი მწვანე, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: № 50 და № 300 ტაბლეტი პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაცოლოგიური თვისებები:

ალბენდაზოლის ანტიჰელმინთური მოქმედება განპირობებულია პარაზიტების ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე მოქმედ ფუმარატ რედუქტაზას - კრებსის ციკლის ენზიმის შებოჭვაზე, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. ზოგ პარაზიტებში ალბენდაზოლი იწვევს ტუბულარული ცილის სინთეზის დათრგუნვას. პრეპარატი მოქმედებს ჰელმინთების განვითარების ყველა სტადიაზე.

ფარმაცოკინეტიკა: ალბენდაზოლი პერორალური შეყვანისას კარგად შეიწოვება. დოზის დაახლოებით 47% 9 დღის განმავლობაში გამოიყოფა შარდთან ერთად მეტაბოლიტების სახით. პერორალური მიღების შემდეგ პირველადი შენაერთები პლაზმაში ან არ აღინიშნება, ან აღინიშნება მხოლოდ დროის მცირე პერიოდში, რის შედეგადაც ეფექტი ძალიან სწრაფად ვლინდება.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი:

კუჭნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - სტრონგილატოზი.

ფილტვის ნემატოდები: დიქტიოკაულოზი.

ცესტოდები - მონიეზიოზი.

ტრემატოდები: ფასციოლოზი, დიკროცელიოზი, პარამფისტომიდოზები.

ლორი: კუჭნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი.

ფრინველი: კუჭნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ჰეტერაკიდოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევა პერორალურად, ერთჯერადად, დიეტის გარეშე ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით საკვებთან ერთად.

მსვილფეხა პირუტყვი, ირემი, აქლემი, ველური მცოხნავეები - კუჭნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე (10 მგ/კგ ც.წ.); ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე; ცესტოდები - 1 ტაბ./66 კგ ც.წ-ზე; ტრემატოდები - 1 ტაბ./40 კგ ც.წ-ზე.

თხა, ცხვარი - კუჭნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე; ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე; ცესტოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე; ტრემატოდები - 1 ტაბ./40 კგ ც.წ-ზე.

ლორი - კუჭნაწლავის ნემატოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე; ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბ./60 კგ ც.წ-ზე.

ფრინველი - კუჭნაწლავის ნემატოდები - 1 ტაბ./35 კგ ც.წ-ზე (17 მგ/კგ ც.წ-ზე), ფილტვის ნემატოდები - 1 ტაბ./18 კგ ც.წ-ზე (33 მგ/კგ ც.წ-ზე).

გვერდითი მოვლენები:

ალბექსი ტოქსიკოლოგიური მაჩვენებლებით მიეკუთვნება მცირეტოქსიურ შენაერთს. გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს დოზის 3-ჯერადი გადიდების დროსაც კი.

უკუჩვენებები:

პრეპარატი არ გამოიყენება დაუძღვრებულ ცხოველებში, მწვავე ფასციოლოზის დროს და მაკეობის პირველ მესამედში.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია დეჰელმინთიზაციიდან არაუადრეს 14 დღისა. რძე გამოიყენება 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ, გრილ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ალბექსი 3000 (Albeks 3000)

Albendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ბოლუსი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ბოლუსი შეიცავს: ალბენდაზოლს 3000 მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილი, ლაქტოზა, საღებავი მწვანე, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: 60 ბოლუსი პოლიეთილენის კონტეინერში; №4 ბოლუსი ბლისტერზე, №5 ბლისტერი მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალბენდაზოლის ანტიჰელმინთური მოქმედება განპირობებულია პარაზიტების ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე მოქმედ ფუმარატ რედუქტაზას – კრებსის ციკლის ენზიმის შეზღუდვაზე, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. ზოგ პარაზიტებში ალბენდაზოლი იწვევს ტუბულარული ცილის სინთეზის დათრგუნვას. პრეპარატი მოქმედებს ჰელმინთების განვითარების ყველა სტადიაში.

ფარმაკოკინეტიკა:

ალბენდაზოლი პერორალური შეყვანისას კარგად შეიწოვება. დოზის დაახლოებით 47% ცხრა დღის განმავლობაში გამოიყოფა შარდთან ერთად მეტაბოლიტების სახით. პერორალური მიღების შემდეგ პირველადი შენაერთები პლაზმაში ან არ აღინიშნება, ან აღინიშნება მხოლოდ დროის მცირე პერიოდში, რის შედეგადაც ეფექტი ძალიან სწრაფად ვლინდება.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორის, ცხენის, ბენვიანი ნადირის, ფრინველის დეჰელმინტიზაციისთვის, მათ შორის:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჰელმინთოზები (ბუნოსტომოზი, ჰემონქოზი, კოოპერიოზი, ნემატოდიროზი, ოსტერტაგიოზი, სტრონგილატოზი, ტრიქოსტრონგილიდოზი, ქაბერტიოზი, ეზოფაგოსტომოზი, ასკარიდოზი, ტრიქოცეფალოზი, ტოქსოკაროზი, ტოქსასკარიდოზი, ანკილოსტომოზი, უნცინარიოზი, ასკარიდოზი, ჰეტერაკიდოზი);

(ცესტოდოზები (ავიტელინოზი, მონიეზიოზი, თიზანიეზიოზი).

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევა პერორალურად, ერთჯერადად, წინასწარი მშვიდი დიეტის გარეშე, ინდივიდუალურად ან ჯგუფური წესით საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა: კუჭ-ნაწლავის და ფილტვის ნემატოდები - 1 ბოლუსი/300 კგ ც.წ-ზე; ცესტოდები - 1 ბოლუსი/400 კგ ც.წ-ზე; ტრემატოდები - 1 ბოლუსი/200 კგ ც.წ-ზე.

ღორი: კუჭ-ნაწლავის და ფილტვის ნემატოდები - 1 ბოლუსი 300 კგ ც.წ-ზე.

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ნემატოდები - 1 ბოლუსი 180 კგ ც.წ-ზე; ფილტვის ნემატოდები - 1 ბოლუსი 90 კგ ც.წ-ზე.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი მიეკუთვნება მცირეტოქსიურ შენაერთებს. გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს დოზის 3-ჯერადი გადიდების დროსაც კი.

უკუჩვენებები:

პრეპარატი არაა რეკომენდებული დაუძლურებული ცხოველების სამკურნალოდ, მწვავე

ფასციოლოზის დროს და მკეობის პირველ მესამედში.

დაყოვნების პერიოდი:

მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის გამოყენების შეწყვეტიდან 14 დღის შემდეგ, ღორის და ფრინველის - 7 დღის შემდეგ, რძე - 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება სინათლისაგან დაცულ, გრილ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო.

ალბაქსი 20% - ანი გრანული (Albeks 20% Granulatum)

Albendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები გრანული, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ შეიცავს: ალბენდაზოლს 200 მგ.

დამხმარე ნივთიერება: კარტოფილის სახამებელი, პოლიეთილენგლიკოლი 6000, ლაქტოზა, მწვანე საღებავი.

გამოშვების ფორმა: 250 გ, 500 გ და 1000 გ პერორალური ფხვნილი პოლიპროპილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გააჩნია გამოხატული ანტიჰელმინთური მოქმედება ნემატოდების (როგორც სქესმნიფე, ისე უმნიფარი ფორმების), ცესტოდებისა და ტრემატოდების (მხოლოდ სქესმნიფე) წინააღმდეგ. მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს ჰელმინთების ნახშირწყლების ცვლისა და მიკროტუბულარული ფუნქციის დარღვევაში, რაც იწვევს ჰელმინთების სიკვდილს.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრების, თხების, ცხენების, ღორების, გარეული მცოხნავი ცხოველებისა და ფრინველების დეჰელმინთიზაციისათვის შემდეგი ჰელმინთოზების დროს: ჰემონქოზი, ტრიქოსტრონგილიდოზი, ბუნოსტომოზი, სტრონგილატოზი, ნემატოდოროზი, ქაბერტიოზი, ეზოფაგოსტომოზი, ასკარიდოზი, კოოპერიოზი, დიქტიოკაულოზი, მიულერიოზი, ცისტოკაულოზი, მეტასტრონგილოზი, მონიეზიოზი, ფასციოლოზი.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევა პერორალურად ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით, ერთჯერადად, საკვებთან ერთად, წინასწარი შიმშილის გარეშე.

მსხვილფეხა პირუტყვი და გარეული მცოხნავები: ძირითადი დოზა 3,75 გ-100 კგ ც.წ-ზე, ფასციოლოზის, პარამფისტომიოდოზის, ოსტერტაგიოზის სადეჰელმინთიზაციოდ 5 გ-100 კგ ცოცხალ წონაზე.

ცხვარი და თხა - ძირითადი დოზა 2,5 გ/100 კგ ც.წ-ზე, ფასციოლოზის, დიკროცელიოზის პროტოსტრონგილოზის დროს 3,75 გ/100 კგ ც.წ-ზე.

ლორი - 5 გ-100 კგ ც.წ-ზე.

შინაური ფრინველები - 0,5 გ/10 კგ ც.წ-ზე, 2 დღე.

ცხოველების ჯგუფურად დამუშავების დროს სამკურნალოდ გაანგარიშებულ დოზას შეურევენ კონცენტრირებულ საკვებს (ერთ ცხოველზე საკვების გაანგარიშებით):

ცხენი და მსხვილფეხა პირუტყვი - 0,5 გ/კგ ც.წ-ზე;

ცხვარი, თხა და ღორი - 150-200 გ;

ფრინველი - 50 გ მიღებული სამკურნალო ნარევი ეძლევა ჯგუფურად, საკვებურთა თავისუფალი მიდგომით.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი ნაკლებტოქსიკურია, თერაპიულ დოზებში არ ახდენს გვერდით მოქმედებას. აქვს ემბრიოტოქსიკური და ტერატოგენული მოქმედება.

უკუჩვენებები:

პრეპარატის გამოყენება არ შეიძლება: მწვავე ფასციოლოზის დროს; დაგრილების პერიოდში; მდებარეობს მკაცობის პირველ მესამედში; დაუძღურებულ ცხოველებში.

დაყვნების პერიოდი:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხის დაკვლა სახორცედ ნებადართულია დეჰელმინტიზაციიდან 14 დღის შემდეგ, ცხენის, ღორისა და ფრინველის - 7 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ფენბექსი 250 (Fenbex 250)

Fenbendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: ფენბენდაზოლს 250 მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილის, ლაქტოზა, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: №100 ტაბლეტი პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფენბენდაზოლი იწვევს კუჭნაწლავის ტრაქტის და ფილტვების ნემატოდების, ასევე ცეს-

ტოდების და ზოგიერთი ტრემატოდების ზრდასრული ფორმების, მატლების და კვერცხების სიკვდილს. პერორალურად მიცემული პრეპარატი ზრდასრულ ჰელმინთებში იწვევს ენერგეტიკული ცვლის დარღვევას და ახასიათებს ნეიროტოქსიკური მოქმედება, ამასთანავე აღინიშნება ჰელმინთის ნაწლავის უჯრედების მიკროარხების რღვევა, რის შემდეგაც ჰელმინთი კვდება. ფენბექსი ანადგურებს ჰელმინთებს განვითარების ყველა სტადიაზე. მაღალი ეფექტურობის და მოქმედების ფართო სპექტრის გარდა, ფენბექსი ხასიათდება დაბალი ტოქსიკურობით. მაგალითად, დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებისას, ცხვრებში არ აღინიშნება გვერდითი ეფექტები. ეს საშუალებას იძლევა დეჰელმინთიზაცია ჩატარდეს მძიმედ დაავადებულ და დასუსტებულ ცხოველებში.

გამოყენების ჩვენებები:

- მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხის მონიეზიოზი, დიქტიოკაულოზი, ეზოფაგოსტომოზი, ნემატოდოროზი, ოსტერტაგიოზი, ქაბერტიოზი, კოოპერიოზი, სტრონგილატოზი;
- ლორის ასკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი, სტრონგილატოზი, ტრიქოცეფალოზი, მეტასტონგილოზი;
- ცხენის პარასკარიდოზი, სტრონგილატოზი;
- ქათმის ასკარიდოზი;
- ძაღლისა და კატის ტოქსოკაროზი.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა, ცხენი, ვირი, ჯორი, ღორი - კუჭნაწლავის და ფილტვის ნემატოდები, ცესტოდები - 1 ტაბ/25 კგ ც.წ-ზე; დიკროცელიოზი - 1 ტაბ/12,5 კგ ც.წ-ზე. ფრინველი - 1 ტაბ/7,5 კგ ც.წ-ზე; ძაღლი, კატა - 1 ტაბ/5 კგ ც.წ-ზე.

გვერდითი მოვლენები:

ფენბექსი ხასიათდება მაღალი გადამტანობით. დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებისას, ცხვრებში არ აღინიშნება გვერდითი ეფექტები. საშუალებას იძლევა დეჰელმინთიზაცია ჩატარდეს მძიმე დაავადებულ და დასუსტებულ ცხოველებში.

უკუჩვენებები:

უკუჩვენება არ არის დადგენილი.

დაყოვნების პერიოდი:

მკურნალობა უსაფრთხოა მაკე ცხოველებისათვის, მაკეობის ნებისმიერ სტადიაში.

ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა შეიძლება დეჰელმინთიზაციიდან 14 დღის შემდეგ. რძე - 4 დღის შემდეგ.

აღნიშნულ ვადაზე ადრე ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებული იქნას ხორცის მჭამელი ცხოველების საკვებად ან ხორცისა და ძვლის წარმოებაში.

დეჰელმინთიზაციიდან 3 დღის განმავლობაში აკრძალულია რძის საკვებად გამოყენება. ასეთი რძის გამოყენება შეიძლება ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ფენბაძსი 500 (Fenbex 500)

Fenbendazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ერთი ტაბლეტი შეიცავს: ფენბენდაზოლს 500 მგ.

დამხმარე ნივთიერება: სახამებელი კარტოფილის, ლაქტოზა, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: №50 და №300 ტაბლეტი ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიჰელმინთური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფენბენდაზოლი იწვევს კუჭნაწლავის ტრაქტის და ფილტვების ნემატოდების, ასევე ცესტოდების და ზოგიერთი ტრემატოდების ზრდასრული ფორმების, მატლების და კვერცხების სიკვდილს. პერორალურად მიცემული პრეპარატი ზრდასრულ ჰელმინთებში იწვევს ენერგეტიკული ცვლის დარღვევას და ახასიათებს ნეიროტოქსიკური მოქმედება, ამასთანავე აღინიშნება ჰელმინთის ნაწლავის უჯრედების მიკროარხების რღვევა, რის შემდეგაც ჰელმინთი კვდება. ფენბექსი ანადგურებს ჰელმინთებს განვითარების ყველა სტადიაზე. მაღალი ეფექტურობის და მოქმედების ფართო სპექტრის გარდა, ფენბექსი ხასიათდება დაბალი ტოქსიკურობით, მაგალითად, დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებისას, ცხვრებში არ აღინიშნება გვერდითი ეფექტები. ეს საშუალებას იძლევა დეჰელმინტიზაცია ჩატარდეს მძიმედ დაავადებულ და დასუსტებულ ცხოველებში.

გამოყენების ჩვენებები:

- მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხის მონიეზიოზი, დიქტიოკაულოზი, ეზოფაგოსტომოზი, ნემატოდიროზი, ოსტერტაგიოზი, ქაბერტიოზი, კოოპერიოზი, სტრონგილატოზი;
- ღორის ასკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი, სტონგილატოზი, ტრიქოცეფალოზი, მეტასტონგილოზი;
- ცხენის პარასკარიოზი, სტრონგილატოზი;
- ქათმის ასკარიდოზი;
- ძაღლისა და კატის ტოქსოკაროზი.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ეძლევა ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით, საკვებთან ერთად, პერორალურად ერთჯერადად.

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა, ცხენი, ვირი, ჯორი, ღორი - კუჭნაწლავის და ფილტვის ნემატოდები, ცესტოდები - 1 ტაბლ/50 კგ ც.წ-ზე; დიკოცელიოზი - 1 ტაბლ/25კგ ც.წ-ზე.

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი - დიკროცელიოზის და ტრიქოცეფალოზის, ასევე ღორის - ტრიქოცეფალოზის დროს ეძლევა - 1 ტაბლ/30 კგ ც.ნ.-ზე (33 მგ/კგ ც.ნ.) ერთჯერადად.

ცხენის სამკურნალოდ პრეპარატი გამოიყენება ყოველდღიურად 3 დღის განმავლობაში.

ფრინველი - 1 ტაბლ/15 კგ ც.ნ.-ზე.

ძაღლი, კატა - 1 ტაბლ/10 კგ ც.ნ.-ზე.

დაყოვნების პერიოდი:

ივერმექტინის შემადგენლობაში შედის 22.23 დიჰიდროავერმექტინის B1a(H2B1a) 80% და 22.23 დიჰიდროავერმექტინის B1b(H2B1b) პროცენტები. ივერმექტინი აძლიერებს გამაამინოერბომუჟავას გამოყოფას, რის შედეგადაც ხდება ნერვული იმპულსების გატარების დარღვევა, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. მისი მოქმედების სპექტრი საკმაოდ ფართოა. ძალიან მცირე დოზით მიღების შემთხვევაშიც კი ავლენს ეფექტურობას. მიღების შემდეგ პრეპარატი აღწევს მთელს ორგანიზმში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ნაწილდება ღვიძლსა და ცხიმოვან ქსოვილებში. ორგანიზმიდან გამოიყოფა ნაღველით, რძით და ნაწილობრივ შარდით.

გამოყენების ჩვენებები:

ვილმექტინ F ფართო სპექტრის ენდო და ექტოპარაზიტული ეფექტის მქონე პრეპარატია. იგი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის ენდო და ექტო პარაზიტებისაგან თავდაცვისა და მკურნალობის მიზნით.

მსხვილფეხა პირუტყვი:

ტრემატოდები: *Fasciola Hepatica* (მატლობის ფორმაში), *F. Gigantica* (მატლობის ფორმაში).

კუჭ-ნაწლავის ჭიები: *Ostertagia spp.*, *Haemonchus placei*, *Trichostrongylus spp.*, *Cooperia spp.*, *Oesophagostomum radiatum*, *Nematodirus spp.*, *Strongylodes papillosus.*, *Chabertia ps.*, *Bunostomum phlebotomum*. ფილტვის ჭიები: *Dictycaulus viviparous*. გარე პარაზიტები: *Hypoderma bovis*, *Hypoderma lineatum larva*, ტკიპები, ქეცის გამომწვევები და ტილები.

გამოყენების წესი და დოზირება:

პრეპარატი შეჰყავთ მხოლოდ კანქვეშ.

თუ ვეტერინარის მიერ სხვა ფორმით არ არის დანიშნული, მაშინ ივერმექტინის დოზა შეადგენს 1 მლ (0.2 მგ/კგ) 50 კგ ც.წ-ზე.

კლორსულონი: 1 მლ (2 მგ/კგ) 50 კგ ც.წ-ზე.

მსხვილფეხა პირუტყვი:

სხეულის წონა	დოზა
50 კგ	1 მლ
100 კგ	2 მლ
150 კგ	3 მლ
200 კგ	4 მლ
250 კგ	5 მლ
300 კგ	6 მლ
400 კგ	8 მლ
500 კგ	10 მლ

თუ დოზა 10 მლ-ზე მეტია, მაშინ ინექცია უნდა გაკეთდეს ორ სხვადასხვა ადგილას.

გვერდითი მოვლენები:

იშვიათად შემთხვევაში შეინიშნება გარდამავალი სახის შესიება და ქავილი ინექციის

არეში.

თერაპიული დოზის მიღებისას არ არის გამოვლენილი გვერდითი მოვლენები.

ჭარბი დოზის შემთხვევაში ტარდება სიმპტომატური თერაპია.

პრეპარატი შესაძლოა გამოყენებული იქნას გამა-ამინო-ერბო-მუავას ანტაგონისტ პრეპარატებთან, როგორც არის პიკროტოქსინი, პენტილენეტეტრაზოლი, ფიზოსტიგმინი.

დაყოვნების პერიოდი:

პირუტყვი არ უნდა დაიკლას საკვებად მოხმარების მიზნით მკურნალობის პერიოდში და პრეპარატის ბოლო მიღებიდან 35 დღის განმავლობაში.

არ არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება ლაქტაციის პერიოდში.

განსაკუთრებული მითითებები:

არასასურველი ეფექტის შემთხვევაში და პრეპარატის გამოყენებამდე მიმართეთ ვეტერინარს.

პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. შეეცადეთ არ შეეხოთ პრეპარატს და მოხმარებისთანავე დაიბანეთ ხელები.

უკუჩვენებები:

კოლის ჯიშის ძაღლებსა და ცხენებს აღენიშნებათ მომეტებული მგრძობელობა პრეპარატის მიმართ. არ გამოიყენება პრეპარატი ცხოველის მაკობიდან 60 დღემდე, მოგებამდე 28 დღე.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას 15-25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

26. კოქციდიოციდები

ბიოპლაცინი (Biococ)

Toltrazuril

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ტოლტრაზურილს 25 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: პოლიეთილენგლიკოლი 400, პროპილენგლიკოლი.

გამოშვების ფორმა: 1 მლ მინის ამპულებში, 100 მლ და 1 ლ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული საშუალება, ანტიკოქციდიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

აქტიურია კოქციდიების მიმართ (*Eimeria acervulina*, *Eimeria brunette*, *Eimeria necatrix*, *Eimeria mitis*, *Eimeria adenoids*, *Eimeria meleagrimitis*, *Eimeria anceris*, *Eimeria truncata*), მათ შორის მდგრადი სხვა ანტიკოქციდიური პრეპარატების მიმართ. ბიოკოკცი თბილისისხლიანი ცხოველებისთვის ზომიერად ტოქსიურია. რეკომენდებულ და 10-ჯერ გაზრდილ დოზებში მიღებისას არ იწვევს ფრინველებში გვერდით მოვლენებსა და გართულებებს, არ აბრკოლებს კოქციდიოზის საწინააღმდეგო იმუნიტეტის ფორმირებას.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება პროილერის, საჯიშე ფრინველის, ინდაურის, ბატისა და იხვის კოქციდიოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ბიოკოკცი ეძლევა წყალთან ერთად, 7 მგ/კგ. ც.-ზე (28 მლ 2.5% ბიოკოკცის ხსნარი 100 კგ ც.-ზე), 2 დღის განმავლობაში. რაც ექვივალენტურია 1 მლ/ლ წყალზე, რომელიც ფრინველს ეძლევა დასალევად 24 სთ-ის, ან 3 მლ/ლ წყალზე, 8 სთ-ის განმავლობაში, 2 დღე ზედიზედ. დაავადების მძიმე ფორმის მიმდინარეობისას მკურნალობის კურსი მეორდება 5 დღის შემდეგ.

ბიოკოკცის სამკურნალო ხსნარი აქტივობას ინარჩუნებს 48 სთ-ის განმავლობაში. პრეპარატი ხმარების წინ უნდა შეინჯღრეს.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენება კვერცხმდებელ ქათმებში.

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატი თავსებადია საკვებდანამატებთან, ვიტამინებთან და ფრინველის სამკურნალო სხვა საშუალებებთან. ბიოკოკცთან მუშაობისას დაცული უნდა იქნას პირადი ჰიგიენის და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები. პრეპარატი კანზე ან ლორწოვან გარსზე მოხვედრისას უნდა ჩამოირეცხოს წყლის ქავლით.

დაყონების პერიოდი:

ფრინველის სახორცედ დაკვლა შეიძლება პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 8 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე ფრინველის იძულებით დაკვლის შემთხვევისას ხორცის გამოყენება დასაშვებია ძვლისა და ხორცის ფქვილის დასამზადებლად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, პრეპარატი უნდა ინახებოდეს მჭიდროდ დახურული ქარხნული შეფუთვით არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

პლურიკოქცინი (Pluriccocin)

Sulfaquinoxaline, Pyrimethamine

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: სულფაქუინოქსალინს 75 მგ, პირიმეტამინს 22,5 მგ და შემავსებელი 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 1 ლ და 5 ლ პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული საშუალება, ანტიკოქციდიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ეფექტურად მოქმედებს ყველა სახის უმარტივესების მიმართ: *Eimeria tenella*, *Eimeria necatrix*, *Eimeria brunetti*, *Eimeria maxima*, *Eimeria mitis*, *Eimeria praecox*, *Eimeria hagani*, *Eimeria mivati*, *Eimeria acervulina* და სხვა.

გამოყენების ჩვენებები:

ქათამი: წვრილი და ბრმა ნაწლავის კოქციდიოზი გამონვეული *Eimeria tenella*, *Eimeria necatrix*, *Eimeria brunetti*, *Eimeria maxima*, *Eimeria mitis*, *Eimeria praecox*, *Eimeria hagani*, *Eimeria mivati*, *Eimeria acervulina*.

ინდაური: კოქციდიოზით გამონვეული *Eimeria meleagridis*, *Eimeria gallopavonis*.

ბოცვერი: ნაწლავების კოქციდიოზი გამონვეული *Eimeria perforans*, *Eimeria magna*, *Eimeria irrisidua*, ლეიდილის კოქციდიოზი გამონვეული *Eimeria stiedae*.

ბზო, ბატკანი: კოქციდიოზი გამონვეული *Eimeria bovis*, *Eimeria zuemii*.

ლორი: კოქციდიოზით გამონვეული *Isospora suis*, *Eimeria Spp*.

გამოყენების წესი და დოზირება:

ქათამი, ინდაური და ბოცვერი: პერორალურად 0,66 - 1 ლ პლურიკოქცინი - 1000 ლ წყალზე, მკურნალობის კურსი 3 დღე. გამეორება იგივე დოზით ისევ 3 დღე.

ბზო, ბატკანი და ლორი: პერორალურად, 0,66 - 1 ლ პლურიკოქცინი - 10 კგ საკვებში ან 1 ლ/1000 ლ წყალზე. მკურნალობის კურსი 5 დღე.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი 21 დღე. რძე არ გამოიყენება.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას 15-25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ესპაკოქცი 2,5% (Espacox)

Toltrazuril

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ტოლტრაზურილს 25 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ტროლამინი, პროპილენგლიკოლი, ბენზილის სპირიტი, პროპილენგლიკოლი 400.

გამოშვების ფორმა: 1 ლ პლასტიკურ ფლაკონში.

ფარმაკოთარაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ანტიკოქციდიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ესპაკოქცი 2,5% ანტიკოქციდიური საშუალებაა ტრიაზინტრონის ჯგუფიდან, ახასიათებს ფართო სპექტრის კოქციდიოციდური მოქმედება, კოქციდიების (ეიმერიების) უჯრედშიდა განვითარების (გამეტოგონია და შიზოგონია) ყველა სტადიაზე. ეფექტურად მოქმედებს *E. acervulina*, *E. brunetti*, *E. necatrix*, *E. tenella*, *E. mitis*, *E. paecox*, *E. adenoides*, *E. meleagridis*, *E. anceris*, *E. truncata*, მიმართ.

რესპირატორული ფერმენტების ბლოკირებით ტოლტრაზურილი ახდენს ზეგავლენას მიტოქონდრიებისა და კოქციდიის ბირთვის გაყოფაზე მაკროგამეტოციდების ფორმირების პროცესის დარღვევით.

პრეპარატი ნელა შეინოვება კუჭნაწლავის ტრაქტიდან და ავლენს კოქციდიოციდურ მოქმედებას ლორწოვან გარსზე. ორგანიზმში მეტაბოლიზდება სულფოდაჟანგვისა და ჰიდროქსილირებით, შუალედური პროდუქტის სულფოქსიდისა და სულფონის წარმოქმნით. ტოლტრაზურილი ორგანიზმიდან ძირითადად გამოიყოფა უცვლელი სახით (70%), ასევე მეტაბოლიტების სახით ფეკალთან ერთად.

ესპაკოქცი 2,5% ორგანიზმზე მოქმედების ხარისხის მიხედვით ეკუთვნის ნაკლებტოქსიკურ ნივთიერებებს (მე-4 კლასი საშიშროების).

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ქათმის, ბატის, იხვის და ინდაურის კოქციდიოზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის.

მაქსიმალური პროფილაქტიკური ეფექტის მისაღწევად და იმისათვის რომ შემცირდეს ოოციტების გარემოში გამოყოფა, კოქციდიოზის მიმართ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში პრეპარატი უნდა დაენიშნოს ფრინველს პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე.

გამოყენების წესი და დოზირება:

პრეპარატი გამოიყენება სასმელ წყალთან ერთად, სადღეღამისო დოზით: 7 მგ ტოლტრაზურილი ფრინველის 1 კგ. ც.წ-ზე (28 მლ პრეპარატი, 100 კგ ც.წ-ზე), რაც ექვივალენტურია 1 მლ/ლ წყალზე, 48 სთ-ის განმავლობაში ან 3 მლ/ლ წყალზე, 8 სთ-ის განმავლობაში, 2 დღე ზედიზედ. დაავადების მძიმე ფორმის მიმდინარეობისას მკურნალობის კურსი მეორდება 5 დღის შემდეგ.

ესპაკოქცი 2,5%-ის სამკურნალო ხსნარი აქტივობას ინარჩუნებს 48 სთ-ის განმავლობაში.

პრეპარატი ხმარების წინ უნდა შეინჯღერეს.

პრეპარატი თავსებადია საკვებდანამატებთან, ვიტამინებთან და ფრინველის სამკურნალო სხვა საშუალებებთან ერთად.

უკუჩვენებები:

ინდივიდუალური მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

იკრძალება პრეპარატის გამოყენება კვერცხმდებელი დედლებისთვის, კვერცხებში პრეპარატის დაგროვების გამო.

გვერდითი მოვლენები:

ინსტრუქციის მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებით გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

განსაკუთრებული მითითებები:

- ანეული ინდივიდუალური მგრძნობელობისა და ალერგიული რეაქციის გამოვლენისას ცხოველებს ენიშნება ანტიჰისტამინური საშუალებები და სიმპტომატური მკურნალობა.

- არ შეიძლება მისი გამოყენება სხვა კოქციდიოციდური პრეპარატებთან ერთად.

- პრეპარატის გამოყენებისას დაცული უნდა იქნას პირადი ჰიგიენის და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები. პრეპარატის სახეზე, ხელეზე, კანზე ან ლორწოვან გარსზე მოხვედრისას უნდა ჩამოიბანოთ დიდი რაოდენობის გამძინარე წყლით.

დაყოვნების პერიოდი:

სახორცედ დაკვლა დასაშვებია პრეპარატის მიღებიდან ბროილერის წინილების 14 დღის, ინდაურის, იხვის, ბატის 16 დღის შემდეგ.

აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ფრინველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბენზიანი ნადირის საკვებად.

შენახვის პირობები და ვადები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 0°C -დან 25°C-მდე ტემპერატურაზე. შეინახეთ ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 5 წელი.

შეფუთვის გახსნიდან ინარჩუნებს ვარგისიანობას 3 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

27. კოქციდიოსტატიკები

ამპროვილი (Amprovil)

Amprolium

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ამპროლიუმის ჰიდროქლორიდს 200 მგ.

გამოშვების ფორმა: 100 მლ, 500 მლ ფლაკონში და 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული საშუალება, ანტიკოქციდიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი კარგად მოქმედებს უმარტივესებზე: *E. tenella*, *E. necatrix*, *E. acervulina*, *E. maxima*, *E. brunette*, *E. adenoides*, *E. meleagridis*, *E. Dispersa*.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება მსხვილი და ბრმა ნაწლავის კოქციდიოზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, რომელიც გამოწვეულია *E. tenella*, *E. necatrix*, *E. acervulina*, *E. maxima*, *E. brunette*-თი ქათმებში და *E. adenoides*, *E. meleagridis*, *E. dispersa*-თი ინდაურებში.

გამოყენების წესი და დოზები:

ფარმაკოლოგიური დოზა: ფრინველებისთვის 40 მგ/კგ ც.წ-ზე.

პრაქტიკული დოზა: სამკურნალოდ 60 მლ ამპროვილი იხსნება 50 ლ სასმელ წყალში და ეძლევა 7 დღის განმავლობაში ამ დოზის ნახევარი უნდა გაგრძელდეს შემდეგი 7 დღე.

დიდი ჯგუფის დამუშავებისას 300 მლ/ტ სასმელ წყალზე.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ, სინათლისგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

ციკოსტატი (Cycostat)

Robenidime hydrochloride 6,6 %.

წამლის ფორმა:

გრანულირებული ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ შეიცავს: რობენიდინს 66 მგ.

გამოშვების ფორმა: 0,5 გ და 20 კგ შეფუთვით.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული საშუალება, ანტიკოქციდიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი მოქმედებს კოქციდიების განვითარების ყველა სტადიაზე. შლის პარაზიტის უჯრედებს, რაც იწვევს მის სიკვდილს.

გამოყენების ჩვენებები:

რობენიდინი 6,6%-ანი ერთ-ერთი ძლიერი ანტიკოქციდიური პრეპარატია, რომელიც გამოიყენება ბროილერის, ინდაურის, კურდღლის კოქციდიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ფრინველში: 500 გ/ტ.

კურდღელში: 750-1000 გ/ტ.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენება ფრინველის კრუხობის პერიოდში. ასევე არ შეიძლება გამოყენება სხვა კოქციდიოსტატიკებთან ერთად.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი 5 დღე.

შენახვის პირობები:

ინახება ოთახის ტემპერატურაზე, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Xoffmann-la Rosh, შვეიცარია.

ალკვერნატ ზიკოქცი (Alquernat Zycox)

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ნივრის ექსტრაქტი (*Allium sativum*), არტიშოკის ექსტრაქტი (*Cynara scolymus*), თავშავას ექსტრაქტი (*Origanum vulgare*).

გამოშვების ფორმა: 5 და 25კგ-იან ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ფუნქციები: ბიოლოგიურად აქტიური დანამატი (პრონუტრიენტი).

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალკვერნატ ზიკოქცი მცენარეული პროდუქტია, შეიცავს მაღალი შემცველობით ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს (ნივრის, არტიშოკის და თავშავას ექსტრაქტებს), საკვებთან ერთად მოქმედებს ცხოველის ნაწლავის ლორწოვან გარსზე და ეწინააღმდეგება ნაწლავისა და ბრმა ნაწლავის კოქციდიის შიდა ეპითელურ ინვაზიას. მისი მოქმედების მექანიზმი ემყარება კოქციდიის უჯრედშიდა ინვაზიის თავიდან აცილებას პარაზიტის რეპროდუქციული ციკლის პირველ ეტაპზე. მას აგრეთვე არაპირდაპირი გავლენა აქვს იმუნურ სისტემაზე.

ალკვერნატ ზიკოქცი არის ქიმიური კოქციდიოსტატიკების საუკეთესო ალტერნატივა.

გამოყენების ჩვენებები:

ალკვერნატ ზიკოქცი არის ბუნებრივი საშუალება, მისი გამოყენებით:

- მცირდება სიკვდილიანობა და მიღწეულია უკეთესი ეფექტურობის ინდექსი;
- მცირდება ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანება;
- საკვების კონვერსიის უკეთესი მაჩვენებელი აქვს;
- კვერცხმდებელი ფრინველისთვის უმჯობესდება კვერცხის დების მაჩვენებელი, კვერცხის წონა;

არ გააჩნია ტოქსიკური ეფექტი, არ აღინიშნება ურთიერთქმედება, შეუთავსებლობა ან უკუჩვენებები, არ ტოვებს ნარჩენებს და არ მოაქვს გარემოსთვის ზიანი.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება ყველა ასაკის ფრინველებისა და ღორებისთვის, როგორც კოქციდიოსტატიკი, ნაწლავების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. პრეპარატი ეძლევა პერორალურად, დოზით 0,5 კგ/ტ საკვებთან ერთად, ფრინველისა და ცხოველის სიცოცხლის განმავლობაში.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

2.8. პროტოზოების საწინააღმდეგო პრეპარატები

პიროტექსი 7%+B12 (Pirotext 7%+B12)

Diminazin diaceturate, Phenazone, Cyancobalamine

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: დიმინაზინ დიაცეტურატს 70 მგ; ფენაზონს 87,8 მგ; ვიტამინ B₁₂ 0,06 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: პოლივინილპიროლიდონი, საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 5 მლ მინის ამპულაში, 24 მლ 50 მლ და 100 მლ ნარინჯისფერ მინის ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პარაზიტების საწინააღმდეგო, ანტიპროტოზოული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პიროტექსი 7%+B12 მოქმედებს სისხლის პარაზიტებზე, კერძოდ, ბაბეზიებზე (*Babesia bovis*, *Babesia ovis*), ტრიპანოსომებზე (*Tr. congolense*, *Tr. vivax*, *Tr. brucei*), თელიერიებზე (*Theileria annulata*). პრეპარატის მოქმედება დაფუძნებულია პათოგენური უმარტივესების აერობული გლიკოლიზის და დნმ-ის სინთეზის ინჰიბირებაზე (შეჩერება). პარენტერალური შეყვანის შემდეგ სისხლში მაქსიმალური კონცენტრაცია მიიღწევა 3-5 საათის შემდეგ. პრეპარატი გროვდება ძირითადად ღვიძლში და თირკმელებში, უმნიშვნელო რაოდენობით ტვინში. მისი დიდი ნაწილი გამოიყოფა ორგანიზმიდან შარდთან ერთად, დაახლოებით 24 საათის განმავლობაში. გარდა ამისა პრეპარატი ავლენს ანტიბაქტერიულ აქტივობას და ასევე ახასიათებს მცირე ფუნგისტატიკური მოქმედება.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენის, ცხვრის და ძაღლის სისხლის პარაზიტული დაავადებების (ტრიპანოსომოზი, პიროპლაზმოზი, ბაბეზიოზი, ჰემოსპორიდიოზი, ფრანსაიელოზი, ნუტალიოზი), ასევე შერეული ინვაზიების (პიროპლაზმოზი და ფრანსაიელოზი) სამკურნალოდ, აგრეთვე მსხვილფეხა პირუტყვის თელიერიოზის სამკურნალოდ სხვა ქიმიოთერაპიულ პრეპარატებთან კომპლექსში. პრეპარატი ირენს პროფილაქტიკურ ეფექტს მსხ-

ვილფება პირუტყვის ბაბეზიოზის და პიროპლაზმოზის და სხვა ცხოველების ჰემოსპორიდიოზების დაავადებების დროს, პრეპარატს გააჩნია პროფილაქტიკური მოქმედება 10-15 დღის განმავლობაში.

ტრიპანოსომოზის დაავადების მიმართ (არაკეთილსაიმედო რეგიონებში) კლინიკური პროფილაქტიკა მიიღწევა ცხოველების რეგულარული დამუშავებით 1 - 4 თვეში.

გამოყენების წესი და დოზირება:

პრეპარატი შეჰყავთ ღრმად კუნთში, ერთჯერადად.

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი, ცხვარი, თხა:

მკურნალობა - 1 მლ/20 კგ ც.წ-ზე;

პროფილაქტიკა - 1 მლ/40 კგ ც.წ-ზე.

დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობისას - 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე.

საჭიროების შემთხვევაში სამკურნალო დოზის გამეორება შეიძლება 24 სთ-ის შემდეგ.

ნაგანის დაავადება (*Tr.brucei*) გამონვეული ტრიპანოსომებით, პრეპარატი გამოიყენება ორმაგი დოზით.

ძაღვების პროტოზოული დაავადებების სამკურნალოდ - 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე.

შ ე ნ შ ე ნ ა! ადგილობრივი გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად, ერთ ადგილას უკეთდება არა უმეტეს 10 მლ.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას პრეპარატი არ იჩენს ადგილობრივ გამაღიზიანებელ და ალერგიულ მოქმედებას.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი გამოიყენება პრეპარატის ბოლო მიღებიდან 21 დღის შემდეგ, რძე 3 დღის შემდეგ. ვადაზე ადრე იძულებით დაკლული ცხოველის ხორცი გამოიყენება ძვალ-ხორცის ფქვილის დასამზადებლად. პრეპარატი აბსოლუტურად უსაფრთხოა მომსახურე პერსონალისთვის.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

პიროტექსი+ B 12 (Pirotex +B12)

Diminazin diaceturate, Phenazone, Cyancobalamine

წამლის ფორმა:

საინექციო ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ შეიცავს: დიმინაზინ დიაცეტურატს 444,3 მგ; ფენაზონს 555,3 მგ; ვიტამინი B₁₂-ს - 0,4 მგ.

გამოშვების ფორმა: 1,57 გ და 2,36 გ ნარინჯისფერ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პარაზიტების საწინააღმდეგო, ანტიპროტოზოული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

დომინანტის დიაცეტურატი მოქმედებს სისხლის პარაზიტებზე, კერძოდ, ბაბეზიებზე (*Babesia bovis*, *Babesia ovis*), ტრიპანოსომებზე (*Tr. congolense*, *Tr. vivax*, *Tr. brucei*), თილერ-იებზე (*Theileria annulata*). პრეპარატის მოქმედება ეფუძნება პათოგენურ უმარტივესებში აერობული გლიკოლიზის და დნმ-ის სინთეზის ინჰიბირებას. ფენაზონს ახასიათებს ტკივილ-გამაყუჩებელი, სიცხის დამწვეი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ცინკობალამინი (ვიტამინი B₁₂) ხელს უწყობს სისხლმბადი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, აძლიერებს ერთროპოვს.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენის, ცხვრის, თხის და ძაღლის სისხლის პარაზიტული დაავადებების (ტრიპანოსომოზი, პიროპლაზმოზი, ბაბეზიოზი, ჰემოსპორიდოზი, ფრანსაილოზი, ნუტალიოზი), აგრეთვე შერეული ინვაზიების (პიროპლაზმოზი და ფრანსაილოზი) სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის.

გამოყენების წესი და დოზირება:

მომზადება: 1,57 გ პიროტექსი + B12-ს ფლაკონში ემატება საინექციო წყალი 8,5 მლ ან 2,36 გ პიროტექსი + B12-ს ფლაკონში საინექციო წყალი 12,5 მლ ოდენობით. მიღებული ხსნარი შეყავთ ღრმად კუნთში.

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენის, ცხვრის, თხის და ძაღლის სამკურნალოდ გამოიყენება პიროტექსი + B12-ის ხსნარი ერთჯერადი დოზით 1 მლ/20 კგ. ც.წ-ზე, პროფილაქტიკისთვის - 1 მლ/40 კგ ც.წ-ზე.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზებით გამოყენებისას პრეპარატს არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები. დოზის გადაჭარბებისას ძაღლებმა შეიძლება გამოავლინონ ნერვული სიმპტომები. ამ დროს მიმართეთ სიმპტომატურ მკურნალობას.

უკუჩვენებები:

პრეპარატის შემადგენელი კომპონენტის მიმართ მომატებული მგრძობელობა.

დაყონების პერიოდი:

პიროტექსი+B12-ის მკურნალობისას ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას 20-21 დღის შემდეგ, რძე - 3 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

მეტრონიდაზოლი (Metronidazol)

Metronidazole

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ტაბლეტი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: მეტრონიდაზოლს 250 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: სახამებელი კარტოფილის, ლაქტოზა, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი.

გამოშვების ფორმა: 100 ტაბლეტი პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: პარაზიტების სანინალმდებელი, ანტიპროტოზოული საშუალება.

ფარმაცოლოგიური თვისებები:

მეტრონიდაზოლი აქტიურია უმარტივესების მიმართ (მათ შორის ბალანტიდიების, ლამბლიების, ამებების, ჰისტომონადების, ტრიქომონადების). იგი ბლოკავს ცილების ნიტროჯგუფს და არღვევს უმარტივესთა უჯრედებში უანგვა-აღდგენით ბალანსს, რაც იწვევს ტოქსიკური პროდუქტების დაგროვებას, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ უმარტივესების დნმ-თან, რის შედეგადაც ისინი კვდებიან.

მეტრონიდაზოლი კარგად და სწრაფად შეიწოვება და გროვდება სისხლში. გამოიყოფა შარდთან ერთად, ნაწილობრივ უცვლელი სახით.

გამოყენების ჩვენებები:

ლორი - ბალანტიდიოზი და დიზენტერია;

ფრინველი - ჰისტომონოზი;

მსხვილფეხა პირუტყვი - ტრიქომონოზი.

გამოყენების წესი და დოზირება:

მიიღება პერორალურად შემდეგი დოზებით:

მსხვილფეხა პირუტყვი: 1 ტაბ/25 კგ ც.წ-ზე 2-ჯერ დღეში, 3-4 დღის განმავლობაში;

ლორი: 1 ტაბ/25 კგ ც.წ-ზე, ბალანტიდიოზის სამკურნალოდ 2-ჯერ დღეში 3 დღის განმავლობაში, დიზენტერიის სამკურნალოდ 1-ჯერ დღეში 4 დღის განმავლობაში;

ფრინველი: 6 ტაბლეტი (დასრესილი) 1 კგ საკვებში შერევით, დღეში ერთჯერ.

უკუჩვენება:

მაკეობა, პრეპარატის კომპონენტების მიმართ განსაკუთრებული მგრძობელობა.

გვერდითი მოვლენები:

შესაძლებელია ალერგიული რეაქციები. ალერგიის გამოვლინების შემთხვევაში პრეპარატის გამოყენებას წყვეტენ და ატარებენ სიმპტომატურ თერაპიას.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი - 5 დღე, რძე - 36 საათი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 30°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

იმიდოვილი (Imidovil)

Imidokarb dipropionate

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: იმიდოკარბ დიპროპიონატს 120 მგ.

გამოშვების ფორმა: 20 მლ და 50 მლ გაუმჭირვალე მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პარაზიტების საწინააღმდეგო, ანტიპროტოზოული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

იმიდოვილი მოქმედებს შემდეგი უმარტივესებით გამოწვეულ დაავადებებზე: *Babesia bovis*, *B. bigemina*, *B. equi*, *B. cavalli*, *B. canis*, *B. ovis*.

გამოყენების ჩვენებები:

იმიდოვილის საინექციო ხსნარი გამოიყენება როგორც ანტიპროტოზოული საშუალება ცხენის, ცხვრის, ვირის, ჯორის, ძაღლის და მსხვილფეხა პირიტყვის ბაბეზიოზის დაავადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის.

ცხოველები სახეობის მიხედვით, მგრძნობიარენი არიან შემდეგი უმარტივესების მიმართ: მსხვილფეხა პირუტყვი: *Babesia bovis*, *B. bigemina*, ცხენები: *B. caballi*, *B. equi*. სახედარი და ჯორი: *B. caballi*, ძაღლები: *B. canis*, ცხვრები: *B. ovis*.

გამოყენების წესი და დოზირება:

თერაპიული (სამკურნალო) დოზა: მსხვილფეხა პირუტყვი - 1,2 მგ/კგ. ც.წ-ზე;

ცხვარი - 1 მგ/კგ ც.წ-ზე;

ცხენი - 2,4 მგ/კგ ც.წ-ზე;

ძაღლი - 3 მგ/კგ ც.წ-ზე;

პროფილაქტიკური დოზა: ცხენი - 2,4 მგ/კგ ც.წ-ზე, ორი დღის განმავლობაში;

B. caballi-ის წინააღმდეგ 4 მგ/კგ ც.წ-ზე, სამი დღის განმავლობაში;

B. equi-ის შემთხვევაში 7,5 მგ/კგ ც.წ-ზე ორი დღის განმავლობაში.

ძაღლი - რეკომენდებული პრევენციული დოზაა 6 მგ/კგ ც.წ-ზე.

პრაქტიკული დოზა:

ცხ-თა სახეობა	პროტოზოები	თერაპიული დოზა	პრაქტიკული დოზა
მსხვ. პირ	B. bovis B. bigemina	1 მლ/100 კგ ც.ნ-ზე	
ცხვარი	B. ovis	0,5 მლ/50 კგ ც.ნ-ზე	
ცხენი	B. equi B. caballi	2 მლ/100 კგ ც.ნ-ზე, ორ დოზას შორის ინტერვალი შეადგენს 48 საათს	2 მლ/100 კგ ც.ნ-ზე
ძაღლი	B. canis	0,25-0,5 მლ/10 კგ ც.ნ-ზე	0,5 მლ 10 კგ ც.ნ-ზე

შენიშვნა:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი, ვირი და ცხვარი შეჰყავთ პრეპარატი კუნთში, ხოლო ძაღლს კანქვეშ.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

2.9. ინსექტო-აკარიციდული პრეპარატები

ექტოციდოლ 600 (Ectocidol 600)

Diazinone

ნაშლის ფორმა:

გასაბანი ხსნარი, ემულსიური კონცენტრატი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: დიაზინონს 600 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: გოგირდმჟავა, სოიოს ეპოქსიდური ზეთი, ქსილოლი, წყალი.

გამოშვების ფორმა: 4 მლ ამპულაში, 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ექტოპარაზიტული, ინსექტოაკარიციდული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერება დიაზინონი მიეკუთვნება ფოსფორორგანული ნაერთების ქიმიურ ჯგუფს, მოქმედებს როგორც ინსექტოაკარიციდი, აფერხებს აცეტილ ქოლინესტერაზის აქტივობას. ძუძუმწოვრებში დიაზინონი ფოსფატებთან ჰიდროლიზით მეტაბოლიზირდება ძალიან მალე და გამოიყოფა კანიდან და რძეთან ერთად. პრეპარატი ტოქსიკურია კატებისთვის, ფრინველებისთვის, თევზებისა და ფუტკრებისათვის.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის და ცხვრების ფსოროფტოზის საწინააღმდეგოდ,

ლორებში - სარკოფტოზის, ცხოველებში გარეგანი ენტომოზების, ასევე გარეგანი მკბენარების - ტკიპების, ბუზების და სხვა ექტოპარაზიტების გასანადგურებლად, ცხოველებისა და ფრინველების სადგომებში დეზინსექციისა და დეზაკარიზაციისათვის.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება გასაბანად და შესასხურებლად.

ცხვარი: შესასხურებლად 1 მლ პრეპარატი გახსნილი 1 - 2,4 ლ წყალში. გასაბანი ავზისათვის 10 მლ პრეპარატი 8 ლ წყალში.

ლორი: შესასხურებლად 1 მლ/2,4 ლ წყალში განზავებული.

მსხვილფეხა პირუტყვი: გასაბანად 10 მლ/24 ლ წყალში გახსნილი, შესასხურებლად 1 მლ 2,4 ლ-ზე.

შენობების დეზინსექცია: 200 მლ პრეპარატი 5 ლ წყალში 100 მ² ფართობზე მოსასხურებლად.

ექტოციდოლი 600 გამოიყენება წყლიანი ემულსიის სახით. გამოსაყენებელი ემულსია უნდა მოვამზადოთ უშუალოდ დამუშავების წინ.

ხსნარის მომზადება: პრეპარატის საჭირო რაოდენობა წინასწარ გახსენით მცირე რაოდენობის წყალში, კარგად შეანჯღრიეთ და დაუმატეთ წყლის დარჩენილი რაოდენობა.

შესხურება: ცხოველი მთლიანად უნდა დასველდეს ხსნარით.

გაბანვა: ცხოველი უნდა გაიბანოს 1 წუთის განმავლობაში, აუცილებელია თავის თუნდაც ერთხელ გაბანვა. ცხვარი უნდა გაიბანოს გაკრეჭიდან 15 დღის შემდეგ. გასაბანი ავზები გამოიყენებულ უნდა იქნას ხსნარის გამზადების დღესვე, იმ ადგილებში, სადაც თავი იჩინა ლისტერიოზმა.

დამუშავების სინშირე დამოკიდებულია პარაზიტის სახეობაზე, კლიმატურ პირობებზე და ინფექციური პროცესის ხარისხზე.

ლორს მუწის ტკიპაზე დამუშავება შეიძლება დასჭირდეს 2-ჯერ, 7-10 დღის ინტერვალით, ამასთანავე აუცილებელია სადგომის დამუშავება.

სადგომი: პარაზიტების კონტროლისათვის აუცილებელია სადგომის დამუშავება. რწყილების საწინააღმდეგოდ სადგომი უნდა დამუშავდეს 2-ჯერ 10-15 დღის ინტერვალით.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

არასასურველია დაუძღვრებული და მწყურვალი პირუტყვის, ასევე 4 კვირამდე ასაკის პირუტყვის დამუშავება.

განსაკუთრებული მითითებები:

ცხოველების ხორცი გამოიყენება საკვებად პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 15 დღის შემდეგ, ხოლო რძე - 3 დღის შემდეგ.

ექტოციდოლი 600-ის სხვა პრეპარატებთან შერევა დაუშვებელია.

მისი ინტოქსიკაციური სიმპტომები ისეთივეა, როგორც ორგანოფოსფორატების. ინტოქსიკაციის დროს ცხოველი უნდა დაიბანოს ჭარბი რაოდენობა წყლით. პრეპარატის ჩაყ-

ლაპეისას აუცილებლად უნდა გამოვიწვიოთ ლებინება და მივცეთ შხამსაწინააღმდეგო საშუალება ატროპინი.

პრეპარატი ცეცხლსაშიშია. პირის ღრუში, კანზე ან თვალში მოხვედრისას შხამიანია. კანზე მოხვედრისას უნდა ჩამოიბანოთ საპნით და წყლით. გართულების შემთხვევისას მიმართეთ ექიმს. გამოიყენება შხამსაწინააღმდეგო პრეპარატი ატროპინი ან პრალიდოქსიმი.

პრეპარატის გამოყენებისას არ შეიძლება მოწვევა, წყლის მიღება და ჭამა. პრეპარატთან მუშაობის დროს გამოიყენება დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანები. ცარიელი ფლაკონები არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. პრეპარატი არ უნდა მოხვედეს წყალსატევებში, საშიშია თევზებისათვის და ფუტკრებისათვის.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება ქარხნულ შეფუთვაში კარგად განიავებულ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე. დაიცავით ტენისაგან, ბავშვებისაგან და შინაური ცხოველებისაგან. შეფუთვის გახსნიდან მისი შემადგენლობა გამოიყენება 3 თვის განმავლობაში. გამოყენების შემდეგ კარგად შეფუთეთ. მისი კრისტალიზაცია ნიშნავს პროდუქტის დეგრადაციას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ბიტოქსი (Bitox)

Deltamethrin

ნაშლის ფორმა:

გასაბანი ხსნარი, ემულსიური კონცენტრატი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ ხსნარი შეიცავს 0,05 მლ დელტამეტრინს.

დამხმარე ნივთიერება: ქსილოლი, კალციუმის დოდეცილბენზილსულფონატი, ტრისტირილფენოლ ეტოქსილატები.

გამოშვების ფორმა: 3 მლ ამპულაში, 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში, 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში და 5 ლ პოლიეთილენის ბიდონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ექტოპარაზიტული, ინსექტოაკარიციდული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიტოქსი ხასიათდება ფართო სპექტრის ინსექტოაკარიციდული მოქმედებით, აქტიურია მუნის, ქათმის ტკიპის, იქსოდიდური ტკიპების, ქავანას, ფარენის ტკიპების, ბაღლინჯოების, ბუზების, კოლოების და სხვა ექტოპარაზიტების მიმართ. მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ნეიროკუნთოვანი გადაცემის ბლოკირებას პერიფერიული ნერვების განგლიონების დონეზე, რასაც მოსდევს პარაზიტის დამბლა და სიკვდილი. ბიტოქსი ზომიერად ტოქსიკურია თბილსისხლიანი ცხოველებისთვის. რეკომენდებულ დოზებსა და კონცენტრაციებში არ ახასიათებს ადგილობრივი გამაღიზიანებელი და ალერგიული მოქმედება. ტოქსიკურია თევზებისა და ფუტკრებისათვის.

გამოყენების ჩვენებები:

ექტოპარაზიტული საშუალება გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის და ღორის მუნის ტკიპას, ქავანების, რწყილების, იქსოდიდური ტკიპების, ტილების, კოლოების, ბუზების, ხორცის ბუზის მატლების საწინააღმდეგოდ.

გამოყენების წესი და დოზირება:

ფსოროპტოზის პროფილაქტიკის და მკურნალობის მიზნით დამუშავებისათვის ფლაკონის შემადგენლობას ხსნიან:

ცხვრების გასაბანად - 1 ლ იხსება/1600 ლ წყალში;

შესხურების მიზნით - 1 ლ იხსება/1000 ლ წყალში;

ტკიპების საწინააღმდეგოდ მსხვილფეხა პირუტყვის შესხურებით დამუშავებისთვის - 1 ლ იხსება 1350 ლ წყალში.

უკუჩვენებები:

ავადმყოფი და დაუძღურებული ცხოველების დამუშავება არ შეიძლება.

გვერდითი მოვლენები:

მითითებული კონცენტრაციების დაცვისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი (ბოლო დამუშავებიდან) - 5 დღე, რძე - 3 დღე.

სიფრთხილის ზომები:

პრეპარატთან მუშაობას აწარმოებენ სპეციალური ტანსაცმლით (ხალათი, წინსაფარი, ქუდი, ხელთათმანები, დამცავი სათვალეები და რესპირატორი). მუშაობის დროს არ შეიძლება მოწვევა, ჭამა და სმა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ აუცილებელია პირის გამოწმენდა, ხელების და სახის საპნით დაბანა. კანზე მოხვედრისას უნდა დაიბანოთ საპნით და დიდი რაოდენობის გამდინარე წყლით. არ გამოიყენოთ ცარიელი ფლაკონები.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არა უმეტეს 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ბიტოქსი (Bitox)

Deltamethrin

წამლის ფორმა:

გასაბანი ხსნარი, ემულსიური კონცენტრატი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ ხსნარი შეიცავს 0,05 მლ დელტამეტრინს.

დამხმარე ნივთიერება: ქსილოლი, კალციუმის დოდეცილბენზილსულფონატი, ტრისტირილ-ფენოლ ეტოქსილატები.

გამოშვების ფორმა: 1 მლ და 5 მლ ამპულა მოთავსებული პოლიეთილენის ბლისტერზე და

მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ექტოპარაზიტული, ინსექტოაკარიციდული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიტოქსი ხასიათდება ინსექტოაკარიციდული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია მუნის და იქსოდური ტკიპების, ბუზების, ბალღინჯოების და სხვა ექტოპარაზიტების მიმართ. მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ნეიროკუნთოვანი გადაცემის ბლოკირებას პერიფერიული ნერვების განგლიონების დონეზე, რასაც მოსდევს პარაზიტის დამბლა და სიკვდილი. ბიტოქსი ზომიერად ტოქსიკურია თბილისისხლიანი ცხოველებისთვის. რეკომენდებულ დოზებსა და კონცენტრაციებში არ ახასიათებს ადგილობრივი გამაღიზიანებელი და ალერგიული მოქმედება.

გამოყენების წესი და დოზირება:

ექტოპარაზიტული საშუალება გამოიყენება ტილების, რწყილების, ბალნიჭამიების, იქსოდური ტკიპებისა და მუნის ტკიპების წინააღმდეგ. გამოყენების წინ პრეპარატს აუცილებლად განაზავებენ გრილი წყლით. მოკლებენწვიანი ჯიშის ცხოველებს შეასხურებენ პრეპარატის წყალხსნარს, გრძელბნევიანებს - ასველებენ ღრუბელის მეშვეობით. დაასველეთ ცხოველის ბეწვი და აცადეთ გაშრობა პრეპარატის ჩამობანის გარეშე. პრეპარატის გამოყენების თანმიმდევრობა: ყურის ნიჟარები, თავი, ტანი, კუდი, ანალური ხვრელის მიდამო, კიდურები. პრეპარატის მუშა ემულსიას ამზადებენ უშუალოდ გამოყენების წინ შემდეგი კონცენტრაციებით:

1 დოზა 4 ლ წყალზე, განმეორებით ცხოველს ამუშავებენ 1 თვის შემდეგ - 1 დოზა 1,3 ლ წყალზე. განმეორებითი დამუშავება (პირველი გამოყენების შემდეგ) ტარდება 2 კვირაში, შემდეგ კი ჩვენებების მიხედვით - 1 დოზა 1 ლ წყალზე. ამუშავებენ დაზიანებულ უბანს და მის გარშემო 1-2 სმ ჯანმრთელ კანს. დამუშავებას იმეორებენ 10-12 დღეში.

უკუჩვენებები:

ავადმყოფი, დაუძლურებული და პრეპარატის მიმართ მალალმგრძნობიარე, ცხოველების დამუშავება არ შეიძლება.

გვერდითი მოვლენები:

მითითებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

განსაკუთრებული მითითებები:

დამუშავებისას მოარიდეთ ხსნარის მოხვედრა ცხოველის თვალებს, ცხვირსა და პირს. რეკომენდებული არ არის ცხოველის დაბანა შამპუნით დამუშავებამდე 3 დღით ადრე და დამუშავებიდან 3 დღის შემდეგ. გამოიყენეთ მხოლოდ ახლად დამზადებული ხსნარი. დამუშავების დასრულების შემდეგ ხელები საგულდაგულოდ დაიბანეთ თბილი წყლითა და საპნით. ბიტოქსი ტოქსიკურია ფუტკრებისა და თევზებისათვის.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არა უმეტეს 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ინსექტოქსი (Insetox)

Deltamethrin, Boric acid

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ შეიცავს: 5% -იან დელტამეტრინს 0,02 გ, ბორის მჟავას - 0,05 გ.

დამხმარე ნივთიერებები: ტალკი.

გამოშვების ფორმა: 50 გ პოლიეთილენის ფლაკონში და 500 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ექტოპარაზიტული, ინსექტოაკარიციდული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ინსექტოქსი ხასიათდება ფართო ინსექტოაკარიციდული მოქმედებით, აქტიურია მუნის, ქათმის ტკიპის, ფარეხის ტკიპების, ბუზების, ბალღინჯოების და სხვა ექტოპარაზიტების წინააღმდეგ. რეკომენდებულ დოზებში და კონცენტრაციებში არ ახასიათებს ადგილობრივი გამაღიზიანებელი და ალერგიული მოქმედება. ტოქსიკურია თევზებისა და ფუტკრებისათვის.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება შინაური ცხოველებისა და ფრინველების ყველა სახეობის გარეგანი პარაზიტების, მებნარების (ტკიპები, რწყილები და სხვა) გასანადგურებლად.

გამოყენების წესი და დოზირება:

ინსექტოაკარიციდული ფხვნილი მოაყარეთ ცხოველს დაინვაზირების ადგილზე ან გართულებულ შემთხვევებში სხეულის მთელ ზედაპირზე და ხელით შეაზილეთ 1-2 წუთის განმავლობაში. ფრინველს შეაფრქვიეთ ფრთებქვეშ, გულ-მკერდისა და კლოაკის მიდამოებში. სამკურნალო მიზნით ცხოველი მუშავდება კვირაში ერთხელ, სამი კვირის განმავლობაში. პროფილაქტიკისათვის - თვეში ერთხელ.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენება:

არ აღინიშნება.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

3. სადერატიზაციო საშუალებები

ბროდიფაკუმი 0.005% (რეთსქილარი) - (Brodifacoum 0.005%)

Brodifacoum

ნაშლის ფორმა:

მზა ფორმის გრანულირებული მისატყუარი.

შემადგენლობა:

ბროდიფაკუმი 0.005 %-ანი.

გამოშვების ფორმა: 60 გ და 1 კგ პოლიეთილენის პაკეტებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სადერატიზაციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი წარმოადგენს მღრღნელებთან (თაგვი, ვირთხა, მინდვრის თაგვი და სხვ.) ბრძოლის ანტიკოაგულანტურ საშუალებას.

იგი იყრება, როგორც მისატყუარი და სოროებში შხამიანი საფარის შესაქმნელად.

პრეპარატი სამი სახისაა: გრანული, ცვილის პალეტი, ცვილის ბლოკი.

პრეპარატის კუჭ-ნაწლავში შემთხვევითი მოხვედრისას მიიღეთ ვიკასოლი ან ვიტამინი K.

გამოყენების წესი და დოზები:

ერთი შეფუთვა (60 გ) ნაწილდება და იყრება პატარა ქალაქებზე და ამგვარად ლაგდება მღრღნელების ადგილსამყოფელში.

მღრღნელების სიკვდილიანობა იწყება 3-5 დღის შემდეგ. მღრღნელების სრული განადგურებისათვის უმჯობესია ამ ღონისძიებების ორჯერადად, 10 დღიანი ინტერვალით ჩატარება.

პრეპარატის ხარჯი:

60 გ პრეპარატი გამოიყენება: დახურულ შენობებსა და სათავსოებში - 10-20 მ²-ზე;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სათესი ფართობების 1 ჰექტარზე საჭიროა 2 - 3 კგ;

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ბავშვებისაგან დაცულ ადგილას 18°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 1,5 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

ბრომადიოლონი 0.005% (რეთსქილარი) - (Bromadiolone 0.005%)

Bromadiolone

ნაშლის ფორმა:

მზა ფორმის გრანულირებული მისატყუარი.

შემადგენლობა:

ბრომადიოლონი 0.005 %-ანი.

გამოშვების ფორმა: 60 გ და 1 კგ პაკეტები.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სადერატიზაციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი წარმოადგენს მღრღნელებთან (თაგვი, ვირთხა, მინდვრის თაგვი და სხვ.) ბრძოლის ანტიკოაგულანტურ საშუალებას. იყრება როგორც მისატყუარი, ასევე სოროებში შხამიანი საფარის შესაქმნელად.

პრეპარატის კუჭ-ნაწლავში შემთხვევითი მოხვედრისას მიიღეთ ვიკასოლი ან ვიტამინი K.

გამოყენების წესი და დოზები:

ერთი შეფუთვა (60 გ) ნაწილდება და იყრება პატარა ქალაქებზე და ამგვარად ლაგდება მღრღნელების ადგილსამყოფელში. მღრღნელების სიკვდილიანობა იწყება 3-5 დღის შემდეგ. მღრღნელების სრული განადგურებისათვის უმჯობესია ამ ღონისძიებების ჩატარება ორჯერადად, 10 დღიანი ინტერვალით.

პრეპარატის ხარჯი:

60 გ პრეპარატი გამოიყენება: დახურულ შენობებსა და სათავსოებში – 10-20 მ²-ზე;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და სათესი ფართობების 1 ჰექტარზე საჭიროა 2 - 3 კგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას 18°C-მდე ტემპერატურაზე. ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 1,5 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

რატექსი (Ratex)

წამლის ფორმა:

მისატყუარის მოსამზადებელი ხსნარი.

შემადგენლობა:

ბრომადიოლონი 0,5%.

გამოშვების ფორმა: 20 მლ, 100 მლ და 1 ლ დაფასოებულია ფლაკონებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სადერატიზაციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი წარმოადგენს მღრღნელებთან (თაგვი, ვირთხა, მინდვრის თაგვი და სხვ.) ბრძოლის ანტიკოაგულანტურ საშუალებას.

იყრება მისატყუარის სახით, ასევე სოროებში შხამიანი საფარის შესაქმნელად.

დოზირება:

20 მლ რატექსი ერევა 0.5 კგ მისატყუარს (ხორბალი, კარტოფილის ფქვილი, ხორცი და სხვ.). შეიძლება დაემატოს შაქარი ან მშრალი რძე. შერევა უნდა მოხდეს კარგად. მომზადებული პრეპარატი იყოფა რამდენიმე ნაწილად და ლაგდება ხსვადასხვა ადგილას.

პრეპარატის ხარჯი:

100 გ პრეპარატი დახურულ შენობებსა და სათავსოებში 20 მ² ფართობზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და სათეს ნაკვეთებში 300 მ² ფართობზე.

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატის კუჭ-ნაწლავში შემთხვევითი მოხვედრისას მიიღეთ ვიკასოლი ან ვიტამინი K. შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას 18°C-მდე ტემპერატურაზე. ბავშვებისაგან მოცილებულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

რატიმორი (Ratimori)

Bromadiolone

ნაშლის ფორმა:

პასტისებური მისატყუარი.

შემადგენლობა:

ბრომადიოლონი 50 მგ/კგ.

გამოშვების ფორმა: 60 გ პაკეტებში და 10 კგ-იან PE/PP ვედროსა ან მუყაოს ყუთში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: სადერატიზაციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბრომადიოლონი ხელს უშლის სისხლში პროთრომბინის ფორმირებას და ამით იწვევს სისხლდენას და მღრღნელების სიკვდილს. ცალკეული მღრღნელების სიკვდილი არ იწვევს სხვა მღრღნელებში სატყუარისადმი რეზისტენტობას.

გამოყენების ჩვენებები:

ბრომადიოლონით მონამვლის მთავარი ნიშნები და სიმპტომებია სისხლდენა ცხვირიდან, სისხლდენა ღრძილებიდან, სისხლი შარდში, მრავლობითი მოლურჯო-მოშავო ლაქები კანზე და ტკივილი მუცლის არეში.

გამოყენების წესი და დოზები:

რატიმორის ახალი სატყუარა გამოიყენება როდენტიციდის სახით (მღრღნელების საწინააღმდეგო საშუალება), როგორც საყოფაცხოვრებო და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახ ნაგებობებში, ისე მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში შემდეგი მღრღნელების მოსასპობად:

სახლის თაგვები (*Mus musculus*) - 2-3 ცალი სატყუარა პაკეტი უნდა დადოთ ყოველი 2 - 5

მეტრის დაშორებით;

შავი (*Rattus rattus*) და რუხი ვირთხები - 4-6 ცალი სატყუარა უნდა დადოთ ყოველ 5-10 მეტრში.

დიდი პოპულაციის შემთხვევაში მანძილები შეიძლება შემცირდეს.

ის განკუთვნილია, როგორც შენობის შიგნით, ასევე შენობების გარშემო დამუშავებისთვის, ასევე შესაძლებელია მისი გამოყენება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც.

გამოყენების პერიოდი შეზღუდული არ არის. სატყუარები უნდა დადოთ ყოველ ორ კვირაში მანამდე, სანამ ისინი შეუხებელნი არ დაგხვდებით. იმ ადგილებში, სადაც არიან ადამიანები და ცხოველები, სატყუარებს უნდა დაადოთ რაიმე წონადი სხეული (მაგალითად, აგური ან დაფა). სატყუარები მოარიდეთ წყალს ან განათავსეთ მინიმუმ 10 მეტრის მოშორებით. სასოფლო-სამეურნეო ფერმებში მისი გამოყენება დასაშვებია პროფესიონალური წესით.

რატიმორის (ბრომადიოლონის) სატყუარის დერატიზაცია შეადგენს 7-10 დღეს.

უსაფრთხოების ზომები:

სატყუარის აღებისას ატარეთ შესაბამისი დამცავი ხელთათმანები. ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, საკვებისა და სასმელისგან მოშორებით. მათი ჩაყლაპვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა. სხვა ცხოველის მიერ პრეპარატის მიღებისას შხამსაწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენს ვიტამინი K1.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ჩაკეტილ სათავსოში, რომელიც არ არის განკუთვნილი საკვების, სასმელისა და ცხოველებისთვის საკვების შესანახად.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: UNICHEM d.o.o, სლოვენია.

4. რეკომენდაციები

გველეხის ბიოლოგიური შემაჩერებელი

Biological stopper

პრეპარატის ფორმა:

შესასხურებელი ხსნარი, გარემოს დამუშავებისთვის.

შემადგენლობა:

კუპრი პარკოსნების 10%.

დამხმარე ნივთიერებები: სპირტი - 90%.

გამოშვების ფორმა: 50 მლ, 200 მლ, 500 მლ სპრეის სახით და 1000 მლ შესასხურებელი ხსნარი.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: რეპელენტი, ქვენარმავლების საწინააღმდეგო ბიოლოგიური დამაფრთხოებელი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიოლოგიური შემაჩერებელი ეფექტურად უმკლავდება გველებს. გამოიყენება შენობა-ნაგებობის გარშემო ან ფანჯრის რაფებთან და კარის ზღურბლებზე; გარაჟებში, ფარდულეებში, საცურაო აუზებთან, ბაღებში (ხის ქერქის დასამუშავებლად), ბოსტნებში, მინდვრებსა და სავარგულეებში ნადირობისა თუ სხვა სამუშაოების შესრულების დროს შესაძლოა ფეხსაცმელებისა და ჩექმების დამუშავება, შემის სათავსოებში და სხვა ადგილებში, სადაც შესაძლოა გველების გამოჩენა. შესაძლებელია მისი გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც ბავშვები და ცხოველები თამაშობენ. ბიოლოგიური შემაჩერებელი საშუალება ბიოდეგრადირებადი და მითითებისამებრ გამოყენების შემთხვევაში არ აზიანებს გაზონებს, ბაღებს, ყვავილებს და სხვა მცენარეებს (დაუშვებელია ფოთლის ზედაპირზე დასხმა).

გამოყენების ჩვენებები:

რეპელენტი დაგიცავთ ნებისმიერ ადგილას, სადაც გველების საშიშროება არსებობს: სახლებში, შიდა ეზოებში, დეკორატიულ თუ ხეხილიან ბაღებში, მინდვრებსა თუ სავარგულეებში, ფერმებში, სათბურებში და სხვა.

ბიოლოგიური შემაჩერებელი საშუალება გველებისათვის:

- არ შეიცავს ნაფტალინს;
- უსაფრთხოა, როგორც გარემოსათვის, ისე ადამიანებისათვის;
- მოქმედებს წლის ნებისმიერ პერიოდში;
- ადვილად გამოყენებადი და ხასიათდება ხანგრძლივი მოქმედებით.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება 1 ლ/1000 გრძივ მეტრზე.

ბარიერის პერიმეტრის დამუშავება:

სასხურებელი აპარატის საშუალებით ნერტილოვანი დასხურების მეთოდით შესასხურეთ მოცემული საშუალება 20-30 სმ ინტერვალით წყვეტილ ზოლად იმ ფართობის გარშემო, რომლის დაცვაც გსურთ. არ არის აუცილებელი მოცემული საშუალებით მიწის მთლიანად დამუშავება. შესსურება აუცილებელია მოხდეს წვრილი ჭავლით და არა გამაფრქვეველით.

პროფილაქტიკის ან ზოგადად პრევენციის მიზნით გამოიყენება შემდეგი დოზით: 1 ლ 1000 გრძივ მეტრზე.

პრეპატარი არ კარგავს ეფექტურობას ძლიერი წვიმების შემთხვევაშიც კი.

საუკეთესო შედეგის უზრუნველყოფა შესაძლებელია ყოველი 30 დღის ინტერვალით გამეორების შემთხვევაში.

პირველადი დახმარება:

მოცემულმა პროდუქტმა თვალში ან კანზე მოხვედრისას შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება. თვალში მოხვედრის შემთხვევაში ამოიბანეთ ის საპნიანი წყლით. კანის გაღიზიანების შემთხვევაში მოიბანეთ გაღიზიანებული ადგილი საპნითა და წყლით. თუ გაღიზიანება გრძელდება, მიმართეთ ექიმს.

შენახვის პირობები:

პროდუქტის შენახვა და ტრანსპორტირება ხდება ვერტიკალურ პოზიციაში. შეინახეთ მხოლოდ ორიგინალ კონტეინერში, მშრალ, ბავშვებისა და ცხოველებისაგან მიუწვდომელ ადგილას. ნუ გამოიყენებთ დაცარიელებულ კონტეინერს. გადაადგმეთ ის ნაგავში.

სხვა გამაფრთხილებელი ზომები: ნუ დაასხავთ ბოსტნეულს და ბალახოვან კულტურებს, აგრეთვე, ყვავილებს.

ყურადღება: მყიდველი იღებს პასუხისმგებლობას უსაფრთხოებაზე და იარლიყზე მითითებული დირექტივების შესაბამისად გამოყენებაზე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

5. ანტისეპტიკური და სადეზინფექციო საშუალება

იოდსეფი 10% (Iodsef 10%)

Povidone Iodine

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: პოვიდონ იოდს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: გლიცერინი, გამოხდილი წყალი.

გამოშვების ფორმა: იოდსეფის 10%-იანი ხსნარი დაფასოებული 1 ლ, 100 მლ, 20 მლ პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული, სადეზინფექციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

იოდსეფი სადეზინფექციო საშუალებაა, რომელიც ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრით. აქტიურია ბაქტერიების (გრამდადებითი და გრამუარყოფითი, მათ შორის პასტერელას, სალმონელას, ეშერიხია კოლის, სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების, სპიროქეტების, კორინებაქტერიების ტუბერკულოზის მიკრობაქტერიის და სხვ.), სოკოების, ვირუსების, უმარტივესების მიმართ. კანთან და ლორწოვან გარსებთან კონტაქტისას იოდი თანდათან და თანაბრად გამოთავისუფლდება და ავლენს ბაქტერიციდულ მოქმედებას მიკროორგანიზმებზე. პოვიდონ-იოდის პრეპარატების გამოყენების ადგილზე რჩება თხელი ფერადი ფენა, რომელიც მანამდე ინახება, სანამ არ განთავისუფლდება იოდის მთლიანი რაოდენობა, შემდეგ მისი მოქმედება წყდება. ბაქტერიციდული მოქმედება ვითარდება სწრაფად, მეტწილად 15-60 წამში. კანზე და ლორწოვან გარსზე კონტაქტისას იოდ-პოლივინილპიროლიდონის კომპლექსი გარდაიქმნება ბაქტერიციდულ აქტიურ იოდში.

გამოყენების ჩვენებები:

- ჭრილობების, დამწვრობების, წყლულების, მათ შორის ტროფიკული წყლულების ანტი-სეპტიკური დამუშავება.

- დეზინფექციაჯანის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, გინეკოლოგიური ინფექციურ-ანთებითი დაავადებების შემთხვევაში.

- კანისა და ლორწოვანი გარსის დამუშავება დიაგნოსტიკამდე და დიაგნოსტიკის შემდგომი გამოკვლევები და მანიპულაციები (ინფექციები, პუნქციები, სისხლის აღება ბიოფსია და

სხვა).

- ავადმყოფების ჰიგიენური დამუშავება, ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომ პერიოდში.

- სამედიცინო პერსონალისა და ქირურგის ხელების ჰიგიენური დასუფთავება ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ.

- დეზინფექცია ინფექციური დერმატიტების, სოკოვანი დაავადებების, პაპილომების, ჩირქოვანი დაავადებების შემთხვევაში.

- სამედიცინო პერსონალისა და ქირურგის ხელების ჰიგიენური დასუფთავება, დაინფიცირებული ავადმყოფიდან კონტაქტის შემთხვევაში.

- გინეკოლოგიაში მწვავე და ქრონიკული ვაგინიტიების, მომყოლის შეჩერების, ენდომეტრიტიების, მეტრიტიების, ტრიქომონოზის, კანდიდოზის დროს.

- ცხოველების კიდურების დეზინფექცია თურქულით, ნეკრობაცილოზით დაავადების შემთხვევაში.

- კასტრაციის წინა და შემდგომი მანიპულაციების შემთხვევაში.

- შენობების, ნარმობა-დანესებულებების, კვების ობიექტების, სამედიცინო დანესებულებების საკვებურების, წყლის ჭურჭლის, ასევე ცხოველების სადგომების, ინკუბატორების, საფრინველისა და სხვა მოწყობილობების დეზინფექცია.

გამოყენების წესი და დოზირება:

- შენობა ნაგებობის და მოწყობილობის დეზინფექცია - 1:100 - 1:200-ზე განზავებით. ხსნარის 1 ლიტრი საკმარისია - 4 მ² ფართობის დასამუშავებლად, ხოლო გაფრქვევით ან გაბოლებით 100 მ³ მოცულობისათვის.

- შენობა ნაგებობის და მოწყობილობის დეზინფექცია ინფექციური კერების არსებობისას - 1:20 - 1:50 განზავებით.

- კანის საფარველის დასამუშავებლად გამოიყენება იოდზეფის წყალხსნარი 1:10 განზავებით.

- კიდურებისა და პირის ღრუს დეზინფექცია 1:100-150-ზე განზავებით.

- კანის ზედაპირის და ლორწოვანი გარსის სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციების შემთხვევაში გამოიყენება იოდზეფის 10%-იანი განუზავებელი ხსნარი. გარეგანი დამუშავებისათვის დაიტანენ დაზიანებულ უბანზე და ტოვებენ 1-2 წთ, შემდეგ ჩამოიბანენ გულდასმით.

უკუჩვენებები:

ჰიპერთირეოზი, თირკმლის უკმარისობა, ლაქტაცია ასევე მაკეობის II და III ტრიმესტრი, იოდისადმი მალალი მგრძნობელობა.

გვერდითი მოვლენები:

ალერგიული რეაქციები იოდზე (ქავილი, ჰიპერემია). ამ დროს პრეპარატის გამოყენება უნდა შეწყდეს.

უსაფრთხოების ზომები:

იოდზეფის დალევა დაუშვებელია. ხსნარის თვალში მოხვედრა საზიანოა. თვალში მოხვედრისას უნდა მოხდეს მისი წყლით გულდასმით გამორეცხვა.

შენახვის პირობები:

სამუშაო ხსნარი მზადდება უშუალოდ გამოყენების წინ. დამზადებული ხსნარის ხანგრძლივად შენახვა დაუშვებელია. ხსნარს უნდა ჰქონდეს მუქი-ყავისფერი შეფერილობა, გაუფერულება არაეფექტურობის მაჩვენებელია. სინათლეზე და 40°C ტემპერატურაზე ჩქარდება აქტიური ნივთიერებების დაშლა.

ინახება მშრალ, ბნელ ადგილას 20°C ტემპერატურაზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

იოდზეჯი – სპრეი 1%; 10% (Iodsefi- spray1%; 10%)

Povidone Iodine

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: პოვიდონ იოდს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: გლიცერინი, გამოსხილი წყალი.

გამოშვების ფორმა: 1%-იანი ხსნარი 50 მლ და 10%-იანი ხსნარი 1 ლ, 100 მლ, 20 მლ სპრეის ფორმის გამფრქვევი საცმით დამცავი ხუფის მქონე პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული, სადებიზფექციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

იოდზეჯი სადებიზფექციო საშუალებაა, რომელიც ხასიათდება ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრით. აქტიურია ბაქტერიების (გრამდადებითი და გრამუარყოფითი, მათ შორის პასტერელას, სალმონელას, ეშერიხია კოლის, სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების, სპიროქეტების, კორინებაქტერიების ტუბერკულიოზის მიკრობაქტერიის და სხვ.), სოკოების, ვირუსების, უმარტივესების მიმართ. კანთან და ლორწოვან გარსებთან კონტაქტისას იოდი თანდათან და თანაბრად გამოთავისუფლდება და ავლენს ბაქტერიციდულ მოქმედებას მიკროორგანიზმებზე. პოვიდონ-იოდის პრეპარატების გამოყენების ადგილზე რჩება თხელი ფერადი ფენა, რომელიც მანამადე ინახება, სანამ არ განთავისუფლდება იოდის მთლიანი რაოდენობა, შემდეგ მისი მოქმედება წყდება. ბაქტერიციდული მოქმედება ვითარდება სწრაფად, მეტწილად 15-60 წამში. კვანზე და ლორწოვან გარსზე კონტაქტისას იოდ-პოლივინილპიროლიდონის კომპლექსი გარდაიქმნება ბაქტერიციდული აქტიურ იოდში.

გამოყენების ჩვენებები:

- ჭრილობების, დამწრობების, წყლულების, მათ შორის ტროფიკული წყლულების ანტისეპტიკური დამუშავება.

- დებიზფექციაკვანის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, გინეკოლოგიური ინფექციურ-ანთებითი დაავადებების შემთხვევაში.

- კანისა და ლონოვანი გარსის დამუშავება დიაგნოსტიკამდე და დიაგნოსტიკის შემდგომი გამოკვლევები და მანიპულაციები (ინფექციები, პუნქციები, სისხლის აღება ბიოფსია და სხვა).

- ავადმყოფების ჰიგიენური დამუშავება, ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომ პერიოდში.

- სამედიცინო პერსონალისა და ქირურგის ხელების ჰიგიენური დასუფთავება ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ.

- დეზინფექცია ინფექციური დერმატიტების, სოკოვანი დაავადებების, პაპილომების, ჩირქოვანი დაავადებების შემთხვევაში.

- სამედიცინო პერსონალისა და ქირურგის ხელების ჰიგიენური დასუფთავება, დაინფიცირებული ავადმყოფიდან კონტაქტის შემთხვევაში.

- გინეკოლოგიაში მწვავე და ქრონიკული ვაგინიტების, მომყოლის შეჩერების, ენდომეტრიტების, მეტრიტების, ტრიქომონოზის, კანდიდოზის დროს.

- ცხოველების კიდურების დეზინფექცია თურქულით, ნეკრობაცილოზით დაავადების შემთხვევაში.

- კასტრაციის წინა და შემდგომი მანიპულაციების შემთხვევაში.

- შენობების, წარმოება-დანესებულებების, კვების ობიექტების, სამედიცინო დანესებულებების საკვებურების, წყლის ჭურჭლის, ასევე ცხოველების სადგომების, ინკუბატორების, საფრინველისა და სხვა მონყობილობების დეზინფექცია.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოყენების წინ კარგად შეანჯღრეით. შესხურება მიმდინარეობს 2-3 წმ-ის განმავლობაში, 10-15 სმ-ის დაშორებით. გამოერება ხდება დაავადების სირთულის მიხედვით.

1%-იანი ხსნარი სპრეი გამოიყენება მისი პირდაპირი შესხურებით ავადმყოფის ჰიგიენური დამუშავებისათვის, სამედიცინო პერსონალის, ქირურგის, სამედიცინო იარაღების და მონყობილობების დეზინფექციისთვის.

უკუჩვენებები:

ჰიპერთირეოზი, თირკმლის უკმარისობა, ლაქტაცია, ასევე მაკეობის II და III ტრიმესტრი, იოდისადმი მალალი მგრძნობელობა.

გვერდითი მოვლენები:

ალერგიული რეაქციები იოდზე (ქავილი, ჰიპერემია). ამ დროს პრეპარატის გამოყენება უნდა შეწყდეს.

უსაფრთხოების ზომები:

იოდზეფის დალევა დაუშვებელია. ხსნარის თვალში მოხვედრა საზიანოა. თვალში მოხვედრისას უნდა მოხდეს მისი წყლით გულდასმით გამორეცხვა.

შენახვის პირობები:

სამუშაო ხსნარი მზადდება უშუალოდ გამოყენების წინ. დამზადებული ხსნარის ხანგრძლივად შენახვა დაუშვებელია. ხსნარს უნდა ჰქონდეს მუქი-ყავისფერი შეფერილობა, გაუფერულდება არაეფექტურობის მაჩვენებელია. სინათლეზე და 40°C ტემპერატურაზე ჩქარდება აქტიური ნივთიერების დაშლა.

ინახება მშრალ, ბნელ ადგილას 20°C ტემპერატურაზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

პრისიპა (Prisipka)

Furazolidone, Acid borici, Iodoforme

ნაშლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ ფხვნილი შეიცავს: ფურაზოლიდონს 80 მგ, ბორის მჟავას 150 მგ, იოდოფორმს 10 მგ.
დამხმარე ნივთიერებები: ტალკი.

გამოშვების ფორმა: 50 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის ანტისეპტიკური მოქმედება დაფუძნებულია მასში შემავალი აქტიური ნივთიერებების თვისებებზე:

იოდოფორმი - ქრილობის ზედაპირზე კონტაქტის შემთხვევაში ექვემდებარება თანდათანობით დაშლას აქტიური იოდის გამოთავისუფლებით, ეს კი უზრუნველყოფს ხანგრძლივ ანტიბაქტერიულ ეფექტს.

ბორის მჟავა - ანტისეპტიკური ნივთიერება, ხასიათდება ინსექტიციდური მოქმედებით, ახდენს ცილების კოაგულაციას, მათ შორის ფერმენტულის. არღვევს უჯრედული გარსის შეღწევადობას. თრგუნავს ფაგოციტოზის პროცესს, ამუხრუჭებს ბაქტერიის ზრდას და განვითარებას.

ფურაზოლიდონი - წარმოადგენს ანტიმიკრობულ საშუალებას ნიტროფურანების რიგიდან. ნიტროფურანები ეფექტურები არიან გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ. ისინი თრგუნავენ მიკროორგანიზმებს. ახასიათებთ როგორც ბაქტერიციდული, ასევე ბაქტერიოსტატიკური მოქმედება.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება კასტრაციის შემდგომი დამუშავებისათვის, სხვადასხვა ქრილობების, ნაკანრების, დაბეულობის, ნანოლების დამუშავებისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატის გამოყენებამდე დაზიანებულ ადგილებს ასუფთავებენ ჭუჭყისგან და აცილებენ მკვდარ ქსოვილებს, შემდეგ ხდება თხელ ფენად მიფრვევა და ცხოველებს არ აძლევენ ალოკვის საშუალებას. მიკურნალობის კურსი დამოკიდებულია დაზიანებული კერის სიმძიმეზე.

გვერდითი მოვლენები:

აღნიშნულ დოზებში არ აღინიშნება კანის ალერგიული, ადგილობრივი გამაღიზიანებელი მოქმედება.

უკუჩვენება:

არ აღინიშნება.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ჩაში სპრეი (Chemi spray)

Chloramphenicol, Gentian violet

ნაშლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების ხსნარი, გამოყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ქლორამფენიკოლს 25 მგ, გენციან-ვიოლეტს 1 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: : პროპელენტი d.s. და შემავსებელი 100 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 200 მლ ალუმინის აეროზოლურ ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მიკრობსანინალმდეგო კომბინირებული პრეპარატი, რომლის მოქმედებაც განპირობებულია მასში შემავალი კომპონენტების ერთობლივი ზემოქმედებით მიკრობის უჯრედზე.

ქლორამფენიკოლი-ბაქტერიოსტატიკურ მოქმედებას ავლენს ბაქტერიების რიბოსომების 50S სუბერთეულთან ურთიერთქმედების ხარჯზე, რაც ცილის სინთეზის დარღვევას იწვევს.

გენციან-ვიოლეტი - ანტისეპტიკური საღებავი, ახდენს ანტიბაქტერიულ და სოკოს სანინალმდეგო მოქმედებას მიკრობული უჯრედების ნუკლეოპროტეინების მუავურ ჯგუფებთან ურთიერთქმედების ხარჯზე.

ჩემი სპრეი აქტიურია *Streptococcus spp.*, *Haemophilus spp.*, *Klebsiella spp.*, *Clostridium spp.*, *Fusobacterium spp.*, *Rickettsia spp.*, *Chlamydia spp.* და ზოგიერთი უმარტივესების მიმართ.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ძაღლების კანის ინფექციური დაზიანებების დროს:

- ქრილობები (მათ შორის ქირურგიული);
- ჩლიქების ინფექციური დაზიანებები (ჩლიქებშორისი დერმატიტი);
- ღია აბსცესები, წყლულები.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატის გამოყენებამდე დაზიანებულ ადგილებს ასუფთავებენ ჭუჭყისაგან და აც-ილებენ მკვედარ ქსოვილებს. აეროზოლიან ფლაკონს კარგად ანჯღრევენ. მოაფრქვევენ და-ზიანებულ ადგილებზე 1-2 წამით 10-20 სმ მანძილიდან. მოფრქვევის შემდეგ ცხოველს არ აძლევენ პრეპარატის ალოკვის საშუალებას 5 წუთის განმავლობაში. მკურნალობის კურსი დამოკიდებულია ჭრილობის სიმძიმეზე და მისი შეხორცების სიჩქარეზე, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

გვერდითი მოვლენები:

ალერგიული რეაქციები - კანის ადგილობრივი რეაქციები, ლორწოვან გარსებზე წყ-ლულების წარმოშობა.

უკუჩვენებები:

ქლორამფენიკოლის მიმართ მომატებული მგრძობელობა.

განსაკუთრებული მითითებები:

გვერდითი მოვლენების წარმოშობის შემთხვევაში პრეპარატის მიღებას წყვეტენ, ჩა-მოხანენ დამუშავებულ ადგილებს და უნიშნავენ სიმპტომატურ თერაპიას.

იმის გათვალისწინებით, რომ პრეპარატი პრაქტიკულად არ შეინოვება სისხლის მიმოქცე-ვის სისტემაში, არ არსებობს შეზღუდვა ცხოველთა სახორცედ დაკვლისა და რძის საკვებად გამოყენებაზე. ცხოველთა იძულებით დაკვლის შემთხვევაში ჩემი სპრეით დამუშავებული ზონის უტილიზაცია აუცილებელია.

პრეპარატი საჭიროა გამოყენებულ იქნას კარგად განიავებად შენობებში. კანზე ან ლორ-წოვან გარსებზე მოხვედრის შემთხვევაში აუცილებელია მათი ჩამოხანვა დიდი რაოდენობის წყლით.

აკრძალულია პრეპარატის ღია ცეცხლთან ახლოს გაფრქვევა, ცარიელი ფლაკონის დაშლა ან გახვრეტა.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5-25°C-ზე. აუცილებელია მოარიდოთ მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებას და ფლაკონის გათბობას 45°C ტემპერატურამდე.

ვარგისიანობის ვადა: 4 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ახალი კანი (Akhali kani)

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ ხსნარი შეიცავს: დასის კონცენტრატს (სოიას თესლების ბიოლოგიურად აქტიური დაბალ მოლეკულური ნაერთის შიდროლიზატი) 0,15 მლ; მეთილენის ლურჯს 5 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: პოლიეთილენგლიკოლი, გამოხდილი წყალი 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 50 მლ გარეგანი გამოყენების ხსნარი სპრეის ფორმის გამფრქვევი საც-

მით დამცავი ხუფის მქონე პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მიკრობსანინალმდებო კომბინირებული პრეპარატი, რომლის მოქმედებაც განპირობებულია მასში შემავალი კომპონენტების ერთობლივი ზემოქმედებით მიკრობის უჯრედზე.

მაღალ ანტიმიკრობულ ეფექტურობას განაპირობებს მასში შემავალი ნივთიერებები: კერძოდ მცენარეული ნედლეულიდან მიღებული კონცენტრატი “დასი” (სოიოს თესლების ბიოლოგიურად აქტიური დაბალმოლეკულური ნაერთის ჰიდროლიზატი), რომელიც აქტიურია გრამდადებითი, გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Streptococcus spp.*, *Haemophilus spp.*, *Klebsiella spp.*, *Clostridium spp.*, *Fusobacterium spp.*, *Rickettsia spp.*, *Chlamydia spp.*) და ზოგიერთი უმარტივესების მიმართ.

გენციან ვიოლეტი ანტისეპტიკური საღებავი, რომელიც ახდენს ანტიბაქტერიულ და სოკოს სანინალმდებო მოქმედებას მიკრობული უჯრედების ნუკლეოპროტეინების მჟავურ ჯგუფთან ურთიერთქმედების ხარჯზე.

გამოყენების ჩვენებები:

სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ძაღლების კანის ინფექციური დაზიანებები:

- ჭრილობები (მათ შორის ქირურგიული) დამწვრობა, წყლულები.
- ღია აბცესები.
- კანის და პირუს ღრუს ლორწოვანი გარსის დეზინფექცია.
- გინეკოლოგიური, ინფექციური და ანთებითი დაავადებები.
- ცხოველთა კიდურების დეზინფექცია.
- თურქული, ნეკრობაცილოზი.
- კასტრაციის წინა და შემდგომი მანიპულაციები.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატის გამოყენებამდე დაზიანებულ ადგილს ასუფთავებენ ჭუჭყისგან და აცილებენ მკვდარ ქსოვილებს. აეროზოლიან ფლაკონს კარგად ანჯღრევენ. მექანიკური მიფრქვევა ხდება დღეში 2-ჯერ დაზიანებულ ადგილზე 1-2 წამით 10-20 სმ-ის დაშორებით. მიფრქვევის შემდეგ ცხოველს არ აძლევენ პრეპარატის ალოკვის საშუალებას 5 წუთის განმავლობაში. მკურნალობის კურსი დამოკიდებულია ჭრილობის სიმძიმეზე და მისი შეხორცების სიჩქარეზე.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება

უკუჩვენებები:

ინსტრუქციით გათვალისწინებული წესების მიხედვით გამოყენებისას უკუჩვენებები არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

ცხოველის ხორცი და რძე გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან და მზის პირდაპირი სხივებიდან დაცულ ადგილას 5-25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ეკოციდ C (Ecocid S)

ნაშლის ფორმა:

სადეზინფექციო გრანულირებული ფხვნილი, ვეტერინარული ზედამხედველობის ობიექტების დეზინფექციისათვის და ცხოველების ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

შემადგენლობა:

1 გრამი შეიცავს: კალიუმის პეროქსომონოსულფატს (სამმაგი მარილი) 500 მგ.

დამხმარე ნივთიერება: ნატრიუმის სულფონატის დედოცილებზონი, ორგანული მჟავები (ნატრიუმის ქლორიდი, ნატრიუმის პოლიფოსფატი), საღებავი აზო დიესტაფი და ციტრონი.

გამოშვების ფორმა: 50 გ დაფასოებულია ლამინირებულ ფოლგაში, 25 ცალიად და მოთავსებულია მუყაოს ყუთში; 1 კგ და 2,5 კგ ლამინირებულ ფოლგის პაკეტებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, სადეზინფექციო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ხასიათდება ფართო სპექტრის ანტიმიკრობული მოქმედებით, ბაქტერიების, ვირუსების, (ლორის აფრიკული ჭირის და ქათმის გრიპის აღმძვრელის ჩათვლით) და სოკოების მიმართ. გამოირჩევა ძლიერი დამჟანგავი თვისებით. ორგანული მჟავები არაორგანულ ბუფერთან ერთად ქმნის მჟავე არეს და ხელს უწყობს კალიუმის პეროქსომონოსულფატის მადეზინფიციურებელ აქტიურობას. ასევე ეფექტურია ხისტ ნყალში, ორგანული დაბინძურების და გარემოს დაბალი ტემპერატურის პირობებშიც.

ეკოციდ C მიეკუთვნება ზომიერად საშიში ნივთიერებების ჯგუფს (საშიშროების 3 კლასი). რეკომენდებულ კონცენტრაციაში არ ხასიათდება მასენსიბილიზირებული და კანის ადგილობრივი გამაღიზიანებელი მოქმედებით, სუსტად აღიზიანებს ლორწოვან გარსებს.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება პროფილაქტიკური და იძულებითი (მიმდინარე და დასკვნითი) დეზინფექციისათვის:

- მეცხოველეობის, მეღორეობის, ნადირსაშენის, მეფრინველეობისთვის განკუთვნილი ფართების, მათ შორის ინკუბატორებში არსებული ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და ინვენტარის დასამუშავებლად.

- საკვებდამამზადებელ განყოფილებებსა და მეცხოველეობის სხვა დამხმარე ობიექტებში, სადაც მოთავსებულია ტექნიკური აღჭურვილობა და ინვენტარი;

- ხორცის წარმოებისა და ფრინველის ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოების ფართების და ტექნოლოგიური აღჭურვილობის; ხორცკომბინატებში სანიტარული სასაკლაოების და სასაკლაო პუნქტების შენობა ნაგებობების დასამუშავებლად,

რძის ბლოკები მეცხოველეობის ფერმებსა და კომპლექსებში, კვერცხის შესანახი სათავსების, ასევე ცხოველური წარმოშობის პროდუქციის და საკვების გადასაზიდი შესანახი კონტეინერებისთვის;

- ავტოსატრანსპორტო, სარკინიგზო ვაგონები და სხვა სახის სატრასპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ცხოველების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის და პროდუქციის გადასაზიდად;

- სათავსები, ფართები, შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა და ინვენტარი ცხოველთა მჭიდრო განთავსების ადგილებში (ცხოველებით ვაჭრობის ზაზრებზე, გამოყენებზე);

- ვეტერინარული დანიშნულების (სამკურნალოების, კლინიკების, ლაბორატორიების, ვივარიუმების, თავშესაფრების) დაწესებულებაში არსებული აღჭურვილობა, ინვენტარი, ხელსაწყოები და ლაბორატორიული ჭურჭელი;

- ცხოველების მოვლა-შენახვისათვის განკუთვნილი სადგომის ზედაპირების, გალიების და ინვენტარის დასამუშავებლად (ძაღლების და კატების მოსაშენებელ ობიექტებში, ზოოპარკსა და ცირკში);

- ცხოველთა დაწყურებისათვის განკუთვნილი წყლის გაუფნებლობისა და წყალმომარაგების სისტემისათვის;

გამოიყენება იმ საწარმოებში, სადაც დანერგილია ან ნერგავენ HACCP-ის სისტემას.

გამოყენების წესი:

ეკოციდ C-ს სამუშაო ხსნარით დეზინფექციას ატარებენ ცხოველების არყოფნის დროს, სველი წესით (მოსხურება, განმენდა, ხსნარში ჩაძირვა) ან აეროზოლურად.

- პროფილაქტიკური და იძულებითი (მიმდინარე და დასკვნითი) დეზინფექციისათვის ბაქტერიული (ტუბერკულოზის გარდა), ვირუსული და სოკოვანი ეტიოლოგიის ინფექციების დროს, წინასწარ გასუფთავებულ ზედაპირებს და აღჭურვილობას დეზინფექცია უტარდება სველი ან აეროზული წესით, ასევე დეზობარიერებში და საფენებში გამოიყენება ეკოციდ C-ს 1%-იანი ხსნარი. ღორის აფრიკული ჭირის დროს დეზინფექციას ატარებენ 3%-იანი ხსნარით.

- მეცხოველეობის დამხმარე ფართების, ინკუბატორების, ცხოველების საკვების და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის გადამამუშავებისა და შენახვისათვის განკუთვნილი ფართების, სასაკლაო პუნქტების, თერმული აეროზოლური დეზინფექციისათვის (პროფილაქტიკური და იძულებითი) გამოიყენება ეკოციდ C-ს 4%-იანი სამუშაო ხსნარი.

- ცხოველების დაწყურების წყალმომარაგების სისტემას დეზინფექციისათვის გამოიყენება 0.5%-იანი სამუშაო ხსნარი.

სადეზინფექციო ხსნარის მომზადება:

1%-იანი სამუშაო ხსნარის დასამზადებლად 50 გ გრანულირებული ფხვნილი იხსნება 5 ლ წყალში. რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას თბილი წყალი, პრეპარატის სწრაფი გახსნისათვის. სადეზინფექციო ხსნარის დიდი რაოდენობით დამზადებისთვის 1 კგ იხსნება 100 ლ წყალში;

0.5% სამუშაო ხსნარის დასამზადებლად - 50 გ განზავდება 10 ლ წყალში. ან 1 კგ იხსნება 200 ლ წყალში, თერმული აეროზოლური დეზინფექციისათვის;

4%-იანი სამუშაო ხსნარის დასამზადებლად, თავდაპირველად აეროზოლის სტაბილიზატორს (მონოპროპილენგლიკოლი და სხვ.) ურევენ წყალს 15 ნილ სტაბილიზატორს 85 ნილ წყალზე გაანგარიშებით, შემდეგ მიღებულ ხსნარს უმატებენ 4 ნილ ეკოციდ C-ს.

პირადი უსაფრთხოების ზომები:

ეკოციდ C - თან და მის ხსნარებთან მუშაობა უნდა ჩატარდეს სპეცტანსაცმლით და პირადი უსაფრთხოების საშუალებების გამოყენებით. იკრძალება დაღევა, საკვების მიღება და მოწევა. სამუშაო ხსნარის მომზადებისას უნდა მოვერიდოთ ფხვნილის მოხვედრას კანზე, თვალებსა და სასუნთქ ორგანოებში. ფხვნილის დაყრის შემთხვევაში, აღნიშნული ადგილი უნდა დაიგავოს და გულდასმით გაირეცხოს გამდინარე წყლით.

იკრძალება ეკოციდ C ცარიელი კონტეინერის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გამოყენება. ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და უტილიზაცია ჩატარდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

შენახვის პირობები:

ინახება დახურულ შეფუთვაში, მშრალ და მზის სხივებისგან დაცულ ადგილზე, 0°C -დან 30°C ტემპერატურაზე.

ეკოციდ C უნდა შეინახოთ ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

შეფუთვის გახსნიდან უნდა გამოიყენონ არაუმეტეს 28 დღეში. სამუშაო ხსნარი ინარჩუნებს თავის აქტივობას 4-7 დღის განმავლობაში.

მწარმოებელი ქვეყანა: KRKA d.d., Novo mesto, სლოვენია.

აქვა-ნეტი ეკო ტაბლეტი (Aqua-net Eco tablets)

პრეპარატის ფორმა:

სადეზინფექციო ტაბლეტები, წყლის ავზებისა და აუზებისათვის.

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: დამჟანგავ საშუალებას 96% და აგლუტინაციურ საშუალებას.

გამოშვების ფორმა: ტაბლეტი 20 გ-იანი: 2 და 4,5კგ-იანი ვედროში, ტაბლეტი 100 გ-იანი: 5 კგ-იანი ვედროში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სადეზინფექციო საშუალება, წყლის ავზებისა და აუზებისათვის.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

წყლის სანიტარული ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორი მთავარი ასპექტის გათვალისწინება: წყალი უნდა იყოს დასაღევად ვარგისი და მეორე გადანაწილების ქსელის სანიტარული მდგომარეობა. ფერმაში წყლის სასმელად ვარგისიანობა ჩვეულებრივ გულისხმობს დეზინფექციას, ე.ი. წყალში ინფექციური მიკროორგანიზმების განადგურებას.

სწორი ფიზიკური და ქიმიური თვისებების გათვალისწინებით, ჩვენ წყალში ვამატებთ სადეზინფექციო საშუალებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს პათოგენური მიკროორგანიზმების განადგურება მთლიან გადამანაწილებელ სისტემაში, გასასვლელის ბოლო წერტილამდე, სადაც სადეზინფექციო საშუალების კონცენტრაცია უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ შეინარჩუნოს აქტივობა და არ იყოს საზიანო ცხოველებისთვის.

დეზინფექციის ყველაზე პოპულარული საშუალებაა ქლორი, თუმცა არსებობს უფრო

ეფექტური საშუალება, როგორცაა წყალბადის ზეჟანგი.

მახასიათებლები	წყალბადის ზეჟანგი	ქლორის ნაერთები
სადეზ. სამ-ის გადანაწილება	მაღალი	საშუალოდ დაბალი
გაზომვის შესაძლებლობა	დიახ	დიახ
ჭარბი დოზირება	უსაფრთხო	საშიში
სუნი და რეკომენდებული დოზა	უსუნო	დიახ
კირისნარიები	მცირდება	იზრდება
მოქმედება ორგანულ მასალაზე	კარგი	კარგი
კარცინოგენურობა	ნული	მაღალი
მოქმედების კინეტიკა	ძალიან სწრაფი	ნელი

სადეზინფექციო საშუალება, რომლებიც წყალბადის ზეჟანგზეა დაფუძნებული, შეიცავს მჟავას, რომლებიც იწვევს აქტიური კომპონენტის სტაბილიზაციას.

წყალბადის ზეჟანგი - ახასიათებს რამოდენიმე მახასიათებელი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ის კარგი სადეზინფექციო საშუალებაა. მაღალი დამჟანგავი თვისებების გამო, ის ძალიან აქტიურია ორგანული ნივთიერებების მიმართ და გააჩნია მოქმედების ფართო სპექტრი, ბაქტერიციდული, ვირუსიციდული და სპოროციდული.

ანაერობული მიკროორგანიზმები კიდევ უფრო მგრძობიარენი არიან ამ პროდუქტის მოქმედების მიმართ, რადგან მათ არ შეუძლიათ კატალაზას ფერმენტის სინთეზი, რომელსაც შეუძლია პეროქსიდის დამსხვრევა. იგი უზრუნველყოფს მოქმედების სისწრაფეს. თუმცა იმავე მახასიათებლების გამო თავის შემადგენლობაში საჭიროებს სხვა ნივთიერებების დამატებას სტაბილურობისათვის.

მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს სულფჰიდრატის ჯგუფის ოქსიდაციაში და ბაქტერიის ფერმენტების ორმაგ კავშირებში, რომლებიც იწვევენ იმ ცილების სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლებიც ზემოთ ხსენებულ ფერმენტებს ქმნიან, რაც იწვევს ფუნქციის დაკარგვას და უჯრედების სიკვდილს.

რაც შეეხება ვირუსებს, ცილების დენატურალიზაციის შესაძლებლობა თავდაპირველად მოქმედებს კაფსიდზე და შემდეგ ვირუსის გენეტიკურ მასალაზე. რაც შეეხება სპორებს პეროქსიდს შეუძლია წვლილი შეიტანოს დიპიკოლინური მჟავის რეორგანიზაციაში, მოლეკულა, რომელიც რეზისტენტულობას ანიჭებს ამ სპორების ვეგეტაციურ ფორმას.

წყალბადის ზეჟანგის სადეზინფექციო მოქმედებით, ასუსტებს მიკროსკოპული ფორმების დამცავ სტრუქტურას. უჯრედის კედლების სტრუქტურის და კაფსიდების ცვლილებებით წყალბადის ზეჟანგი აღწევს ამ ორგანიზმებში და იწვევს:

- 1) ზეჟანგი აგრძელებს ოქსიდაციურ მოქმედებას სხვა სტრუქტურებზე, მაგალითად როგორცაა დნმ;
- 2) აფერხებს ამ უჯრედების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- 3) უჯრედის გარსში სადეზინფექციო საშუალების მექანიკური ქმედება იწვევს ბაქტერიის სიკვდილს.

წყალბადის ზეჟანგის კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ ის ძალიან ეფექტურია მილებისა და წყლის გადამანაწილებელი სხვა სისტემების განმენდისა და მოვლისათვის.

არსებობს წერტილები, სადაც ორგანული ნივთიერებების დაგროვება ხელს უწყობს მიკ-

როორგანიზმების გამრავლებას. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ნერტილების წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან დაავადების აღმძვრელები იზრდებიან და დამალულები არიან ბიოაფკის ქვეშ, ისინი არ რეაგირებენ ჩვეულებრივ სადეზინფექციო საშუალებებზე და შეუძლიათ იმ წყლის ხელახლა დაინფიცირება, რომელსაც ცხოველებს ვაძლევთ.

წყალბადის ზეჟანგი ხელს უწყობს ზოგიერთი მარილის დაშლას და ხელს უშლის მათ დალექვას. ჟანგბადის გათავისუფლების გამო ის ინვევს ბუშტუკების წარმოშობას, რომელსაც გააჩნია ზედაპირზე მექანიკური განმნდის ეფექტი. წმენდის ეფექტი იმდენად ინტენსიურია, რომ იქ სადაც მისი გამოიყენება ხდება, იჭედება ცხოველებისთვის განკუთვნილი საწყურებელი, რადგან გროვდება მყარი მასალები, რომელთა გამოტანაც მოხდა წყალბადის ზეჟანგის გამწმენდი ეფექტის შედეგად.

გამოყენების ჩვენებები:

სადეზინფექციო საშუალება, ბიოდეგრადაციის უნარით, გამოიყენება წყლის ავზების, რეზერვუარების, მილების, ცხოველების საწყურებლების და ა.შ. დეზინფექციისათვის. გამოიყენება ასევე ბიოაფკის განადგურებისა და ღია რევის პრევენციისათვის. დეზინფიცირებული სასმელი წყალი უსაფრთხოა მოხმარებისთვის.

გამოყენების წესი და დოზირება:

წყლის რეზერვუარების, ავზებისა და აუზების დასამუშავებლად გამოიყენება 1 ტაბლეტი 20 გ-ანი 1000 ლ წყალზე ან 1 ტაბლეტი 100 გ-იანი 5000 ლ წყალზე. ეფექტის შენარჩუნებისთვის გაიმეორეთ კვირაში ერთჯერ.

მოათავსეთ შესაბამისი დოზა პირდაპირ წყალში და დაელოდეთ მის მოქმედებას. გაიმეორეთ დამუშავება რეკომენდებული ჯერადობით და აუზიდან ან ავზიდან წყლის ამოღების სისშირის მიხედვით.

გაფრთხილება:

წყალბადის ზეჟანგი მოქმედებს ძალიან სწრაფად, არ აქვს დამახასიათებელი მძაფრი სუნი, არ არსებობს ჭარბი დოზირების რისკი. მოიზიდავს და ანადგურებს ბიოორგანიზმებს, მასზე ნაკლებად მოქმედებს მჟავა და ტუტე გარემო, მისი გადანაწილება ხდება თანაბრად, ერთგვაროვნად.

ერთადერთი საჭიროა სიფრთხილე სადეზინფექციო საშუალების კონტეინერის დახურვისას, რომ თავიდან ავიცილოთ იქ მწერების მოხვედრა, რათა არ დაიწყოს დაჟანგვის რეაქცია, რაც თავის მხრივ ინვევს სწრაფ დეგრადაციას.

შენახვის პირობები:

ინახება გრილ, ბნელ და მშრალ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

6. მასტიტაჰის საწინააღმდეგო პრეპარატები

ბიომასტი (Biomast)

Amoxicillin trihydrate

ნაშლის ფორმა:

ზეთოვანი სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ამოქსიცილინის ტრიჰიდრატს 50 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: მზესუმზირის ზეთი, ვაზელინი, კაკაოს ცხიმი.

გამოშვების ფორმა: 10 მლ ერთდოზიანი პოლიეთილენის შპრიციში; 100 მლ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბიოტიკული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიომასტი ანტიბაქტერიული პრეპარატია, რომელიც გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილ-ფეხა პირუტყვის ლაქტაციის პერიოდის მასტიტების სამკურნალოდ. აქტიურია შემდეგი სახის ბაქტერიების მიმართ: *Streptococcus spp.*, *Staphylococcus spp.*, *Escherichia coli*, *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella spp.*, *Candida spp.*, გარდა ტუბერკულოზის აღმძვრელისა.

ფარმაკოკინეტიკა:

ინტრაცისტერნალური შეყვანის შემდეგ, აქტიური ნივთიერება სწრაფად ნაწილდება მთელ სარძევე ჯირკვალში. აქტიური ნივთიერება პრაქტიკულად არ აბსორბირდება სარძევე ჯირკვლიდან სისტემურ სისხლძარღვებში, არ განიცდის ბიოტრანსფორმაციას და გამოიყოფა თითქმის უცვლელი სახით რძესთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და თხა - სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებით, ჩხიროვანი ბაქტერიებით, კორინობაქტერიებით და ფსევდომონადებით (ტუბერკულოზის აღმძვრელის გარდა) გამოწვეული ქრონიკული და მწვავე მასტიტი.

გამოყენების წესი და დოზირება:

დასაშვებია პრეპარატის მცირედ გამყარება, მოხმარების წინ პრეპარატი შეათბეთ სხეულის ტემპერატურამდე (37°C-მდე).

მსხვილფეხა პირუტყვი: 10 მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე, ყოველ 12-24 სთში.

ცხვარი და თხა: 5 მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე ყოველ 12-24 სთ-ში.

მშრალობის პერიოდში: 10 მლ შეიყვანება სარძევე ჯირკვლის არხიდან დაავადებულ მეოთხედზე, ბოლო მოწველიდან 10-14 დღის განმავლობაში.

უკუჩვენებები:

რეკომენდებული დოზების გამოყენებით უკუჩვენებები არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზების გამოყენებით გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

ბიომასტით მკურნალობის დროს ჯანმრთელი მეოთხედებიდან მიღებული რძე ადულების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველებისთვის საკვებად. რძის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის უკანასკნელი გამოყენებიდან 2 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 15-25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

მასტიკლოქსი (Mastiklox)

Amoxicilline, Cloxaciline

ნაშლის ფორმა:

ზეთოვანი სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ამოქსიცილინს 25 მგ, კლოქსაცილინს 25 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: მზესუმზირის ზეთი, ვაზელინი, კაკაოს ცხიმი.

გამოშვების ფორმა: 10 მლ ერთდოზიან პოლიეთილენის შპრიცში; 100 მლ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბიოტიკული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მასტიკლოქსი ანტიბაქტერიული პრეპარატია, გამოიყენება მსხვილფეხა და წერილფეხა პირუტყვის ქრონიკული და მწვავე მასტიტების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების, ბაქტერიული ჩხირების, კორინებაქტერიების და პსევდომონადების მიერ (გარდა ტუბერკულიოზის აღმძვრელისა). მასტიკლოქსის ანტიბაქტერიულ მოქმედებას განაპირობებს მასში შემავალი სხვადასხვა ჯგუფის ანტიბიოტიკები:

ამოქსაცილინი წარმოადგენს ნახევრად სინთეზურ ანტიბიოტიკს, რომელიც გამოიყენება პენიცილინისადმი მგრძობიარე გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა: *Haemophilus*, *Klebsiella*, *Pseudomonas*, *Pasteurella*, *Salmonella*, პენიცილინისადმი ნეგატიური *Staphylococcus* და *Streptococcus*. იგი თრგუნავს ბაქტერიის უჯრედული კედლის სინთეზს.

კლოქსაცილინი ხასიათდება ფართო სპექტრის ბაქტერიციდული მოქმედებით, აქტიურია გრამდადებითი ბაქტერიების მიმართ, რომლებიც, როგორც წესი, გამოიყოფა ცხოველის სარძევე ჯირკვლიდან მშრალობის პერიოდში: სტრეპტოკოკები (მათ შორის *Streptococcus agalactiae*), სტაფილოკოკები (მათ შორის შტამები, რომლებიც მდგრადია პენიცილინის მიმართ) და კორინებაქტერიები.

მასტიკლოქსის გახანგრძლივებული ბაქტერიციდული მოქმედება განპირობებულია, მის შემადგენლობაში შემავალ ნაკლებად ხსნად კლოქსაცილინის მარილის გამოყენებასთან.

კლოქსაცილინი ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდის, ფეკალური მასების და რძის საშუ-

ალებით.

ფარმაკოკინეტიკა:

ინტრაცისტერნალური შეყვანის შემდეგ, აქტიური ნივთიერება სწრაფად ნაწილდება მთელ სარძევე ჯირკვალში, არ აბსორბირდება სარძევე ჯირკვლიდან სისტემურ სისხლძარღვებში, არ განიცდის ბიოტრანსფორმაციას და გამოიყოფა პრაქტიკულად უცვლელი სახით რძესთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და თხა – სტრეპტოკოკებით, სტაფილოკოკებით, ჩხიროვანი ბაქტერიებით, კორინებაქტერიებით და ფსევდომონადებით (ტუბერკულოზის აღმდგურელის გარდა) გამოწვეული ქრონიკული და მწვავე მასტიტი.

გამოყენების წესი და დოზირება:

დასაშვებია პრეპარატის მცირედ გამყარება, მოხმარების წინ პრეპარატი შეათბეთ სხეულის ტემპერატურამდე (37°C-მდე).

მსხვილფეხა პირუტყვი: 10 მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე ყოველ 12-24 სთ-ში.

ცხვარი და თხა: 5 მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე ყოველ 12-24 სთ-ში.

მშრალობის პერიოდში: 10 მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე 10-14 დღის განმავლობაში ბოლო მონველის შემდეგ. შეიყვანება სარძევე ჯირკვლის არხიდან.

უკუჩვენებები:

მასტიკლოქსის რეკომენდებული დოზების გამოყენებით უკუჩვენებები არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებული დოზების გამოყენებით გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

მასტიკლოქსით მკურნალობის დროს ჯანმრთელი მეოთხედებიდან მიღებული რძე ადულების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველებისთვის საკვებად. რძის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის უკანასკნელი გამოყენებიდან 2 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 10-20°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

მასტილქსი (Mastilix)

Cefalexin monohydrate, Gentamicin sulfate

წამლის ფორმა:

ზეთოვანი სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ცეფალექსინის მონოჰიდრატი 350 მგ, გენტამიცინის სულფატი 35 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: გლიცერინი, ალკოჰოლის ცეტოსტეარილი, არაქისის ზეთი, ქოქოსის ზეთი.

გამოშვების ფორმა: 10 მლ ერთდოზიან პოლიეთილენის შპრიცში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

აქტიურია მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მასტიტების გამომწვევი ბაქტერიების მიმართ: *Streptococcus spp.*, *Staphylococcus spp.*, *Escherichia coli*, *Pseudomonas aeruginosa*, *Klebsiella pneumonia*, *Candida spp.* მასტილექსის მოქმედება განპირობებულია მასში შემავალი ანტიბიოტიკების ეფექტებით.

ცეფალექსინი ცეფალოსპორინული ანტიბიოტიკია ბაქტერიციდული მოქმედების ფართო სპექტრით, აქტიურია გრამდადებითი ბაქტერიების უმეტესი ნაწილის მიმართ, ფლობს მდგრადობას ბეტა-ლაქტამაზების მიმართ.

გენტამიცინი ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკია. ავლენს ბაქტერიციდულ მოქმედებას მრავალი გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ და აგრეთვე აძლიერებს ცეფალექსინის ეფექტს გრამდადებითი მიკროორგანიზმების მიმართ.

რძედისპერსული შემავსებლის წყალობით ხელს უწყობს ანთებითი პროცესის შედეგად დაზიანებული სარძევე ჯირკვლის ეპითელიუმის აღდგენას.

ინტრაცისტერნალური შეყვანის შემდეგ, რძედისპერსული შემავსებლის წყალობით აქტიური ნივთიერებები სწრაფად ნაწილდებიან მთელ სარძევე ჯირკვალში. აქტიური ნივთიერებები პრაქტიკულად არ აბსორბირდებიან სარძევე ჯირკვლიდან სისტემურ სისხლდინებაში, არ ბიოტრანსფორმირდებიან და გამოდიან პრაქტიკულად უცვლელი სახით რძესთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მასტიტები (ტუბერკულოზური ეტიოლოგიის მასტიტების გარდა).

გამოყენების წესი და დოზირება:

პრეპარატი შეყავთ ინტრაცისტერნალურად ყოველ 12-24 საათში (არაუმეტეს 3-ჯერ).

მსხვილფეხა პირუტყვი - შეჰყავთ 1 შპრიცი (10 მლ) ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედში;

წვრილფეხა პირუტყვი - შეჰყავთ 5 მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედში. პრეპარატის გამოყენების წინ დაავადებული მეოთხედებიდან ჩამოწველიან რძეს, დვრილის დეზინფექციის შემდეგ შეჰყავთ შპრიცის შიგთავსი დვრილის არხში. პრეპარატის შეყვანის შემდეგ რეკომენდებულია დვრილის მსუბუქი მასაჟი ქვემოდან ზემოთ.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში გამოყენების დროს გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში გამოყენების დროს უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

განსაკუთრებული მითითებები:

არ არის რეკომენდებული მასტილექსის გამოყენება ინტრაცისტერნალურად შესაყვან სხვა პრეპარატებთან ერთად. ძროხების დაავადებული ცურის მეოთხედიდან და თხების ცურის დაზიანებული ნაწილიდან რძეს ჩამონველიან და აუფენებლებენ ადულებით.

მასტილექსით მკურნალობის დროს ჯანმრთელი მეოთხედიდან მიღებული რძე ადულებ-ბის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველებისთვის საკვებად.

დაყოვნების პერიოდი:

რძის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 5 დღის შემდეგ.

ცხოველთა სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის უკანასკნელი შეყვანიდან 7 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე იძულებით დაკლულ ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნას ხორცისმჭამელ ცხოველთა საკვებად ან ხორცისა და ძვლის ფქვილის წარმოებაში.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, კაშკაშა სინათლისა და მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებისაგან დაცულ ადგილას 5-25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

7. საშვილოსნოა მოქმედი და ინტრავაგინალური პრეპარატები

ფუროქსი (Furoxy)

Oxytetracycline Hcl, Furazolidone, Metronidazole

ნაშლის ფორმა:

საშვილოსნოს ბოლუსი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ბოლუსი შეიცავს: ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს 300 მგ, ფურაზოლიდონს 330 მგ, მეტრონიდაზოლს 300 მგ.

დამხმარე ნივთიერება: პოლივინილპიროლიდონი, პოლიეთილენგლიკონი, ნატრიუმის ჰიდროკარბონატი, ლიმონის მჟავა, მაგნიუმის სტეარატი, ტალკი, სიმინდის სახამებელი, ლაქტოზა.

გამოშვების ფორმა: №6 ბოლუსი დაფასოებულია ბლისტერზე, №5 ბლისტერი მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

კომბინირებული პრეპარატი ავლენს ფართო სპექტრის ანტიმიკრობულ, ანთებისა და პროტოზოების საწინააღმდეგო მოქმედებას. მეტრონიდაზოლი ავლენს პროტოზოების საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიულ მოქმედებას, ასევე ბლოკავს ცილების ნიტროჯგუფს და არღვევს მიკროორგანიზმის უჯრედში ჟანგვა-აღდგენის ბალანსს, რაც იწვევს ტოქსიკური პროდუქტების დაგროვებას, რომლებიც ურთიერთქმედებენ უმარტივესთა დნმ-თან და

ინვევენ მათ სიკვდილს. აქტიურია: *Bacteroides spp, Fusobacterium spp, Prevotella spp, Clostridium spp, Eubacterium spp, Peptostreptococcus spp* და სხვა აღმძვრელებზე.

ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდი და ფურაზოლიდონი ავლენენ ფართო სპექტრის მოქმედებას გრამდადებით და გრამუარყოფით მიკრობებზე, ასევე ზოგიერთ უმარტივესებზე.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენის, ცხვრის და ნეზვის საშვილოსნოს ანთებითი პროცესების მკურნალობა და პროფილაქტიკა, მშობიარობის დროს გართულებების შემთხვევაში და პათოლოგიური მშობიარობის დროს, მომყოლის ქირურგიული მოცილების, აბორტების, მშობიარობის შემდგომი მწვავე ენდომეტრიტის დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატის შეყვანის წინ ატარებენ გარეთა სასქესო ორგანოების კუდის ბოლოს სანიტარულ დამუშავებას. საშვილოსნოში ბოლუსი შეაქვთ ხელით (პოლიეთილენის ხელთათმანით) პროფილაქტიკის მიზნით - მომყოლის მოცილებისთანავე 1-2 ბოლუსი 12-24 საათში ერთჯერ. მკურნალობისთვის - დოზა ორმაგდება.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

დაყოვნების პერიოდი:

პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 24-სთ-ის განმავლობაში რძე შეიძლება გამოყენებულ იქნას ცხოველთა საკვებად (ადულების შემდეგ). ხორცი გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპურატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

8. დერმატოლოგიაში გამოსაყენებელი საშუალება

დინდგელის გალამო (Unguentum Propolis)

Propolis

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მაღამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

მაღამოს 1 გ შეიცავს: დინდგელის ექსტრაქტს 24 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: მზესუმზირის ზეთი, ვაზელინი, სანთელი.

გამოშვების ფორმა: 20 გ ან 500 გ მაღამო პოლიეთილენის ქილებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

შინაური ცხოველების გარეგანი გამოყენების პრეპარატი. ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, აუმჯობესებს ქროლოების შეხორცებას.

კანზე წასმისას მალამო განიცდის დიფუზიას ცხიმის და ოფლის ჯირკვლებში, თანდათანობით შეინოვება, ხელს უწყობს ანთების პროდუქტების განოვის დაჩქარებას. ასტიმულირებს გრანულაციური ქსოვილების ზრდას, ქროლოების ეპითელიზაციას.

გამოყენების ჩვენებები:

ღია ქროლოები, დამწვრობები, ეგზემა, ვაგინიტები, მასტიტები, დერმატიტები, ბურსიტები, ნაწიბურები, ნახეთქები, ჩლიქების ჩირქოვან-ნეკროზული პროცესების, ასევე პოსტოპერაციულ პერიოდში ქროლოების შეხორცება და რეგენერაცია.

გამოყენების წესი და დოზები:

მალამოს უსმევინ თხელ ფენად სუფთა თეთრ ქსოვილზე ან დოლბანდზე, რომელსაც შემდგომ დააფენენ სხეულის დაზიანებულ ადგილას, გადახვევებს და შეზღვევას აწარმოებენ დღეში 2-3 ჯერ გამოჯანმრთელებამდე.

მალამოს მსუბუქად შეაზელენ უშუალოდ დაზიანებულ კერას და მის გარშემო ქსოვილებს, ასევე საჭიროებისმებრ შეიძლება მისი ტამპონების გამოყენებაც.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები:

არ აღინიშნება.

განსაკუთრებული მითითებები:

ჩლიქების დაზიანების დროს რეკომენდირებულია მალამოს გამთბარი ნახვევი.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არა უმეტეს 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

იხთიოლის მაღაშო 10% ან 20% (Unguentum Ichthyoli 10%,20%)

Ichthammol

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მალამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

მალამოს 1 გ შეიცავს: იხთიოლს 0,1 მგ ან 0,2 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ვაზელინი.

გამოშვების ფორმა: 10%-ანი მალამო 20 გ პოლიეთილენის ქილაში; 20%-ანი მალამო 20 გ პოლიეთილენის ქილაში და 500 გ პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გარეგანი გამოყენების პრეპარატი. ავლენს ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკურ მოქმედებას, აგრეთვე აქვს ადგილობრივი ანალგეზიის უნარი, აუმჯობესებს ჭრილობების შეხორცებას.

გამოყენების ჩვენებები:

ღია ჭრილობები, დამწვრობა, ეგზემა, დერმატიტები, ჩირქოვანი ჭრილობები, ნანიბურები, ნახეთქები.

გამოყენების წესი და დოზები:

მალამო გამოიყენება ადგილობრივად, უნდა შეეზილოს დაზიანებულ კერას და მის გარშემო ქსოვილებს, ან თხელი ფენა წაესმება სუფთა თეთრ ქსოვილზე ან დოლბანდზე. გადახვევებს და შეზღვევას აწარმოებენ დღეში 2-3 ჯერ გამოჯანმრთელებამდე.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძობილობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები:

არ აღინიშნება.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

იამის მალამო (Jamin ointment)

Sulfur, Zinc oxide, Salicylic acide, Tar, Turpentine, Lisohum

ნაშლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მალამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენილობა:

მალამოს 1 გ შეიცავს: გოგირდს 100 მგ; თუთიის ოქსიდს 100 მგ; სალიცილის მჟავას 20 მგ; კუპრს 0,1 მლ; სკიპიდარს 0,07 მლ; ლიზოლს 0,06 მლ.

დამხმარე ნივთიერებები: ვაზელინი, ლანოლინი.

გამოშვების ფორმა: 20 გ და 500 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული საშუალება, ფუნგიციდურ-ექტოპარაზიტული პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გარეგანი გამოყენების კომბინირებულ პრეპარატს, აქვს გამოკვეთილი ფუნგიციდური, ბაქტერიციდული და ექტოპარაზიტული თვისება, აღნიშნული თვისებები განპირობებულია მასში შემავალი ნივთიერებების სინერგიული მოქმედებით. შემადგენელი ელემენტები უზრუნველყოფენ კანის ზედა შრეში შეღწევალობას და ანადგურებენ აღმძვრელებს, დაავადების კერის სიღრმეში.

პრეპარატი თბილისისხლიანებისთვის მცირედ ტოქსიკურია, არ ახასიათებს გამაღიზიანებელი და მასენსიბილიზირებელი მოქმედებები.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ცხოველთა კანის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ:

- ეგზემა, დერმატიტი, ტრიქოფითია და კანის სხვა დაავადებები.

ასევე ეფექტურია ჩლიქების დაზიანების, ნეკრობაქტეროზის შემთხვევაში, ცხვრის ჩლიქის სიდამპლის, სარკოფტოზის (მუნი) მიმართ.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოყენების წინ მალამოს გულდასმით ურევენ, რადგან დიდხანს შენახვის დროს შეიძლება პრეპარატში შემავალი კომპონენტები ფენებად განლაგდნენ. წასმა ხდება დაზიანებულ უბანზე თხელ ფენად და 2-4 სმ მის ირგვლივ. დაზიანებულ კერას ამუშავებენ დღეში 1-2 ჯერ, თუ 4-5 დღეში ქერცლი არ მოცილდა მკურნალობა გრძელდება 7-10 დღე, შემდეგ შეიმჩნევა დაზიანებული უბნის განთავისუფლება და ბალანის წამოზრდა. 10 დღის შემდეგ აუცილებელია დაზიანებული კანის მიკროსკოპული კონტროლი. აღმძვრელის აღმოჩენის შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები დადგენილი არ არის.

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატთან მუშაობის დროს დაიცავით პირადი ჰიგიენა და ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების პირობებით გათვალისწინებული წესები.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ალემაზი (Aleamaz)

Kreolin, Sulfur

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მალამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

მალამოს 1გ შეიცავს: კრეოლინს 0,12 მლ, გოგირდს 0,375 გ.

დამხმარე ნივთიერება: ტექნიკური ზეთი, ასკანა.

გამოშვების ფორმა: 20 გ და 500 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ფუნგიციდური, ექტოპარაზიტული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

კომბინირებული პრეპარატი გარეგანი გამოყენებისათვის. რომელსაც გამოკვეთილი აქვს ფუნგიციდური, ექტოპარაზიტული და ანტიმკრობული თვისებები, რაც განპირობებულია მასში შემავალი ნივთიერებების სინერგიული მოქმედებით. შემადგენელი ელემენტები უზრუნველყოფენ კანის ზედა შრეში შეღწევადაობას და ანადგურებენ აღმძვრელებს, დაავადების კერის სიღრმეში.

პრეპარატი თბილისისხლიანებისთვის მცირედ ტოქსიკურია, არ ახასიათებს გამაღიზიანებელი და მასენსიბილიზირებელი მოქმედებები.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ცხოველთა კანის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ: ტრიქოფიტია, მიკროსპორია, ფავუსი, ეგზემა, დერმატიტი, ასევე ეფექტურია ნეკრობაქტერიოზის, ჩლიქის სიღამლის, ფსოროფტოზისა და სარკოფტოზის (მუნი) დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოყენების წინ მალამოს გულდასმით ურევინ, რადგან დიდხანს შენახვის დროს შეიძლება პრეპარატი შემავალი კომპონენტები ფენებად განლაგდნენ. წასმა ხდება დაზიანებულ უბანზე თხელ ფენად და 2-4 სმ მის ირგვლივ. დაზიანებულ კერას ამუშავებენ დღეში 1-2 ჯერ, მკურნალობა გრძელდება გამოჯანმრთელებამდე, როცა შეიმჩნევა დაზიანებული უბნის გათავისუფლება და ბალანის წამოზრდა. 10 დღის შემდეგ აუცილებელია დაზიანებული კანის მიკროსკოპული კონტროლი. აღმძვრელის აღმოჩენის შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები დადგენილი არ არის.

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატთან მუშაობის დროს დაიცავით პირადი ჰიგიენა და ვეტერინარულ პრეპარატებთან მუშაობისას გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ტეტრაციკლინის 1%-ანი თვალის მაღამო

(Unguentum Tetracyclini ophthalmicum 1%)

Tetracycline dihydrate

წამლის ფორმა:

თვალის მაღამო, გამოიყენება ვეტერინარიში.

შემადგენლობა:

მაღამოს 1 გ შეიცავს: ტეტრაციკლინის დიჰიდრატს 0,01 გ.

დამხმარე ნივთიერება: ვაზელინი.

გამოშვების ფორმა: 20 გ პოლიეთილენის ქილაში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიბიოტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მაღამო ფართო სპექტრის მოქმედების ანტიბიოტიკია, მოქმედებს გრამდადებით და გრამ-მუარყოფით ბაქტერიებზე, რიკეციებზე, ტრახომას და ორნიტოზის აღმძვრელზე.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ცხოველებში თვალის ინფექციური დაავადებების: კონიუქტივიტი, ბლეფარიტი, ტრახომა, რქოვანას დაზიანების და სხვათა სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და მეთოდები:

მაღამოს უსმევნ თვალის შიდა მხარეს და გარეთა მხრიდან მსუბუქი მოძრაობით ანაწილებენ კონიუქტივის მთელ პარკზე. მაღამო გამოიყენება ყოველდღიურად, 3-5 ჯერ დღეში, გამოჯანმრთელებამდე. მაღამოს დოზა ერთ ცხოველზე შეადგენს 0,2 გ-დან 0,4 გ-მდე.

გვერდითი მოვლენები:

არ იწვევს.

უკუჩვენებები:

ტეტრაციკლინისადმი მაღალი მგრძნობელობა.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, ბნელ ადგილას 15-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

თუთიის მაღამო 10% (Ungventum Zinci 10%)

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მაღამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

მაღამოს 1 გრამი შეიცავს: თუთიის ოქსიდს 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ვაზელინი.

გამოშვების ფორმა: 20 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გარეგანი გამოყენების მაღამო ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, გააჩნია ადგილობრივი ანალგეზიის უნარი, აუმჯობესებს ქრილობების შეხორცებას.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება კანის დაავადებების ქრილობის, დამწვრობის, წყლულის, ფურუნკულოზის, ძირმაგარას, პიოდერმიას, დერმატიტის, ნაწოლების სამკურნალოდ ცხოველებში.

გამოყენების წესი და დოზები:

მაღამოს წასმა ხდება დაზიანებულ უბანზე დღეში 1-2 ჯერ, გამოჯანმრთელებამდე.

გვერდითი მოვლენები:

მაღამოს გამოყენება ცხოველებში არ იწვევს გვერდით მოვლენებს და გართულებებს.

უკუჩვენებები:

დადგენილი არ არის.

შენახვის პირობები:

ინახება კარგად დახურულ ქურჭელში, სინათლისაგან დაცულ ადგილას, 10-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

პინტის მაღამო (Abies Ointment)

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მაღამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ შეიცავს: სოჭის ზეთს 70 მგ.

დამხმარე ნივთიერება: ვაზელინი.

გამოშვების ფორმა: 20 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

კანზე წასმისას მალამო დიფუნდირდება ცხიმოვანი და ოფლის სადენი ჯირკვლებიდან, საიდანაც მუდმივად შეინოვება, იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, აუმჯობესებს სისხლის მომარაგებას, ანთების დროს აჩქარებს განოვას, გრანულაციური ქსოვილის ზრდას, ჭრილობების ეპითელიზაციას.

გამოყენების ჩვენებები:

პიხტის მალამო გამოიყენება ჭრილობების, დამწვრობის, ეგზემის, დერმატიტების, ბურსიტების, ქსოვილების ტრავმული დაზიანებების დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატის თხელ ფენას უსმევენ სუფთა დოლბანდზე და ახვევენ ჭრილობას. პროცედურა ტარდება დღეში 1-2 ჯერ გამოჯანმრთელებამდე. მალამოს წასმა შეიძლება უშუალოდ დაზიანებულ უბანზე მსუბუქი შეხელებით. დაზიანებების და მასტიტების დროს გამოიყენება მალამოს თბილი სახვევები.

გვერდითი მოვლენები:

მალამოს გამოყენება ცხოველებში არ იწვევს გვერდით მოვლენებს და გართულებებს.

უკუჩვენებები:

დადგენილი არ არის.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

ქაფურის მალამო 10% (Unguentum Camphoratum 10%)

Camphorate, Vaseline

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მალამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

20 გ შეიცავს: ქაფურის ფხვნილს 2 გ.

დამხმარე ნივთიერება: ვაზელინი.

გამოშვების ფორმა: 20 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება შინაურ ცხოველების ბურსიტების, მიოზიტების სამკურნალოდ, ასევე ძროხების მშრალობის პერიოდის დროს, სუბკლინიკური მასტიტის სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზირება:

მალამო უნდა შეეზილოს კანის დაზიანებულ კერას და მის გარშემო ქსოვილებს ან ედება დოლბანდი სახვევის სახით. გადახვევებს და შეზღვევას აწარმოებენ დღეში 2-3 ჯერ გამო-
ჯანმრთელებამდე.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღენიშნება. შეიძლება გამოვ-
ლინდეს გადამეტებული მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები:

არ აღენიშნება.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო.

ბიომექტინი (Biomeqtin)

Ivermectine

წამლის ფორმა:

გარეგანი გამოყენების მალამო, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 გ მალამო შეიცავს: ივერმექტინი 0,5 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ვაზელინი.

გამოშვების ფორმა: 20 გ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპარაზიტული, ინსექტოკარიციდული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიომექტინი ხასიათდება ინსექტოკარიციდული მოქმედების ფართო სპექტრით, ეფექტუ-
რია სარკოპტოიდური ტკიპების, რწყილების, ტილების, თმისმჭამელი ტკიპების და დემოდ-
ეკოზის აღმძვრელის მიმართ.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ძალღების, კატების, ბენვიანი ცხოველების და ბოცვრების აკაროზების
(ნოტოედროზი, სარკოპტოზი, ოტოდეკოზი, დემოდეკოზი და სხვ.), ენტომოზების (ფე-
ლიკოლოზის, ტრიხოდექტოზის, ლინოგნატოზის, კტენოცეფალოზის და სხვ.) სამკურნალ-
ოდ.

გამოყენების წესი და დოზები:

მალამო განკუთვნილია გარეგანი ხმარებისათვის 0,2-0,3 გ 1-3 სმ-ზე. მალამოს კარგად
შეაზღვევენ პარაზიტების ლოკალიზაციისა და დაზიანების ადგილებში ორჯერადად, 7-10
დღის ინტერვალით. აუცილებლობის შემთხვევაში დამუშავებას იმეორებენ.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურისა.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

9. ანტინანემიური (რკინაშემცველი) პრეპარატში

ჰიეროდექსინი (Hieridexina)

Iron dextran, Cobalt chloride, Cyanocobalamin

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: რკინას 100 მგ; კობალტის ქლორიდს 4 მგ; ვიტამინ B₁₂-ს 25 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: ფენოლი და საინექციო წყალი.

გამოშვების ფორმა: 50 მლ და 100 მლ გაუმჭირვალე მინის ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტინანემიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ჰიეროდექსინი სტერილური ხსნარია, რომელიც შეიცავს რკინის პოლისაქარიდს, კობალტს და ვიტამინ B₁₂-ს. განკუთვნილია ცხოველებისათვის ანემიის სამკურნალოდ. გოჭებში რკინა-დეფიციტური ანემიის დროს იმ შემთხვევაში, როდესაც დედა ღორის რძე ვერ აწვდის გოჭებს იმ რაოდენობის რკინას, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის და ჰემოგლობინის ჩამოყალიბებისათვის. ჰიეროდექსინს გააჩნია სამკურნალო ეფექტი და იგი ხელს უშლის რკინა-დეფიციტური ანემიის განვითარებას გოჭებში და ზოგადად ცხოველებში. ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს ინფექციური დაავადებების მიმართ. ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდა-განვითარებას.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ღორი და ცხვარი: რკინის დეფიციტით გამოწვეული ჰიპოქრომული ანემია, განსაკუთრებით გოჭებში. გამოიყენება მიკრობული დაავადებებისადმი (პნევმონია, დიარეა) რეზისტენტობის მოსამატებლად.

მსხვილფეხა პირუტყვი - დამხმარე პრეპარატი პიროპლაზმოზის მკურნალობისას. გამოიყენება მაკეობის მიმდინარეობისას, როგორც მატონიზირებელი საშუალება.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეჰყავთ ღრმად კუნთში.

გოჭები - პროფილაქტიკა: 1-2 მლ ცხოველის დაბადებიდან მე-2-დან მე-4 დღის ჩათვლით. **მკურნალობა:** 2 მლ პრეპარატი ანემიის პირველი ნიშნების გამოვლენიდან ან დაბადებიდან მე-7-21-ე დღის ჩათვლით.

მსხვილფეხა პირუტყვი: ზრდასრული - 5-10 მლ, ხბო - 3 მლ.

ცხვარი: ზრდასრული - 3-5 მლ, ბატკანი - 1 მლ.

გვერდითი მოვლენები:

ცნობილი არ არის.

უკუჩვენებები:

არა არის ცნობილი:

ჭარბი დოზირება:

დოზების გადაჭარბების შემთხვევაში პრეპარატის გამოყენება უნდა შეწყდეს და ჩატარდეს სიმპტომური მკურნალობა.

დაყოვნების პერიოდი:

არ საჭიროებს.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისაგან და ნესტისაგან დაცულ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 5 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

10. ვიტამინურ – მინერალური და ამინომჟავური კომპლექსები

10.1. ვიტამინურ-ამინომჟავური პრეპარატები

ჩიკტონიკი (Chiktonic)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

- ვიტამინი A (რეტინოლი) - 2.5 მლნ. სე;
- ვიტამინი D₃ (კოლექკალციფეროლი) - 500 ათასი ს.ე;
- ვიტამინი E (α-ტოკოფეროლი) - 3.75 გ;
- ვიტამინი B₁ (თიამინი) - 3.5 გ;
- ვიტამინი B₂ (რიბოფლავინი) - 4 გ;
- ვიტამინი B₆ (პირიდოქსინი) - 2 გ;
- ვიტამინი B₁₂ (ციანოკობალამინი) - 10 მგ;
- ვიტამინი B₅ (ნატრიუმის პანტოტენატი) - 15გ;
- ვიტამინი K₃ (მენადიონი) - 250 მგ;
- ქოლინის ქლორიდი - 400 მგ;
- ბიოტინი - 2 მგ;
- ინოზიტოლი - 2.5 მგ;

- D.L.-მეთიონინი - 5 გ;
- L-ლიზინი - 2.5 გ;
- ჰისტიდინი - 900 მგ;
- არგინინი - 490 მგ;
- ასპარაგინის მჟავა - 1.45 გ;
- ტრეონინი - 500 მგ;
- სერინი - 680 მგ;
- გლუტამინის მჟავა - 1.16 გ;
- პროლინი - 510 მგ;
- გლიცინი - 575 მგ;
- ალანინი - 975 მგ;
- ცისტინი - 150 მგ
- ვალინი - 1.1 გ;
- ლეიცილინი - 1.5 გ;
- იზოლეიცილინი - 125 მგ;
- თიროზინი - 340 მგ;
- ფენილალანინი - 810 მგ;
- ტრიფტოფანი - 75 მგ.

გამოშვების ფორმა: 1 ლ ჰერმეტიკულად დახურულ გაუმჭვირვალე თეთრ პლასტმასის ბოთლებში და 100 მლ ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ამინომჟავისა და ვიტამინების შემცველი კომბინირებული პრეპარატი. ფრინველის ორგანიზმში მოხვედრისას არეგულირებს მათ ოპტიმალურ თანაფარდობას.

დადებით ზემოქმედებას ახდენს ფრინველის ზოგად ტონუსზე, აუმჯობესებს მადას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და შარდსასქესო სისტემის სტიმულაციას, ზრდის კვერცხმდებლობას. პრეპარატი ხელს უწყობს სხვადასხვა წარმოშობის ინფექციური აგენტების მიმართ რეზისტენტობის მომატებას, მოქმედებს ფრინველის ზრდა-განვითარებაზე.

გამოყენების ჩვენებები:

- ჰიპოვიტამინოზისა და ამინომჟავების უკმარისობა;
- სტრესების პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- მიკოტოქსინებით გამოწვეული ტოქსიკური პროცესები;
- ვაქცინაციის შემდგომი და ანტიბიოტიკებით ხანგრძლივი მკურნალობის შემდგომი ალდგენისა და მხარდაჭერისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ფრინველებს პრეპარატი ეძლევა წყალში განზავებული, დოზით 1-2 მლ/1 ლ წყალზე, 5 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გავზარდოთ მიღების ხანგრძლივობა.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

უკუჩვენებები:

დღეისათვის უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

განსაკუთრებული მითითებები:

მეფრინველეობის პროდუქცია პრეპარატის გამოყენების შემდეგ გამოიყენება შეუზღუდავად.

უსაფრთხოების წესები:

ჩიკტონიკთან მუშაობისას საჭიროა დავიცვათ პირადი ჰიგიენისა და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობისას გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები.

აკრძალულია პრეპარატის ცარიელი ბოთლების საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენება.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

განამინოვიტი (Ganaminovit)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ვიტამინი A - 10 000 000 მ.ე.;

ვიტამინი D₃ - 1 000 000 მ.ე.;

ა-ტოკოფეროლი - 10 გ;

ვიტამინი B₁ - 2 გ;

ვიტამინი B₂ - 4 გ;

ვიტამინი B₆ - 1,5 გ;

ვიტამინი C - 25 მგ;

ვიტამინი K₃ - 1,5 მგ;

პანტოტენატ კალციუმი - 10 გ;

ფოლიუმის მჟავა - 500 მგ;
ნიკოტინამიდი - 20 გ;
ბიოტინი - 15 მგ;
D,L-მეთიონინი - 50 გ;
L-ლიზინი - 50 გ;
L-ტრიპტოფანი - 6,4 გ;
L-ტრეონინი - 18,6 გ;
ალანინი - 12,96 გ;
არგინინი - 15,6 გ;
ვალინი - 27,4 გ;
სერინი - 24 გ;
ასპარგინის მჟავა - 27,8 გ;
გლუტამინის მჟავა - 85 გ;
პროლინი - 39,2 გ;
გლიცინი - 80 გ;
ცისტინი - 1,9 გ;
ლეიცილი - 35,4 გ;
იზოლეიცილი - 23,6 გ;
ფენილალანინი - 19 გ;
ჰისტიდინი - 11,8 გ;
შემავსებელი - 1 კგ-მდე.

გამოშვების ფორმა: 100 გ, 1 კგ და 25 კგ-იანი შეფუთვა.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინურ-ამინომჟავური კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პოლივიტამინური პრეპარატი ამინომჟავებით. მისი მოქმედება ხელს უწყობს სასოფლო სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ზოგადი ტონუსის აწევასა და გაძლიერებას. ვიტამინები მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში და აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ხოლო უცვლელი ამინომჟავები საჭიროა ცილების სინთეზისათვის. საკვებთან მათი არასაკმარისი რაოდენობით მიწოდება იწვევს ცხოველთა და ფრინველთა პროდუქტიულობისა და მიღებული საკვების ათვისების დაქვეითებას.

განამინოვიტი კომპენსაციას უწევს ვიტამინების და ამინომჟავების დეფიციტს, რომელიც ვითარდება არადაბალანსებული კვების დროს. პრეპარატი დადებითად მოქმედებს ბუმბულის და მატყლის მდგომარეობაზე, აუმჯობესებს მადას, ასტიმულირებს ცხოველთა პროდუქტიულობას, ამაღლებს ფრინველის კვერცხმდებლობას, ხელს უწყობს ცხოველების ნონამატს. პრეპარატი დადებითად მოქმედებს რეპროდუქტიულ ხარისხზე, ხელს უწყობს იმუნიტეტის განმტკიცებას.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ვიტამინების და ამინომჟავების უკმარისობით დასუსტებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველებისთვის, რომელიც ვითარდება: არადაბალანსებულ კვების, სტრესის დროს, დასუსტებულ მგომარეობაში.

ტონუსის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის:

- ვაქცინაციის შემდეგ;
- ანტიბიოტიკებით და კოკციდიოსტატიკებით ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი გამოიყენება პერორალურად სასმელ წყალთან განზავებით ან საკვებთან შერევით შემდეგ დოზებში:

ცხოველის სახეობა	დოზა გ/ლ წყალში	დოზა გ/კგ საკვებში
ცხენი, ლორი	0,25	0,5
ფრინველი	0,125 - 0,25	0,25 - 0,5

ფრინველს პრეპარატი ეძლევა 4-8 დღე, ცხენს და ლორს - 3-5 დღე.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები დადგენილი არ არის.

დაყოვნების პერიოდი:

მეცხოველეობის პროდუქტები პრეპარატის გამოყენების შემდეგ შეუზღუდავად გამოიყენება.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას 5-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ციტოპლექს-სელენი (Cytoplex selenite)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 კგ ციტოპლექს-სელენი შეიცავს 1 გ სელენს. ციტოპლექს-სელენი 99% წარმოდგენილია სელენომეთიონინით, სელენოცისტეინით და სხვა სელენოამინომჟავებით ანუ ამ მიკროელემენტების ბიოლოგიურად აქტიური ფორმებით, რომელიც აღმოჩენილია ბუნებაში (ხორბალი, სოიო და სხვა)

გამოშვების ფორმა: დაფასოებულია 25 კგ-ან ტომარაში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიურად აქტიური დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის და ფრინველის კვებაში.

სელენი - წარმოადგენს შეუცვლელ ანტიოქსიდანტს. იგი ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტია, რომელიც შედის ორგანიზმში მიმდინარე ურთულესი ცვლადი პროცესების მარეგულირებელი უმთავრესი ჰორმონების და ფერმენტების შემადგენლობაში. სელენი დაკავშირებულია ყველა ორგანოს, ქსოვილების და სისტემების ცხოველქმედებასთან. ორგანიზმში მისი არსებობა სხვა მიკროელემენტებთან ერთად, აუცილებელია ცხოველის ნორმალური განვითარების და მისი პროდუქტიულობის შენარჩუნებისათვის. სელენი ერთ-ერთი უმთავრესი მიკროელემენტია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ ნორმალურ ფუნქციონირებას, მონაწილეობს განაყოფიერების პროცესში, მოზარდის განვითარებაში, ახანგრძლივებს ცხოველის პროდუქტიულობის ასაკს და ვიტამინებთან კომბინაციაში სელენი იცავს ორგანიზმს სხვადასხვა სახის სტრესებისაგან. სელენი ააქტიურებს იმუნური სისტემის მუშაობას. ზრდის მოზარდის და ზრდასრული ცხოველების მდგრადობას ინფექციური დაავადებებისადმი, მონაწილეობს ერთროციტების გამომუშავებაში. სელენი და ვიტამინი E არეგულირებს მათ შენოვასა და ცვლას, ააქტიურებს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებს, რომლებიც ზემოქმედებენ ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების ინტენსივობაზე და საბოლოოდ, გონადოტროპული ჰორმონების აქტივობაზე. გარდა ამისა, სელენი აბრკოლებს მეტაბოლიზმის პროცესში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ზედმეტად დაჟანგვას. სელენი ხელს უწყობს ნვრილი ნაწლავების ღორწოვანი გარსის ნორმალუზებას კაროტინის შენოვისა და ვიტამინად გარდაქმნას, რაც თავის მხრივ, ოპტიმალურ პირობებს ქმნის განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოს კედელზე მიმაგრების და ნაყოფის ნორმალურად განვითარებისათვის.

სელენის დეფიციტის სიმპტომები:

ზრდასრული ცხოველები:

1. დაბალი განაყოფიერება,
2. აბორტი, სიცოცხლის უუნარო მოზარდის დაბადება.
3. მოგების შემდგომი დაავადებები, მომყოლის შეჩერება, მეტრიტი.
4. მასტიტი, რძეში სომატური უჯრედების მომატებული რაოდენობა.
5. ღვიძლის ჰეპატოზი და ნეკროზი.

მოზარდი:

1. ახალდაბადებული ხბოების დაბალი გამძლეობა სიცვიის მიმართ.
2. შენელებული ზრდა.
3. დაბალი იმუნური მდგომარეობა.
4. სარემონტო მოზარდებში საკვების ცუდი კონვერსია.
5. კუნთოვანი დისტროფია.

ორგანული სელენის უპირატესობა:

1. კარგად აითვისება მცოხნავენის მიერ.

2. არატოქსიკურია.
3. არ ურთიერთქმედებს სხვა მინერალებთან.
4. ორგანიზმში ქმნის რეზერვებს.

გამოყენების წესი და დოზები:

ციტოპლექს-სელენი შეაქვთ რაციონში დოზით 3 გ ერთ სულზე დღე-ღამეში ერთჯერ, მთელი საწარმო ციკლის განმავლობაში. ციტოპლექს-სელენი შეიძლება ჩართული იქნას კომბინირებული საკვების, პრემიქსის ან მინერალური საკვების შემადგენლობაში. პრემიქსებში არაორგანული სელენის მარილების არსებობა შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რადგან მათი ათვისება მცოხნავეების ორგანიზმის მიერ და ციტოპლექს-სელენი ტოქსიკურობა არ არის მაღალი. ეკონომიურობის მიზნით შესაძლებელია ციტოპლექს-სელენით ცხოველების რეპროდუქციული ორგანოების დაავადებების პროფილაქტიკის კურსის ჩატარება: მშრალობის პერიოდში მოგებამდე ერთი თვით ადრე ეძლევათ 4 გ ერთ სულზე, მოგების შემდეგ მომდევნო განაყოფიერებამდე კი 3 გ ერთ სულზე.

ფრინველში: 250 -300 გ ერთ ტონა საკვებში.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: DR. BATA, უნგრეთი.

კალფოსტონიკი (Calfostonic)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

- ვიტამინი A - 600000 სე;
- ვიტამინი D₃ - 200000 სე;
- ვიტამინი B₁- 100 გ;
- ვიტამინი B₆ - 10 მგ;
- ვიტამინი B₁₂- 1.1 მგ;
- ვიტამინი E - 75 მგ;
- ვიტამინი K₃ - 25 მგ;
- D, L-მეთიონინი - 10 მგ;
- L-ლიზინი - 2.5 მგ;
- ნიკოტინის მფავა - 1.25 გ;
- პანტოტენატ კალციუმი - 500 მგ;
- ქოლინ ქლორიდი - 25 გ;

გენციენის ფუძე - 5 გ;
კარნიტინის ჰიდროქლორიდი - 10 გ;
გლუტამატის ნატრიუმი - 7.5 გ;
ნატრიუმის ქლორიდი - 25 გ;
მაგნიუმის კარბონატი - 5 გ;
თუთიის კარბონატი - 1 გ;
რკინის სულფატი - 2 გ;
სპილენძის სულფატი - 500 მგ;
კალიუმის იოდიდი - 180 მგ;
კალციუმის კარბონატი - 443.865 გ;
დიკალციფოსფატი - 300 გ;
ნატრიუმის სელენიტი - 80 მგ;
არომატიზირებული შემავსებელი 1 კგ-მდე.

გამოშვების ფორმა: 50 გ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 კგ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინური და მინერალური კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

კალფოსტონიკი წარმოადგენს ვიტამინების, მინერალური მარილების, ოლიგოელემენტების, ამინომჟავების, ზრდის ფაქტორების, მადის მასტიმულირებელ, მატონიზირებელ და არომატული დანამატების კომპლექსურ ნარევეს.

პრეპარატი გამოიყენება პირუტყვის ინდივიდუალური ან ჯგუფური დამუშავებისათვის, ცხოველების სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ელემენტების ნაკლებობით გამოწვეული მწვავე და ქრონიკული მდგომარეობის დროს, რათა რძის, ხორცის და ბუნვის წარმოება შეესაბამებოდეს ცხოველის გენეტიკურ შესაძლებლობას.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება აუცილებელი ელემენტების მწვავე და ქრონიკული ნაკლებობით გამოწვეული დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, ანორექსიის, დაუბალანსებელი კვების, გამოჯანმრთელების პერიოდში დახმარების, რახიტის, ცუდი განვითარების, ტონუსის ამაღლების, მადის სტიმულირებისათვის.

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი: ანორექსია, დაბალი პროდუქტიულობა, გამოჯანმრთელების პერიოდში ძალების აღდგენისა და რძის გამოშვების სტიმულირება, ტონუსის ამაღლება.

ღორი და ცხენი: ანორექსია, ავიტამინოზი, გამოჯანმრთელების პერიოდში ძალების აღდგენის სტიმულირება, ტონუსის ამაღლება.

ფრინველი: ავიტამინოზი, პროდუქტიულობის სტიმულირება, გამოჯანმრთელების პერიოდში ძალების აღდგენა.

გამოყენების წესი და დოზები:

ჯგუფური მკურნალობა (საკვებთან შერეული):

ფრინველი: 20 - 30 გ პრეპარატი 1 კგ საკვებზე 10-20 დღის განმავლობაში.

სხვა ცხოველები: 20 კგ პრეპარატი 1 ტ საკვებზე 10-20 დღის განმავლობაში.

ინდივიდუალური მკურნალობა (დღიური დოზა ერთ ცხოველზე):

მსხვილფეხა პირუტყვი: 100 - 200 გ 15-20 დღის განმავლობაში, მოზარდებს: 40 - 50 გ 15-20 დღის განმავლობაში.

ლორი და ცხენი: მაკეობის დროს 60 - 100 გ 15-20 დღის განმავლობაში, მოზარდებს 10 - 15 გ 15-20 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება.

უკუჩვენებები:

არ აღინიშნება.

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატის დოზების გადაჭარბებისას ინტოქსიკაცია პრაქტიკულად არ აღინიშნება. ხორცისა და რძის პროდუქტები გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5-20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 4 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

აველ პრემიუმ - (Aval Premium)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

- | | | | |
|--|-----------------|--|-------|
| ვიტამინი A | 10 000 000 ს.ე; | ვიტამინი K ₃ | 1 გ; |
| ვიტამინი D ₃ (E-671) | 2 000 000 ს.ე; | კალციუმის პანტოტენატი | 8 გ; |
| ვიტამინი E (α -ტოცოფეროლ, E-672) | 10 გ; | ნიკოტინამიდი | 15 გ; |
| ვიტამინი B ₁ | 3 გ; | ვიტამინი C | 15 გ; |
| ვიტამინი B ₂ | 3 გ; | Echinacea extract (წითელი ეხინაცია) | 10 გ; |
| ვიტამინი B ₆ | 3 გ; | Allium extract (წივრის ექსტრაქტი) | 10 გ; |
| ვიტამინი B ₁₂ | 30 მგ; | Cynara extract (არტიშოკის ექსტრაქტი) | 10 გ; |
- ჰიდროლიზებული მცენარეული პროტეინი, რომელის შეიცავს:
გლუტამინის მჟავა. 22.68 გ;
სერინი 9.72 გ;

ჰისტიდინი	3.06 გ;
გლიცინი	8.28 გ;
ტრეონინი	7.74 გ;
ალანინი.	9.54 გ;
არგინინი	7.92 გ;
ტიროზინი	4,5 გ;
ცისტინი	2.16 გ;
ვალინი	10.44 გ;
მეთიონინი	2.7 გ;
ფენილალანინი.	7.02 გ;
იზოლეიციანი	6.84 გ;
ლეიციანი	11.52 გ;
ლიზინი	11.34 გ;
პროლინი	7.38 გ;
ასპარგინის მჟავა.	13.14 გ;
ფოლის მჟავა	100 მგ;

შემავსებელი 1 ლიტრამდე.

გამოშვების ფორმა:

1 ლ, 5 ლ ხსნარი დაფასოებულია ჰერმეტიულად დახურულ გაუმჭვირვალე თეთრ პოლიეთილენის ბოთლებში და 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინურ-ამინომჟავური კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ავალ პრემიუმი წარმოადგენს პერორალურად მისაღებ ხსნარს, რომელიც ეფუძნება პრონუტრიენტებს. ვიტამინებისა და ამინომჟავის შემცველი კომბინირებული პრეპარატი ფრინველის ორგანიზმში მოხვედრისას არეგულირებს მათ ოპტიმალურ თანაფარდობას.

პრეპარატი აუმჯობესებს მადას, დადებით გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე და შარდ-სასქესო სისტემაზე, ზრდის კვერცხმდებლობას. პრეპარატი ხელს უწყობს სხვადასხვა წარმოშობის ინფექციური აგენტების მიმართ რეზისტენტობის მომატებას, დადებითად მოქმედებს ფრინველის ზრდა-განვითარებაზე. მაღალი ტემპერატურის სტრესის დროს ორგანიზმში აღადგენს სითხის მინერალურ და ენერგეტიკულ დანაკარგებს.

Echinacea extract (წითელი ექინაცია) აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხასიათდება ანტისექტიკური და უჯრედის რეგენერაციის თვისებებით.

Allium extract (ნივრის ექსტრაქტი) ახასიათებს ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება.

Cynara extract (არტიშოკის ექსტრაქტი) ახასიათებს ჰეპატოდამცავი და ნალღმდენი ეფექტი.

გამოყენების ჩვენებები:

- ჰიპოვიტამინოზისა და ამინომჟავების უკმარისობა;
- სტრესების პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- მიკოტოქსინებით გამოწვეული ტოქსიკური პროცესები;
- ვაქცინაციის შემდგომ და ანტიბიოტიკებით ხანგრძლივი მკურნალობის შემდგომი ალდგენისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ფრინველებს პრეპარატი ეძლევათ წყალში განზავებით, დოზით 0,5-2 მლ/ლ წყალზე 5-7 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გაეზარდოს მიღების ხანგრძლივობა.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

უკუჩვენებები:

დღეისათვის უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

განსაკუთრებული მითითებები:

ფრინველისგან მიღებული პროდუქცია პრეპარატის გამოყენების შემდეგ გამოიყენება შეუზღუდავად.

უსაფრთხოების წესები:

პრეპარატთან მუშაობისას საჭიროა დავიცვათ პირადი ჰიგიენისა და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობისას გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისა და მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, ესპანეთი.

დასი (DAS)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: დასის კონცენტრატს (სოიას თესვების ბიოლოგიურად აქტიური დაბალ მოლეკულური ნაერთის ჰიდროლიზატი) 0,07 მლ.

დამხმარე ნივთიერებები: გამოსხილი წყალი.

გამოშვების ფორმა: 1 ლ და 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, იმუნომასტიმულირებელი, ანტისტრესული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი, ხასიათდება ანტიმიკრობული, იმუნომასტიმულირებელი, ანტისტრესული მოქმედებით, რომელიც გამოიყენება მეფრინველეობასა და მეცხოველეობაში. დასის ბუნებრივი დაბალმოლეკულური შენაერთის მდიდარი, მრავალკომპონენტური შემადგენლობა უზრუნველყოფს პრეპარატის მაღალეფექტურობას, უზრუნველყოფს ზემოქმედების ფართო სპექტრს, ცოცხალი ორგანიზმის დაცვის ყველა რგოლზე. ქსოვილებში პრეპარატის მოქმედების რეალობა ხდება რიგი ფერმენტული სისტემების გააქტიურების მეშვეობით. დამზადებულია ბუნებრივ ნედლეულზე და არ შეიცავს არავითარ ქიმიურ დანამატს. პრეპარატი არაპათოგენური, არატოქსიური და არაჰორმონალურია.

დასი ააქტიურებს ცოცხალი ორგანიზმის დაცვის ყველა რგოლს. იგი აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, პრეპარატის ზემოქმედებით ორგანიზმში ხდება T და B ლიმფოციტების რაოდენობების ნორმალიზება და იმუნოგლობულინების დონის კორექცია, ძლიერდება ორგანიზმის დამცავი მექანიზმები, მაკროფაგების ფუნქციური აქტივობა, ბრკოლდება იმუნოფატიის განვითარება სტრესების დროს და ხელი ეწყობა ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებას.

დასი მნიშვნელოვნად ზრდის მეტაბოლიზმის პროცესს. ინარჩუნებს იმუნოაკორიგირებელი უჯრედების ბალანსს ინფექციური დაავადებების დროს და უზრუნველყოფს ორგანიზმის ნორმალურ ჰომოესტაზს.

პრეპარატს ახასიათებს მაღალი ანტიმიკრობული ზემოქმედება გრამდადებითი და გრამ-მუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, ენტერობაქტერიების ცალკეული სახეობების (*Escherichia coli*, *Proteus vulgaris*, *Salmonella spp.*, *Staphylococcus spp*, *Streptococcus spp.*) და სხვა მიკროორგანიზმების (*Pasteurella spp.*, *Corynebacterium spp.*, *Chlamydia spp.*, *Mycoplasma spp.*) მიმართ. ასევე ამჟღავნებს ანტიმიკრობულ აქტივობას ანტიბიოტიკების მიმართ მდგრად უმარტივესებზე და ბაქტერიების შტამებზე, ამასთან, არ თრგუნავს სასარგებლო მიკროფლორას. მოქმედების მექანიზმს საფუძვლად უდევს მიკროორგანიზმის გარეგან მემბრანაზე ზემოქმედება, აღწევს პერიპლაზმური სივრცის შიგნით, იწვევს მისი სტრუქტურის შეცვლას და ფუნქციის მოშლას.

- დასის შემადგენლობაში შემავალი ამინომჟავური კომპლექსი ორგანიზმში იწვევს სერატონინის მომატებას, რისი მეშვეობითაც სას. სამ. ცხოველებსა და ფრინველში სტრეს-ფაქტორებისადმი მაღალი მდგრადობა ყალიბდება.

- დასის მოქმედებით ხორცში იზრდება ამინომჟავა ტრიფტოფანის შემადგენლობა და იცვლება ტრიფტოფან/ოქსიპროლინის კოეფიციენტი, რაც ამაღლებს ხორცის ხარისხსა და საგემოვნო თვისებებს.

საკვების დანამატის შემადგენლობაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფართო სპექტრი განაპირობებს:

1. ფრინველის და ცხოველის ფიზიკური აქტიურობის გაზრდას, აძლიერებს მათ მდგრადობას სტრესის მიმართ, ეს კი ამცირებს ფტეროფაგიისა და კანინალიზმის გამოვლინებას ფრინველში;

2. აუმჯობესებს ზრდის ტემპს 5-15%;

3. შენარჩუნებას 3-4%;

4. ამცირებს საკვების დანახარჯებს, პროტეინის მოთხოვნას და მიმოცვლით ენერჯის

ხარჯს კგ ნამატზე 7-19%-ით;

5. ააქტიურებს საჭმლის გადამამუშავებელ სისტემას, ორგანიზმში მაღლა სწევს სასარგებლო ნივთიერებათა ათვისების ეფექტურობას;

6. სორბაციას უკეთებს, ბოჭავს და ორგანიზმიდან გამოყავს ტოქსინები, მეტაბოლიზმის მომწამვლელი პროდუქტები, რადიონუკლიდები, მძიმე მეტალები (კალიუმი, ტყვია, ვერცხლისწყალი და სხვა);

7. ენერჯის ათვისებას ზრდის 0,5-3,4%-ით. ნედლი პროტეინის 2,4-7,2%-ით;

8. აუმჯობესებს ხორცის ქიმიურ შემადგენლობას;

9. სადედე ფრინველში მაღლა წევს კვერცხის ინკუბაციის ხარისხსა და ნაჭუჭის სიმტკიცეს;

10. ზრდის ფრინველის სიცოცხლისუნარიანობას, წინილების გამოსავლიანობა იზრდება 3-4%-ით;

11. აუმჯობესებს კვერცხმდებლობას 4-10%-ით;

12. ამცირებს კვერცხის ტევადობას 3-5%-ით.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, ღორების, ძაღლებისა და კატებისათვის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, კერძოდ:

- რეზისტენტულობის ასამაღლებლად, იმუნიტეტის ფორმირებისა და განვითარებისათვის;

- ზრდისა და განვითარების სტიმულაციისათვის;

- სხვადასხვა ეტიოლოგიის კუჭნაწლავის დაავადებების (მიკოტოქსიკოზები, მოწამვლები და სხვა) საწინააღმდეგოდ;

- ბაქტერიოლოგიური წარმოშობის რესპირატორული კომპლექსების სამკურნალოდ და პროფილაქტიკის მიზნით;

- ფრინველის კვერცხდების პროდუქტიულობის ასამაღლებლად და ოვარიოსალპინგიტების პროფილაქტიკისათვის;

- სხვადასხვა სტრესფაქტორების დროს პროდუქტიულობის სტიმულაციის მიზნით.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ღორი, ძაღლი, კატა და ფრინველი შემდეგი დოზებით - მკურნალობა: 1 მლ/0,5 - 1 ლ წყალზე; პროფილაქტიკა: 1 მლ/3 ლ წყალში.

გვერდითი ეფექტები:

ინსტრუქციის მიხედვით პრეპარატის გამოყენებისას, როგორც წესი გვერდითი მოვლენები და გართულებები არ გამოიხატება.

შეთავსებადობა:

თავსებადია ვიტამინებთან, მინერალებთან და ანტიბიოტიკებთან.

დაყონების პერიოდი:

ხორცი, რძე, კვერცხი გამოიყენება შეუზღუდავად.

უკუჩვენებები:

მაკეობის პერიოდში პრეპარატი გამოიყენება ჩვენების შემთხვევაში. მომატებული ინდივიდუალური მგრძობილობა პრეპარატის კომპონენტებისადმი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

ოლიგოფოსი (Oligofos)

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ ხსნარი შეიცავს: მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დაბალმოლეკულური ორგანული შენაერთს (ფრუქტოოლიგოსაქარიდები) 0,010 მლ.

დამხმარე ნივთიერებები: გამობდილი წყალი.

გამოშვების ფორმა: 100 მლ ჰერმეტიულად დახურულ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საჭმლის მომწელებელ სისტემაზე მოქმედი საშუალება, ბიოლოგიურად აქტიური დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ოლიგოფოსი წარმოადგენს ნანოტექნოლოგიურ პროდუქტს, რომელიც მიღებულია მცენარეული ნაკრებისაგან და არ შეიცავს ქიმიურ დანამატს. პრეპარატი არაპათოგენური, არატოქსიკური და არაპორმონალურია.

ოლიგოფოსი დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური ბიოცენოზის ჩამოყალიბებაზე. ააქტიურებს და აღადგენს ნაწლავების სასარგებლო მიკროფლორას, საჭმლის გადაამამუშავებელი ფერმენტების მუშაობას, ზრდის საკვების შეთვისების ხარისხს.

საკვები დანამატის გამოყენება ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო რეზისტენტობის ამაღლებას, იგი არეგულირებს pH-ს, თრგუნავს პათოგენური მიკროორგანიზმების ზრდას, იწვევს სასარგებლო ბიოფილუმ ბაქტერიების სტიმულაციას, აუმჯობესებს ლეიქოსის ფუნქციას, ანეიტრალებს ტოქსინებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას ინფექციური და ტოქსიკური დაავადებებისადმი.

პრებიოტიკი ოლიგოფოსის მიღება მნიშვნელოვნად ცვლის მეტაბოლიზმის პროცესებს. ნაწლავებში აუმჯობესებს მხოლოდ საპროფიტული მიკროფლორის ზრდას (არის მისი მკვებავი), მატულობს ლაქტო და ბიფიდუმ ბაქტერიები, რაც იწვევს რძემჟავა ბაქტერიების დიდი რაოდენობით პროდუქციებას, თრგუნავს პათოგენურ მიკროორგანიზმებს და აფერხებს მსხვილი ნაწლავის კოლონიზაციის პროცესს, მცირდება ამიაკის ექსკრეციცია და პათოგენური ბაქტერიების მიერ პროდუქციებული ტოქსიკური მეტაბოლიტების რაოდენობა.

გამოყენების ჩვენებები:

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი გამოიყენება მეფრინველეობასა და მეცხოველეობაში,

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლილობისას, სტრესის დროს, ვაქცინაციის ანტიბაქტერიული მკურნალობის შემდეგ, დისბაქტერიოზების ენტერიტებისა და საკვებით გამოწვეული ფა-ლარათების დროს. იმუნური სისტემის ასამაღლებლად; წონამატის გაზრდისა და საკვების კონვერსიის შესამცირებლად.

გამოყენების წესი და დოზები:

შინაურ ცხოველებს და ფრინველებს პრეპროტიკი ეძლევათ განზავებით, 1 მლ/1-2 ლ წყალში, 5 დღის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები:

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას, გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

განსაკუთრებული მითითებები:

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქტები (ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა.) გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისა და მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 18 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

10.2 ვიტამინური პრეპარატები

მულტივიტი (MULTIVIT)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ვიტამინი A - 100.000 მ.ე.;

ვიტამინი D₃ - 2.000 მ.ე.;

ვიტამინი E - 2 მგ;

ვიტამინი B₂ - 0,6 მგ;

ვიტამინი B₆ - 0,6 მგ;

ვიტამინი PP - 6 მგ;

ნატრიუმის პანტოტენატი - 2 მგ;

ვიტამინი C - 20 მგ;

ვიტამინი K₃ - 2 მგ;

შემავსებელი 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 1 მლ ამპულაში, 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 ლ პოლიეთილენის კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინური კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის მოქმედება განპირობებულია მასში შემავალი კომპონენტების ეფექტურობაზე. ავლენს ორგანიზმის გამაძლიერებელ მოქმედებას, იწვევს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას, მალლა სწევს დაავადებების მიმართ ორგანიზმის რეზისტენტობას.

პრეპარატის განსაკუთრებული სამკურნალო, წყალში ხსნადი ფორმა უზრუნველყოფს სწრაფ შეწოვას და პრეპარატის კომპონენტების მალალ ბიოშელწევადობას.

გამოყენების ჩვენებები:

ფრინველი:

გამოიყენება წყალში ხსნადი და უხსნადი ვიტამინების კლინიკური და სუბკლინიკური ნაკლებობის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, ასევე ფიზიოლოგიური ზრდისა და განვითარების დარღვევისას. კვერცხმდებლობის შემცირების, წინილების გამოყვანის დროს. სადღეე გუნდის გინეკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

შინაური ცხოველები:

გამოიყენება ბუნებრივი რეზისტენტობის დაქვეითების დროს, კალციუმ-ფოსფორული ცვლის დარღვევისას, განაყოფიერების დაქვეითების დროს, კრუნჩხვების, მომატებული ემბრიონალური სიკვდილიანობის და კანის ანთების დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

ყველა სახეობის ცხოველისათვის: 500 მლ მულტივიტი იხსნება 1000 ლ სასმელ წყალში ან 1 ლ მულტივიტი ერევა 1 ტ საკვებს, მიიღება პერორალურად, დღეში ერთჯერ. მკურნალობის კურსი 5-7 დღე.

უკუჩვენებები:

დღეისათვის უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატის გამოყენების დროს ჩვენებების მიხედვით და რეკომენდირებულ დოზებში გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

დაყოვნების პერიოდი:

არ არის შეზღუდული.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას 5°C-დან 25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ვიტამინი AD3E (VITAMINE AD3E)

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ვიტამინ A - 500 000 ს.ე.;

ვიტამინი D₃ - 75 000 ს.ე.;

ვიტამინი E - 50 მგ.;

შემავსებელი 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 50, 100 და 250 მლ ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინების კომპლექსი.

გამოყენების ჩვენებები:

ცხიმში ხსნადი ვიტამინების კლინიკური და სუბკლინიკური ნაკლებობა. ფოსფორისა და კალციუმის მეტაბოლიზმის რეგულაცია. მიკრობული ინფექციების და პარაზიტარული დაავადებებისადმი წინააღმდეგობის ამაღლება. სტრესული მდგომარეობის შეწყვეტა და სასქესო ორგანოების ფიზიოლოგიის გაძლიერება.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვი: ზრდასრული ცხოველები: 5 მლ ვიტამინ AD₃E ერთ სულზე.

ხბო: 3-4 მლ/ერთ სულზე.

ღორი: ზრდასრულები: 2-3 მლ/ერთ სულზე.

გოჭი: 0,5-1 მლ/ერთ გოჭზე.

ცხვარი და თხა: ზრდასრული: 2 მლ/ერთ სულზე. მოზარდი: 0,5-1 მლ/ერთ სულზე.

პროფილაქტიკა: ინექცია მეორდება ყოველ 2 თვეში.

მკურნალობა: ინექცია მეორდება 14 დღის განმავლობაში, უკიდურეს შემთხვევაში 3 კვირის შემდეგ.

დაყოვნების პერიოდი:

არ არის აუცილებელი.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილს.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

3იტამინი AD3E (VITAMIN AD3E)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ვიტამინი A - 100000 სე;

ვიტამინი D₃ - 5000 სე;

ვიტამინი E - 20 მგ.

გამოშვების ფორმა: 1 ლ და 5 ლ კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინების კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მიკრობული და პარაზიტული ინფექციებისადმი ამაღლებული მგრძობელობის დროს. ხელს უშლის სტრესის გაჩენას და აძლიერებს სასქესო ორგანოების ფიზიოლოგიას.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხენის, ცხვარის, თხის და შინაური ფრინველის ცხიმში ხსნადი ვიტამინების კლინიკური და უსიმპტომო უკმარისობის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. კალციუმისა და ფოსფორის მეტაბოლიზმის რეგულაციისათვის. მიკრობული და პარაზიტული ინფექციებისადმი ამაღლებული მგრძობელობის დროს. ხელს უშლის სტრესის გაჩენას და აძლიერებს სასქესო ორგანოების ფიზიოლოგიას.

გამოყენების წესი და დოზები:

შინაური ფრინველი: მიიღება პერორალურად 0.5-1 ლ პრეპარატი ერევა 1000 ლ სასმელ წყალში, მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

მსხვილფეხა პირუტყვი, ღორი, ცხენი, ცხვარი და თხა: მიიღება პერორალურად, 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე, მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

დაყოვნების პერიოდი:

დაყოვნების პერიოდი არ არის აუცილებელი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ბეფორველ-AD3E (Beforvel-AD3E)

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ვიტამინი A - 15 000 სე, ვიტამინი D₃ - 1000 სე, ვიტამინი E - 20 მგ, ვიტა-

მინი B₁ - 10 მგ, ვიტამინი B₂ - 5 მგ , ვიტამინი B₆ - 3 მგ, ვიტამინი B₁₂- 50 მგ, ნიაცინამიდი 35 მგ და D-პანტოთენოლი 25 მგ, შემავსებელი 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 20 მლ, 50 მლ და 100 მლ ნარინჯისფერ მინის ფლაკონში და მუყაოს ყუთში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინების კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბეფორველ - AD₃E საინექციო ხსნარი წარმოადგენს წყალში ხსნადი და ცხიმში ხსნადი ვიტამინების კომბინაციას, პრეპარატი გამოიყენება ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღნიშნული ვიტამინების ნაკლოვანობის დროს, რაც იწვევს სტრესულ მდგომარეობას, სისუსტეს და ფიზიკურ დაუძლურებას.

ბეფორველ - AD₃E საინექციო ხსნარი გამოიყენება აბსორბციასთან დაკავშირებული დარღვევების, ანთებითი დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანების გამო წარმოშობილი მწვავე და ქრონიკული ინფექციების ძირითად მკურნალობასთან ერთად და შესაბამისად, გამოჯანმრთელების პერიოდში, პერორალურად მისაღები ანტიბიოტიკებითა და სულფონამიდებით მკურნალობის დროს, კუნთების შემთხვევითი დაავადებებისას (სელენიუმთან ერთად), კანის, კუნთების, ნერვული სისტემის დაზიანებისას, ახალგაზრდა ცხოველების მკურნალების პერიოდში, აგრეთვე გამოიყენება სეპტიცემიის, პნემონიის, ანემიის, სტრესული მდგომარეობების დამხმარე სამკურნალო საშუალების სახით, ძვლის მეტაბოლიზმის დარღვევებისას, მაგალითად რაქიტის და ოსტეომალაციის დროს, დასუსტებული მდგომარეობისას და ახალშობილთა ფიზიკური სისუსტის დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეჰყავთ კუნთში ან კანქვეშ:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი - 20-30 მლ;

ცხვარი, თხა - 5-10 მლ;

თიკანი, კვიცი, ჩოჩორი - 5-10 მლ;

ბატკანი - 3-5 მლ;

ძაღლი - 1-5 მლ;

კატა - 1 მლ;

გოჭი < 10 კგ 0.5-2 მლ;

გოჭი < 50 კგ 2-4 მლ;

ღორი > 50 კგ 5-10 მლ.

პრეპარატის მიღება შეიძლება გამეორდეს 10-14 დღიანი ინტერვალებით.

გვერდითი მოვლენები:

არასპეციფიური და ინდივიდუალური ჰიპერმგრძნობელობის რეაქციები იშვიათად ჩნდება. გვერდითი მოვლენები შეიძლება შევამსუბუქოთ ანტიჰისტამინური, კორტიკოსტეროიდების ან ატროპინების გამოყენებით. მაღალი დოზების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ინტოქსიკაცია.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი და რძე 0 დღე.

შენახვის პირობები:

ინახება ოთახის ტემპერატურაზე 15-25°C-ზე. პრეპარატი თავის ეფექტს ინარჩუნებს წამლის პირველი გამოყენებიდან 28 დღის განმავლობაში თუ შენახული იქნება ინსტრუქციის შესაბამისად.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Vilsan, თურქეთი.

10.3. ვიტამინურ-მინერალური პრეპარატები

განასუპერვიტი (Ganasupervit)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ვიტამინი A - 7 000 000 მ.ე.;

ვიტამინი D₃ - 1 500 000 მ.ე.;

ვიტამინი E - 3 გ;

ვიტამინი B₁ - 8 გ;

ვიტამინი B₂ - 2,5 გ;

ვიტამინი B₆ - 0,3 გ;

ვიტამინი B₁₂ - 0,006 გ;

ვიტამინი C - 11,2 გ;

ვიტამინი K₃ - 1,5 გ;

კალციუმის პანტოტენატი - 3 გ;

რკინის სულფატი - 3 გ;

მანგანუმის სულფატი - 6,2 გ;

სპილენძის სულფატი - 0,6 გ;

კალციუმის იოდიდე - 0,230 გ;

თუთიის სულფატი - 3,6 გ;

ნატრიუმის ქლორიდი - 7,5 გ;

კალციუმის ქლორიდი - 7,5 გ;

მაგნიუმის სულფატი - 7,5 გ;

შემავსებელი 1 კგ-მდე.

გამოშვების ფორმა: 50 გ, 0,5 კგ და 1 კგ პაკეტებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინურ-მინერალური კომპლექსი.

გამოყენების ჩვენებები:

მსვლილფეხა პირუტყვი, ფრინველი, ცხენი, ღორი: ანორექსია და ანემია, მინერალები-სა და ვიტამინების ნაკლებობა, ოსტეოპოროზი, პოსტვაქცინალური და ტემპერატურული სტრესები, კოქციდიოზის, პარაზიტარული დაავადებების, ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზები:

მიიღება პერორალურად. გამოიყენება როგორც საკვებში შერეული, ასევე წყალში გახსნილი.

ცხენი - 3 გ/100 კგ ც.წ.-ზე.

ვირი - 6 გ/100 კგ ც.წ.-ზე.

მსხ. პირ. - 1 გ/100 კგ ც.წ.-ზე.

ხბორები - 2 გ/100 კგ ც.წ.-ზე.

ფრინველი, ღორი - 1 გ /2 ლ სასმელ წყალში ან 1 კგ/ტ საკვებზე.

მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

დაყოვნების პერიოდი:

მეცხოველეობის პროდუქტები პრეპარატის გამოყენების შემდეგ შეუზღუდავად გამოიყენება.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები დადგენილი არ არის.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას, 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ბეტამინტი (Betamint)

Betain hcl, Vitamin C, Postassium chloride, Magnesium chloride hexehydrated, Calcium Chloride Dihydrated, Sodium Chloride.

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 ლ ხსნარი შეიცავს: ბეტაინს 250 გ, ვიტამინ C-ს 90 გ, კალიუმის ქლორიდს 2 გ, მაგნიუმის ქლორიდის ჰექსაჰიდრატს 4 გ, კალციუმის ქლორიდის დიჰიდრატს 40 გ, ნატრიუმის ქლორიდს 20 გ, შემავსებელს 1 ლ-მდე.

გამოშვების ფორმა: ხსნარი დაფასოებულია პოლიეთილენის კონტეინერში 1 ლ და 5 ლ-ის

მოცულობით.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტისტრესული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბეტამინტი სპეციალურად ფორმულირებული პრეპარატია, რომელიც გამოიყენება მაღალი ტემპერატურით და ტენიანობით გამოწვეული სტრესის დროს. სტრესისთვის დამახასიათებელია: ორგანიზმის დაუძღვრება, საკვების ათვისების შემცირება, წონის შემცირება, საკვების კონვერსიის კოეფიციენტის მომატება, ხორცის მომატებული ცხიმოვანობა, ნაყოფიერების შემცირება, უხარისხო სპერმა, კვერცმდებლობის შემცირება, მცირე ზომის კვერცხის მიღება, დაბალი ხარისხის ნაჭუჭი, მომატებული დეფეკაცია, ზემგრძნობელობა დაავადების მიმართ, გაზრდილი წუნდებული პროდუქცია და მომატებული სიკვდილიანობა.

ბეტამინტი მენტოლშემცველი პერორალური ხსნარია, რომლის მიღებაც ხდება პერორალურად სასმელ წყალთან ერთად, გამოიყენება როგორც გამაგრებელი ანტისტრესული და სითხის აღმდგენი საშუალება, ამცირებს უნაყოფობას და სიკვდილიანობას ცხოველებში, რომლებიც განიცდიან ტემპერატურულ სტრესს.

გამოყენების ჩვენებები:

ფრინველი და ღორი - მაღალი ტემპერატურისაგან გამოწვეული ტემპერატურული სტრესის მოხსნისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

მკურნალობა: 2 ლიტრი ბეტამინტი იხსნება 1000 ლ სასმელ წყალში, 3-5 დღის განმავლობაში.

პროფილაქტიკა: 1 ლ /1000 ლ სასმელ წყალზე, 3-5 დღის განმავლობაში, ტემპერატურული მატების პერიოდის დაწყებამდე 2 დღით ადრე.

ბეტამინტის გამოყენება გრძელდება თუ ტემპერატურული სტრესი ხანგრძლივად მიმდინარეობს.

ხსნარი უნდა გამოიცვალოს 24 საათში ერთჯერ.

გამოიყენება პერორალურად, სასმელ წყალთან ერთად.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება.

უკუჩვენება:

არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

არ საჭიროებს.

შენახვის პირობები:

ინახება გრილ, ტენისგან, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

ე-სეპილი (E-Sevil)

Sodium Selenite, Vitamin B₆, Vitamin E

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ნატრიუმის სელენიტს 1 მგ, ვიტამინ E-ს 60 მგ, ვიტამინ B₆-ს 40 მგ.

გამოშვების ფორმა: 20 და 100 მლ მინის ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინურ-მინერალური კომპლექსი.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება თეთრკუნთოვანი დაავადებების სამკურნალოდ. ახლად დაბადებულ ცხოველებისთვის, რომლებიც იკვებებიან ისეთი საკვებით, რომელშიც ნაკლებია სელენი და ვიტამინ E. აგრეთვე გამოიყენება კუნთების სისუსტის ან ატროფიის შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია არასრულფასოვანი კვებით, კრუნჩხვით, პარალიზით, ტრანსპორტირების სტრესით, უმადობით, ღვიძლის ნეკროზით, უნაყოფობით, ზრდის ანომალიებით მოზარდ ცხოველებში, აგრეთვე გამოიყენება ცხენებში მიოგლობინურიის და მიოზის შემთხვევაში, ფრინველებში ენცეფალომალაციის, კუნთების დისტროფიის და ექსკუდაციური დიათეზის შემთხვევაში, მამრობითი სქესის ცხენებში უნაყოფობის შემთხვევაში.

გამოყენების წესი და დოზები:

ცხოველთა ჩამონათვალი	პროფილაქტიკური დოზა	სამკურნალო დოზა
ძროხა, ცხენი (მაკეობის 5 თვის შემდეგ)	5-10 მლ	-
ცხვარი, თხა (მაკეობის 3 თვეზე)	1-2 მლ	-
ხბო	0.5-1 მლ	1-2 მლ
ბატკანი (1-7 დღის)	0.25 მლ	0.25-0.5 მლ
ბატკანი (7-30 დღის)	0.25-0.5 მლ	0.5-1 მლ
ბატკანი (1 თვეზე მეტი ასაკის)	0.5-1.0 მლ	1-2 მლ
კატა, ძაღლი	-	0.1-1.0 მლ

შენიშვნა: პრეპარატი შეჰყავთ კუნთში ან კანქვეშ.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Vilsan, თურქეთი.

სელვიტი (Selvite)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ვიტამინ E-ს (ტოკოფეროლ აცეტატი) 100 მგ; ნატრიუმის სელენიტს 0,5 მგ; შემავსებელს 1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 1 ლ და 5 ლ პოლიეთილენის ბოთლებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ვიტამინურ-მინერალური კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

სელენიტე უზრუნველყოფს შეავსოს ვიტამინ E-ს და სელენის დეფიციტი ცხოველის ორგანიზმში.

სელენი არის მიკროელემენტი, რომელიც ორგანიზმს იცავს ოქსიდაციური სტრესისგან, ასრულებს ანტიოქსიდაციურ ფუნქციას. ახასიათებს ძლიერი იმუნორეგულაციური მოქმედება, შედის ფერმენტ სელენოპროტეინების, ჰორმონების შემადგენლობაში. გარკვეულწილად ხელს უწყობს ვიტამინ E-ს ათვისებას.

ვიტამინი E - გავლენას ახდენს იმუნური სისტემის გაძლიერებასა და ორგანიზმის რეისტრენტობაზე. ცხოველის ორგანიზმში არეგულირებს ჟანგვა-აღდგენით პროცესებს, ცხიმოვან-ნახშირწყლოვან ცვლას, ასევე აძლიერებს ვიტამინ A და D₃-ის მოქმედებას.

გამოყენების ჩვენებები:

შინაური ფრინველი: გამოიყენება ვიტამინ E-ს უკმარისობით გამოწვეული კლინიკური და სუბკლინიკური შემთხვევების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, სელენის ნაკლებობის, თავის ტვინის გარბილების (ენცეფალომალაცია), ექსუდაციური დიათეზის, კვერცხის გამოყვანის შემცირების დროს.

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი: გამოიყენება ვიტამინ E-ს უკმარისობით და სელენის დეფიციტით გამოწვეული კლინიკური და სუბკლინიკური შემთხვევების, კუნთოვანი დისტროფიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზირება:

ფრინველი: 1ლ/1000 ლ წყალში გახსნილი, 5 დღის განმავლობაში (ან 1 მლ/ლ სასმელ წყალში გახსნილი).

ბზო, ცხვარი, თხა: : 2-10 მლ/ერთ სულ ცხოველს (ან 1 მლ/ლ სასმელ წყალში გახსნილი).

პრეპარატიანი წყალი გამოიყენეთ 24 სთ-ის განმავლობაში.

გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები:

არ გამოიყენოთ სელენის შემცველ სხვა პრეპარატებთან ერთად.

ჭარბი დოზირება:

რეკომენდებული დოზების გამოყენებით ინტოქსიკაცია პრაქტიკულად გამორიცხულია.

დაყოვნების პერიოდი:

არ საჭიროებს.

შენახვის პირობები:

ინახება ბნელ და მშრალ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

10.4. მინერალური პრეპარატები

კალფოსეტი (Calfoset)

Calcium gluconate, Calcium glycerophosphate, Magnesium chloride

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

100 მლ შეიცავს: კალციუმის გლუკონატს 32,82 გ, კალციუმის გლიცეროფოსფატს 8,13 გ, მაგნიუმის ქლორიდს 4,18 გ.

გამოშვების ფორმა: 50 და 100 მლ მინის ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: მინერალური კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატის მოქმედება განპირობებულია მასში შემავალი კალციუმის, მაგნიუმისა და ფოსფორის მარილების არსებობით.

კალციუმი ორგანიზმში აუცილებელია ნერვული და ძვალ-კუნთოვანი სისტემების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ის დადებითად მოქმედებს გულის მუშაობაზე და ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის კოაგულაციისთვის.

ფოსფორი და მაგნიუმი ხელს უწყობს კალციუმის მეტაბოლიზმს. ძირითადი ფუნქცია ფოსფორის მეტაბოლიზმის მდგომარეობს, ატფ-დან ბიოლოგიური ენერჯის გადატანაში. მაგნიუმი წარმოადგენს არა უჯრედულ იონს და მრავალი ენზიმისათვის ასრულებს ძირითად კოფაქტორის როლს, კერძოდ, ფოსფატების გადაცემასთან დაკავშირებულთათვის, რასაც დიდი ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვს.

გამოყენების ჩვენებები:

კალფოსეტი გამოიყენება კალციუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის ნაკლებობასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობის და პროფილაქტიკისთვის:

- ჰიპოკალციემია და მშობიარობის შემდგომი პარეზი;
- სხვადასხვა ფორმის ტეტანიები: საძვრის ტეტანია, ტეტანია მაკეობისა და ლაქტაციის დროს;
- კალციუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის მეტაბოლიზმის მოშლა, განსაკუთრებით მაკეობის დროს;
- რაქიტი ახალგაზრდა ცხოველებში, ოსტეომალაცია ზრდასრულ ცხოველებში, ალერგია, ტოქსიკოზი, მშობიარობის შემდგომი ჰემოგლობინურია, ლაქიანი ავადმყოფობა;
- ჭინჭრის ციება, ეგზანთემა, ჰემორაგიული დიათეზი, ჰემატურია და მიოგლობინურია;
- დამხმარე თერაპია ტყვიით, მჟაუნმჟავით ინტოქსიკაციის დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

მსხვილფეხა პირუტყვი (500კგ) - ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, 80-100 მლ.

ცხვარი, თხა - ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, 15-25 მლ.

ცხენი (500კგ) - ვენაში 80-100 მლ.

ლორი: - ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, 15-25 მლ.

გოჭები: - კუნთში ან კანქვეშ, 2-3 მლ.

საჭიროების შემთხვევაში 24 საათში შეიძლება დოზის გამეორება.

უკუჩვენებები:

დადგენილი არ არის.

გაფრთხილება:

ჰიპერკალციემიის შემთხვევებში (ჭარბი დოზირებისას) შეიძლება აღენიშნოს: ანორექსია, კუნთების ტკივილი, გულსრევა, ღებინება, წყურვილი. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ჰიპერკალციემიამ შეიძლება გამოიწვიოს ბრადიკარდია და გულის არითმია.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას +5°C-დან +25°C-მდე ტემპერატურაზე.

პრეპარატის გამოყენება დასაშვებია სტერილური ნემსით რეზინის საცობის პირველი ჩაჩხვლეტიდან 28 დღის განმავლობაში.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: KRKA, სლოვაკეთი.

11. ფერმენტული და ნაწლავური ფლორის აღმდგენი პრეპარატები

რუმეფოსი (Rumifos)

ნაშლის ფორმა:

პერორალური ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

შეიცავს: რუმეფოსის კონცენტრატს (ხორბლის, შვრიის, ქერის, სიმინდის ბიოლოგიურად აქტიური დაბალმოლეკულური ჰიდროლიზატი)-100%.

გამოშვების ფორმა: 10, 20, 50 მლ ნარინჯისფერ მინის ფლაკონებში; 250 მლ, 500 მლ, 1 ლ და 5 ლ ჰერმეტიულად დახურულ გაუმჭვირვალე პოლიეთილენის ფლაკონებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: საკვები დანამატი, საჭმლის მომწელებელ სისტემაზე და ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი გამოიყენება მეცხოველეობაში, მასში შემავალი ნივთიერებათა ნაერთის სინერგიზმი განაპირობებს აქტივაციას მეტაბოლიზმის პროცესში, არ შეიცავს არავითარ ქიმიურ დანამატს.

შემადგენლობაში შემავალი კომპლექსური ბიოაქტიური მცენარეული ნივთიერებები მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალური ბიოცენოზის ჩამოყალიბებაზე. აქტიურებს და აღადგენს ნაწლავების სასარგებლო მიკროფლორას, აძლიერებს ფაშვში მიმდინარე ფერმენტაციას, სტიმულაციას უკეთებს ნაწლავის ღრუში ვიტამინებისა და ბიფიდობაქტერიების

წარმოქმნას, უზრუნველყოფს საკვების ათვისების მაღალ დონეს, ინვესტს ნაწლავის კედლის პერისტალტიკის მსუბუქ სტიმულაციას. არეგულირებს PH-ს, თრგუნავს პათოგენური ორგანიზმების ზრდას, აძლიერებს იმუნურ სისტემას ინფექციური დაავადებებისადმი.

რუმიფოსი ახდენს ძვალ-კუნთოვანი მასის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორების ინტენსიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს წონამატის გენეტიკური პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას, რუმიფოსის მიღება მნიშვნელოვნად ცვლის ნივთიერებათა ცვლის პროცესს.

რუმიფოსი საშუალებას იძლევა 15-20%-ით გაიზარდოს საშუალო დღიური წონამატი, ამასთანავე აუმჯობესებს ტყავის, ბუნვის, ხორცის ხარისხს და მის საგემოვნო თვისებებს.

რუმიფოსი ზრდის სადღელამისო მონაწველს 12-20%-ით და კვერცხმდებლობას 7-15%-ით.

გამოყენების ჩვენებები:

- წონაში ჩამორჩენა;
- საკვების ათვისების პრობლემა;
- იმუნური სისტემის დაქვეითება;
- სხვადასხვა ეტიოლოგიის დიარეა;
- კუჭნაწლავის ტრაქტის დაავადებები;
- დისბაქტერიოზი;
- ნივთიერებათა ცვლის მოშლა.

გამოყენების წესი და დოზირება.

პრეპარატს აძლევენ ცხოველებსა და ფრინველებს სასმელ წყალში ან საკვებში შერევით. პრეპარატიანი წყალი ან საკვები გამოიყენება 24 სთ-ის განმავლობაში

ცხოველთა სახეები	საკვების სახე	დოზა საკვებში (მლ/ტ)	დოზა წყალში (მლ/ტ)
ლორი	მაკე პერიოდის საკვები	25	12,5
	მეძუძური პერიოდის საკვები	50	25
გოჭი	წოვების პერიოდის საკვები	50	25
	პრესტარტი	35	17,5
	სტარტი	25	12,5
	გროვერი	25	12,5
	ფინიში	25	12,5
ფრინველი: ბროილერი	სტარტი	50	25
	გროვერი	35	17,5
	ფინიში	25	12,5
მეკვერცხული	სტარტი	50	25
	გროვერი	25	12,5
	მეკვერცხულის საკვები	25	12,5
მსხვილფეხა პირუტყვი	მოზარდი/მეხორცულის საკვები	50	25
წვრილფეხა პირუტყვი		50	25
ცხენი		25	12,5
თევზი		75	37,5
ციბორჩხალა, კრევეტი		50	25

შენიშვნა: მსხვილფეხა პირუტყვი:

მერძეული მიმართულების ძროხას - 0,5 მლ/სულზე.

მესხორცული - 1 მლ/1000 კგ ც.წ-ზე.

გვერდითი მოვლენები:

პრეპარატი არაპათოგენური და არატოქსიურია.

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას, გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

უკუჩვენებები:

არ არის რეკომენდირებული მსხვილფეხა პირუტყვის მშრალობის პერიოდში გამოყენება.

განსაკუთრებული მითითებები:

მეცხოველეობის პროდუქცია (ხორცი, რძე და სხვა) გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისა და მზის სხივებისაგან დაცულ ადგილას 5-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ლარკი, საქართველო.

გალი-ზაიმი (Galli-zyme)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები დანამატი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

მზესუმზირის, სოიოს და მარცვლოვანი კულტურების ფერმენტული კომპლექსი.

გამოშვების ფორმა: 250 გ პოლიეთილენის პაკეტში და 15 კგ ქალაღდის პაკეტში.

ფარმაკოთარაპიული ფუნქცია: საკვები დანამატი, ფერმენტული კომპლექსი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გალიზაიმის მულტიენზიმური კომპლექსი, შლის არასაკვებ ნივთიერებებს და ზრდის პროტეინის, ლიპიდების და ნახშირწყლების შეთვისებას მცენარეული წარმოშობის ცილოვან საკვებში. მის შემადგენლობაში შედის პროტეაზა, ცელულაზა, პენტოზანაზა, ამილაზა და გალაქტოზიდაზა, ასევე მშრალი *Trichoderma viridae*-ს, *Aspergillus oryzae*-ს, *Aspergillus niger*-ის ფერმენტაციის ექსტრაქტები. სახელდობრ - გალაქტოზიდაზა შლის რაფინოზას ერთ-ერთ ძირითად არასახამებლურ ნახშირწყალს სოიოსა და მზესუმზირის შროტებში, რაც ხელს უწყობს რაფინოზასთან დაკავშირებული პროტეინის, ნახშირწყლების და სხვა საკვები ნივთიერებების გამოთავისუფლებას. მაღალაქტიური ცელულოზა შლის უჯრედანას, რომელიც მზესუმზირის შროტის ძირითადი არასაკვები კომპონენტია. მოზარდი წინილებისათვის, განსაკუთრებით ბროილერებისათვის, ენერჯისა და ცილების ათვისება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, რამდენადაც საქმლის მომწელებელი სისტემა არ ახდენს საკუთარი ფერმენტების პროდუცირებას საკმარისი რაოდენობით. გალიზაიმის გამოყენება აქტუალურ-

რია სიცოცხლის პირველი 20 დღის განმავლობაში, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ მოზარდისა და ფრინველის რაციონში შროტების გამოყენებას.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება ფრინველისა და მსხვილფეხა პირუტყვისთვის:

ფრინველი: 0,5 - 1 კგ/ტ საკვებზე.

მსხვილფეხა პირუტყვი: მშრალობის პერიოდში - 10 გ ერთ სულ პირუტყვს დღეში ერთჯერ;

ლაქტაციის პერიოდში: 15 გ ერთ სულ პირუტყვს დღეში ერთჯერ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას არაუმეტეს 25°C-ტემპერატურისა. პრემიქსებში და საკვებში პროდუქტი ინარჩუნებს აქტივობას 6 თვის მანძილზე.

ვარგისიანობის ვადა:

ქარხნულ შეფუთვაში პროდუქტი სტაბილურია წარმოებიდან 18 თვის განმავლობაში.

მწარმოებელი ქვეყანა: DR. BATA, უნგრეთი.

ლივ საკი (live sacc)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები გრანულები, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ლუდის საფუარის ცოცხალი კულტურა.

გამოშვების ფორმა: 15 კგ და 25 კგ ქალაღდის პაკეტებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი, რძის პროდუქტიულობის მოსამატებელი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ლივ საკი არის ლუდის საფუარის ცოცხალი კულტურა, რომელიც ამალღებს ფაშვის სასარგებლო ბაქტერიების აქტიურობას და ხელს უწყობს მათ გამრავლებას.

გამოყენების ჩვენებები:

რძის დღიური მონაწველის მომატება (1 ლიტრზე მეტი);

რძეში ცხიმის და ცილების მომატება (0,1%-ზე მეტი);

ლაქტაციის სტაბილიზაცია (სხეულის მასის დანაკარგის პროფილაქტიკა ლაქტაციის დასაწყისში);

ცხოველების ჯანმრთელობის პროფილაქტიკა (აციდოზები, კეტოზები, კიდურების დაავადებები);

ფაშვის მჟავე-ტუტოვანი არეს სტაბილიზაცია;

რეპროდუქციულობის მარჯვენხლის გაუმჯობესება (ნივთიერბათა ცვლის ნორმალიზაციის გზით);

საკვებზე მოთხოვნის გაზრდა და მისი გამოყენების ეფექტურობა;

პრეპარატი არ რეაგირებს ანტიკეტოზურ დანამატებთან, საკვების კომპონენტებთან და არც ფაშეში, თავის მოქმედებას ავლენს რაციონში მათი შემცველობის მიუხედავად. ლიგ-საკი უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს ცხოველების პროდუქტიულობაზე წარმოების ციკლის არცერთ ეტაპზე.

პრეპარატი უძლებს 70° მდე გაცხელებას.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი გამოიყენება კონცენტრირებულ საკვებთან, პრემიქსთან, კომბინირებულ მინერალურ საკვებთან ერთად შემდეგი დოზით:

- შობადობის წინ 2-3 კვირით ადრე 10 გ ეძლევა ერთ სულ პირუტყვს, დღე-ღამეში ერთჯერ.

- ლაქტაციის პერიოდში პირველი 100 დღის განმავლობაში 15 გ დღეში ერთ სულს.

- ხბობის ზრდისა და განვითარების დაჩქარებისთვის, ჯგუფური შენახვის პირობებში 10 გ ეძლევა ერთ სულზე გაანგარიშებით დღეში ერთჯერ, ან ინდივიდუალურად 5გ დღეში ორჯერ.

მეურნეობის პირობებში რეკომენდებულია პრეპარატის შერევა ღერდილთან, ქატოსთან, ხორბლის ფქვილთან და ა.შ. 1:10-თან თანაფარდობით.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: DR. BATA, უნგრეთი.

უნიდასი (Unidas)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ნანოტექნოლოგიური გზით მიღებულ მცენარეული წარმოშობის ბიოაქტიური ნივთიერებების ნაერთი.

გამოშვების ფორმა: ფხვნილი დაფასოებულია ტომრებში 25 კგ-ის მოცულობით.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: აქტიური საკვები დანამატი, პროდუქტიულობის სტიმულატორი, ანტიბაქტერიული საშუალება.

გამოყენების ჩვენებები:

1. აუმჯობესებს ზრდის ტემპს 5-15%-ით.

2. გუნდის შენარჩუნებას 3-4%-ით.

3. ამცირებს საკვების დანახარჯებს, პროტეინის მოთხოვნას და მიმოცვლით ენერგიას 1 კგ ნამატზე 7-9%-ით.

4. სადედე ფრინველში მაღლა წევს კვერცხის ინკუბაციის ხარისხსა და ნაჭუჭის სიმტკიცეს.
5. ზრდის ფრინველის სიცოცხლისუნარიანობას, წინილების გამოსავლიანობა იზრდება 3-4%-ით.
6. აუმჯობესებს ხორცის ქიმიურ შემადგენლობას.
7. აუმჯობესებს კვერცხმდებლობას 4-10%-ით.
8. ამცირებს კვერცხის ტეხვადობას 3-5%-ით.
9. 1 კგ კვერცხის მასაზე მცირდება საკვების ხარჯი 7-10,5%-მდე.
10. მოქმედებს საჭმლის გადამამუშავებელ სისტემაზე, ფრინველის ორგანიზმში მაღლა სწევს სასარგებლო ნივთიერებათა ათვისების ეფექტურობას.
11. ორგანიზმიდან გამოყავს მეტაბოლიზმის მომწამვლელი პროდუქტები, რადიონუკლიდები, ტოქსიკური მძიმე მეტალები (კალიუმი, ტყვია, ვერცხლისწყალი და სხვა).
12. ენერჯის ათვისებას ზრდის 0,5-3,4%-ით. ნედლი პროტეინის 2,4-7,2%-ით.

გამოყენების წესი და დოზირება:

უნიდასი შეაქვთ კომბინირებულ საკვებში.

ბროილერი - 50 კგ/ტონა საკვებში.

კვერცხმდებელი - 30 კგ/ტ საკვებში.

შეთავსებადობა:

თავსებადია საკვებთან, ვიტამინებთან, მინერალებთან და ანტიბიოტიკებთან.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

არ არის აუცილებელი.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

ალკვერმიქს სტარტარ პრემიუმი

(Alquermix starter premium)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

შეიცავს: ვიტამინ E-ს, ბეგქონდარას ექსტრაქტს (*Thymus vulgaris*), კოჭას ექსტრაქტს (*Zingiber officinale*), ეხინაცეა პურპურას ექსტრაქტს (*Echinacea purpurea*), ალუმინ-ნატრიუმ-

კალციუმის სინთეზურ სილიკატ ჰიდრატს, პრობიოტიკს, ბრონეულის ექსტრაქტს (*Punica granatum*), ჭიანჭველმუყავა კალციუმს, საჭმლის მომნელებელ ფერმენტს, ლიმონმუყავას, ვიტამინ C-ს

გამოშვების ფორმა: 5 და 25 კგ-იან ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პრემიქსი, საკვები დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

არეგულირებს ნაწლავების დაცვას, თრგუნავს ავადმყოფობის გამომწვევ მიკროფლორას, ანეიტრალებს ტოქსინებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხელს უწყობს საკვების უკეთ ათვისებას. მის შემადგენლობაში შემავალი მცენარეული ექსტრაქტი მოქმედებს იმუნურ სისტემასთან ერთად და ეხმარება ნაწლავის ლორწოვანი გარსის ფუნქციონირების გაუმჯობესებას. ხოლო ფერმენტები, პრობიოტიკები და ანტიოქსიდანტები, აუმჯობესებენ საკვების მონელებას, არ ახდენს ცხიმების, მიკროელემენტების და ვიტამინების ოქსიდაციას.

გამოყენების ჩვენებები:

ალქვერმიქს სტარტერ პრემიუმი გამოიყენება ფრინველისა და მსხვილფეხა პირუტყვი-სათვის, როგორც საერთო მდგომარეობის, ფიზიოლოგიური პროცესების გამაუმჯობესებელი, პროდუქტიულობის ასამაღლებელი საშუალება, ის უზრუნველყოფს მინერალების მიკრო და მაკრო ელემენტების დონის აღდგენას ორგანიზმში, ასევე ზრდის ნუტრიტიენტების შენთვის (ზრდის შენთვის ზედაპირს 100%-ით), რაც ხელს უწყობს ცილების სინთეზს ღვიძლში, რითაც უმჯობესდება საკვების კონვერსია და მცირდება ნაწლავის წონა.

ალქვერმიქს სტარტერ პრემიუმს შეუძლია ჩაანაცვლოს 9 სხვადასხვა ტიპის საკვები დანამატი, რომელის მიღება უკვე საჭირო არ არის, ესენია: კონსერვანტები, მიკოტოქსინების შემბოჭველები, ზრდის ხელშემწყობი საშუალებები, კოქციდიოსტატები, ანტიოქსიდანტები, იმუნოსტიმულატორები, პრობიოტიკები, ჰეპატოპროტექტორები და ფერმენტები.

გამოყენების წესი და დოზირება:

ფრინველი 0-დან 10 დღემდე ასაკის, ეძლევა პერორალურად, დოზით 4 კგ/ტ საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა პირუტყვი - ეძლევა ლაქტაციის პერიოდში 200 გ/ერთ სულზე, საკვებთან ერთად, დღეში ერთჯერ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

ალკვერმიქს კაუს - (ALQUERMIX COWS)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

კამას ექსტრაქტი (*Foeniculum vulgare*), ნალველას ექსტრაქტი (*Gentiana lutea*), ძირას ექსტ-

რაქტი (*Cuminum cyminum*), ცილების ჰიდროლიზის შედეგად წარმოშობილი ამინომჟავები, მაგნიუმი, რკინა, ალუმინ-ნატრიუმ-კალციუმის სინთეზური სილიკატ ჰიდრატი, კობალტი, პროპიონატი, კალციუმი, სპილენძი.

გამოშვების ფორმა: 5 და 25 კგ-იან ქაღალდის ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი, ცოხნის მარეგულირებელი და ლაქტაციის გამაუმჯობესებელი საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალქვერმიქს კაუს გამოიყენება როგორც ცოხნის ფიზიოლოგიური მარეგულირებელი და ლაქტაციის გამაუმჯობესებელი საშუალება, უზრუნველყოფს მაღალპროდუქტიული ძროხების ორგანიზმში საჭირო რაოდენობის მაკრო და მიკრო ელემენტების ბალანსს.

ალქვერმიქს კაუს ანაცვლებს კონსერვანტებს, მიკოტოქსინების შემზოჭველებს, კოქციდიო-ოსტატიკებს, ანტიოქსიდანტებს, იმუნოსტიმულატორებს, პრობიოტიკების ზრდის ხელშემწყობ საშუალებებს, ჰეპატოპროტექტორებს და ფერმენტებს.

გამოყენების წესი და დოზირება:

ალქვერმიქს კაუს გამოიყენება ლაქტაციის პერიოდში, მიიღება პერორალურად, დოზით 200 გ/ერთ სულზე, საკვებთან ერთად, დღეში ერთჯერ.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ ტომრებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET S.A., ესპანეთი.

ალკვირნატ ნებსუ – (ALQUERNAT NEBSU)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ბეკონდარას ექსტრაქტი (*Thymus vulgaris*), ყანის ნივრის ექსტრაქტი (*Allium sativum*).

გამოშვების ფორმა: 5 და 25 კგ-იან ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ზრდის სტიმულატორი, ბიოლოგიურად აქტიური დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალქვერნატ ნებსუ მცენარეული პროდუქტია, ხასიათდება ბიოლოგიურად აქტიური დანამატების (პოლიფენოლები, ეთერზეთები, პოლისაქაროდეები) მაღალი შემცველობით, ისინი მოქმედებენ სინერგიულად და კუჭ-ნაწლავის ტრაქტში წარმოქმნიან პოლისაქარიდების გელს, კერძოდ აციდოფილური ბაქტერიები, რომელებიც ხელს უწყობენ სასარგებლო ბაქტერიების ზრდას ამავდროულად ეწინააღმდეგება პათოგენური მიკრობების გამრავლებას.

ალქვერნატ ნებსუ ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ნორმალიზებას, აქტიური ნივთიერებების მოქმედებით უმჯობესდება ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შენოვა, ხორციელდება ნაწლავების ლორწოვანი გარსის მდგომარეო-

ბის ოპტიმიზაცია და ენინალმდეგება პათოგენური მიკრობების ფიქსაციას. ნაწლავების ლორწოვან გარსზე მოქმედებს, როგორც კონდიციონერი და მისი გამოყენებით იზრდება წარმოების მაჩვენებლები.

გამოყენების ჩვენებები:

აღქვერნატ ნებსუ არის ბუნებრივი ზრდის მასტიმულირებელი საშუალება, რომლის გამოყენებით მიიწნევა:

- საკვების კონვერსიის უკეთესი მაჩვენებელი;
- ნონამატი;
- ასხლეტის შემდგომ დიარეის დაბალი მაჩვენებელი;
- სიკვდილიანობის შემცირება.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება ყველა ასაკისა და სახეობის ცხოველებისათვის.

ედლევა პერორალურად, დოზით 0,5 კგ/ტ საკვებთან ერთად, ცხოველს სიცოცხლის განმავლობაში.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

ალკვერზიმ ავიარი - (Alquerzim Aviar)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

შეიცავს: ენდო 1,4 ბეტა ქსილანაზას, ალფა ამილაზას, სუბტილიზინს.

გამოშვების ფორმა: 5 კგ და 25 კგ ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პრემიქსი, საკვები დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალკვერზიმ ავიარი არის პრემიქსი ფრინველებისათვის, იგი შეიცავს სპეციალურ ფერმენტებს ნახშირწყლებისთვის, ქსილანაზას, ამილაზას, პროტეაზას და გამოიყენება საკვებდანამატად ხორბალთან, ბრინჯთან, ქერთან და სოიოსთან ერთად.

ბოლო დროს მარცვლეულის ბაზარზე მოხმარების მოთხოვნისა და შესაბამისად ფასების ზრდამ, საჭირო გახადა ალტერნატიული მასალების მოძიება. ცხოველების კვებაში ენერჯის წყაროდ საკვები ნივთიერებების ბალანსისათვის დაემატა ფერმენტები. ფერმენტები ამცირებენ საჭირო საკვები ნივთიერებების დისბალანსს, აძლიერებენ საჭმლის მომწელებელ სისტემას ახალგაზრდა ცხოველებში, ამცირებენ ნაწლავების წებოვანებას, თავიდან ააცილებს კუჭ-ნაწლავის პათოლოგიებს და ხელს უწყობს საკვები ნივთიერებების უკეთ შეწოვას.

გამოყენების ჩვენებები:

- იძლევა ნახშირწყლების და ცილების უკეთ შეთვისების შესაძლებლობას;
- ამცირებს ნუტრიენტების ხარისხის ცვალებადობას;
- ამცირებს გარემოზე ექსპლუატაციის გავლენას;
- ხელს უშლის დიარეის წარმოქმნას;
- აუმჯობესებს საკვების მონელებას 15-25%-ით, ზრდის პროდუქტიულობას.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება ფრინველის საკვებდანამატად, რომლებიც შეიცავენ ქერს, ხორბალს, ბრინჯს და სოიას.

ედლევა პერორალურად, დოზით 0,25 კგ/ტ საკვებთან ერთად;

ბროილერისთვის 0,40 კგ/ტ-ზე; კვერცხმდებლებისთვის 0,3 კგ/ტ გრანულირებულ საკვებთან ერთად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

12. პროსტაგლანდინები და ჰორმონალური პრეპარატები

გალაპანი (Galapan)

D-cloprostenole

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: 75 მკგ D-კლოპროსტენოლს (ნატრიუმის მარილი), 1 მგ ქლოროკრელოზს.

გამოშვების ფორმა: 20 მლ მინის ფლაკონში. შეფუთვაში ხუთი ფლაკონი.

ფარმაკოთარაპიული ჯგუფი: პროსტაგლანდინები და ჰორმონალური პრეპარატები.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

D-კლოპროსტენოლი პროსტოგლანდინების F2a ფუნქციონალური ანალოგია, აქვს სპეციფიკური ყვითელი დამშლელი აქტივობა. მისი გამოყენება იწვევს სასქესო ციკლის ლუტეინურ ფაზაში, ინდუცირების ყვითელი სხეულის რეგრესიას და ქმნის პირობებს დაიწყოს პროგესტერონის შემცირებასთან დაკავშირებული პროცესები. ბუნებრივი ლუტეოლიზის დაწყებამდე მე-7 დღიდან, ალფა-კლოროსტენოლის ერთი ინექცია იწვევს ყვითელი სხეულის დაუყოვნებლივ განოვას. ალფა-კლოროსტენოლის მოქმედების მექანიზმი, ოვულაციის კონტროლის დროს, დაფუძნებულია ლუტეოლიზის ინდუქციაზე და პროგესტერონის კონცეფციის შემცირებაზე. 75 მკმ ალფა-კლოპროსტენოლის ინექციის შემდეგ ქუბებში, სისხლის პლაზმაში აღწევს შეყვანიდან 20 წთ-ში და შეადგენს 14 მკგ/ლ. D-კლოპროსტენოლი და

მისი მეტაბოლიტები გამოიყოფა ორგანიზმიდან ფეკალთან და შარდთან ერთად, შეყვანილი დოზის 0.75%-ზე ნაკლების ელიმინირება ხდება რძით, დღე-ღამის განმავლობაში.

აღწარმოებითი ფუნქციის გასაზრდელად, ფურეებში სქესობრივი ციკლის ინდუქციასა და სინქრონიზაციისათვის, ნეზებში გოჭების დაყრის სინქრონიზაციისათვის. ძროხებში და დეკულებში საკვერცხების ფუნქციონალური დარღვევების (პერსისტენტული ყვითელი სხეულის, ლუტეინური კისტის), ექსუდაციური ენდომეტრიტის, მშობიარობის მოქმედების ინდუქციისათვის, მაკეობის შეწყვეტისას ნაყოფის პათოლოგიის დროს.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვისათვის, პრეპარატი შეჰყავთ კუნთში შემდეგი დოზებით:

დეკულებსა და ფურეებში სქესობრივი ციკლის ინდუქციისათვის - 2 მლ გალაპანი (150 მკგ ალფა-კლოპროსტენოლი) სქესობრივი ციკლის ყველა ფაზაში (ძროხებში ხბოს მოგებიდან 40-60 დღის შემდეგ). ახურებაში მოსულ ცხოველებს ანაყოფიერებენ, ცხოველები რომლებიც არ ახურდებიან, პრეპარატი გალაპანი გამოიყენებთ შეჰყავთ იგივე დოზით ბოლო შეყვანიდან მე-11 დღეს.

თუ განაყოფიერება ხდება სქესობრივი ციკლის ნიშნების გამოვლენის გარეშე, ამ შემთხვევაში, ცხოველებს ანაყოფიერებენ პრეპარატის განმეორებითი ინექციიდან 72 და 96 სთ-ის შემდეგ. დადებითი შედეგის მისაღწევად განაყოფიერება უნდა ჩატარდეს გალაპანის გამოყენების შემდეგ პირველივე ახურების დროს.

ლუტეინური კისტების და პერსისტენტული ყვითელი სხეულის მკურნალობა - 2 მლ გალაპანი (150 მკგ ალფა-კლოპროსტენოლი) ახურებაში მოსულ ცხოველებს ანაყოფიერებენ. თუ არ ახურდა, გალაპანი შეჰყავთ განმეორებით, იმავე დოზით, პირველი შეყვანიდან 10 დღის შემდეგ და ცხოველს ანაყოფიერებენ პრეპარატის ხელმეორედ შეყვანიდან 72 და 96 სთ-ის შემდეგ.

ენდომეტრიტების ექსუდაციური ფორმების მკურნალობა - 2 მლ (150 მკგ ალფა-კლოპროსტენოლი) სიმპტომამატურ თერაპიასთან ერთად.

მაკეობის შეწყვეტა ნაყოფის პათოლოგიის შემთხვევაში (მაკეობის ნებისმიერ სტადიაში) - 2 მლ გალაპანი (150 მკგ ალფა-კლოპროსტენოლი) არაუადრეს მაკეობიდან 270 დღისა.

მშობიარობის მოქმედების ინდუქცია - კუნთში 1 მლ გალაპანი (975 მკგ ალფა-კლოპროსტენოლი) ნეზებში მაკეობის არაუადრეს 111 დღისა.

უკუჩვენებები:

გალაპანის გამოყენება უკუნაჩვენებია მაკე ცხოველებისათვის, გარდა ნაყოფის პათოლოგიით გამოწვეული მაკეობის შეწყვეტის შემთხვევისა. ნაყოფის ანომალური მდგომარეობის დროს, ასევე ცხოველებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა ან რესპირატორული დაავადებები. გალაპანის სხვა რაიმე პრეპარატთან ერთ შპირცში შერევა არ არის მიზანშეწონილი.

გვერდითი მოვლენები:

ინსტრუქციის მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას, როგორც წესი გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

განსაკუთრებული მითითებები:

მსხვილფეხა პირუტყვის და ღორების სახორცედ დაკვლა დასაშვებია ბოლო ინექციიდან 48 სთ-ის შემდეგ.

შენახვის პირობები:

გალაპანი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

13. საჭმლის მომნელებელ სისტემაზე და ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალებები

13.1. რუმინატორული საშუალებები

შხამას ნაყენი (Tinctura Veratri)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: შხამას ფესვების ექსტრაქტი 100 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: სპირიტი 70° -1 მლ-მდე.

გამოშვების ფორმა: 10 მლ მინის გაუმჭირვალე ფლაკონი და 250 მლ პოლიეთილენის ფლაკონი.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საჭმლის მომნელებელ სისტემაზე მოქმედი საშუალება. ექტოპარაზიტების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი მიიღება თეთრი შხამას ფესურებიდან. რომელიც შეიცავს ალკალოიდებს, პროტოვერატრინსა და ნერვინს, აგრეთვე ფისებს, შაქრებს, სახამებელს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

პერორალურად მიღებისას შხამას ალკალოიდები აღიზიანებს ლორწოვან გარსს და რეფლექტორულად აძლიერებს წინაკუჭების ჯირკვლების სეკრეციას, რის შედეგადაც ეწყებათ ბოყინი და ცოხნა. ხოლო ძალღებსა და ღორებში იწვევს ღებინებას.

პრეპარატს გარეგანი გამოყენებისას ახასიათებს ექტოპარაზიტული მოქმედება. აქტიურია: ტილების, რწყილების, ბენვისმჭამელების და ტკიპების განვითარების ყველა ფაზების მიმართ. შხამას ალკალოიდების მოქმედების მექანიზმი მდგომარეობს ნერვული იმპულსების გადაცემის ბლოკირებაში, რაც იწვევს მოძრაობის კოორდინაციის დარღვევას, დამბლას და ექტოპარაზიტების სიკვდილს.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა - პრეპარატი გამოიყენება პერორალურად, როგორც რუმინატორული საშუალება წინაკუჭების დაავადების დროს. (ქრონიკული ატონია, ტიმპანია, ფაშვის საკვებით გადავსება და სხვა).

ძალღი - გამოიყენება, როგორც ამოსაღებინებელი და ექტოპარაზიტების საწინააღმდეგო საშუალება.

გამოყენების წესი და დოზები:

შინაგანი გამოყენებისას:

შხამას ნაყენი ეძლევა პერორალურად, ერთჯერადად, სასმელ წყალთან ერთად შემდეგი დოზებით:

მსხვილფეხა პირუტყვს - 5-12 მლ სულზე ან 2-2,5 მლ/100 კგ ც.წ.;

ცხვრებსა და თხებს - 2-4 მლ სულზე ან 0,7-0,8 მლ/10 კგ ც.წ.;

ძაღვებს - 0,5-2 მლ სულზე 1-2-ჯერ დღეში გამოჯანმრთელებამდე.

ფაშვის ქრონიკული ტიმპანიის დროს ზემოაღნიშნულ დოზას ყოფენ 3 ნაწილად და აძლევენ 3 საათიანი შუალედით.

გარეგანი გამოყენებისას:

გამოიყენება გარეგან პარაზიტებთან (რწყილებთან, ტილებთან, ბალნიჭამიებთან და ტკიპებთან) საბრძოლველად. ნაყენს წინასწარ ანზავებენ არაქლორირებულ წყალში (1:1), ცხვრელებს შეასხურებენ ხსნარს ზურგზე ექტოპარაზიტების თავმოყრის ადგილებში, 15-20 წუთის შემდეგ დამუშავებულ ადგილს გულმოდგინებით ვარცხნიან და ბანენ საპნიანი წყლით (ან შამპუნით). განმეორებით დამუშავებას ატარებენ 8-10 დღე-ღამის შემდეგ.

გაფრთხილება:

გარეგანი გამოყენებისას დაუშვებელია პრეპარატის ალოკვა.

გვერდითი მოვლენები:

მითითებული პირობებისა და დოზირებების დაცვისას შხამას ნაყენი არ იწვევს გვერდით მოვლენებს. დოზის გადამეტებისას ვლინდება ძლიერი მონამღვა. ასეთ შემთხვევებში შეჰყავთ ატროპინის სულფატის 1% ხსნარი რეკომენდებული დოზებით.

უკუჩვენებები:

შხამას ნაყენის დანიშვნა დაუშვებელია ცხენებისთვის და მაკე ფურებისათვის.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, ბნელ ადგილას კარგად დაცხურულ ჭურჭელში 18-22°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

გლაუზარის მარილი (Glauberis salt)

Sodium Sulfate

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ნატრიუმის სულფატი დაკრისტალებული 10 მოლეკულა წყალთან ($\text{Na}_2\text{SO}_4 \cdot 10\text{H}_2\text{O}$).

გამოშვების ფორმა: 500 გ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სპაზმოლიზური, საფალარათო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

გლაუბერის მარილი თითქმის არ შეიწოვება ნაწლავებში და აფერხებს წყლის შეწოვას. მცირე დოზებით აღიზიანებს კუჭის და ნაწლავების ლორწოვან გარსს, აძლიერებს სეკრეციას, პერისტალტიკას და აუმჯობესებს მონელებას. საფალარათო მოქმედება გამოიხატება ნაწლავების მთელ არეში. იწვევს ნაღვლის წარმოქმნის სტიმულაციას და სანაღველე გზების პერისტალტიკას. იწვევს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას. საფალარათო მოქმედება გამოიხატება მთელი ნაწლავის არეში. ითვლება რომ ნატრიუმის სულფატი არის ყველაზე ეფექტური და უსაფრთხო საფალარათო საშუალება.

გამოყენების ჩვენებები:

გლაუბერის მარილი მცირე დოზებით გამოიყენება მადის მოსამატებლად და მონელების გასაუმჯობესებლად, ხოლო დიდი დოზებით, როგორც საფალარათო (შეკრულობის დროს), ნაღვლმდენი, სპაზმოლიზური საშუალება, ასევე გამოიყენება ნაწლავების გადავსების, მეტეორიზმის დროს და როგორც ანტიდოტი, ინტოქსიკაციის დროს.

გამოყენების წესი და დოზირება:

გლაუბერის მარილი ეძლევა დიდ რაოდენობა წყალთან ერთად,

საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენები - 0,5 გ/კგ ც.წ-ზე; ღორი, ცხვარი - 0,3 გ/კგ ც.წ-ზე.

ძაღლი, კატა - 1,0 გ/კგ ც.წ-ზე;

როგორც საფალარათო საშუალება:

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენები - 1,0 გ/კგ ც.წ-ზე, ღორი, ცხვარი - 0,5 გ/კგ ც.წ-ზე.

ძაღლი, კატა - 1,5 გ/კგ ც.წ-ზე);

ასეთივე დოზებში - გამოიყენება ორგანიზმიდან ტოქსინებისა და მავნე ნივთიერებების გამოსადევნად.

უკუჩვენებები:

პრეპარატის მიმართ მომატებული მგრძნობელობა. გლაუბერის მარილი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გამოფიტული და დეჰიდრატირებულ ცხოველებში. ვინაიდან გლაუბერის მარილი შეიცავს დიდი რაოდენობით ნატრიუმის იონებს, პრეპარატი სიფრთხილით ენიშნებათ ასაკიან ცხოველებს.

განსაკუთრებული გაფრთხილება:

გლაუბერის მარილის გამოყენების დროს, საჭიროა ჭარბი სითხის მიღება.

დაყონების პერიოდი:

რადგანაც ნატრიუმის სულფატი არ შეიწოვება სისხლში და არ გროვდება ქსოვილებში, ცხოველების დაკვლა ხორცის გამოყენების მიზნით ნებადართულია.

შენახვის პირობები:

მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტექსი, საქართველო.

მენბუტონი 10% (Menbutone 10%)

Menbutone

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ საინექციო ხსნარი შეიცავს: მენბუტონს 100 მგ.

გამოშვების ფორმა: 10 მლ, 20 მლ, 25 მლ, 30 მლ, 50 მლ, 100 მლ და 500 მლ ფლაკონებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საჭმლის მომნელებელ სისტემაზე მოქმედი საშუალება. კუჭის მოქმედების და მადის სტიმულატორი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

მოქმედების მექანიზმი:

ვენაში ან კუნთში ინექციის შემდეგ მენბუტონი ასტიმულირებს ეგზოკრინული საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეტორულ გააქტიურებას: მნიშვნელოვნად იზრდება ნალველის სეკრეცია, ასევე პეპსინის, ტრიპსინის და ქიმოტრიპსინის რაოდენობა.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი გამოიყენება ყველა სახის შინაური ცხოველებისთვის, რომელთაც სჭირდება დახმარება საჭმლის მონელებისა და ყველა მასთან დაკავშირებულ სეკრეტორულ პროცესებთან. მოიხმარება როგორც მადის მასტიმულირებელი საშუალება.

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა:

საჭმლის მონელების სისტემის პირველადი აშლილობა:

გამოიყენება ზედმეტი საკვების მიღების შემდეგ, კერძოდ, ადვილად გადასამუშავებელი ნახშირწყლების შემთხვევაში (რძემუყავა, აციდოზი), დაბინძურებული ან გაფუჭებული საკვების (რუმინატორული დარღვევა) და ასევე სწრაფი ცვლილებები საკვებ რაციონისა და დიეტების დროს, ფაშვის გადატვირთვის, შებერილობის და ყაბზობის დროს.

საჭმლის მონელების სისტემის მეორადი აშლილობა:

გამოიყენება ოპერაციის შემდეგ საკვების ნორმალური მონელების აღდგენის მიზნით, ნივთიერებათა ცვლის ღრმა დარღვევებით (აცეტონემია ფურებში, ნერვის კეტონურია). ლვიძლის ფუნქციის სტიმულაცია ნალველის სეკრეციის ხელშეწყობით (დამხმარე თერაპიის სახით ფასციოლას მკურნალობისას).

ცხენი:

გამოიყენება საჭმლის მონელების აშლილობისას, დიდი რაოდენობით ცილების შემცველი საკვების ჭარბად მიღების შემთხვევაში, ყაბზობის, ნაწლავების ატონიის, კოლიკების, საკვებით ინტოქსიკაციის დროს, ლვიძლის ფუნქციის სტიმულირებისთვის ნალველის სეკრეციის გააქტიურებით.

ძაღლი:

ყაბზობა, ნაწლავის ატონია, ეგზოკრინული კუჭქვეშა ჯირკვლის უკმარისობა. ლვიძლის ფუნქციის სტიმულირება ნალველის სეკრეციის ხელშეწყობის გზით.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი შეჰყავთ ნელა ვენაში ან ღრმად კუნთში, 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე.

დაავადების პროგრესირების მიხედვით მკურნალობის გამეორება შესაძლებელია მითითებული დოზის ნახევარის გამოყენებით 12 საათის შემდეგ ან მთლიანი დოზის გამოყენებით 24 საათიდან 7 დღემდე პერიოდის განმავლობაში.

შეგუბადობა:

ხასიათდება გამოყენების ფართო თერაპიული სპექტრით, ამიტომ იგი გადაიტენება ერთჯერადი თუ განმეორებითი დოზების შემდეგ (ვენაში ან კუნთში) ადგილობრივი ან სისტემური რეაქციის გამოსხატვის გარეშე.

ურთიერთობა სხვა მედიკამენტებთან:

უცნობია.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი: 2 დღე.

რძე: ერთი დღე.

შენახვის პირობები:

ინახება არაუმეტეს 30°C-ზე ტემპერატურაზე, მზის სხივებისგან მოშორებულ და ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ADWIA, ეგვიპტე.

13.2. ღვიძლის დაავადებების სამკურნალო პრეპარატები

ჰეპავექსი 200 (Hepavex 200)

Sorbitol, DL-Metionine, Choline Chloride, Magnesium Sulphate Heptahydrated, Carnitine Hydrochloride

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

სორბიტოლი-200 გ, DL-მეთიონინი-10 გ, ქოლინის ქლორიდი-18.75 გ, მაგნიუმის სულფატის ჰეპტაჰიდრატი-10 გ, კარნიტინის ჰიდროქლორიდი-25 გ, პოლიეთილენ გლიკოლი-40 გ, გამონდლი ნყალი-1 ლ.

გამოშვების ფორმა: 1 ლ პოლიეთილენის ბოთლში და 5 ლ კონტეინერში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ჰეპატოპროტექტორი და ღვიძლის ფუნქციის გამაუმჯობესებელი საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ჰეპავექსი ზრდის საკვების მოთხოვნილებას. მოქმედებს ღვიძლზე როგორც ლიპოტროპული აგენტი და იცავს ღვიძლს ცხიმის დაგროვებისაგან. ჰეპავექს 200 არის ენერჯის წყარო. ასევე გამოიყენება მაგნიუმის ნაკლებობის პროფილაქტიკისათვის, რომელიც ფართოდ არის

გავრცელებული მესაქონლეობაში.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება შინაური ფრინველის, ღორის და მცოხნაგებისთვის.

პრეპარატი შეიცავს ელემენტებს, რომელიც ხელს უწყობს ღვიძლის ნორმალურ ფუნქციონირებას. ასევე ხელს უწყობს მსხვილფეხა პირუტყვში საკვებზე მოთხოვნის გაზრდას. გამოიყენება მაგნიუმის ნაკლებობის დროს, სტრესული მდგომარეობის და ინფექციური დაავადებების შემთხვევაში. მეფრინველეობაში ზრდის პროდუქტიულობას.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება პერორალურად სასმელ წყალთან ან საკვებთან ერთად.

0,125 - 0,250 მლ 1 ლიტრ სასმელ წყალთან ერთად ან 0,25 - 0,5 მლ 1 კგ საკვებზე 5-7 დღის განმავლობაში.

უკუჩვენებები:

პრეპარატის შემადგენლობიდან გამომდინარე გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება.

დაყოვნების პერიოდი:

არ არის აუცილებელი.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისაგან, სიცხისაგან და ტენისაგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

13.4. იმუნომასტიმულირებელი პრეპარატები

დასი 25%-იანი (DAS 25%)

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: დასის კონცენტრატს (სოიას თესლების ბიოლოგიურად აქტიური დაბალ მოლეკულური ნაერთის ჰიდროლიზატი) 0,25 მლ.

დამხმარე ნივთიერებები: გამოსხილი წყალი.

გამოშვების ფორმა: 1 მლ, 5 მლ მინის ამპულაში და 20 მლ, 50 მლ, 100 მლ ნარინჯისფერ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიმიკრობული, იმუნომასტიმულირებელი, ანტისტრესული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი დასი საინექციო ხსნარი ხასიათდება ანტიმიკრობული, იმუნომასტიმულირებელი, ანტისტრესული მოქმედებით. დასის ბუნებრივი დაბალმოლეკულური შენაერთის მდიდარი, მრავალკომპონენტიანი შემადგენლობა უზრუნველყოფს პრეპარატის მაღალეფექტურობას, უზრუნველყოფს ზემოქმედების ფართო სპექტრს, ცოცხალი ორგანიზმის დაცვის ყველა რგოლზე. ქსოვილებში პრეპარატის მოქმედების რეალიზება ხდება რიგი ფერმენტული სისტემების გააქტიურების მეშვეობით.

დასი ააქტიურებს ცოცხალი ორგანიზმის დაცვის ყველა რგოლს. იგი აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, პრეპარატის ზემოქმედებით ორგანიზმში ხდება T და B ლიმფოციტების რაოდენობების ნორმალიზება და იმუნოგლობულინების დონის კორექცია, ძლიერდება ორგანიზმის დამცავი მექანიზმები, მაკროფაგების ფუნქციური აქტივობა, ბრკოლდება იმუნოფატიის განვითარება სტრესების დროს და ხელი ეწყობა ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებას.

დასი მნიშვნელოვნად ზრდის მეტაბოლიზმის პროცესს. ინარჩუნებს იმუნომაკორიგირებელი უჯრედების ბალანსს ინფექციური დაავადებების დროს და უზრუნველყოფს ორგანიზმის ნორმალურ ჰომოესტაზს.

პრეპარატს ახასიათებს მაღალი ანტიმიკრობული ზემოქმედება გრამდადებითი და გრამ-მუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, ენტერობაქტერიების ცალკეული სახეობების (*Escherichia coli*, *Proteus vulgaris*, *Salmonella spp.*, *Staphylococcus spp.*, *Streptococcus spp.*) და სხვა მიკროორგანიზმების (*Pastereula spp.*, *Corynebacterium spp.*, *Chlamydia spp.*, *Mycoplasma spp.*) მიმართ. ასევე ამჟღავნებს ანტიმიკრობულ აქტივობას ანტიბიოტიკების მიმართ მდგრად უმარტივესებზე და ბაქტერიების შტამებზე, ამასთან, არ თრგუნავს სასარგებლო მიკროფლორას. მოქმედების მექანიზმს საფუძვლად უდევს მიკროორგანიზმის გარეგან მემბრანაზე ზემოქმედება, აღწევს პერიპლაზმატიკური სივრცის შიგნით, იწვევს მისი სტრუქტურის შეცვლას და ფუნქციის მოშლას.

გამოყენების ჩვენებები:

პრეპარატი რეკომენდებულია ორგანიზმის იმუნიტეტის, რეზისტენტულობის ასამაღლებლად, სხვადასხვა ეტიოლოგიის კუჭ-ნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგოდ; ბაქტერიოლოგიური წარმოშობის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოიყენება კომპლექსური თერაპიის დროს, როგორც იმუნომასტიმულირებელი საშუალება, იმ დაავადებების დროს, რომლებსაც თან სდევს იმუნოდეფიციტის განვითარება. ინიშნება არასპეციფიკური საშუალების სახით ბაქტერიული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, აგრეთვე ვაქცინაციის ეფექტის გასაძლიერებლად. დასი ეფექტურია ცხოველებში სტრესული მდგომარეობების შედეგების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, კერძოდ, ტრანსპორტირების დროს, ოპერაციის წინა და ოპერაციის შემდგომ პერიოდებში. აგრეთვე სხვადასხვა არაგადამდები დაავადებების მკურნალობისას კომპლექსში სხვა სამკურნალწამლო საშუალებებთან.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება კუნთში საინექციოდ, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, ღორების, ძაღლებისა და კატებისათვის შემდეგი დოზებით:

ცხოველთა სახეობა	ერთჯერადი დოზა, მლ		
	ზრდასრული ცხოველები (მლ)	3 თვეზე მეტი ასაკის მოზარდეული (მლ)	3 თვეზე ნაკლები ასაკის მოზარდეული (მლ)
მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი	5 - 6	1,5 - 3	0,5 - 1,5
წვრილფეხა პირუტყვი	1 - 2	1	0,5 - 1
ლორი	2 - 4	1 - 2	0,5 - 1
ძალი, კატა	1 - 2	1 - 1,5	0,5 - 1

ინექციური დაავადებების პროფილაქტიკისთვის - გამოიყენება ერთჯერადად თვეში 2-3-ჯერ, მასობრივი დაავადებების დროს - 5-10 დღის განმავლობაში დღეგამოშვებით.

ცხოველის მდგომარეობის გაუარესებისას და დაავადების საწყის სტადიაზე დიაგნოსტიკის შეუძლებლობისას - გამოიყენება 2-3-ჯერადად თითო დოზა 3-5 დღის ინტერვალით.

სამკურნალო მიზნით - 3-5 დღეში ერთჯერ, არაუმეტეს 5 ინექციაა. აუცილებლობის შემთხვევაში მკურნალობის კურსი 5-10 დღეში უნდა გამოგრდეს.

პრეპარატის გამოყენება შეიძლება შრატისმიერ (იმუნოგლობულინურ) თერაპიასთან და სიმპტომატურ საშუალებებთან (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, საგულე პრეპარატები) ერთად ან ცალკე.

სტრესული მდგომარეობების შედეგების აღმოსაფხვრელად (მაგალითად, ტრანსპორტირებისას, გაკრეჭვისას და ა.შ.) - ერთი დოზა პრეპარატი სტრესულ ზემოქმედებამდე 10-18 საათით ადრე.

ოპერაციისწინა მომზადების ჩატარებისას - ერთჯერადად თითო დოზით, ოპერაციის შემდგომ პერიოდში პრეპარატი შეჰყავთ 2-5-ჯერადად 3-5 დღის ინტერვალით.

პრეპარატის გამოყენებისას საჭიროა ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების დაცვა. თითოეული ცხოველისთვის იყენებენ ცალკე ნემსს. ინექციის ადგილს ამუშავებენ სპირტით.

გვერდითი მოვლენები:

ინსტრუქციის მიხედვით პრეპარატის გამოყენებისას, როგორც წესი გვერდითი მოვლენები და გართულებები არ გამოიხატება.

შეთავსებადობა:

თავსებადია ვიტამინებთან, მინერალებთან და ანტიბიოტიკებთან.

უკუჩვენებები:

მაკობის პერიოდში პრეპარატი გამოიყენება ჩვენების შემთხვევაში. მომატებული ინდივიდუალური მგრძობელობა პრეპარატის კომპონენტებისადმი.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცი გამოიყენება შეუზღუდავად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: ბიოტეკსი, საქართველო.

14. ნარკოზულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები

14.1. არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები

აინილი (Ainiil)

Ketoprofen

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

კეტოპროფენი 100 მგ;

დამხმარე საშუალებები: ბენზილის სპირიტი 10 მგ; შემავსებელი 1 მლ - მდე.

გამოშვების ფორმა: 10 მლ, 20 მლ, 50 მლ, 100 მლ, 250 მლ შუშის ფკლაკონები.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

აინილი არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა, რომელსაც ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი მოქმედება, თრგუნავს თრომბოციტების აგრეგაციას. აინილის მოქმედი ნივთიერება - კეტოპროფენია (პროპიონის მჟავას წარმოებული), რომელიც რაჰიდონის მჟავას მეტაბოლიზმის ციკლოქსიგენაზურ და ლიპოოქსიგენაზურ რგოლებზე ზემოქმედებით, ახდენს პროსტოგლანდინების, პეი-კოტრინების და თომბოქსანების სინთეზის ინჰიბირებას. ახასიათებს ცენტრალური და პერიფერიული ანალგეზიის უნარი, მძლავრი ანტიბრადიკინინული აქტივობა, რევმატიოიდული ართრიტით დაავადებულებში ახდენს ლიზოსომური მემბრანების სტაბილიზაციას, იწვევს ნეიტროფილების აქტივობის მნიშვნელოვან შეფერხებას. კეტოპროფენი კარგად შეიწოვება შეყვანის ადგილიდან და სწრაფად ვრცელდება ორგანიზმში. ნაწილობრივ მეტაბოლიზდება ღვიძლში, გამოიყოფა ძირითადად შარდთან.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვი - ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი საშუალება, გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების დროს ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, სარძევე ჯირკვლის ანთების, მწვავე მასტიტის, ჩონჩხის კუნთების ანთების დროს.

ღორი - ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი საშუალება, მეტრიტის, მასტიტის, აგალაქტიის სინდრომის დროს, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ანთებითი პროცესების დროს და რესპირატორული ინფექციების დროს.

ცხენი - საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ანთებითი დაავადებების მკურნალობისათვის: ართრიტის, ნალრძობის, დაძაბულობის, შეშუპების, ხერხეღმათაშორისი დისკების თიაქარის, პოდოდერმატიტის, სინოვიტის, ტენდოსინოვიტის და სხვა დაავადებების დროს. სხვადასხვა ეტიოლოგიის ტკივილის სინდრომის დროს (ტრავმული, პოსტოპერაციული ტკივილი, კოლიკების დროს).

ძალღი და კატა - ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი საშუალება. გამოიყენება პოსტოპერაციულ პერიოდში, ასევე ჰიპერთერმიის, სარძევე ჯირკვლის შეშუპების, მწვავე მასტიტის დროს.

გამოყენების წესი და დოზირება:

მსხვილფეხა პირუტყვი – ვენაში ან კუნთში, 3 მლ /100 კგ ც.წ-ზე (ექვივალენტურია 3 მგ კეტოპროფენისა/კგ ც.წ-ზე) 1-3 დღის განმავლობაში.

ცხენი - საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევების მკურნალობის დროს, პრეპარატი შეჰყავთ ინტრავენურად, 1 მლ/45 კგ ც.წ-ზე (რაც ექვივალენტურია 2.2 მგ კეტოპროფენისა/კგ ც.წ-თან), 3-5 დღის განმავლობაში.

კოლიკის სიმპტომატური მკურნალობის დროს - 1 მლ/კგ ც.წ-ზე (ექვივალენტურია 2.2 მგ კეტოპროფენისა/კგ ც.წ-თან) ძირითადად ერთჯერადი დოზა საკმარისია და მომდევნო დოზის გაკეთებამდე უნდა შეფასდეს ცხოველის კლინიკური მდგომარეობა.

ღორი - კუნთში, 3 მლ/100 კგ ც.წ-ზე (რაც ექვივალენტურია 3 მგ კეტოპროფენის/კგ ც.წ-თან) ყოველდღიურად დღე-ღამეში ერთჯერ, 1-3 დღის განმავლობაში.

ძაღლი და კატა - კანქვეშ და/ან კუნთში, 0,2-0,25 მლ/10 კგ ც.წ-ზე დღეში ერთჯერ, 1,5 დღის განმავლობაში.

უკუჩვენებები:

აინილის გამოყენება უკუნაჩვენებია პრეპარატის კომპონენტების მიმართ ანეული მგრძობელობის დროს, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს, ჰემორაგიული სინდრომის, გამოხატული თირკმელების უკმარისობის დროს.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზებში პრეპარატი არ ახდენს ადგილობრივ გამაღიზიანებელ, მასენსიბილიზებელ, მუტაგენურ, კანცეროგენურ, ემბრიოტოქსიურ და ტრეტოგენურ მოქმედებას. ხანდახან კუნთში შეყვანის შემდეგ, შეყვანის ადგილზე ჩნდება შეშუპება, რომელიც ქრება 7 დღის შემდეგ.

გამოყენება მაკეობის და ლაქტაციის დროს:

რადგან არ არის შესწავლილი კეტოპროფენის გავლენა ნაყოფიერებაზე, მაკეობასა და ნაყოფის სიკვდილიანობაზე ცხენებში, ამიტომ აინილი არ უნდა მიცეთ მაკე ცხოველებს და 15 დღემდე ასაკის კვიცებს.

ურთიერთმოქმედება:

არ არის რეკომენდებული აინილის გამოყენება ერთდროულად სხვა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო, გლუკოკორტიკოიდებთან, დიურეტულ და ანტიკოაგულაციურ პრეპარატებთან ერთად.

ჭარბი დოზირება:

შეიძლება აღინიშნოს ანორექსია, ლებინება და დიარეა. აღნიშნულ შემთხვევაში მიმაართავენ სიმპტომატურ მკურნალობას.

დაყოვნების პერიოდი:

მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი: 4 დღე; რძე: 0 ნეელა.

შენახვის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: INVESA, ესპანეთი.

14.2. საანესთეზიო საშუალებები

ვილკაინი (Vilcain)

ნაშლის ფორმა:

საინექციო სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 მლ შეიცავს: ლიდოკაინის ჰიდროქლორიდს 20 მგ; ადრენალინს 0.01 მგ.

გამოშვების ფორმა: 20 მლ, 50 მლ და 100 მლ ფერადი შუშის ბოთლებში და მუყაოს კოლოფებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საანესთეზიო საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ვილკაინის საინექციო სუსპენზია გამოიყენება ვეტერინარიაში, როგორც ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება.

ლიდოკაინის ჰიდროქლორიდი წარმოადგენს ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებას ძლიერი ამიდების ჯგუფით, რომლის მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა სახის ანესთეზია (ტერმინალური, ინფილტრაციული, გამტარი). მას ასევე ახასიათებს ანტიარითმიული აქტივობაც.

ლიდოკაინი გამორჩეული საანესთეზიო საშუალებაა, ადვილად შეიწოვება ქსოვილებიდან, არ იწვევს გალიზიანებას. მის მიერ განხორციელებული ანესთეზია, სხვა ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებებთან შედარებით, არის უფრო ძლიერი, სწრაფი და ხანგრძლივი მოქმედების.

ანესთეზია პრეპარატის შეყვანიდან 5 წუთში იწყება და გრძელდება 3 საათის განმავლობაში. ის ადვილად შეიწოვება ინექციის ადგილიდან და 70%-ით შედის ბმაში პლაზმის ცილებთან, ადვილად გადის პლაცენტას, სხვა ორგანოებთან შედარებით ის შეიძლება ძალიან დიდი რაოდენობით აღმოჩნდეს ნაყოფის ღვიძლში, გულსა და ტვინში.

ადრენალინს ახასიათებს ადრინერგიული ეფექტი, რომლის სინთეზიც ხდება ცხოველის სხეულში. ის მეტაბოლიზდება მონოამინოქსიდაზად და კატეხოლ-ო-მეთილტრანსფერაზად. ადრენალინი, ვენების შეკუმშვის უნარის გამო ახანგრძლივებს ლიდოკაინის ეფექტს.

ლიდოკაინის ნახევრად გამოდენის დრო არის 1,6 საათი. გამოიყოფა თირკმლებიდან შარდთან ერთად მეტაბოლიტების სახით - 90%, ხოლო 10% უცვლელი სახით. ადრენალინის მეტაბოლიტები გამოიყოფა შარდთან ერთად.

გამოყენების წესი და ჩვენებები:

გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის, ღორების, ცხენების, ცხვრების, კატებისა და ძაღლებისთვის გინეკოლოგიური ჩარევების, გართულებული მშობიარობის, საკეისრო კვეთის, საშვილოსნოს პროლაფსის დროს. ასევე ოპერაციების დროს, როგორცაა კასტრაცია და კუდის ამპუტაცია. ტრამევის შემთხვევაში, ინფილტრაციული ნერვის ანესთეზიის, ეპიდურალური და რეგიონალური ანესთეზიისთვის. სახის (პირი, ცხვირი) და კისრის მიდამოში, ლორწოვანი გარსის ზედაპირული ანესთეზიისთვის.

გამოყენების წესი და დოზირება:

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარადაა მითითებული ვეტერინარის მიერ, პრეპარატი შეჰყავთ კანქვეშ, ნერვის გაფართოებისა და ეპიდურალური გზით.

ინფილტრაციული ანესთეზია:

ცხენი: 20-50 მლ (მაქსიმალური დოზა: 150-200 მლ);

მსხვილფეხა პირუტყვი: 5-100 მლ;

ლორი: 60-80 მლ;

ცხვარი: 2-50 მლ;

კატა, ძაღლი: 2-5 მლ (მაქსიმალური დოზა: კატა 5 მლ, ძაღლი 30 მლ).

ნერვის გახანგრძლივებული ანესთეზია:

ცხენი: 2-15 მლ (მაქსიმალური დოზა: 30 მლ);

მსხვილფეხა პირუტყვი: 10-15 მლ.

ქვედა და ზედა ეპიდურალური ანესთეზია:

ცხენი: 5-20 მლ;

მსხვილფეხა პირუტყვი: 4-10 მლ;

ხბო, ცხვარი: 3-7 მლ;

კატა, ძაღლი: 1-5 მლ.

გამოყენებისას უნდა დავიცვათ ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესები.

სტეციალური კლინიკური ინფორმაცია და გაფრთხილება მიზნობრივი ჯგუფებისთვის:

ვილკაინის დოზის დარეგულირება ხდება ადგილობრივი ანესთეზიის მეთოდის თანახმად, აგრეთვე ანესთეზიის სასურველი სიღრმისა და ხანგრძლიობის, ინექციის ადგილის ვასკულარიზაციის და ცხოველის ინდივიდუალური რეაქციის მიხედვით. თავი უნდა ავარიდოთ პრეპარატის ინტრავენურად შეყვანას. ინექციამდე საჭიროა ინჟექტორმა შეამოწმოს, რომ კანულა არ აღმოჩნდეს ვენის შიგნით. ვილკაინი ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ აციდოზის, შაქრიანი დიაბეტის, გულის მწვავე უკმარისობის, ღვიძლის დარღვევების, მწვავე რესპირატორული დარღვევების, ჰიპოვოლემიის, გამოკვეთილი ჰიპოქსიის ან შოკის შემთხვევაში. აგრეთვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ რადგან ის შეიცავს სისხლძარღვების შემკუმშავ საშუალებას, მან შეიძლება გამოიწვიოს იშემია სხეულის იმ ნაწილებში, სადაც სისხლის მიმოქცევა სათანადოდ არ ხდება.

ის გამოიყენება მხოლოდ წვეილჩლიქიანთა ადგილობრივი და რეგიონალური ანესთეზიისთვის. ინექცია უნდა ჩატარდეს სტერილურ პირობებში და საჭიროა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რათა თავი ავარიდოთ დაბინძურებას. რეკომენდებულია პრეპარატის გამოყენება ოპერაციის ზონაში.

გვერდითი მოვლენები:

იშვიათ შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოტენზია.

მგრძნობიარე ცხოველებში შეიძლება განვითარდეს ჰიპერმგრძნობელობა.

პრეპარატის ურთიერთქმედება:

ცხოველებს, რომელთაც მკურნალობა უტარდებათ მონოამინ ოქსიდაზას ინჰიბიტორებით ან ტრიციკლური ანტიდეპრესანტებით, ვილკაინის საინექციო სუსპენზიის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი ჰიპერტენზია.

სიფრთხილეა საჭირო ლიდოკაინის და L1-ადრენობლოკატორებთან ერთად გამოყენებისას, როგორცაა პროკაინამიდი, მეტოპროლოლი ან პროპრანოლოლი, რადგან ისინი ანელებენ ლიდოკაინის გამოყოფას და მეტაბოლიზმს. დაუშვებელია ასეთი პრეპარატების გამოყ-

ენება კომბინაციაში იმ ცხოველებისთვის, რომელთაც გულის დაავადება აქვთ.

ის შეუთავსებადია ამფოტერიცინთან, მეთოპექსიტალ ნატრიუმთან, სულფადიაზინთან, ამპიცლინ ნატრიუმთან, ცეფაზოლინ ნატრიუმთან. ნივთიერებები, როგორცაა ეპინეფრინი, გამოიყენება ადგილობრივი ანესთეზიის დროს, რომელიც ახანგრძლივებს ანესთეზიას. ტკივილგამაყუჩებელი, როგორცაა მორფინი, აჩქარებს ლიდოკაინის მეტაბოლიზმს. ძალებში დაუშვებელია პენტოთარბიტალის გამოყენება ლიდოკაინთან ერთად.

ჭარბი დოზირება:

პრეპარატის ჭარბი დოზირების ან შემთხვევით ინტრავენური ინექციის დროს შეიძლება გამოვლინდეს ჭარბი დოზირების სიმპტომები, ატაქსია, ნისტაგმი, დეპრესია, კრუნჩხვა, ბრადიკარდია და სისხლის მიმოქცევის კოლაფსი. ამ სიმპტომების მკურნალობა შესაძლებელია დიაზეპამის ან ბარბიტურატების ხანმოკლე ეფექტით (თიოპენტალი და თიამილალი). მწვავე შემთხვევებში საჭიროა ჟანგბადი.

დაყოვნების პერიოდი:

მსხვილფეხა პირუტყვის, ცხენის, ღორების და ცხვრების დაკვლა და საკვებად გამოიყენება დასაშვებია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 5 დღის შემდეგ. რძე - 4 დღის შემდეგ.

უკუჩვენებები:

ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების გამოყენება არ შეიძლება იმ ქსოვილების ინფლტრაციული ანესთეზიისთვის, სადაც ფლემონა, ნეკროზი ან ფრაგმენტული ჭრილობებია.

ეპიდურალური ანესთეზია არ გამოიყენება ინფექციების, ჭრილობების ან ზურგის ტვინის არხის დეფორმაციის შემთხვევაში.

ინტრავენური ინექცია არ შეიძლება.

2 მაქსიმალური დოზა 24 საათის განმავლობაში არ გამოიყენება.

გამოყენება მაკეობის პერიოდში:

დაუშვებელია მისი გამოყენება მაკეობის ბოლო პერიოდში.

ზოგადი გაფრთხილებები:

გამოყენებამდე და მოულოდნელი ეფექტის შემთხვევაში მიმართეთ ვეტერინარს.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

პრეპარატის შეყვანისას მისაღები ზომები:

- თავი აარიდეთ პრეპარატის კანსა და თვალებში მოხვედრას. მოხვედრის შემთხვევაში დაიბანეთ ხელები და თვალები წყლით. დაიბანეთ ხელები პრეპარატების გამოყენების შემდეგ. შემთხვევითი თვითინექციის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ზომების მიღება.

- დაცარიელებული პაკეტები გადაადგდეთ ნაგავში. დაუშვებელია მათი გამოყენება სხვა დანიშნულებით.

შენახვის პირობები:

შეინახეთ სინათლისგან დაცულ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე (15-25°C).

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.

14.3. ანტიქოლინერგული საშუალება

ატროპილი 1% (ATROVIL 1%)

Atropini sulfas

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემაღვენლობა:

1 მლ შეიცავს: ატროპინის სულფატს 10 მგ.

გამოშვების ფორმა: 20 მლ, 50 მლ და 100 მლ-იანი ყვითელი ფერის შუშის ბოთლებში და მუყაოს კოლოფებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალება, ანტიქოლინერგული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ატროპილის 1%-იანი საინექციო ხსნარი არის ქოლინერგული პრეპარატი, მისი აქტიური ნივთიერება ატროპინის სულფატი, რომელიც მიღებულია ბელადონას ალკალოიდიდან, მოქმედებს ეფექტორ უჯრედებში მუსკარინულ რეცეპტორებზე აცეტილქოლინის ბმის ინჰიბირებით, რაც იწვევს აცეტილქოლინის მუსკარინული ეფექტის შეჩერებას. პარენტერალურად მიღების შემთხვევაში მას გააჩნია მასტიმულირებელი ეფექტი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხასიათდება ანტისპაზმური ეფექტით გლუვ კუნთებზე. აღნიშნული ეფექტის გამო ის ბლოკავს კუჭ-ნაწლავის გლუვი კუნთების პერისტალტიკას, რომელიც ყაბზობას იწვევს. ამცირებს სალივაციას და ბრონქიალურ სეკრეციას. ცდომილი ნერვის დათრგუნვით აჩქარებს გულისცემას. იწვევს მიდრიაზს ირისის სპინქტერის მოღუწებით.

ატროპინის სულფატი ადვილად შეიწოვება კუჭნაწლავის ტრაქტიდან. პარენტერალურად გამოყენებისას, სისხლის მიმოქცევის მეშვეობით აქტიური ნივთიერება ვრცელდება მთელს ორგანიზმში. ის გადის პლაცენტარულ ბარიერს და პლაცენტარულ ბარიერს. ის ნაწილობრივ მეტაბოლიზდება ტროპინად და ტროპის მჟავად ღვიძლში. მიღებული დოზის დაახლოებით 60% გამოიყოფა შარდით უცვლელი სახით და დარჩენილი ნაწილი გამოიყოფა კონიუგირებული და შიდროლიზირებული ფორმით. ატროპინის სულფატის ეფექტი ორგანოებზე განსხვავებულია. გავლენა გულსისხლძარღვთა სისტემაზე მოკლევადიანია, ხოლო გავლენა პერიფერიულ და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე შეიძლება გაგრძელდეს 8 საათი და უფრო მეტი ხანი.

გამოყენების ჩვენებები:

ატროპილი 1%-იანი საინექციო ხსნარი გამოიყენება, როგორც სპაზმოლიტური საშუალება ტკივილის დროს, ანესთეზიით მიმდინარე ოპერაციების დროს ნერწყვდენისა და ბრონქიალური სეკრეციის შესამცირებლად და ასევე, როგორც პრენანსთეზიური საშუალება, რომ მოხდეს გულზე ცდომილი ნერვის გაზრდილი ტონუსის უარყოფითი ზემოქმედების შემცირება (ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებთან ერთად ანესთეზიამდე ტრამვირებულ კატებსა და ძაღლებში). უფრო მეტიც, ის შეიძლება გამოიყენონ, როგორც ანტიდოტი ინსექტიციდების ფოსფორორგანულებით ან კარბამატების ჯგუფით მონამვლების დროს, ისე როგორც მორფინისა და ეზერინის, პილოკორპინის, ქოლინის და ქლოროფორმის მონამვლებისას.

გამოყენების წესი და დოზირება:

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარადაა მითითებული ექიმის მიერ:

საინექციო ხსნარი შეჰყავთ კანქვეშ, პარასიმპათოლიზის შემთხვევაში, პირველ დღეს პრეპარატი მიიღება ორჯერ, ხოლო მკურნალობის დანარჩენ დღეებში კი კვირაში ერთჯერ.

ცხოველთა სახეობები	პრაქტიკული დოზა
ცხენი, ძროხა	1.5-6 მლ
ცხვარი, თხა	0.5-3 მლ
ძალღი	0.03- 0.5 მლ
კატა	0.01 — 0.03 მლ

გამოიყენება როგორც ანტიდოტი, ინსექტოციდებით (ფოსფორორგანული ან კარბამატებ-ის ჯგუფი) მონამკვლეების დროს შეჰყავთ ნელა ინტრავენურად. სხვა მონამკვლეების დროს გამოიყენება კანქვეშ ინექციად.

ცხოველთა სახეობები	პრაქტიკული დოზა
ძროხა	5-10 მლ/100 კგ.ც.წ-ზე
ცხენი	1-2 მლ/100 კგ.ც.წ-ზე
ძალღი	0.1-0.2 მლ/10 კგ.ც.წ-ზე
კატა	0.1-0.2 მლ/10 კგ.ც.წ-ზე

დოზის გამეორება შესაძლებელია მხოლოდ ატროპინიზაციის სიმპტომების მონიტორინგის შემთხვევაში და ტოქსიკურობის სიმპტომების არ არსებობის მიხედვით. ცხენების ან-ესთეზიის დროს ქსილაზინის გამოყენებისას, ატროპინი შეჰყავთ ინტრავენურად 0.01 მგ/კგ ც.წ-ზე (0.5 მლ/100 კგ ც.წ-ზე).

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატის გამოყენებით პარასიმპათომიმეტიური მიზნით, საჭიროა დოზის გამოთვლა ცხოველის თითოეული სახეობისთვის, პრეპარატი შეჰყავთ კანქვეშ. ფოსფორორგანული ინსექტოციდებით მონამკვლეებისას კი ინტრავენურად და ნელა. დოზის გამეორება შეიძლება მხოლოდ ატროპინიზაციის სიმპტომების მონიტორინგის შემთხვევაში, ტოქსიკურობის სიმპტომების არ არსებობის მიხედვით. დაუშვებელია მისი გამოყენება პრეანესთეზიური მიზნით, რადგან ის იწვევს მადის დაკარგვას და ცოხნის შეწყვეტას ზრდასრულ ცხოველებში.

გვერდითი მოვლენები:

დაბინდული მხედველობა, პირის და კანის სიმშრალე, სტუპორი, ტაქიკარდია, ყაბზობა და შარდვის პრობლემები.

პრეპარატის ურთიერთქმედება:

ატროპინმა შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა პრეპარატების შენოვაზე, რადგან ის ამცირებს ნაწლავების პერისტალტიკას. როცა ის გამოიყენება პარასიმპათომიმეტიკებთან ერთად (ქოლინის ეთერი, ალკალიოიდები ქოლინერგული ეფექტით, აცეტილქოლინის ესტერაზის ინჰიბიტორები და ა.შ.), ისინი ერთმანეთის ანტაგონისტები არიან. ის შეუთავსებადი აცეპრომაზინთან, ქლორპრომაზინთან, ჰეპარინთან და მეთოქსიტილის ნატრიუმთან.

გაფრთხილება არამიზნობრივი სახეობებისთვის:

გააჩნია უკუჩვენება ფრინველში.

ქარბი დოზირება:

აღინიშნება ტაქიკარდია, შფოთვა და კოორდინაციის დარღვევა. ჭარბი დოზირებისას ატროპინით მონამვლის შემთხვევაში საჭიროა პარასიმპატიკომიმეტიკების გამოყენება, როგორცაა არექოლინი, პილოკარპინი და ნეოსტიგმინი. ცხოველი უნდა იყოს თბილად და თუ პერორალურადაა მიღებული, საჭიროა ცხოველისთვის პილბინების გამოწვევა.

დაყოვნების პერიოდი:

დაუშვებელია მსხვილფეხა პირუტყვისა და ცხვრების დაკვლა მკურნალობის პერიოდსა და პრეპარატის ბოლო მიღებიდან 20 დღის განმავლობაში. უფრო მეტიც, მენველი პირუტყვისა და ცხვრებისგან მიღებული რძის გამოყენება ადამიანებისთვის არ შეიძლება ცხოველების მკურნალობის პერიოდში და მკურნალობის დასრულებიდან 4 დღის (8 მონველის) განმავლობაში.

უკუჩვენებები:

უკუჩვენებები აღინიშნება ტაქიკარდიის, რქოვანას წყლულის, გლაუკომას, აგრეთვე პილორუსის დახშობის შემთხვევაში.

მაკეობის პერიოდში უცნობია ინვევს თუ არა ეს პრეპარატი ანომალიებსა და სხვა პრობლემებს. ატროპინის მიღების შემთხვევაში იზრდება ნაყოფის გულისცემა. ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის ჩატარებული სამეცნიერო კვლევები. შესაბამისად მისი გამოყენება მაკე ცხოველებში რეკომენდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სარგებელი გადაწონის რისკს. სხვა შემთხვევაში მისი მიღება მაკეობისას რეკომენდებული არ არის.

ზოგადი გაფრთხილებები:

გამოყენებამდე და მოულოდნელი ეფექტის შემთხვევაში მიმართეთ ვეტერინარს.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას და საკვები მასალებისგან მოშორებით.

არ შეიძინოთ ვადაგასული პრეპარატი ან ის პროდუქტები, რომელთა შეფუთვაც დაზიანებულია.

პრეპარატის შეყვანისას მისაღები ზომები:

ატროპინი არის ტოქსიკური ალკალოიდი, რომელსაც მნიშვნელოვანი ფარმაკოლოგიური ეფექტი აქვს. შესაბამისად საჭიროა მისი სიფრთხილით გამოყენება. თუ შემთხვევით მოხდება პრეპარატის არასწორი გზით მიღება, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე (15-25°C).

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი: Villain, თურქეთი.

15. ბიოპარაპარატები

15.1. ფრინველის საპროფილაქტიკო ვაქცინები

ბიავაკი (Biovac)

ინფექციური ბურსალური დაავადების (გამბოროს) საწინააღმდეგო,
ცოცხალი მოდიფიცირებული ვაქცინა

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები და თვალში ჩასანვთებელი სსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ცოცხალი მოდიფიცირებული ვაქცინა, რომელიც გამოიყენება ინფექციური ბურსალური დაავადების (გამბოროს) საწინააღმდეგოდ დამზადებულია მაღალი იმუნოგენურობის მქონე უსაფრთხო შტამით. ბიავაკის ვაქცინის დასამზადებლად გამოიყენება SPF კვერცხები.

გამოშვების ფორმა: 1000 დოზიანი კონტეინერი.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

გამოყენების ჩვენებები:

ბიავაკი გამოიყენება ჯანმრთელ ბროილერებსა და წინილებში, ასევე დაავადებისადმი მგრძობიარე ფრინველებში ინფექციური ბურსალური დაავადების სპეციფიური პროფილაქტიკისათვის. აგრეთვე გამოიყენება ჯანმრთელი წინილების იმუნოზაციისთვის იმ საფრინველეებში, სადაც არის დაავადების კერა.

გამოყენების წესი და დოზები:

ვაქცინაცია ტარდება წინილების კატეგორიისა და დედისაგან გადაცემული ანტისხეულების დონის გათვალისწინებით. ვაქცინაცია ტარდება იმ შემთხვევაში, თუ ანტისხეულების დონე დაბალია. იმუნოზაციის სქემა შეიცავს ერთ, ორ ან სამ ვაქცინაციას. ვაქცინაციის რაოდენობა დამოკიდებულია ეპიდემიოლოგიურ სტატუსზე, წინილების ჯიშზე და გამოყვანის პირობებზე. საუკეთესო შედეგისათვის პირველი ვაქცინაცია შეიძლება 10-12 დღის ასაკში. შემდეგი ვაქცინაციის საჭიროება განისაზღვრება ანტისხეულების დონითა და/ან ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით. ვაქცინა გამოყენებულ უნდა იქნას განზავებისთანავე დაუყოვნებლივ.

მასიური ვაქცინაცია (დასალევი წყლით): ვაქცინაციის უპირატესობა დალევინების მეთოდია. ვაქცინაციამდე 48 სთ-ით ადრე და ვაქცინაციის შემდეგ 24 საათის განმავლობაში დასალევი წყალი არ უნდა შეიცავდეს დეზინფექტანტებს და სხვა მედიკამენტებს. დასალევი მონყობილობა უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით. წინილებს ვაქცინაციამდე 2-4 საათი არ უნდა მიეცეს სასმელი წყალი. ფრინველების სადგომი ისე უნდა იყოს მონყობილი, რომ ფრინველების 2/3-მა ერთდროულად შეძლოს წყლის დალევა. რეკომენდებულია, ვაქცინის გამსხნელ წყალში ჩაემატოს რძის ფხვნილი რაოდენობით - 25 გ/10 ლ სასმელ წყალზე. ვაქცინა განზავდება შემდეგი რაოდენობის წყალში: 1000 დოზა 10 ლიტრში, 2500 დოზა 25 ლ წყალში და 5000 დოზა 50 ლ წყალში. (10 დღის ასაკის წინილებისათვის დასალევი წყლის რაოდენობა 10 მლ/ერთ ფრთაზე, 14 დღის წინილისთვის 15 ლ/ერთ ფრთაზე). ინდივიდუალური ვაქცინაცია (თვალში ჩანვთების მეთოდი) 1000 დოზიანი ვაქცინა იხსნება 50 მლ და 500 დოზიანი კი 25 მლ გამსხნელში. გახსნილი ვაქცინის ერთი წვეთი ენვთება თითოეულ თვალში.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენება კლინიკურად დაავადებულ ფრინველებში.

დაყოვნების პერიოდი:

7 დღე.

უსაფრთხოების ზომები:

არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ დოზებს. გამოყენებული ფლაკონები და გამოუყენებელი ვაქცინა უნდა განადგურდეს.

შენახვის პირობები:

ინახება 2-8°C-ზე, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 24 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: S.N. "Institutul Pasteur" S.A., რუმინეთი.

ნიუვაკ ლასოტა (Newvac la sota)

ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგო,

ატენუირებული ცოცხალი ვაქცინა

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები და თვალში ჩასანვთებელი ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ვაქცინა შეიცავს ცოცხალ ლიოფილიზებულ ლასოტას დაბალი ვირულენტურობის ნიუკასლის დაავადების ვირუსის შტამს. 1 დოზა შეიცავს მინ. 10^{6.0} EID50 ND ვირუსს.

გამოშვების ფორმა: 1000 დოზიანი ფლაკონი.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

გამოყენების ჩვენებები:

ვაქცინის გამოყენება რეკომენდებულია ჯანმრთელი წინილების, ინდაურების, მტრედების, ციცრების, ხოხბების, მწყერების ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგო იმუნიზაციისათვის. ვაქცინა გამოიყენება საწყისი და განმეორებითი ვაქცინაციისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ნიუვაკ ლასოტა გამოიყენება თვალში ჩანვთების ან წყლთან ერთად დალევინების მეთოდით. პირველი ვაქცინაცია რეკომენდებულია 10-11 დღის ასაკში. რევაქცინაცია ტარდება პირველი ვაქცინაციიდან 4 კვირის შემდეგ.

ვაქცინის მომზადება:

ლიოფილიზებულ მასას დაამატეთ გამხსნელი ან არადეზინფიცირებული სუფთა წყალი. დაახურეთ რეზინის საცობი და შეაწვლირეთ მანამ, სანამ არ გაიხსნება. ვაქცინა გამოყენებული უნდა იქნას მომზადებისთანავე.

თვალში ჩანვთების მეთოდი: მომზადებული ვაქცინის (50 დოზა/5 მლ) თითო წვეთი

ენვეთება თითოეულ თვალში. პიპეტის ზომა უნდა განისაზღვროს ისე, რომ ვაქცინის 1 მლ შეიცავდეს 20 წვეთს.

ვაქცინაცია წყლის დაღვინების მეთოდით: ვაქცინაციამდე 48 სთ-ით ადრე და ვაქცინაციის შემდეგ 24 საათის განმავლობაში დასაღვეი წყალი არ უნდა შეიცავდეს დეზინფექტანტებს და სხვა მედიკამენტებს. დასაღვეი მონყობილობა უნდა გაირეცხოს სუფთა წყლით. წინილებს ვაქცინაციამდე 2-4 საათი არ უნდა მიეცეს სასმელი წყალი. ფრინველების სადგომი ისე უნდა იყოს მონყობილი, რომ ფრინველების 2/3-მა ერთდროულად შეძლოს წყლის დაღვევა.

მომზადებული ვაქცინა ემატება არადეზინფიცირებულ წყალს და ეძლევა 30 დღის ასაკის წინილებს – 10 მლ/ერთ ფრთაზე;

30 დღეზე მეტი ასაკის ფრინველს – 20 მლ/ერთ ფრთაზე.

ყოველი 1000 დოზიანი ვაქცინა იხსნება შემდეგი რაოდენობის სუფთა წყალში:

ასაკი (დღე)	ვაქცინის დოზა (მლ)	წყლის რაოდენობა (ლ)
<30	10-12	1000
>30	15-20	1000

ფრინველს არ ეძლევა სხვა წყალი, სანამ მთლიანად არ დაღვევს ვაქცინიან წყალს.

უკუჩვენებები:

ვაქცინაცია არ ტარდება:

- კლინიკურად დაავადებული ფრინველების, კვების დეფიციტის და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შემთხვევაში;
- სხვა ვაქცინაციიდან 10-14 დღის განმავლობაში;
- კვერცხისდების პერიოდში;
- ბუმბულის ცვლის პერიოდში;
- ტრანსპორტირების წინ ან შემდეგ.

დაყოვნების პერიოდი:

7 დღე.

განსაკუთრებული მითითებები:

- ნიუკასლის ვირუსმა შეიძლება ადამიანში გამოიწვიოს თვალის ანთება, რომელიც გრძელდება 2-3 დღის განმავლობაში. ამიტომ მომსახურე პერსონალი უნდა მოერიდოს ვაქცინის თვალთან კონტაქტს.
- ვაქცინა უნდა მომზადდეს იმ რაოდენობით, რომელიც მოიხმარება დაუყოვნებლივ.
- გამოყენებული ბოთლები და გამოუყენებელი ვაქცინა უნდა განადგურდეს.

შენახვის პირობები:

2-8°C-ზე, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 24 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: S.N. "Institutul Pasteur" S.A., რუმინეთი.

15.2. ზოცვერის საპროფილაქტიკო ვაქცინაში

მიქსოჰემოვიროვაკი (Mixohemovirovac)

მიქსომატოზისა და ვირუსული ჰემორაგიის საინანაღმდეგო ვაქცინა

წამლის ფორმა:

ორი კომპონენტის შერევის შემდეგ მიიღება საინექციო სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში.

მიქსოჰემოვიროვაკი - კომბინირებული იმუნოლოგიური პროდუქტი, შეიცავს ორ კომპონენტს:

- მიქსო კომპონენტი: 1 შუშა ლიოფილიზირებული ცოცხალი ვაქცინა კურდღლის მიქსომატოზის წინააღმდეგ;

- ჰემო კომპონენტი: 1 ბოთლი უმოქმედო, წყლიანი ვაქცინა კურდღლის ვირუსული ჰემორაგიული დაავადებების წინააღმდეგ.

შემაღვენლობა:

აქტიური ნივთიერებები: მიქსო კომპონენტი (ცოცხალი, ლიოფილიზირებული ვაქცინა კურდღლის მიქსომატოზის წინააღმდეგ, რომელიც მომზადებულია MXO-82 დატვირთვით) 103 TCID₅₀ (ქსოვილის კულტურის 50%-ის ინფიცირების დოზა) დოზის მინიმალური ტიტრი; ჰემო კომპონენტი ინაქტივირებული წყლიანი ვაქცინა კურდღლის ვირუსული ჰემორაგიული დაავადებების წინააღმდეგ, რომელიც მომზადებულია VSHI-CN-₆ დატვირთვით) მინიმალური ტიტრი 1024 ერთეული დოზის დეზაქტივიაციამდე.

დამხმარე ნივთიერება: Al(OH)₃ 25% 0.5 მლ-მდე.

დამატებითი ნივთიერებები: (ფორმალინი, პეპტონ-ლაქტოზის ხსნარი, ანტიბიოტიკები).

გამოშვების ფორმა: 5, 10, 20 და 40 დოზიან ბოთლებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

გამოყენების ჩვენებები:

ვაქცინა გამოიყენება კურდღლებში მიქსომატოზისა და ვირუსული ჰემორაგიული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის მიზნით.

გამოყენების წესი და დოზები:

ლიოფილიზირებული მიქსო კომპონენტი იხსნება თხევად ჰემო კომპონენტთან (ამ უკანასკნელის გულმოდგინედ ჰემოგენიზაციის შემდეგ). პრეპარატის შენჯღრევა უნდა მოხდეს კარგად. ვაქცინის დოზაა 0,5მლ. ინექცია ხდება კანვეშ ან კუნთში, როგორც მოზარდ (ერთი თვის ასაკის ზემოთ), ასევე ზრდასრულ კურდღლებში.

იმუნიტეტი მყარდება მეორე ვაქცინაციის დროს, რომელიც 21-45 დღის შემდეგ ტარდება. რევაქცინაცია უნდა ჩატარდეს ყოველ მეექვსე თვეს კურდღლის სამეურნეო სიცოცხლის განმავლობაში.

რჩევები მედიკამენტის სწორად მიღებასთან დაკავშირებით: გამოყენებული უნდა იქნას ერთჯერადი ნემსები, შპრიცები და შპრიცები და ჩაუტარდეს დეზინფექცია ვაქცინაციის ადგილს.

მედიკამენტის შენახვის ვადა კომპონენტებთან შერევის შემდეგ: 20 წუთი.

ვაქცინაცია განახოციელეთ წამლის შერევიდან, რაც შეიძლება სწრაფად, ამ დრომ 20 წუთს არ უნდა გადააჭარბოს. თუ მისი გამოყენება ვერ მოხერხდა 20 წუთში, ვაქცინა გამოსაყენებლად უვარგისია თავი აარიდეთ ნებისმიერ სტრესს ვაქცინამდე მინიმუმ 7 დღით ადრე და ვაქცინაციიდან 7 დღის შემდეგ.

ნუ გამოიყენებთ თუ იარლიყზე მითითებული ვარგისიანობის ვადა გადაცილებულია.

გვერდითი მოვლენები:

შეიძლება წარმოიშვას ადგილობრივი კვანძი აცრის ადგილას, რომელიც გაიწოვება ერთ კვირაში. სხვა რეაქციები არ დაფიქსირებულა.

უკუჩვენებები:

ინფექციური, პარაზიტული და საკვებ-მეტაბოლიტურ დაავადებების დროს ცხოველების აცრა დაუშვებელია. მაღალი ინფექციის რისკის შემთხვევაში ის შეიძლება გამოიყენონ ცხოველებთან და ვუგულველყოთ მათი დაბალი რეაქტიულობა ან მისი საერთოდ არარსებობა.

დაუშვებელია მაკეობის ბოლო სტადიაში მყოფი მდედრების აცრა, რადგან ვაქცინაცია იწვევს სტრესს. ვაქცინაცია შეიძლება მშობიარობიდან დაუყოვნებლივ ან დაწყვილებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ (7-10 დღე).

განსაკუთრებული გაფრთხილება:

დაიცავით ძირითადი დებულებები, რომელიც ვეტერინარულ ბიოლოგიურ პროდუქტების მოპყრობას შეეხება.

თუ შემთხვევით თვითვაქცინაციას ექნა ადგილი, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს რჩევისთვის და უჩვენეთ პროდუქტის ანოტაცია, იმ შემთხვევაშიც კი თუ ინექციურულ იქნა მედიკამენტის მეტად მცირე დოზა. ჰიპერმგრძობიარე აღამიანებმა თავი უნდა აარიდონ პროდუქტთან კონტაქტს.

უსაფრთხოების ზომები:

გამოუყენებელი პროდუქტის ან ნარჩენი მასალების განკარგვისთვის არ შეიძლება მედიკამენტის გადაყრა ჩამდინარე წყლებში ან საოჯახო ნაგავში. ჰკითხეთ ვეტერინარს, თუ როგორ განკარგოთ მედიკამენტი, რომელიც უკვე საჭირო არაა. ეს ზომები გამიზნულია გარემოს დაცვისთვის.

დაყოვნების პერიოდი:

ხორცს არ აქვს.

შენახვის პირობები:

შენახეთ ბავშვებისთვის მიუნვდომელ ადგილას.

შენახვა და ტრანსპორტირება ხდება 2-8°C ტემპერატურაზე. ნუ გაყინავთ; დაიცავით შუქისგან.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: S.C. Romvac Company S.A, რუმინეთი.

15.3. მსხვილფეხა პირუტყვის საპროფილაქტიკო ვაქცინები

რაკშა HS+BQ (RAKSHA HS+BQ)

პასტერელოზის და ემფიზემატოზური კარბუნკულის

საინააღმდეგო ინაქტივირებული ვაქცინა

ნაშლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ყოველი დოზა (3მლ) შეიცავს: ჰემორაგიული სეპტიცემიის და ემფიზემური კარბუნკულის ანტიგენს.

გამოშვების ფორმა: 90 მლ პოლიპროპილენის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

რაკშა HS+BQ ვაქცინა რეკომენდებულია მსხვილფეხა პირუტყვის, ხბოების და კამეჩების *Pspalterela multocida*-თი გამოწვეული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (პასტერელოზის) და *Clostridium chauvoei*-თი გამოწვეული ემფიზემური კარბუნკულის პროფილაქტიკური ვაქცინაციისათვის. ანტისხეულები ორგანიზმში წარმოიქმნება ინექციიდან 2-3 კვირის განმავლობაში. დაავადებების კონტროლი შესაძლებელია რეგულარული ვაქცინაციის შემთხვევაში.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვის, კამეჩის და ხბოების ჰემორაგიული სეპტიცემიის (პასტერელოზის) და ემფიზემური კარბუნკულის პროფილაქტიკა.

გამოყენების წესი და დოზები:

პირველადი აცრა ტარდება 6 თვის ასაკიდან შემდეგი დოზით: 3 მლ ერთჯერადი დოზირებით. ინექცია კეთდება კანქვეშ. ინექციის ადგილი წინასწარ კარგად უნდა დამუშავდეს რათა გამოირიცხოს კონტამინაცია. გამოყენების წინ შეანჯღრიეთ.

რევაქცინაცია ტარდება ყოველწლიურად.

რევაქცინაციის რეჟიმი: არაკეთილსაიმედო კლიმატურმა პირობებმა ისეთი როგორცაა არასეზონური წვიმები, ქარი და სხვა შეიძლება გამოიწვიოს ცხოველების სტრესი, ამიტომ უმჯობესია რევაქცინაცია მოხდეს შესაფერისი კლიმატური პირობების დროს.

ქარბი დოზირება:

არ ინვესს უარყოფით ეფექტს. ორმაგი დოზაც უსაფრთხოა ცხოველებისთვის.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები ფაქტიურად არ აღინიშნება. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას მცირედი შესიება აცრის ადგილას, რომელიც მალევე თავისით ქრება. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჰიპერმგრძობელობას, ამ დროს რეკომენდებულია ანტიჰისტამინური პრეპარატების გამოყენება.

უკუჩვენებები:

უკუნაჩვენებია პრეპარატის გამოყენება დაავადებულ ცხოველებში.

დაყოვნების პერიოდი:

არ საჭიროებს.

პრეპარატის გამოყენება მაკეობის დროს:

პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია მაკეობის დროს, თუმცა სიფრთხილით უნდა იქნეს მოხმარებული მაკეობის პირველ პერიოდში, რათა ადგილი არ ქონდეს ნაყოფის ნაადრევ მოგდებას

შენახვის პირობები:

ვაქცინის შენახვა და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს 2–8°C. დაუშვებელია ვაქცინის გაყინვა. ვაქცინა უნდა ინახებოდეს მშრალ, ბნელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 24 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Indian Immunologicals Limited, ინდოეთი.

**ჰემორაგიული სეპტიცემია და ემფიზემური კარბუნკულის
კომბინირებული ვაქცინა (H.S-B.Q)**

მსხვილფეხა პირუტყვის პასტერელოზის და ემფიზემური კარბუნკულის
საწინააღმდეგო ინაქტივირებული ვაქცინა

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

კომბინირებული ვაქცინა (H.S-B.Q), კომბინირებული ფორმალინით ინაქტივირებული *Pasteurella multocida* და *Clostridium chauvoei*-ი და დამატებული აქვს ალუმინის ჰიდროქსიდის გელი.

გამოშვების ფორმა: 50 მლ ფლაკონში (25 დოზა).

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

გამოყენების ჩვენებები:

მსხვილფეხა პირუტყვის, კამეჩის და ხბოების ჰემორაგიული სეპტიცემიის (პასტერელოზის) და ემფიზემური კარბუნკულის პროფილაქტიკა.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოყენებამდე საჭიროა მისი შენჯღღრევა, რათა მივიღოთ ერთგვაროვანი ხსნარი.

მსხვილფეხა პირუტყვისთვის – 2 მლ, ხბოებისთვის 2-დან 8 თვემდე – 1 მლ. ინექცია კეთდება კანქვეშ.

მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს 15-20 დღით ადრე აფეთქების სეზონიდან. სრული იმუნიტეტის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა 14 დღე. ვაქცინაცია მეორდება ყოველ წელიწადს.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები ფაქტიურად არ აღინიშნება. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას მცირედი შესიება აცრის ადგილას, რომელიც მალევე თავისით ქრება. იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჰიპერმგრძობელობას, ამ დროს რეკომენდირებულია ანტიჰისტამინური პრეპარატების გამოყენება.

გაფრთხილება:

- ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს ვეტექიმის ზედამხედველობით, გამოყენებულ უნდა იქნას სტერილური შპრიცი და ნემსი.
- დაავადებულ ცხოველებში პრეპარატის გამოყენება აკრძალულია.
- გამოუყენებელი ვაქცინა უნდა განადგურდეს.
- ყველა ცხოველს ვაქცინაცია უნდა ჩაუტარდეს დაავადების სეზონის დაწყებამდე.

შენახვის პირობები:

პრეპარატი უნდა ინახებოდეს 2-8°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Bio Med Pvt. Ltd., ინდოეთი.

ბრუშაქსი (Bruvax)

მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინა,

შტამი - *Brucella abortus-19*

წამლის ფორმა:

საინექციო გრანულირებული ფხვნილი და გამხსნელი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

თითოეული (2 მლ) დოზა შეიცავს "*Brucella abortusS-19*"-ის ანტიგენს - 1 მლ, მალტოზას ხსნარი (40%) - 0.125 მლ, ჟელატინის ხსნარი - (10%) - 0,05 მლ, საქაროზის ხსნარი (40%)- 0.025 მლ და ფოსფატის ბუფერის გამხსნელი - 0.8 მლ (რაოდენობა 20 მლ-მდე).

გამოშვების ფორმა: №1 ფლაკონი 5 დოზიანი (გრანულოვანი ფორმის) და სტერილური გამხსნელი №1 ფლაკონი 10 მლ.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ვაქცინა შეიცავს "*Brucella abortus*"-ის შტამის 19 აქტიურ ბაქტერიას.

არის ღია ყვითელი ფერის, გრანულირებული ფორმის ფხვნილი და შეიცავს "*Brucella abortus*"-ის შტამის 19 აქტიური ბაქტერიას. თითოეული დოზა შეიცავს არანაკლებ 40 x 109 აქტიურ ბაქტერიას.

გამოყენების ჩვენებები:

ბრუვაქსი გამოიყენება მსხვილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის (*Contagious abortion*) საწინააღმდეგო ვაქცინაციისთვის

განზავება:

გააგრძელებს გამხსნელი გაზავებამდე. გადაიტანეთ გაგრძელებული გამხსნელის მცირე რაოდენობა ფლაკონში, რომელშიც მოთავსებულია გრანულირებული ფორმის პრეპარატი და საცობის დაფარების შემდეგ კარგად აურიეთ სანამ არ მიიღებთ ერთგვაროვან სუსპენზიას. შემდეგ გადაიტანეთ სუსპენზია გამხსნელის ფლაკონში და აურიეთ კარგად.

გამოყენების წესი და დოზები:

ვაქცინა შეჰყავთ კანქვეშ.

4 დან 8 თვემდე სეროლოგიურად ნეგატიურ მდენდრ ხბოებში ვაქცინაცია ტარდება 2 მლ გაზავებული ვაქცინით.

სიფრთხილის ზომები:

შეინახეთ განზავებული ვაქცინა ყინულში.

გამოიყენეთ განზავებული ვაქცინა დაუყოვნებლივ, ფლაკონის ნაწილობრივი გამოყენება და მისი საყინულეში ან მაცივარში შენახვა არ არის რეკომენდებული.

არ არის განკუთვნილი ადამიანებისთვის.

გამოყენების შემდეგ შპრიცებს, ნემსებს და ხელთათმანებს უნდა ჩაუტარდეთ დეზინფექცია, სტერილიზაცია.

გვერდითი მოვლენები:

ძირითადად არ არის შემჩნეული გვერდითი რეაქციები. შესაძლოა გამოვლინდეს მსუბუქი შესიება და სხეულის ტემპერატურის მცირე მომატება, რომელიც მალევე გაივლის. ვაქცინამ შესაძლოა დააინფიციროს ადამიანები, განსაკუთრებით შემთხვევითმა ინექციამ. დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ყველა საჭირო მეურნეობა. სასურველია ვაქცინაციის დროს გამოყენებული იქნას ხელთათმანები და უბრალო დამცავი მინის სათვალები.

უკუჩვენებები:

ვაქცინაცია არ ტარდება მაკე ცხოველებში.

გამოყენებული რეზერვუარების განადგურება: ვაქცინის ცარიელი რეზერვუარები, გამოყენებული შპრიცები და ნემსები ფრთხილად და სათანადოდ უნდა გადაიყაროს.

შენახვის პირობები:

ვაქცინის გადატანა, შენახვა და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს 2-8°C-ზე. ვაქცინის ანტიგენური თვისება კლებულობს თუ ტემპერატურა გადაცდება აღნიშნულ ზღვარს, თვისების კლება დამოკიდებულია ტემპერატურაზე და დროზე. შეინახეთ ვაქცინა ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Indian Immunologicals Limited, ინდოეთი.

15.4. წვრილფეხა პირუტყვის საპროფილაქტიკო ვაქცინები

ბრუვასი Rev 1 (Bruvax Rev 1)

ცხვრების და თხების ვაქცინა ბრუცელიოზის იმუნიზაციისთვის,

შტამი - *Brucella melitensis* Rev 1

ნამლის ფორმა:

საინექციო გრანულირებული ფხვნილი და გამხსნელი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

თითოეული (1 მლ) დოზა შეიცავს “*Brucella melitensis* Rev. 1”-ის ანტიგენს - 1 მლ, მალტოზას ხსნარი (40%)-0.125 მლ, შულატინის ხსნარი (10%) - 0.05 მლ, საქაროზის ხსნარი (40%)-0.025 მლ და ფოსფატის ბუფერის გამხსნელი - 0.8 მლ (რაოდენობა 2 მლ-მდე).

გამოშვების ფორმა: №1 ფლაკონი 20 დოზა, (გაყინული მშრალი) და სტერილური გამხსნელი №1 ფლაკონი 20 მლ.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ბრუვაქსი Rev 1, გრანულოვანი ფორმის ვაქცინა შეიცავს “*Brucella melitensis* Rev. 1”-ის შტამის აქტიურ ბაქტერიას. ღია ყვითელი ფერის ფხვნილი შეიცავს “*Brucella melitensis* Rev.1”-ის შტამის აქტიურ ბაქტერიას ლიოფილიზებული ფორმით. თითოეული ვაქცინის დოზა შეიცავს 0.5 – 4 x 10⁹ აქტიურ ორგანიზმებს *B.P.(Vet)* - ის თანახმად.

გამოყენების ჩვენებები:

ბრუვაქსი Rev 1 არის გრანულოვანი ფორმის ვაქცინა და რეკომენდებულია ბრუცელიოზის (კონტაგიოუს აბორტიონ) იმუნიზაციისათვის ცხვრებში და თხებში.

გამოყენების წესი და დოზები:

ვაქცინა კეთდება კანქვეშ, სუფთა, მშრალი კანის არეში, კონტამინაციის საწინააღმდეგო ყველა სიფრთხილის ზომების გათვალისწინებით.

ვაქცინაცია რეკომენდებულია 4 - 6 თვემდე ასაკის ცხვრების და თხებისთვის, კანქვეშ 1 მლ განზავებული ვაქცინით.

განზავება და მიღების წესი:

ლიოფილიზებული ვაქცინა უნდა განზავდეს გრილ გამხსნელში, რომელიც თან ერთვის. ვაქცინის გამხსნელთან კარგად შერევის შემდეგ, ვაქცინა შეჰყავთ კანქვეშ სტერილური შპრიცის და ყოველ ცხოველზე ცალკეული სტერილური ნემსის გამოყენებით. არ შეინახოთ გამოყენებული ფლაკონი.

გვერდითი მოვლენები:

თუ სწორად ჩატარდება აცრა არ გამოვლინდება გვერდითი რექციები. ერთი აცრა საკმარისია იმუნიტეტის გამოსამუშავებლად, მაგრამ ვაქცინა არ უზრუნველყოფს სრულ იმუნიტეტს ცხოველებში.

უკუჩვენებები:

ვაქცინაცია არ უტარდება მაკე ცხოველებს. არ გამოიყენება ადამიანებში. განკუთვნილი-

ია მხოლოდ ვეტერინარიული გამოყენებისათვის. შეინახეთ ვაქცინა ყინულში. გამოიყენეთ ვაქცინა განზავებისთანავე. არ არის რეკომენდებული ვაქცინის საყინულეში შენახვა.

განსაკუთრებული მითითებები:

“*Brucella melitensis Rev. 1*”-ის არის ზოონოზური მნიშვნელობის ვაქცინა. შესაბამისად ვაქცინა გამოყენებული უნდა იქნას სიფრთხილით, რომ თავიდან იქნას აცილებული აცრა (ინჰალაცია) ჩაყლაპვა. უნდა მოხდეს გამოყენებული ფლაკონების, შპრიცების, ნემსების და ხელთათმანების დეზინფიცირება. შეინახეთ ვაქცინა ბავშვებისგან მიუწვდომელ ადგილას. ვაქცინამ შესაძლოა დააინფიციროს ადამიანები, განსაკუთრებით შემთხვევითმა ინექციამ. დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ყველა საჭირო მკურნალობა. სასურველია ვაქცინაციის დროს გამოყენებული იქნას ხელთათმანები და უბრალო დამცავი მინის სათვალეები.

შენახვის პირობები:

ვაქცინის გადატანა, შენახვა და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს 2-8°C ზე. ვაქცინის ანტიგენური თვისება კლებულობს თუ ტემპერატურა აცდება აღნიშნულ ზღვარს, თვისების კლება დამოკიდებულია ტემპერატურაზე და დროზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Indian Immunologicals Limited, ინდოეთი.

15.5. შრატები და იმუნოგლობულინები

ტიტანუსის საწინააღმდეგო შრატი (Antitetanik Serum)

წამლის ფორმა:

საინექციო ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ცხენის სისხლის შრატი, რომელიც იმუნიზირებულია გაშეშების ანატოქსინით, შრატი შეიცავს სპეციფიკურ იმუნოგლობულინს.

პრეპარატი შეიცავს ქლოროფორმს არა უმეტეს 0.2%-ს.

გაშეშების საწინააღმდეგო შრატი გამჭვირვალე მოყვითალო-მოყავისფრო ხსნარია. დასაშვებია ადვილად შლადი ნალექის არსებობა.

გამოშვების ფორმა: მუყაოს ყუთებში იდება 1 მლ-ანი №10 ამპულა, გაშეშების საწინააღმდეგო შრატი და ინსტრუქცია პრეპარატის გამოყენებაზე.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიური პრეპარატი.

ბიოლოგიური თვისებები:

ანიეტრალეზს გაშეშების ტოქსინის.

გამოყენების ჩვენებები:

გაშეშების გადაუდებელი პროფილაქტიკა და მკურნალობა.

გამოყენების წესი და დოზები:

გაშეშების სწრაფი პროფილაქტიკა მიზნად ისახავს ჭრილობის პირველად ქირურგიულ და მუშავებას და გაშეშების საწინააღმდეგო სპეციფიკური იმუნიტეტის შექმნას.

გაშეშების გადაუდებელ სპეციფიკურ პროფილაქტიკას ატარებენ: ცხოველების კასტრა-ციის, ტრავმების, კანის და ლორწოვანი საფარველის მთლიანობის დარღვევის, ცხოველის მიერ დაკბენის დროს.

გაშეშების გადაუდებელი პროფილაქტიკისათვის შრატი შეჰყავთ კანქვეშ ან კუნთებში ერთხელ-დოზით 1 მლ (3000 სე) ყველა ასაკის მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვისა და ღორებისათვის.

პროფილაქტიკის მიზნით დამუშავებულ ცხოველებში პასიური იმუნიტეტის ხანგრძლივობა ორ კვირამდეა.

მკურნალობა:

ავადმყოფ ცხოველებში გაშეშების საწინააღმდეგო შრატის დოზა არა ნაკლებ 30000 სე. პრეპარატი შეჰყავთ ვენაში. დაავადების სიმძიმის მიხედვით პრეპარატი განმეორებით გამოიყენება.

უკუჩვენებები:

შრატის შეყვანა უკუჩვენებია ცხოველებში, რომლებმაც ადრე მიიღეს ცხენის შრატი (იმუნოგლობულინი).

პრეპარატი გამოსაყენებლად უფარგისია ამჟღის მთლიანობის დარღვევის, მარკირების ან არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე ვადაგასული, არასწორად შენახული და ფიზიკური თვისებებით შეცვლილი.

რეაქცია შეყვანაზე:

ამონაკლის შემთხვევაში შრატის შეყვანას თან სდევს სხვადასხვა რეაქციები: ტემპერატურის უმნიშვნელო მომატება, ქავილის განვითარება და კანზე გამონაყარი (1-3 დღე) აღნიშნული მოვლენების გამოსარიცხავად რეკომენდებულია შრატის შეყვანამდე ანტიჰისტამინური პრეპარატის გამოყენება (დიმედროლი, სუპრასტინი და სხვა).

შენახვის პირობები:

შრატს ინახავენ და ტრანსპორტირებას ახდენენ 2°C - 8°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: იმუნოგენი, საქართველო.

16. თიჰვის დაავადებების სამკურნალო პრეპარატები

პრიმაჰვილინი აქუა (Primavilin Aqua)

Oxytetracycline hcl

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი (პრემიქსი), გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

პრეპარატის 1 გ შეიცავს 755 მგ ოქსიტეტრაციკლინის ჰიდროქლორიდს.

გამოშვების ფორმა: 100 გ, 500 გ, 1000 გ, 5000 გ თეთრ პოლიეთილენის ქილებში და 25 კგ თეთრ პოლიეთილენის ვედროში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური ანტიბაქტერიული პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრიმავილინ აქუა მიეკუთვნება ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკს, ხასიათდება ფართო სპექტრის ბაქტერიოსტატიკური მოქმედებით, უპირატესად მოქმედებს ოქსიტეტრაციკლინის მიმართ მგრძობიარე გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების წინააღმდეგ. იგი თრგუნავს ცილის სინთეზს მგრძობიარე მიკრო ორგანიზმებში.

ახასიათებს მკვეთრად გამოსატყული მოქმედება გრამდადებითი აერობების მიმართ (*Bacillus sp.*, *Corinebacterium sp.*, *Erysipelothrix rhusopathie*, *Listeria Monocytogenes* & *Streptococcus sp.*) გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Actinobacillus sp.*, *Borrelia sp.* & *Leptospira sp.*), ანაერობების (*Actinomices sp.*, *Fusobacterium sp.*) & *Mycoplasma sp.*, *Chlamydia sp.*, *Ehrlichia sp.*, *Cooxiella burnetti*, *Anaplasmas* მიმართ.

შეძენილი რეზისტენტობის გამო, ახასიათებს ცვალებადი მოქმედება *Staphylococcus sp.*, *Enterococcus sp.*, *E. Coli*, *Klebsiella sp.*, *Proteus sp.*, *Salmonella sp.*, *Bacteriodes sp.* *Clostridium sp.* აღმძვრელების მიმართ.

პრეპარატის მიღებიდან სწრაფად შეინოვება, ცირკულარული სისტემიდან 20-40% ხვდება პლაზმის პროტეინებში. ვრცელდება ორგანიზმის ყველა ნაწილში, განსაკუთრებით, ღვიძლში, თირკმლებში და ფილტვებში. გამოიყოფა შარდთან და ნალველთან ერთად.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მტკნარი და მლაშე წყლების (ოქროსთავა ქორჭილა, კაპარჭინა, ზღვის ქორჭილა) თევზების სამკურნალოდ, შემდეგი დაავადებების დროს: ბაქტერიული ჰემორაგიული სეპტიცემია (*Aeromonas hydrophila*, *Pseudomonas sp.*), ცოლუმნარის (*Flexibacter columnaris*), წითელი პირის დაავადება (*Yersinia ruckerii*) სტრეპტოკოკური დაავადებები (ბეტა ჰემოლიზური და არაჰემოლიზური სტრეპტოკოკები), ცივი წყლის ვიბრიოზის (*Vibrio anguillarum*), ცივი წყლის დაავადებები, ლაჟვარდოვანი კალმახის სინდრომის აღმძ. *Cytophaga psycrophila*, *Pseudomonas septicemia* (ზამთრის დაავადება), წყლულოვანი დაავადებები (*Haemophylus piscium*).

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება პერორალურად საკვებთან შერევით.

მაჩვენებლები	ზოგადი ინფექციები	ლაჟვარდოვანი კალმახის დამწვრობის სინდრომი
აქტიური ნივთიერების რაოდენობა კგ თევზზე	75 მგ/კგ ც. წ-ზე	200 მგ/კგ ც. წ-ზე
ფხვნილის რაოდენობა კგ თევზზე	0.1 გ/კგ ც. წ-ზე	0.7 გ/კგ ც. წ-ზე
პრეპარატის რაოდენობა, საკვების 1% ცოცხალ წონაზე, კგ საკვებთან მიმართებაში	10 გ	27 გ

ფარმაკოლოგიური დოზა: გამოიყენება 75 მგ/კგ ც. წ-ზე, საკვებთან შერევით.

პრაქტიკული დოზა: 0.1 გ/კგ ც.წ-ზე, საკვებში შერევით.

პრეპარატი მიიღება 7 დღე, ლაჟვარდოვანი კალმახის დამწვრობის სინდრომის დროს

ინიშნება 20 დღემდე ხანგრძლივობით.

თევზის საკვების პროპორცია (ც. ნ-ზე გაანგარიშებით, %)	პრიმავილინ აქუას რაოდენობა 1 ტ საკვებზე (კგ)	ოქსიტეტრაციკლინ ჰ/ელ რაოდენობა, 1 ტ საკვებზე (კგ)
1	10	7.55
2	5	3.77
3	3.3	2.52
5	2	1.51
10	1	0.755

საკვების პრეპარატთან ერთად მომზადება:

წინასწარ აწონილი პრიმავილინ აქუას რაოდენობა თავსდება მიქსერში ან შემრევში (სუფთა, მშრალი, ზუსტი) და შერევის პროცესში ესხურება 1% ცხიმი. შერევა გრძელდება 2-5 წთ და მიიღება ერთგვაროვანი ნარევი. პრეპარატის მიცემის წინ თევზი უნდა ვაშიმშილოთ 12-24 სთ-ის განმავლობაში. საკვებისა და პრეპარატის რაოდენობა, იცვლება წყლის ტემპერატურის და თევზის ზომის შესაბამისად.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზებში გამოყენებისას არ აღინიშნება გვერდითი მოვლენები.

ჭარბი დოზირება:

მაღალმა დოზებმა შესაძლოა გამოიწვიოს თირკმლების დაზიანება.

პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

პრეპარატი შეუთავსებელია: ამპიცილინთან, ამიკაციინის სულფატთან, პენიცილინთან, ქლორამფენიკოლთან, ქლორწყალბადმჟავასთან, მეთიცილინ ნარტიუმთან, ნოვობიოცინ სოდიუმთან, ოქსაცლინ სოდიუმთან, ცეფალოსპორინებთან, სულფადიაზინთან, სოდიუმის ბარბიტურატებთან, ფენიტოინთან, კალციუმის შემცველებთან, ჰიდროკორტიზონ სოდიუმსუკცინატთან, მეთილპრედნიზოლონ სოდიუმ სუკცინატთან, B ჯგუფის ვიტამინებთან.

დაყოვნების პერიოდი:

დაუშვებელია თევზის ადამიანისთვის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში. ადამიანისთვის თევზის საკვებად მიღება დასაშვებია იქნება მაშინ, როდესაც წყლის ტემპერატურა დღეების მიხედვით ჯამში მიაღწევს 550°C

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილზე ოთახის ტემპერატურაზე 15-20°C.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Vilsan, თურქეთი.

ფავეტრიმ აქვა (Favetrim Aqua)

Sulfadiazine, Trimethoprim

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი (პრემიქსი), გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

1 კგ შეიცავს: 416,7 გ სულფადაზინს და 83,3 გ ტრიმეტოპრიმს.

გამოშვების ფორმა: 100 გ 500 გ, 1000 გ, 5000 გ თეთრ პოლიეთილენის ქილებში და 25 კგ თეთრ პოლიეთილენის ვედროში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური ანტიბაქტერიული პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

სულფადაზინის კომბინაცია ტრიმეტოპრიმთან განაპირობებს კომბინაციურ, სინერგიულ მოქმედებას, უმეტეს შემთხვევაში მოქმედებს ბაქტერიციდულად, მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების (მათ შორის პენიცილინის მიმართ მდგრადი შტამების) მიმართ.

სულფადაზინი სულფანილამიდების ჯგუფიდან, შეუქცევადად ზრუდავს პარაამინო-ბენზოისმჟავასა და მის წარმოებულებს ბაქტერიაში. ტრიმეტოპრიმთან ერთად (დიამი-ნოპრიმიდინის წარმოებულს), შეუქცევადად ზრუდავს ფოლის მჟავას სინთეზს, აჩერებს დეჰიდროფოლატ რედუქტაზას, რომელიც ჩართულია ტეტრაჰიდროფოლატის მჟავას სინ-თეზში, რაც განაპირობებულია ბაქტერიული ნუკლეოტიდის სინთეზის დარღვევით, რის შე-დეგადაც ბაქტერიის სასიცოცხლო ფუნქციები წყდება და ბაქტერიები იღუპება.

პრეპარატს ახასიათებს კარგად გამოხატული ეფექტი გრამდადებითი აერობების (*Bacillus sp.*, *Corinebacterium sp.*, *Erysipelotrix rhusiopathiae*, *Listeria monocitogenes* და *Streptococcus sp.*), გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Aeromonas sp.*, *Flexibacter sp.*, *Vibrion anguillarum*, *Vibrio salm-onicida*, *Yersinia ruckerii*, *Pseudomonas sp.*, *Haemophilus so.*, *Pasteurella sp.*, *Yersinia sp.*, *Borrelia sp.* *Ve Leptospira sp.*), ანაერობების (*Actinomyces sp.*, *Fusobacterium sp.*) და *Mycoplasma sp.*, *Chia-mydia sp.*, *Ehrlichia sp.*, *Cooxiella burnetti*, *Anaplasma* წინააღმდეგ. რამდენიმე *Mycobacterium sp.* და ზოგიერთ *Nocardia sp.*, *Ricksia sp.*, *Leptospira sp.*, *Pseudomonas aeruginosa*, *Mycoplasma sp.* ახასიათებთ საშუალო მგრძობელობა.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მტკნარი ან მლაშე წყლის, ზღვისა და სანაშენე თევზების დაავადებების სამ-კურნალოდ ბაქტერიული ჰემორაგიული სეპტიცემიის ჩათვლით (*Aeromonas hydrophilla*, *Pseu-domona sp.*) დაავადების აღმძვრელი (*Flexibacter columnaris*) ე.წ. წითელი პირის დაავადება (*Yersina ruckerii*), სტრეპტოკოკური ინფექცია (*hemolizuri* და *arahemolizuri streptokokebi*). ცივი წყლის ვიბრიოზი (*Vibrion salmonicida*), ცივი წყლის დაავადებები, ზამთრის დაავადებები (*Pseudomonas anguiliseptica*), წყლულოვანი დაავადებები (*Haemophilus piscium*) და მოზარდი კალმახის სინდრომი, რომელიც გამოწვეულია აღმძვრელით *Cytophaga psycrophila*.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება პერორალურად, თევზის საკვებში შერევით.

ფარმაკოლოგიური დოზა: 60 მგ/კგ ც. წ-ზე, დღეში ერთჯერ.

პრაქტიკული დოზა: 0.1 გ/კგ ც. წ-ზე.

პრეპარატი მიიღება 7-10 დღე.

თევზის საკვები ნორმა (ც. წ-ის მიხედვით, %)	ფავეტრიმ აქუას რაოდენობა, 1 ტ საკვებში (კგ)	ტრიმეტოპტიმის რაოდენობა 1 ტ საკვებში (გ)	სულფადიაზინის რაოდენობა 1 ტ საკვებში (გ)
0.5	12	1000	5000
1	6	500	2500
2	3	250	1250

საკვების პრეპარატთან ერთად მომზადება:

წინასწარ აწონილ ფავეტრიმ აქუს რაოდენობა თავსდება მიქსერში ან შემრევში (სუფთა, მშრალი, ზუსტი) და შერევის პროცესში ესხურება 1% ცხიმო, შერევის პროცესი გრძელდება 2-5 წთ და მიიღება ჰომოგენური მასა. პრეპარატის მიცემის წინ თევზი უნდა ვაშიმშილოთ 12-24 სთ. საკვებისა და პრეპარატის პროპორცია დამოკიდებულია წყლის ტემპერატურასა და თევზის ზომაზე.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზებში გამოყენებისას არ აღინიშნება გვერდითი მოვლენები, სულფანილამიდების მიმართ მგრძობიარე ცხოველებში შეიძლება გამოწვიოს ალერგიული რეაქციები.

პრეპარატებთან ურთიერთქმედება:

სულფანილამიდები ხასიათდება სინერგიზმით პარაამინობენზოლმჟავასთან, პროკაინი, ბენზონკაინი და ბუტაკაინი, შესაძლოა ანტაგონისტური მოქმედება იქონიოს B-ჯგ ვიტამინებთან.

დაყოვნების პერიოდი:

დაუშვებელია თევზის ადამიანისთვის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში. ადამიანისთვის თევზი საკვებად დასაშვები იქნება მაშინ როდესაც წყლის ტემპერატურა დღეების მიხედვით ჯამში მიაღწევს 550°C

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილზე ოთახის ტემპერატურაზე 15-20°C.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Vilsan, თურქეთი.

ფლორვილ აქუა (Florvil Aqua)

Florfenicol

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი (პრემიქსი), გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

პრეპარატის 1გ შეიცავს 500 მგ ფლორფენიკოლს.

შეფუთვის ფორმა: გამოდის 100 გ, 500 გ, 1000 გ თეთრ პოლიეთილენის ქილებში და 25 კგ თეთრ პოლიეთილენის ვედროში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური ანტიბაქტერიული პრეპარატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფლორვილ აქუას შემადგენლობაში შემავალი ფლორფენკოლი წარმოადგენს ფლორფენიკოლ თიამფენიკოლის მონოჰიდრატის წარმოებულს, რომელიც ქლორფენიკოლისგან განსხვავებით შეიცავს პ-მეთილ სულფონილის ჯგუფს, p-მეთილ ნიტრო ჯგუფის ნაცვლად. ფლორფენიკოლი ხასიათდება მოქმედების უფრო ფართო სპექტრით, თიამფენკოლთან და ქლორფენიკოლთან შედარებით. ფლორფენიკოლის მაღალი ეფექტურობა ეფუძვნება ფტორის ფერმენტული აცეტილირების ინჰიბირებას, რომელიც ანაცვლებს ჰიდროქსილის ჯგუფში მე-3 ნახშირბადის ჯგუფს. პრეპარატს ახასიათებს ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური მოქმედება, რომელიც ეფუძვნება ბაქტერიულ რიბოსომებში პროტეინის სინთეზის ინჰიბირებას.

ფლორვილ აქუა მაღალეფექტურია გრამდადებითი (*Bacillus sp.*, *Corinebacterium sp.*, *Erysipelothrix rhusopathie*, *Listeria Monocytogenes* & *Streptococcus sp.*) და გრამუარყოფითი ბაქტერიების (*Flavobacter sp.*, *Cytophaga sp.*, *Vibrio sp.*, *Flexibacter sp.*, *Pseudomonas sp.*, *Aeromonas sp.*, *Actinobacillus sp.*, *Bordetella sp.*, *Francisella tularensis*, *Haemophilus sp.*, *Pasteurella multocida*, *Yersinia sp.*, *Campilobacter fetus*, *Borrrlia sp.*, *Ve Leptospira sp.*), ანაერობების (*Actinomyces sp.*, *Fusobacterium sp.*) & *Mycoplasma sp.*, *Chlamydia sp.*, *Ehrlichia sp.*, *Cooxiella burnetti*, *Anaplasmas* მიმართ.

პერორალური გზით მიცემისას ფლორფენიკოლი სწრაფად და ხარისხიანად ადსორბირდება (თევზები, რომლებიც ბინადრობენ 5-15 ტემპერატურის წყალში). იგი ნაწილდება თევზის სხეულის ყველა ორგანოსა და ქსოვილში (96,5%). პრეპარატის კონცენტრაციები მსგავსია კუნთებში, სისხლსა და პლაზმაში, მაგრამ შედარებით დაბალი კონცენტრაციით ცხიმოვან ქსოვილებში და ცნს-ში. პლაზმაში პრეპარატის 25% და მისი მეტაბოლიტები მიიტანება ტვინში. პლაზმაში პრეპარატის კონცენტრაცია პიკს აღწევს 4 მკგ/ლ 10.3 სთ-ში 10 მგ/კგ დოზირების დროს. ნახევრად გამოყოფის დროს 12.2 სთ. სწრაფად შეიწოვება და დოზის ნაწილი გარდაიქმნება ფლორფენიკოლის ამინის მეტაბოლიტად და გამოიყოფა. გამოყოფის სისწრაფე (საერთო მონაკვეთი) შეადგენს 1.4 მლ/წთ/კგ.

ორაგულისნაირებში, ფლორფენიკოლი წყლის 8,5-11,5°C ტემპერატურაზე, სწრაფად შეიწოვება და მეტაბოლიტად ამინ ფლორფენიკოლად გარდაიქმნება. *Aeromonas salmonicida*, *Vibrio anguillarum* & *V. Salmonicida*-ს მოსასპობად თევზებში, გამოიყენება 10 მგ/კგ ფლორფენიკოლი, წყლის ზემოაღნიშნულ ტემპერატურაზე. რომლის მინიმალური კონცენტრაცია მითითებულია პლაზმაში 0.8 მკგ/მლ.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება მტკნარი, მლაშე წყლების (კალმახი, ორაგული, კარპი) და ზღვის (კაპარჭინა, ზღვის ქორჭილა) თევზების სამკურნალოდ, შემდეგი დაავადებების დროს: ფურუეკულოზი (*Aeromonas salmonicida*) ვებრიოზი (*Vibrio anguillarum*), ერსინიოზი (*Yersinia ruckerii*) ბაქტერიული ჰემორაგიული სეპტიცემია (*Aeromonas hydrophila*, *Pseudomonas sp.*), ჩოლემნარის დაავადება (*Flexibacter columnaris*), სტრეპტოკოკური ინფექციები (ჰემოლიზური და არა-ჰემოლიზური სტრეპტოკოკის) ზამთრის დაავადებები (*Pseudomonas anguliseptica*), *Edwardsiellois* (*Edwardsiella ictaluri*, *Edweersiella tarda*), პასტერელოზი (*photobacterium damsel subsp. Piscidia*) ზღვის ფლექსიბაქტერიოზი (*Tenacibaculum maritimum*) სანაშენე თევზში.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება პერორალურად, თევზის საკვებში შერევით.

ფარმაკოლოგიური დოზა: 10 მგ/კგ ც. წ-ზე.

პრაქტიკული დოზა: 0.02 გ/კგ ც.წ-ზე

მკურნალობის კურსი 10 დღე.

თევზის საკვების პროპორცია (ცოცხალ წონაზე გაანგარიშებით) (%)	ფლორვილ აქუა რაოდენობა 1 ტ საკვებზე (კგ)	ჯერეპარატის რაოდენობა 10 დღიანი მკურნალობის ჩასატარებლად (კგ)
0.5	4	20
1	2	10
2	1	5
3	0.66	3.33
5	0.4	2

საკვების პრეპარატთან ერთად მომზადება:

წინასწარ ანონილი ფლორვილ აქუას რაოდენობა თავსდება მიქსერში ან შემრევში (სუფთა, მშრალი, ზუსტი) და შერევის პროცესში ესხურება 1% ცხიმო. შერევა გრძელდება 2-5 წთ და მიიღება ერთგვაროვანი მასა. პრეპარატის მიცემის წინ თევზი უნდა ვაშიმშილოთ 12-24 სთ განმავლობაში. საკვებისა და პრეპარატის რაოდენობა, იცვლება წყლის ტემპერატურის და თევზის ზომის შესაბამისად.

გვერდითი მოვლენები:

რეკომენდებულ დოზაში გამოყენებისას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები.

დაყოვნების პერიოდი:

დაუშვებელია თევზის ადამიანისთვის საკვებად გამოყენება მკურნალობის პერიოდში. ადამიანისთვის თევზი საკვებად დასაშვები იქნება მაშინ როდესაც დღეების მიხედვით წყლის ტემპერატურა ჯამში მიაღწევს 550°C.

შენახვის პირობები:

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილზე 15-25°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: Vilsan, თურქეთი.

17. მავუტკაროვაში გამოსაყენებელი პრეპარატები

აპიდასი (Apidas)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

შემადგენლობა:

ნანოპეპტიდ-ამინო-ვიტკარბონი-800.

გამოშვების ფორმა: 10 მლ და 30 მლ მინის ფლაკონში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბიოლოგიურად აქტიური დანამატი, იმუნოსტიმულიატორი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

აპიდასს ახასიათებს გამოხატული ბაქტერიციდული, ფუნგიციდური და ანტიპროტოზოული მოქმედება. აპიდასის თვისებები განპირობებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მკრო და მიკროელემენტების, ასევე, მის შემადგენლობაში შემავალი სხვა კომპონენტების რთული კომპლექსით. საკვები დანამატი აპიდასი მოქმედებს ფუტკრის ოჯახების ზოგადი განვითარების სტიმულირებაზე, ააქტიურებს დედა ფუტკრების მიერ კვერცხის დებას და მკვებავი ფუტკრების მიერ სადედო და ფუტკრის რძის გამოყოფას, ზრდის ოჯახების პროდუქტიულობას, აუმჯობესებს გამოზამთრების შედეგებს. მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ახდენს ფუტკრების იმუნიტეტის სტიმულირებას, მკვეთრად ამცირებს ფუტკრის ოჯახების ავადობას ვირუსული და ბაქტერიული ინფექციებით.

გამოყენების ჩვენებები:

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი აპიდასი გამოიყენება სოკოვანი და ბაქტერიული ინფექციების (ასკოფეროზის, ასპერგილოზის, ამერიკული და ევროპული სიდამპლის, პარასიდამპლის, პარატიფის, გაფნიოზის, კოლიბაქტერიოზის, სეპტიცემიის), ფუტკრის ნოზემატოზის მკურნალობის დროს და აგრეთვე, პროფილაქტიკის მიზნით. ასევე, ფუტკრის ოჯახების განვითარების სტიმულაციისათვის გაზაფხულზე და საშემოდგომო გაზრდის პერიოდში. ფუტკრის ოჯახების ინფექციური დაავადებების მკურნალობის დროს აპიდასი გამოიყენება დაავადებათა სიმპტომების გამორჩენისთანავე.

გამოყენების წესები და დოზები:

1. გამოკვების სახით ეძლევა 50%-იან შაქრის სიროპი და აპიდასი, რომელიც მზადდება ერთ სკაზე გათვლით, 5 მლ აპიდასის შერევით 150 მლ შაქრის სიროპში. მომზადებულ სიროპს შეაჭმევენ ფუტკრებს საკვებურების მეშვეობით ანდა ჩაისხმევა ცარიელ ფიჭაში, რომელსაც აყენებენ ფუტკრის ბუდის სანაშენო ზონაში. პროფილაქტიკური დამუშავებისათვის საკმარისია აპიდასის სიროპის ერთჯერადი მიღება; ნოზემატოზის მკურნალობის დროს სიროპი ფუტკრებს ეძლევათ ორჯერ 3 დღის ინტერვალით. ინფექციური დაავადებების დროს ფუტკრების სამკურნალოდ გამოკვება ტარდება 3 დღიანი ინტერვალით დაავადების ნიშნების სრულ გაქრობამდე და გრძელდება 3-4 დღე.

2. მკურნალობენ სამკურნალო ყანდით გამოკვებით, რომელიც მზადდება 500 გ ყანდის საგულდაგულოდ შერევით 5 მლ პრეპარატთან.

3. სამკურნალო ყანდის ხარჯვის ნორმაა 50 გ ფუტკრებით მჭიდროდ დაფარულ 1 ჩარჩოზე. პროფილაქტიკური დამუშავებისათვის საკმარისია სამკურნალო ყანდის ერთჯერადი მიღება. ნოზემატოზის სამკურნალოდ, ფუტკრებს ეძლევათ სამკურნალო ყანდი ერთჯერადად, ანგარიშით 50-60 გ ფუტკრებით მჭიდროდ დაფარულ 1 ჩარჩოზე. ინფექციური დაავადებებისაგან სამკურნალო გამოკვება ტარდება 6-7 დღის ინტერვალით ანგარიშით 50 გ სამკურნალო ყანდი ფუტკრებით მჭიდროდ დაფარულ 1 ჩარჩოზე. სამკურნალო გამოკვება ტარდება დაავადების ნიშნების სრულ გაქრობამდე. დასკვნითი გამოკვება ტარდება 5-6 დღეში დაავადების სიმპტომების არარსებობიდან.

4. წყალხსნარის სახით, ფუტკრებიანი და ნაშენიანი ფიჭის დასხურების გზით წვრილდისპერსიული მასხურების მეშვეობით ("როსინკა" და სხვ.). აპიდასის სამუშაო ხსნარს ამზადებენ, 5 მლ პრეპარატის გახსნით 100 მლ თბილ ანადულარ წყალში (40-50°C). სამუშაო ხსნარს აციებენ ოთახის ტემპერატურამდე და საფრქვევლის მეშვეობით ასხურებენ ფუტკრებიან და ნაშენიან ფიჭას ანგარიშით 10 მლ ფუტკრებით მჭიდროდ დაფარულ 1 ჩარჩოზე. პროფილაქტიკური დამუშავებისთვის საკმარისია ფუტკრების ერთჯერადი დასხურება;

ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით სამუშაო ხსნარით ატარებენ ორჯერ ან სამჯერ 3-4 დღის ინტერვალით დაავადების ნიშნების სრულ გაქრობამდე.

დასკვნითი დამუშავება ტარდება 3-4 დღეში დაავადების სიმპტომების არარსებობისას. ნოზემატოზის თავიდან აცილების მიზნით დამუშავება ტარდება 2-ჯერ 3 დღის ინტერვალით.

5. ფუტკრების დამუშავების ყველა ხერხის დროს 5 მლ აპიდასი გამოიყენება ფუტკრებით მჭიდროდ დაფარული 10 ჩარჩოს დასამუშავებლად. სამუშაო ხსნარით ყველა დამუშავება ტარდება არანაკლებ 15°C ტემპერატურაზე.

6. ფუტკრის დამუშავებისას მკაცრად დაიცავით რეკომენდაციები პრეპარატის სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის თაობაზე და მისი ხარჯვის ნორმები 1 ჩარჩოზე!

უპირატესობები:

აპიდასის გამოყენების მაღალი ეფექტურობა ფუტკრის ოჯახების დაავადებათა ფართო სპექტრისათვის საშუალებას იძლევა, ჩატარდეს რთული შერეული ინფექციების საიმედო პროფილაქტიკა, უზრუნველყოფს მაღალხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას.

შენახვის პირობები:

ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: კორონი, საქართველო.

სტარტოვიტი (Startovit)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები გრანულები, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

შემადგენლობა:

ნატრიუმის ქლორიდი 0.430 გ, კობალტის ქლორიდი 0.019 გ, დინატრი ფოსფატი 0.010 გ. **დამხმარე ნივთიერებები:** შემავსებელი 5.0 გ-მდე.

გამოშვების ფორმა: მუყაოს კოლოფის შეფუთვაში მოთავსებულია 5 პოლიეთილენის პაკეტი, თითოეული 5 გ-ის ოდენობით.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: მინერალური საკვები დანამატი.

დანიშნულება:

ფუტკრის ოჯახების სტიმულირებისათვის.

მოქმედების მექანიზმი:

სტარტოვიტი, მასში შემავალი ნატრიუმის, ქლორის, კობალტისა და ფოსფორის იონების შემცველობის საფუძველზე, სტიმულირებს დედის კვერცხმდებლობაზე და ფუტკრის შრომისუნარიანობაზე. შედეგად, ჩქარდება ფუტკრის ოჯახების ოპტიმალური განვითარება გაზაფხულზე, ხოლო ფუტკრის პროდუქტების მოპოვება—მატულობს, ბარტყის რაოდენობა იზრდება 74%-მდე, ხოლო სეზონის მანძილზე ფუტკრის რაოდენობა მატულობს 30%-მდე. გაზაფხულზე მისი გამოყენება ძლიერ განვითარებულ ფუტკრის ოჯახებში მიგვიყვანს ნაყ-

რიანობის მდგომარეობამდე.

გამოყენების ჩვენებები:

გაზაფხულზე - სუსტ და საშუალო სიძლიერის ოჯახებში რათა გადაილახოს ცვალებადი პირობები და დარქარდეს ოჯახის განვითარება ლალიანობის დაწყებამდე.

ზაფხულის I ნახევარში: ძლიერ ფუტკრის ოჯახებში, რათა შეიქმნას ნუკლეუსები (ახალი ოჯახები).

ზაფხულის II ნახევარში: დედის კვერცხმდებლობისა და ფუტკრის ოჯახებში ახალგაზრდა ფუტკრების რაოდენობის შენარჩუნებისათვის.

გამოყენების წესი და დოზირება:

თითოეული შეფუთვა შეიცავს 5 პაკეტს, თითოეული 5 გ-ის ოდენობით. ერთი 5 გ პაკეტი იხსნება 10 ლ. შაქრის სიროფში (1:1).

ფუტკრის ოჯახს ეძლევა 500 მლ. სიროფი 3–5 ჯერ, 3–5 დღის ინტერვალით.

დაყოვნების პერიოდი:

არ აქვს.

შენახვის პირობები:

ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: COFIA, ბულგარეთი.

პაროსტოპი (Varostop)

ნამლის ფორმა:

გარეგანი მოხმარების ხის ზოლისებური ფირფიტა, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

შემადგენლობა:

პრეპერატი წარმოადგენს ღია ყვითელი-კრემისფერი შეფერილობის ხის ზოლისებურ ფირფიტას, სუნის გარეშე.

თითოეული ფირფიტა გაჟღენთილია და შეიცავს: ფლუმეტრინი 10%-იანი - 3,6 მგ.

გამოშვების ფორმა: ათი ხის ზოლისებური ფირფიტის პირველადი შეფუთვა მოთავსებულია მუყაოს კოლოფში. თითოეული ფირფიტა შეფუთულია პოლიეთილენის ჭფოლგაში. თითოეული ინდივიდუალური შეფუთვა თავის მხრივ შეფუთულია ორმაგ ალუმინის ფოლგაში.

ფარმაკოთერაპიული საშუალება: აკარიციდული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფლუმეტრინი – სინთეზური პირეტროიდი (ფლურემეტრინი), ხასიათდება ინსექტოციდური და აკარიციდული მოქმედებით, იგი მოქმედებს ტკიპა *Varroa Destructor*-ის ნერვულ სისტემაზე და მნიშვნელოვნად ამცირებს მათ პოპულაციას. პრეპარატი მოქმედებს უშუალოდ ტკიპას ნერვული სისტემის აღმგზნები უჯრედების მემბრანაზე. იწვევს იონებში ცვლილებებს და განმეორებადი აქტივობით ახდენს ტკიპას პარალიზებას. ზონარებზე ან მათ მიღმა ფუტკრების გადაადგილებისას ფლუმეტრინი ეკრობა მათ სხეულებს. სოციალური

კონტაქტისას გადააქეთ სხვა ფუტკრებთან. ამ გზით ფლუმეტრინი მექანიკურად გადან-
ანილდება ფუტკრის ოჯახის ინდივიდებზე და ახდენს აკარიციდულ მოქმედებას ტკიპა *Var-
roa Destructor*-ზე. ვაროსტოპს არა აქვს უარყოფითი ზეგავლენა ფუტკრის ოჯახების განვი-
თარებაზე, დედა ფუტკრის კვერცხმდებლობის უნარსა და ფუტკრის ბარტყზე.

გამოთავისუფლების პერიოდი: არ არის არსებითი, ვინაიდან პრეპარატი ვაროსტოპი არ
გამოიყენება თაფლის აღების (ღალიანობის) პერიოდში.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი ვაროსტოპი გამოიყენება ფუტკრის ოჯახებში ვაროატოზის დიაგნოსტიკის,
პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

ვაროსტოპი გამოიყენება:

ვაროსტოპის ფირფიტები გამოიყენება ფუტკრის სკეპში.

- ადრეულ გაზაფხულზე, როდესაც ფუტკრების ოჯახებში არ არის დიდი ფართობი
დაკავებული ფუტკრის ბარტყით.

- ზაფხულში ივლისის ბოლოს - აგვისტოს დასაწყისში, როდესაც შეზღუდულია დედა
ფუტკრების კვერცხმდებლობა და ბარტყებიანი ფართობი მცირეა, ხოლო დანარჩენი ფარ-
თობი სავსეა თაფლით და მდებრი ტკიპების უმეტესი ნაწილი ფუტკრებზე იმყოფება.

- შემოდგომაზე - სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც ფუტკრის ბარტყიანი ფართობი
პროგრესულად მცირდება. ვაროსტოპი გამოიყენება უშუალოდ თაფლის ცენტრიფუგაციის
შემდეგ.

შეფუთვას ხსნიან უშუალოდ გამოყენების წინ. ფირფიტას ათავსებენ ჩარჩოებს შორის
კორპუსის ცენტრში; თითო ფირფიტას ორი ჩარჩოს გამოტოვებით და დატოვებენ 35 დღით,
არა უმეტეს 6 კვირისა.

დოზირება დამოკიდებულია ფუტკრების ოჯახის სიძლიერესა და დაავადების სიმწვავეზე:
პროფილაქტიკისათვის გამოიყენება - 1-2 ფირფიტა.

მკურნალობისათვის - სუსტი ოჯახები - 1-2 ფირფიტა; ნორმალურად განვითარებული და
ძლიერი ოჯახები - 2-4 ფირფიტა. ვაროატოზის დიაგნოსტიკისათვის სკის ფსკერზე ათავს-
ებენ თეთრი ფერის ქაღალდს 24 სთ-ით.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენება თაფლის შეგროვების (ღალიანობის) პერიოდში.

პირადი პროფილაქტიკის ზომები:

პრეპარატი მუშაობისას აუცილებელია პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი
წესების დაცვა, რომელიც მიღებულია ცხოველთა სამკურნალო საშუალებების გამოყენები-
სას.

შენახვის პირობები:

ვაროსტოპი ინახება 15-30°C ტემპერატურაზე ორიგინალურ შეფუთვაში 40-60°C ჰაერის
ტენიანობის პირობებში, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისაგან დაცვით.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი: COFIA, ბულგარეთი.

ეკოსტოპი (Ecostop)

ნაშლის ფორმა:

გარეგანი მოხმარების პლასტიკური ფირფიტა, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

შემადგენლობა:

თითოეული ფირფიტა შეიცავს: თიმოლი 5.0 გ; პიტნის ზეთი 2.0 გ.

გამოშვების ფორმა:

1 ცალი მუყაოს ყუთი წარმოდგენილი 6 ფირფიტით.

ფარმაკოთერაპიული საშუალება: აკარიციდული საშუალებაა

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატ ეკოსტოპის აქტიური მოქმედი ნივთიერებები - თიმოლი და პიტნის ზეთი ორთქლდება და აქვს პროლონგირებული სამკურნალო ეფექტი.

თიმოლსა და პიტნის ეთერზეთი ხასიათდება აკარიციდული მოქმედებით ფუტკრების ვაროატოზის გამომწვევის – “*Varroa destructor*” ტკიპაზე. ამ ნივთიერებებით ფუმიგაცია იწვევს არა მხოლოდ პარაზიტების მოსპობას, არამედ ასევე ახანგრძლივებს განკურნებულ ფუტკრების სიცოცხლისუნარიანობას. თიმოლსა და პიტნის ზეთი ხასიათდება ასევე ბაქტერიციდული თვისებებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ფუტკრების ოჯახების მიკრობულ დაბინძურებას.

ეკოსტოპის ფირფიტები არის ეკოლოგიური პროდუქტი, რომელიც სპეციალურად შემუშავებულია სამკურნალო ფორმაში. იგი არის მოსახერხებელი, ადვილად მისაღები, გამოირჩევა ფუტკრების მიერ კარგი ამტანობით და მაღალი ეფექტურობით ვაროატოზთან ბრძოლაში.

გამოყენების ჩვენებები:

ფუტკრების ვაროატოზის და აკარაპიტოზის (ტრაქეის ტკიპა) პროფილაქტიკა და მკურნალობა.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება ეკოსტოპის 1-დან 3-მდე ფირფიტა გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, ფუტკრების ოჯახების სიძლიერისა და დაავადების სიმწვავის გათვალის - წინებით. პრეპარატის ფირფიტა მოქმედებს 45 დღის განმავლობაში.

ფირფიტას ხსნიან უშუალოდ გამოყენებამდე, ათავსებენ კორპუსის ბუდეში მოთავსებულ ჩარჩოებზე.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება

დაყვნების პერიოდი:

არ აქვს.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, კარგად განიავებად სათავსოში, 5°C-დან 30°C-მდე ტემპერატურაზე.

მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისაგან დაცვით, სითბოს წყაროსგან მოშორებით, ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე.

გაფრთხილება:

არ გამოიყენება თაფლის შეგროვების (ლალიანობის) პერიოდში.

არ არის რეკომენდებული ჰაერის +33°C ტემპერატურის ზევით ნამლის გამოყენება. უსაფრთხოების სპეციალური წესებს გამოიყენებელი პროდუქტისა და/ან მისი ნარჩენების განადგურებისათვის არ საჭიროებს.

ვარჯისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: “პრიმავეტ-სოფია”, ბულგარეთი.

ნოზესტატი (Nosestat)

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

შემადგენლობა:

100 მლ ხსნარი შეიცავს: იოდი (*Iodine*) - 4.0 გ, ჭიანჭველამჟავა (*Formic Acid*) - 5.0 გრ,

დამხმარე ნივთიერებებს: ნატრიუმის იოდიდი (*Sodium Iodine*) - 8.0 გ, გლიცერინი (*Glycerin*) - 20.0 მლ, წყალი (*Purified water*) - 61.0 მლ, პიტნის ნაყენი (*Tincture of peppermint*) - 2.0 მლ.

გამოშვების ფორმა:

პრეპარატი ნოზესტატი არის ხსნარი ექსტემპორალური შერევისათვის, რომელიც წარმოდგენილია ორი სახის ფლაკონში:

ფლაკონი №1 შეიცავს 100 მლ იოდის ხსნარს;

ფლაკონი №2 - 20 მლ ჭიანჭველმჟავას ხსნარს.

ფლაკონი №1-ის მოცულობა შეადგენს 100 მლ, დამზადებულია მუქი ყავისფერი პოლიეთილენის ტერეფტალატის მასალით, დახურულია თეთრი ფერის პოლიეთილენის თავსახურითა და დამცავი ჩაჩით, ასევე შესაძლოა იყოს მუქი ყავისფერი შუშის, რეზინის საცობითა და ალუმინის ჩაჩით.

ფლაკონი №2-ის მოცულობა შეადგენს 20 მლ, დამზადებულია თეთრი ფერის პოლიეთილენის მასალით, თავდახურულია თეთრი ფერის პოლიეთილენის თავსახურითა და დამცავი ჩაჩით. ორივე ფლაკონი და საზომი შპრიცი მოთავსებულია მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

პრეპარატი ნოზესტატი წარმოადგენს იოდისა და ჭიანჭველამჟავას კომბინაციას. ამ ორ აქტიურ ნივთიერებას აქვს მკვეთრად გამოხატული ანტიესპტიკური მოქმედება, ავლენს სინერგიზმს (იოდი და ჭიანჭველამჟავა), იგი კარგად გადაიტანება ფუტკრების მიერ და ეფექტურად მოქმედებს *Nosema apis*, *Nosema Ceranae* წინააღმდეგ.

შიგნით მიღებისას პრეპარატის შაქრიან სიროფში გახსნისას ჭიანჭველმჭავეა წყლიან არეში დისოცირდება და ამავდროულად გამოთავისუფლდება წყალბადის იონები. ამ იონების მოქმედება განპირობებულია მჟავას უჯრედულ მემბრანაში შეღწევით და მის კომპონენტებთან რეაქციაში შესვლით. ამ მოქმედებით დაზიანებულ მემბრანაზე მჟავის დისოცირებული წყალბადის იონებით ირღვევა *Nosema Apis*, *Nosema Ceranae* სპორები. იოდი ზემოქმედებს ცილების ამინოჯგუფებთან, ახდენს ცილების დენატურირებას და თრგუნავს ზოგიერთ ფერმენტულ სისტემებს, აქედან გამომდინარე აქვს ანტიპროტოზოული მოქმედება (ტრიქომონების, კოქციდიების, ამების, *Nosema apis* და *Nosema Ceranae* საწინააღმდეგო).

ნოზესტატს არ ახასიათებს უარყოფითი მოქმედება ფუტკრების ოჯახების განვითარებაზე, დედა ფუტკრის კვერცხმდებლობის უნარზე და ფუტკრის ბარტყზე.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ფუტკრების ნოზემატოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოყენების წესი და დოზები:

გამოიყენება თანაკვების სახით (1:1) შაქრის სიროფთან ან თაფლისა და შაქრის ნარევთან ერთად. ფლაკონი №2-ის (20 მლ) შიგთავსი შეურიეთ ფლაკონი №1-ის (100 მლ) შიგთავსს. მიღებული ხსნარის 5 მლ დაუმატეთ 1 ლ შაქრის სიროფს ან 1 კგ თაფლისა და შაქრის ნარევს. მიღებული სამკურნალო სიროფი გამოიყენება 3-ჯერადად 3 დღის ინტერვალით 500-800 მლ დოზით. 1 კვირის შემდეგ გაიმეორეთ იგივე სქემით. თაფლისა და შაქრის სამკურნალო ნარევი გამოიყენება ერთჯერადად 200-300 გ დოზით. გამოერება შესაძლებელია პირველი დოზის სრულად მიღების შემდეგ 1 კვირაში.

გვერდითი მოვლენები:

არ აღინიშნება.

გაფრთხილება:

არ გამოიყენება ლალიანობის პერიოდში.

უსაფრთხოების წესები:

პრეპარატი მუშაობისას აუცილებელია პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვა, რომელიც მიღებულია სამკურნალო საშუალებების გამოყენებისას. ასევე რეკომენდებულია პოლიეთილენის ან ლატექსის ხელთათმანებისა და დამცავი ტანსაცმლის გამოყენება ტანსაცმლისა და კანის შეღებვისა და გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით.

შენახვის პირობები:

ნოზესტატი ინახება დახურული, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისაგან დაცულ ადგილზე, 15 - 30°C ტემპერატურაზე, ჰაერის ტენიანობა 60%± 5%.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: COFIA, ბულგარეთი.

ფუნგისანი (Phungisan)

წამლის ფორმა:

გარეგანი მოხმარების ხსნარი, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

შემაღვენლობა:

პრეპარატი “ფუნგისანი ბიოციდური ხსნარი” შეიცავს 5.0% დიდცილ-დიმეტილ ამონიუმის ბრომიდს.

გამოშვების ფორმა: 50 მლ და 100 მლ მუქი ფერის მინის ფლაკონი, მუყაოს კოლოფში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ფუნგიციდური, სადეზინფექციო საშუალება.

გამოყენების ჩვენებები:

გამოიყენება ფუტკრებში, როგორც *Ascospheera apis* და *Aspergillus spp* აღმძვრელის მიმართ, როგორც სადეზინფექციო საშუალება. პრეპარატს ახასიათებს (*Ascospheera apis*, *Aspergillus spp.*) ფუნგიციდური მოქმედება. გამოყენების სფერო: სკების შიგნითა ზედაპირის დეზინფექცია (ფიჭის ჩარჩოების ჩათვლით).

ბიოციდური პრეპარატის ჯგუფი

დეზინფექტანტები და ზოგადი ბიოციდები, დეზინფექტანტები ზედაპირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან ადამიანის და ცხოველის საკვებთან კონტაქტში, ბიოციდები.

მოხმარების კატეგორია: პროფესიონალური.

გამოყენების წესი და დოზები:

პრეპარატი გამოიყენება როგორც 1 % სამუშაო ხსნარი, ჯაგრისით წასმის ან შესხურების გზით.

სკის დეზინფექცია პრეპარატის წყალხსნარით ნაყრის ან ფუტკრის ოჯახის ჩასმამდე. 2 ლ. ანადულარ წყალს ემატება 20 მლ. პრეპარატი “ფუნგისანი”. გულმოდგინედ ესმევა ჯაგრისით ან შესხურება ხდება სკის კედლებსა და ძირზე. დანახარჯი - 150 დან 200 მლ-მდე ერთ სკაზე.

საკუჭნაოს ჩარჩოების და ფიჭების დეზინფექცია საწყობში შეტანამდე, ფიჭების და ჩარჩოების დამუშავება ბუდის გაფართოვების დროს. შესხურება-ფიჭების და ჩარჩოების სადეზინფექციო ხსნარით, 10 დან 20 მლ-ის ოდენობით (20 მლ პრეპარატი ფუნგისანი 2 ლიტრ ანადულარ წყალში) ერთ ცალზე გადაანგარიშებით.

პირველადი დახმარებისა და მონამვლის ხანინააღმდეგო ღონისძიებები - ინციდენტის შემთხვევაში დაზიანებული ადგილის წყლის ქაველით ჩამოხანა.

ბიოციდური პრეპარატის პროცედურებს შორის გამოყენების ინტერვალი - პრეპარატი “ფუნგისანი ბიოციდური ხსნარი” გამოიყენება ერთჯერადად, ფუნგიციდური მოქმედების ექსპოზიციის დრო - 60 წუთი.

გამოყენების დროს დამცავი ხერხები, ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს კოლექტიური და პირადი დაცვის საშუალებების ჩათვლით, ხანძარსა და ინააღმდეგო ხერხები, ავეჯი და დანადგარები, ადამიანისა და ცხოველის საკვების დაცვა მასთან კონტაქტისაგან.

პრეპარატი “ფუნგისანი ბიოციდური ხსნარი”-ის შენახვა და ტრანსპორტირება დასაშვებია ორიგინალურ შეფუთვებში. პრეპარატთან მუშაობა დამცავ საშუალებებს არ საჭიროებს.

ბიოციდური პრეპარატისა და მისი შეფუთვის უსაფრთხოდ გაუვნებლობის მითითება,

აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მისი ხელმეორედ გამოყენების აკრძალვა.

პრეპარატი “ფუნგისანი ბიოციდური ხსნარი” შეიცავს 5,0 % დიდცილ დიმეთილ ამონიუმის ბრომიდს. იმდენად, რამდენადაც აქტიური ნივთიერებების კონცენტრაცია დაბალია და ის თითონ ხასიათდება სადეზინფექციო თვისებებით, ამიტომ ჯპრეპარატის გაუნებლყოფა ხდება დიდი რაოდენობის წყლის ჭავლით. შეფუთვა, გულდასმით უნდა გაირეცხოს წყლით და განადგურდეს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების განადგურების მოთხოვნის შესაბამისად.

სპეციფიკური საშიშროებები გარემოსათვის, ორგანიზმების დაცვა, რომლებიც არ ითვლებიან მათი გამოყენების ობიექტებად და წყლის დაბინძურების თავიდან აცილება.

შენახვის პირობები:

ორიგინალურ შეფუთვაში, მზის პირდაპირი სხივებიდან დაცულ შენობაში, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: COFIA, ბულგარეთი.

**18. მიკოტოქსინების და ანთოგენური მიკროკოკების საწინააღმდეგო
საკვები დანამატები**

დეტოქსაპლუსი (Detoxaplus)

ნამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

დეტოქსაპლუსი შეიცავს მოდიფიცირებულ გლუკომანანს, რომელიც გამოყოფილია საფუარის *Sarccaromyces cerecisiae*-ს უჯრედის კედლების შინაგანი გარსიდან და რომლებიც წარმოქმნიან უდიდესი ადსორბციული ზედაპირის მქონე უნიკალურ სტრუქტურას (0,5 კგ - 1 ჰა).

გამოშვების ფორმა: 250 გ პოლიეთილენის პაკეტში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი, ადსორბციული საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

დეტოქსაპლუსი ორგანული ადსორბენტი, რომელიც წარმოადგენს ეთერიფიცირებულ გლუკომანანს. ალუმოსილიკატებზე დაფუძნებული ტრადიციული ადსორბენტებისაგან განსხვავებით, დეტოქსაპლუსი შეინოვს მიკოტოქსინების ფართო სპექტრს, მათ შორის აფლატოქსინებს, ოხრატოქსინებს, ზეარალენონებს, ციტრინინს, ვომიტოქსინს, T2-ტოქსინს და არ შეინოვს მიკროელემენტებს და ვიტამინებს.

დანიშნულება:

დეტოქსაპლუსი განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველებისათვის, მიკოტოქსინებით კონტამინირებულ საკვებში დასამატებლად.

ბიოლოგიური თავისებურება:

დეტოქსაპლუსი თავის მოქმედებას ავლენს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში; მაღალი ად-

სორბციული ზედაპირის ხარჯზე, იგი სწრაფად შეიწოვს მიკოტოქსინებს (აფლატოქსინებს, ზეარალენონს, ვომიტოქსინს, ოხრატოქსინს და სხ.), რაც აბრკოლებს მათ მოხვედრას სისხლში, ღვიძლში და ორგანიზმის სხვა ორგანოებში და ქსოვილებში. ამ თვისების გამო წყდება მიკოტოქსინების ნეგატიური ზემოქმედება ცხოველის და ფრინველის ორგანიზმზე, მიკოტოქსინებით დაბინძურებული საკვების გამოყენების შემთხვევაში იზრდება მოზარდის ზრდის ტემპი.

გამოყენების წესი და დოზირება:

მიკოტოქსინების შემცველობის დონე:

დეტოქსაპლუსი	მაღალი	საშუალო	დაბალი
კგ/ტ	0,5-1,0	0,4-0,8	0,2-0,5

სადედე გუნდის ფრინველისათვის დოზა იზრდება 1,5-ჯერ.

დეტოქსაპლუსი შეაქვთ მშრალ კომბინირებულ საკვებში, საწარმოში არსებული შემრევის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

უკუჩვენებები:

დეტოქსაპლუსი გამოყენებაში უკუჩვენება არ არის მითითებული. პრეპარატის მიღების შემდეგ მეცხოველეობის პროდუქტების გამოყენებაში შეზღუდვა არ არის.

თერმოსტაბილურობა:

იტანს გაცხელებას 121°C-ზე 30 წთ-ის განმავლობაში.

შენახვის პირობები:

-25-დან +25°C -ზე ჰერმეტიკულ შეფუთვაში.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: DR. BATA, უნგრეთი.

ალკვერფიდ ანტიოქს პლუსი

(Alquerfeed Antiox plus)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ფოსფორმუავა(1a338), ეტოქსიხინი(E-324), ბუტილჰიდროქსიტოლუოლი(BHT) (E-321), ლი-მონმუავა (E-330)

გამოშვების ფორმა: 5 კგ და 25 კგ ქაღალდის ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: საკვები დანამატი, ანტიოქსიდანტი და ცხიმების მონელების გამაუჯობესებელი საშუალება.

ტექნიკური მახასიათებლები:

ცხიმების ოქსიდაცია

ქიმიური რეაქცია ენერჯის დაბალი აქტივაციით, რომელიც არ წყდება შენახვის დაბალ ტემპერატურაზე. საკვები და მასში შემავალი ცხიმები ჟანგბადთან კონტაქტის შემთხვევაში მიდრეკილია ჟანგვისკენ, ჟანგვას უარყოფითი გავლენა აქვს საკვების ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებზე (ცუდი გემო და არომატი), რაც იწვევს საკვების მოხმარების შემცირებას. ცხიმების ჟანგვის პროცესში მცირდება ცხიმში ხსნადი ვიტამინების რაოდენობა (A და E ვიტამინები) და იწვევს მათ დეფიციტს.

პირველი პროდუქტი, რომელიც რეაგირებს პროცესზე, ლიპიდური ჰიდროპეროქსიდი (უსუნო), რომელიც ადვილად იშლება მცირე მოლეკულებად და იწვევს სიმძალეს (ცუდი გემო და სუნი). პეროქსიდები და თავისუფალი რადიკალები, ანგრევენ პოლიგაუჯერებელ ცხიმთან მჭავებს, ცხიმში ხსნად ვიტამინებს. მიღებული შუალედური პროდუქტები ურთიერთქმედებენ ცილებთან და ამცირებენ მათ ხარისხს.

საკვების ნაკლებობის პრევენცია

გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით საკვებში A და E ვიტამინების უკმარისობა გაზრდილია, ხოლო ეტოქსიხინი ხელს უწყობს დიდი რაოდენობით A ვიტამინის დაგროვებას ღვიძლში.

ცხიმების ოქსიდაციის პრევენცია

ლიპიდების პეროქსიდაციის შემთხვევაში ცხიმოვანი მჭავეები კარგავენ წყალბადს, რაც იწვევს თავისუფალი რადიკალების წარმოშობას. ანტიოქსიდანტები, თავისუფალი რადიკალების არ არსებობის შემთხვევაში სწრაფად გადაიქცევა ცხიმოვანი მჭავის პეროქსიდის თავისუფალ რადიკალად და საბოლოოდ კი ცხიმოვანი მჭავის ჰიდროპეროქსიდად.

ანტიოქსიდანტს შეუძლია დაბლოკოს პეროქსიდაცია წყალბადის მიწოდებით პირველ თავისუფალ რადიკალში და გადააქცოს ის თავდაპირველ ცხიმოვან მჭავად.

გამოყენების ჩვენებები:

აღქვერფიდ ანტიოქს პლუსი ამცირებს პეროქსიდების რაოდენობას ოთახის ტემპერატურაზე, ხელს უშლის ნუტრიენტების დეფიციტს და ცხიმების ცუდ სუნთან ოქსიდაციას.

მოქმედებს ცხიმების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ბოჭავს ტოქსიკურ ნივთიერებებს (გამონეწეული მჭავიანობით, სიმძალით და ოქსიდაციით). ამცირებს აკუმულირებულ ტოქსიკურ ნივთიერებებს და აუმჯობესებს ცხიმების მონელებადობას და შენვას.

გამოყენების წესი და დოზირება:

ეძლევა ყველა სახის და ასაკის ცხოველებს (გარდა ძაღლებისა)-მიიღება პერორალურად 125-500 გ/ტ საკვებასა და ცხიმებთან შერევით.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

ალკვერფიდ ანტიტოქსი

(Alquerfeed Antitox)

წამლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

სილიკოგლიციდოლი.

გამოშვების ფორმა: 5 კგ და 25 კგ ქალაქის ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: მიკოტოქსინების ადსორბენტი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალკვერფიდ ანტიტოქსი არის ადსორბენტი, რომელიც წარმოადგებს ალუმინ-ნატრიუმ-კალციუმის სინთეზური სილიკატის ჰიდრატს, რომელსაც სილიკოგლიციდოლი უწოდებს. სილიკოგლიციდოლი მიკოტოქსინებისა და ჟანგბადის ატომებს შორის სტაბილურად ქმნის წყალბადოვან ბმას (SiO_2), შედეგად არ ხდება მიკოტოქსინების განცალკევება სილიკოგლიციდოლისგან, საჭმლის მომწელებელი სისტემის ნებისმიერ ფიზიკო-ქიმიურ მდგომარეობაში.

იგი ხასიათდება მოქმედების ფართო სპექტრით, ეფექტურია ყველა სახის მიკოტოქსინების წინააღმდეგ. მონანილეობს მათ შებოჭვაში, ანხორციელებს ფუმონიზინის და ტრიქოტენინის კონტროლს.

პრეპარატი გამოიყენება მიკოტოქსინებით დაზიანებული ნაწლავის პრებიოტიკული ფლორის აღდგენა-განახლებისთვის. იგი იცავს საჭმლის მომწელებელი სისტემის ლორწოვან გარსს დაზიანებისა და გაღიზიანებისაგან, ხელს უწყობს რეგენერაციას.

გამოყენების ჩვენებები:

- ეფექტურია მიკოტოქსინებით დაბინძურებული საკვების მიღების შედეგად გამოწვეული პრობლემების (ენტერიტი, მიკოტოქსიკოზი) მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის;
- აუმჯობესებს საკვების მონელებას, ძლიერად და ეფექტურად ბოჭავს მიკოტოქსინებს, ისე გაივლის საჭმლის მომწელებელ ტრაქტს, რომ არ ხდება მათი შეწოვა;
- ცხოველის ორგანიზმში მიკოტოქსინების მოხვედრით, ხელს უშლის ინტოქსიკაციას და ლვიძლის დაზიანებას ჰიპერტროფირებას;
- ხელს უშლის დიარეის წარმოქმნას;
- ხელს უწყობს ნაწლავის ეპითელიუმის აღდგენას;
- ეფექტურია ძალიან დაბალი დოზის მიღებისას, არ შეიწოვს სხვა პროდუქტებს, როგორცაა ვიტამინები, ფერმენტები და სხვა მედიკამენტები;
- სტაბილურია pH-ის სხვადასხვა დონეზე;
- ორგანიზმში არ ტოვებს ნარჩენებს და არ სჭირდება გამოდევნის პერიოდი;
- აუმჯობესებს ცხოველის პროდუქტიულობის პარამეტრებს.

გამოყენების წესი და დოზირება:

ეძლევა ყველა სახის და ასაკის ცხოველებსა და ფრინველებს-მიიღება პერორალურად 0,5

კგ/ტ საკვებთან შერევით.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

ალკვერფიდ ანტიტოქს პუსი

(Alquerfeed Antitox plus)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ალუმინ-ნატრიუმ-კალციუმის სინთეზური სილიკატ ჰიდრატს.

გამოშვების ფორმა: 5კგ და 25 კგ ქაღალდის ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: მიკოტოქსინების ადსორბენტი.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალკვერფიდ ანტიტოქს პუსი არის ადსორბენტი, რომელიც წარმოადგებს ალუმინ-ნატრიუმ-კალციუმის სინთეზური სილიკატის ჰიდრატს, რომელსაც სილოკოვლიციდოლი უწოდებს. სილიკოვლიციდოლი მიკოტოქსინებისა და ჟანგბადის ატომებს შორის სტაბილურად ქმნის წყალბადოვან ბმას (SiO₄), შედეგად არ ხდება მიკოტოქსინების განცალკევება სილიკოვლიციდოლისგან, საჭმლის მომნელებელი სისტემის ნებისმიერ ფიზიკო-ქიმიურ მდგომარეობაში.

იგი ხასიათდება მოქმედების ფართო სპექტრით, ეფექტურია ყველა სახის მიკოტოქსინების მიმართ, თავის მოქმედებას ავლენს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. მაღალი ადსორბციული ზედაპირის ხარჯზე, იგი სწრაფად შეინოვს მიკოტოქსინებს (აფლატოქსინებს, ზეარალენონს, ტრიქოტეცინებს, ფუმონიზინებს, ოხრატოქსინებს და სხ.), რაც აბრკოლებს მათ მოხვედრას სისხლში, ღვიძლში, ორგანიზმის სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. ამ თვისების გამო წყდება მიკოტოქსინების ნეგატიური ზემოქმედება ცხოველის და ფრინველის ორგანიზმზე, მიკოტოქსინებით დაბინძურებული საკვების გამოყენების შემთხვევაში იზრდება მოზარდის ზრდის ტემპი.

გამოყენების ჩვენებები:

ეფექტურია ყველა სახის მიკოტოქსინის მიმართ.

- ეფექტურია მიკოტოქსინებით დაბინძურებული საკვების მიღების შედეგად გამოწვეული პრობლემების (ენტერიტი, მიკოტოქსიკოზი) მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის;
- აუმჯობესებს საკვების მონელებას, ძლიერად და ეფექტურად ბოჭავს მიკოტოქსინებს, ისე გაივლის საჭმლის მომნელებელ ტრაქტს, რომ არ ხდება მათი შეწოვა;
- ცხოველის ორგანიზმში მიკოტოქსინების მოხვედრით, ხელს უშლის ინტოქსიკაციას და ღვიძლის დაზიანებას ჰიპერტროფირებას;
- ხელს უშლის დიარეის წარმოქმნას;

- ხელს უწყობს ნაწლავის ეპითელიუმის აღდგენას;
- ეფექტურია ძალიან დაბალი დოზის მიღებისას, არ შეინოვს სხვა პროდუქტებს, როგორცაა ვიტამინები, ფერმენტები, და სხვა მედიკამენტები;
- სტაბილურია pH-ის სხვადასხვა დონეზე;
- ორგანიზმში არ ტოვებს ნერჩენებს და არ სჭირდება გამოდევნის პერიოდი;
- აუმჯობესებს ცხოველის პროდუქტიულობის პარამეტრებს.

გამოყენების წესი და დოზირება:

ედლევა ყველა სახის და ასაკის ცხოველებსა და ფრინველებს - მიიღება პერორალურად 0,5 კგ/ტ საკვებთან ერთად.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

ალკვიროლდ ნატურალი
(ALQUERMOLD NATURAL)

ნაშლის ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ბეგქონდარას (*Thymus vulgaris*) ექსტრაქტი (*Cimenol ring*), როზმარინის (*Rosmarinus officinalis*) ექსტრაქტი (*Cimenol ring*), ლიმონმჟავა.

გამოშვების ფორმა: 5 და 25 კგ-იან ტომრებში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: პრემიქსი. კონსერვანტი, ანტიმიკრობული და ფუნგიციდური საშუალება.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ალკვიროლდ ნატურალი - ეს არის პრემიქსი, ბუნებრივი ნივთიერებებისგან მიღებული პროდუქცია, რომელიც შეიმუშავა კომპანია "Biovit"-მა და არის კონსერვანტი ანტიმიკრობული და ფუნგიციდური მოქმედებით, სადაც შერწყმულია ციმენოლის რგოლისა (ბეგქონდარასა და როზმარინის ექსტრაქტი) და ლიმონმჟავის აქტიური საწყისები.

არომატული ორგანული ნაერთი (ბეგქონდარასა და როზმარინის ექსტრაქტი), ხასიათდება ბაქტერიციდული და ფუნგიციდური მოქმედების ფართო სპექტრით, ახასიათებს კონსერვანტული მოქმედება, ხელს უშლის ლიპიდების დაჟანგვას და ინარჩუნებს საკვების კვებით და ორგანოლექტიკურ თვისებებს. ციმენოლის რგოლი არღვევს უჯრედის კედელს და იწვევს მიკროორგანიზმების სიკვდილს.

ლიმონმჟავა დამატებით აძლიერებს პრემიქსის ეფექტურობას (ბაქტერიციდულ და ფუნგიციდურ მოქმედებას), საშუალებას იძლევა მცირე კონცენტრაციით შეინარჩუნოს მაღალი ეფექტიანობა.

ალქვერმოლდ ნატურალში შემავალი ციმეროლის რგოლის ბაქტერიციდული და ფუნ-
გიციდური მოქმედების წყალობით იგი გამოიყენება ნაწლავის პათოგენური ფლორის აღ-
სადგენად და აქტიურია *Salmonella-s*, *E.coli-s*, *Clostridium-is*, *Staphylococcus-is*, *Pediococcus-is*,
Leuconostoc-is, *Penicillium-is*, *Aspergillus-is*, *Fusarium-is* და *Candida*-ს წინააღმდეგ.

ალქვერმოლდ ნატურალი ეფექტურია, როგორც მოკლე ასევე ხანგრძლივი პერიოდით
გამოყენებისას, ახასიათებს სწრაფი კონსერვანტული, ანტიმიკრობული და ფუნგიციდური
მოქმედება, რომელიც 6 თვე გრძელდება.

გამოყენების წესი და დოზირება:

გამოიყენება ყველა სახის და ასაკის ცხოველის მიმართ.

ფხვნილი მიიღება საკვებისა და ნედლეულის შერევით, დოზით 0,4 კგ/ტ-ზე. მაღალი
დაბინძურების ან მაღალი ტენიანობის მქონე საკვების შემთხვევაში შესაძლებელია დოზის
გაზრდა 1 კგ/ტ-მდე.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ და ბნელ ადგილას, კარგად თავმოკრულ პაკეტებში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: BIOVET, S.A. ესპანეთი.

19. ცხოველთა საკვები

ელვორ კლასიკი (Elvor classic)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ელვორ კლასიკი არის ხბოების ინტენსიური ზრდისთვის სრულყოფილი რძის შემცველი
საშუალება, რომლის შემადგენლობაში შედის 50%-ზე მეტი ნატურალური რძის პროდუქტი,
შრატი. სოიას ცილის ექსტრაქტი, პალმის ზეთი, ხორბლის ფქვილი, კარტოფილის ცილა,
ხორბლის წებოვანა, კოპრის ზეთი.

დამატებითი ინგრედიენტები კგ-ში:

ნედლი პროტეინი - 22.0%, ცხიმი -17.0%, ნაცარი - 7.0%, უჯრედანა - 0.6%, ცხიმოვანი
დანამატი 100%-იანი მცენარეული ზეთი, ვიტამინ A - 25000 ს.ე, ვიტამინ D₃ - 10000 ს.ე,
ვიტამინი E - 100 მგ, ვიტამინი B₁ - 20 მგ, ვიტამინი B₂ -16 მგ, ვიტამინი K₃ - 3 მგ, ვიტამინი
C - 250 მგ, სპილენძი (პენტაჰიდრატი) - 15 მგ, რკინის (მონოჰიდრატი) - 51 მგ, BHT-BHA.

გამოშვების ფორმა: 25კგ-იანი პოლიეთილენის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

გამოყენების წესი და დოზები:

ინახება 45-50°C-ზე გამთბარ სუფთა წყალში, შერევა ხდება ნელ-ნელა, სანამ არ მიიღება
ერთგვაროვანი რძის მასა. ზოგადად 1 კგ 8-10 ლ წყალში ანუ 100-125 გ 1 ლ-ში. ყოველ-
დღიური ზუსტი დოზები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ სქემაში

კვების სქემა
(დღეში 2 ჯერ)

ერთი კვების ნორმა. წყალი ლ-ში	ერთი კვების ნორმა. რძის ფხვნილი(გ-ში)	ერთი კვების ნორმა. რძე (ლ-ში)	ხსენის შეწყვეტის შემდეგ. კვირა
1.8	200	2	1-4 დღე
2.3	250	2.5	5-7 დღე
2.7	360	3	2 კვირა
3.2	420	3.5	3 კვირა
3.6	480	4	4 კვირა
3.6	480	4	5 კვირა
3.2	420	3.5	6 კვირა
3.2	420	3.5	7 კვირა
2.7	360	3	8 კვირა
1.8	240	2	9 კვირა
1.8	240	2	10 კვირა

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილზე.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: SOFIVO, საფრანგეთი.

ელვორ პრემიო (Elvor premio)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

შემადგენლობა:

ელვორ კლასიკი არის ხბოების ინტენსიური ზრდისთვის სრულყოფილი რძის შემცველი საშუალება, რომლის შემადგენლობაში შედის ნატურალური რძის პროდუქტი 65%-ზე მეტი, შრატი, სოიას ცილის ექსტრაქტი, პალმის ზეთი, ხორბლის ფქვილი, კარტოფილის ცილა, ხორბლის ნებოვანა, კოპრის ზეთი, ზრდისთვის სასარგებლო საკვები დანამატები.

დამატებითი ინგრედიენტები კგ-ში:

ნედლი პროტეინი - 21.6%, ცხიმი - 17.5%, ნაცარი - 8.4%, უჯრედანა - 0.2%, ცხიმოვანი დანამატი 100%-იანი მცენარეული ზეთი, ვიტამინ A - 25000 ს.ე, ვიტამინ D₃ - 10000 ს.ე, ვიტამინი E - 100 მგ, ვიტამინი B₁ - 20 მგ, ვიტამინი B₂ - 16 მგ, ვიტამინი K₃ - 3 მგ, ვიტამინი C - 250 მგ, სპილენძი (პენტაჰიდრატი) - 15 მგ, რკინის (მონოჰიდრატი) - 51 მგ, BHT-BHA.

გამოშვების ფორმა: 25კგ-იანი პოლიეთილენის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

გამოყენების წესი და დოზები:

ინახება 45-50°C ზე გამობარ სუფთა წყალში, შერევა ხდება ნელ-ნელა, სანამ არ მიიღება 248

ერთგვაროვანი რძის მასა. ზოგადად 1 კგ 8-10 ლ წყალში ანუ 100-125 გრ/ლ-ში. ყოველდღიური ზუსტი დოზები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ სქემაში.

კვების სქემა
(დღეში 2 ჯერ)

ერთი კვების ნორმა. წყალი ლ-ში	ერთი კვების ნორმა. რძის ფხვნილი(გ-ში)	ერთი კვების ნორმა. რძე (ლ-ში)	ხსენის შეწყვეტის შემდეგ. კვირა
1.8	200	2	1-4 დღე
2.3	250	2.5	5-7 დღე
2.7	360	3	2 კვირა
3.2	420	3.5	3 კვირა
3.6	480	4	4 კვირა
3.6	480	4	5 კვირა
3.2	420	3.5	6 კვირა
3.2	420	3.5	7 კვირა
2.7	360	3	8 კვირა
1.8	240	2	9 კვირა
1.8	240	2	10 კვირა

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილზე.

ვარგისიანობის ვადა: 1 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: SOFIVO, საფრანგეთი.

დაპი - Duck

Duck-ს აქვს მაღალი ხარისხის პროდუქტების ასორტიმენტი, რომლებიც დამზადებულია საუკეთესო ხარისხის ნედლეულიდან და გათვალისწინებულია კატებისა და ძაღლების ნორმალური განვითარებისათვის. Duck-ის მიზანია შეუნარჩუნდეთ ცხოველებს ჯანმრთელობა, მიეცეთ ენერჯია და სასიცოცხლო ძალები, რომელიც საჭიროა მათი იდეალური ზრდა-განვითარებისათვის.

Duck-ის შემადგენლობაში შემავალი მაღალი ხარისხის კომპონენტებიდან გამომდინარე იგი გემრიელი, სასიამოვნოდ მისაღები, ადვილად მოსანელებელი პროდუქტია და ხასიათდება მაღალი შეთვისების უნარით. მისი ყოველდღიური მოხმარებით ძაღლები და კატები არიან ჯანმრთელები, უფრო ძლიერები, აქვთ ჯანმრთელი კანი და ბზინვარე ბენეფი.

Duck-ის საკვების შემადგენლობაში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური დანამატები ორგანიზმში მოხვედრით ყოველთვის რჩება უცვლელი პირვანდელი სახით. საკვები ასევე გამდიდრებულია ომეგა 3 და ომეგა ომეგა 6-ით, ცხიმოვანი მჟავები იცავენ დაუზანგვისაგან, გამოთავისუფლება ხდება კუნ-ნაწლავის ტრაქტთან კონტაქტის მომენტში და აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრებიოტიკების FOS (ფრუქტოოლიგოსაქარიდების) არსებობა ხელს უწყობს საკვების ადსორბციას, უზრუნველყოფს საუკეთესო შეთვისებას, აუფჯობებს ნაწლავის ფლორას.

დაკ კატი (Duck Cat)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები, გამოიყენება კატებისთვის.

შემადგენლობა:

ქათმის ხორცის ფქვილი, თევზი, მარცვლოვანი და მცენარეული პროდუქტები, ფრინველის ქონი, მინერალები, ვიტამინ A, D₃, E, ლიზინი, მეთიონინი, ტაურინი, ტიამოტინი, ბიოტინი, კარნიტინი, ლიცეტინი, პრებიოტიკები, ღვიძლის ფქვილი, ლუდის საფუარი.

გამოშვების ფორმა: 20 კგ-იან ქალაქის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

თვისებები:

Duck - Cat food - ყოველდღიური საკვები კატებისთვის, შეიცავს 29% ცილას (პროტეინი) და 14% ცხიმს. საკვები გამდიდრებულია ომეგა 3 და ომეგა 6-ით, ცხიმოვანი მჟავები აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრებიოტიკების FOS (ფრუქტოოლიგოსაქარიდების) არსებობა ხელს უწყობს საკვების ადსორბციას და ასიმილაციას, უზრუნველყოფს ადვილად აქტიური ნივთიერებების შეთვისებას, მონელებას, აუმჯობესებს ნაწლავის ფლორას. საკვების შემადგენლობაში შემავალი ტიამოტინის და ბიოტინის არსებობა უზრუნველყოფს ჯანმრთელ კანს და ბუნების ბზინვარებას. ხოლო ტაურინი აუმჯობესებს კატის მხედველობას.

გამოყენების წესი და დოზები:

საკვები (Duck - Cat food) კატას ეძლევა შეზღუდვის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ედგას და მიიღოს საკვების ის რაოდენობა რაც მას სჭირდება, საკვებთან ერთად უნდა ედგას სუფთა წყალი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Jacard Petfood, ესპანეთი.

დაკ შაჰი -(Duck Puppies)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები, გამოიყენება ლეკვებისთვის.

შემადგენლობა:

ქათმის ხორცის ფქვილი, მარცვლოვანი და მცენარეული პროდუქტები, ფრინველის ქონი, მინერალები, ვიტამინ A, D₃, E, ლიზინი, მეთიონინი, გლუკოზამინი, ქონდროიტინი, ბუნებრივი ხრტილი, ლუდის საფუარი.

გამოშვების ფორმა: 20 კგ-იან ლამინირებულ ქალაქის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

თვისებები:

Duck Puppies არის უმაღლესი ხარისხის, ყოველდღიური მოვლისა და კვებისთვის გან-

კუთვნილი საკვები ლეკვებისათვის. აქვს დაბალანსებული რაციონი, პროტეინებით და ცხიმებით, რაც უზრუნველყოფს საჭირო ენერჯის გამომუშავებას. საკვები გამდიდრებულია ომეგა 3 და ომეგა 6-ით, ცხიმოვანი მჟავები აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრებოტიკების FOS (ფრუქტოოლიგოსაქარიდების) არსებობა ხელს უწყობს ადსორბციას და ასიმილაციას, უზრუნველყოფს ადვილად აქტიური ნივთიერებების შეთვისებას, მონელებას, აუმჯობესებს ნაწლავის ფლორას. შემადგენლობაში შემავალი ბუნებრივი ხრტილი 100%-ით შეითვისება, უმჯობესდება ცხოველის მოძრაობა, საკვები ასევე გამდიდრებულია გლუკოზამინით და ქონდროიტინით, რაც აძლიერებს სახსრებს და ინვეს ადრე დაწყებული ზოგიერთი ძვლის დაზარების პრევენციას.

გამოყენების წესი და დოზები:

საკვები (Duck Puppies) ლეკვებს ეძლევა შეზღუდვის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ედგას და მიიღოს საკვების ის რაოდენობა რაც მას სჭირდება, საკვებთან ერთად უნდა ედგას სუფთა წყალი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Jacard Petfood, ესპანეთი.

დაპ კაითინგი -(Duck Hunting)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები, გამოიყენება ძალღებისთვის.

შემადგენლობა:

ქათმის ხორცის ფქვილი, მარცვლოვანი და მცენარეული პროდუქტები, ფრინველის ქონი, მინერალები, ვიტამინ A, D₃, E, ლიზინი, მეთიონინი, კორნიტინი, ლეციტინი, ქოლინი, ლუდის საფუარი.

გამოშვების ფორმა: 20 კგ-იან ლამინირებული ქალაღდის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

თვისებები:

Duck Hunting არის უმაღლესი ხარისხის საკვები, დაბალანსებული რაციონით, პროტეინებით და ცხიმებით, რაც უზრუნველყოფს საჭირო ენერჯის გამომუშავებას მაღალაქტიური, სპორტული და მონადირე ძალღებისთვის. საკვები გამდიდრებულია ომეგა 3 და ომეგა 6-ით, ცხიმოვანი მჟავებით, აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრებოტიკების FOS (ფრუქტოოლიგოსაქარიდების) არსებობა ხელს უწყობს ადსორბციას და ასიმილაციას, უზრუნველყოფს ადვილად საკვები ნივთიერებების შეთვისებას, მონელებას, აუმჯობესებს ნაწლავის ფლორას. ვიტამინებისა და მინერალების მიღება, ხელს უწყობს ძლიერი ჯანმრთელი ძვლების განვითარებას, რაც ასევე აისახება კანის ჯანმრთელობაზე და ბენვის ბზინვარებაზე.

გამოყენების წესი და დოზები:

საკვები (Duck Hunting), ძალს ეძლევა შეზღუდვის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ედგას და მიიღოს საკვების ის რაოდენობა რაც მას სჭირდება, საკვებთან ერთად უნდა ედგას სუფთა წყალი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Jacard Petfood, ესპანეთი.

მაი კომიდა - My Comida

My Comida ეს არის უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ასორტიმენტი, რომელიც გათვალისწინებულია კატებისა და ძაღლების ნორმალური განვითარებისათვის, დაბალანსებულია საჭირო საკვები ნივთიერებებით, რათა შეუნარჩუნდეთ სრულყოფილი ჯანმრთელობა.

My Comida-ში შედის რიგი პროდუქტები, მაღალი შეთვისების უნარით, რაც ხელს უწყობს ცხოველებს იყენენ ჯანმრთელები და ძლიერები.

მაი კომიდა კაი ფუდი

(My Comida Cat food)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები, გამოიყენება კატებისთვის.

შემადგენლობა:

ქათმის ხორცის ფქვილი, თევზი, მარცვლოვანი და მცენარეული პროდუქტები, ფრინველის ქონი, მინერალები, ვიტამინ A, D₃, E, ლიზინი, მეთიონინი, ტაურინი, ტიამოტინი, ბიოტინი, კარნიტინი, ლიცეტინი, ომეგა 3 და ომეგა 6, FOS, ლუდის საფუარი.

გამოშვების ფორმა: 20 კგ-იან ქალაღდის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

თვისებები:

My Comida - Cat food - ყოველდღიური საკვები კატებისთვის, შეიცავს 28% ცილას (პროტეინი) და 14% ცხიმს. საკვები გამდიდრებულია ომეგა 3 და ომეგა 6-ით, ცხიმოვანი მჟავებით, აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრებიოტიკების FOS (ფრუქტოოლიგოსაქარიდების) არსებობა ხელს უწყობს ადსორბციას და ასიმილაციას, უზრუნველყოფს ადვილად საკვები ნივთიერებების შეთვისებას, მონელებას, აუმჯობესებს ნაწლავის ფლორას. საკვების შემადგენლობაში შემავალი ტიამოტინის და ბიოტინის არსებობა უზრუნველყოფს ჯანმრთელ კანს და ბენვის ბზინვარებას. ხოლო ტაურინი აუმჯობესებს მხედველობას.

გამოყენების წესი და დოზები:

საკვები (My Comida - Cat food) კატას ეძლევა შეზღუდვის გარეშე. შეიძლება თავისუფლად ედგას და მიიღოს საკვების ის რაოდენობა რაც მას სჭირდება, საკვებთან ერთად უნდა ედგას სუფთა წყალი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Jacard Petfood, ესპანეთი.

მანი კომიდა ღოგ ფუდი

(My Comida Dog food)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები, გამოიყენება ძაღლებისთვის.

შემადგენლობა:

ქათმის ხორცის ფქვილი, მარცვლოვანი და მცენარეული პროდუქტები, ფრინველის ქონი, მინერალები, ვიტამინ A, D₃, E, ლიზინი, მეთიონინი, ომეგა 3 და ომეგა 6, FOS, ლუდის საფუარი.

გამოშვების ფორმა: 20 კგ-იან ქაღალდის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

თვისებები:

My Comida - dog food არის ყოველდღიური საკვები ძაღლებისთვის, შეიცავს მარალი ხარისხის 26% ცილას და 12% ცხიმს, საკვები გამდიდრებულია ომეგა 3 და ომეგა 6-ით, ცხიმოვანი მჟავებით, აძლიერებს იმუნურ სისტემას. პრებიოტიკების FOS (ფრუქტოოლიგოსაქარიდების) არსებობა ხელს უწყობს ადსორბციას და ასიმილაციას, უზრუნველყოფს ადვილად საკვები ნივთიერებების შეთვისებას, მონელებას, აუმჯობესებს ნაწლავის ფლორას.

გამოყენების წესი და დოზები:

საკვები (My Comida - dog food) ძაღლს ეძლევა ჰქონდეს შეზღუდვის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ედგას და მიიღოს საკვების ის რაოდენობა რაც მას სჭირდება, საკვებთან ერთად უნდა ედგას სუფთა წყალი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Jacard Petfood, ესპანეთი.

მანი კომიდა სტანდარტ ღოგ

(My Comida Standart dog)

საკვების ფორმა:

პერორალურად მისაღები საკვები, გამოიყენება ძაღლებისთვის.

შემადგენლობა:

ქათმის ხორცის ფქვილი, მარცვლოვანი და მცენარეული პროდუქტები, ფრინველის ქონი, მინერალები, ვიტამინ A, D₃, E, ლიზინი, მეთიონინი. ომეგა 3 და ომეგა 6, FOS, ლუდის საფუარი.

გამოშვების ფორმა: 20 კგ-იან ლამინირებული ქაღალდის ტომრებში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ცხოველთა საკვები.

თვისებები:

My Comida - Standart dog არის სტანდარტული საკვები, რომელიც გამოიყენება ძაღლის სწორი, ყოველდღიური კვებისთვის.

შეიცავს ცილას 22% -ს და ცხიმს 10%-ს, ვიტამინებს და მინერალებს (კალციუმი, ფოსფორი, მაგნიუმი, და სპილენძი), რაც ხელს უწყობს განავითაროს ძლიერი ჯანმრთელი ძველები, ხოლო საფუარის და ამინომჟავების არსებობა ხელს უწყობს კუნთებში ცილების შეთვისებას და იმუნური სისტემის გაძლიერებას.

გამოყენების წესი და დოზები:

საკვები (My Comida - Standart dog), ძაღლს ეძლევა შეზღუდვის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ედგას და მიიღოს საკვების ის რაოდენობა რაც მას სჭირდება, საკვებთან ერთად უნდა ედგას სუფთა წყალი.

შენახვის პირობები:

ინახება მშრალ, გრილ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 12 თვე.

მწარმოებელი ქვეყანა: Jacard Petfood, ესპანეთი.

20. ინფექციური და ინვაზიური დაავადებები,

მათი გავრცელება და პროფილაქტიკა

20.1. თურქული - (*Aphthae Epizooticae*)

თურქული - მწვავედ მიმდინარე, ინფექციური, გადამდები დაავადება.

თურქულის მიმართ ამთვისებელი ცხოველი ყველა ასაკში ადვილად სენიანდება. დაავადება მიმედ მიმდინარეობს 2-3 თვის მოზარდებში.

ამთვისებელი ცხოველის ორგანიზმში საჭმლის მომწელებელი სისტემიდან ან კანის საფარველიდან მოხვედრილი ვირუსი ფიქსირდება ეპითელიურ ქსოვილებში და ინყებს გამრავლებას, ვირუსის გამრავლება იწვევს: ორგანიზმში საპასუხო რეაქციებს, რომლებიც გამოიხატება:

1. ცხოველის ორგანიზმში სეროზული ანთებითი პროცესით.
2. წარმოიქმნება პირველადი აფთი.
3. პირველი ლოკალიზაციის (აფთი) ადგილიდან ვირუსი შეიჭრება სისხლში, შემდეგ კი სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. იწყება მწვავე ცხელებითი რეაქცია.
4. ვირუსი მრავლდება ეპიდერმისში - წარმოიქმნება მეორადი მრავლობითი აფთები პირის ღრუში, ჩლიქთა შორის ნაპრალში, ჩლიქის გვირგვინსა და ცურის კანზე.
5. ცხოველს უქვეითდება მადა, ნერწყვდენა ძლიერდება, ცოხნა შეიძლება შეწყდეს, იწყება ცხელება - სხეულის ტემპერატურა 40,5 - 41,5°C - მდე აღწევს.
6. ზედა და ქვედა ტუჩებზე, ყბების უკბილო მიდამოში ლორწოვან გარსზე, ენაზე, ლოყების შიგნით ჩნდება აფთები.
7. დაავადებიდან 12-24 საათში აფთის კედელი სკდება, მათ ადგილზე, ახალი ეროზია წარმოიქმნება.
8. დაავადებულ ცხოველს ეწყება უხვი ნერწყვდენა.
9. პროცესი რთულდება მეორადი ინფექციით.
10. დაზიანებული კიდურების გვირგვინში, სირბილეში და ჩლიქთაშორის ხვრელის არეში ჩნდება, მტკივნეული შესივება, ცხოველი კოჭლობს და წევს.
11. შესივების ადგილებში წარმოიქმნება აფთები, რომლებიც სკდება, მათში არსებული სითხე გარეთ გადმოიღვრება.
12. შეიძლება განვითარდეს ჩლიქის გვირგვინის ფლეგმონა, ღრმა ჩირქოვანი პოდოდერმატიტი, ჩირქოვანი ართრიტი, რქოვანი ბუნიკის მოვარდნა.
13. ზიანდება ცური, დვრილებზე ჩნდება სხვადასხვა ზომის აფთები.
14. ანთებითი პროცესი აფთის გასკდომის შემდეგ ვრცელდება დვრილის ფუძისკენ და დვრილის რძის გამომტან მილში, რასაც მოყვება მასტიტი.
15. ლაქტაცია მკვეთრად მცირდება, ზოგჯერ სრულიად წყდება, აღდგენას ესაჭიროება თვე და მეტი ხანი.
16. ორ თვემდე ასაკის ხბოში თურქულის დროს აფთი არ წარმოიქმნება, დაავადება ვითარდება მწვავე გასტროენტერიტით, ზოგჯერ ბრონქოპნევმონიით.

20.1.1. თურქულის მკურნალობა

- დაავადებულ ცხოველს შეუქმენით მშვიდი გარემო.
- ცხოველთა სადგომი გაანიავეთ.
- ქვეშაფენი უნდა იყოს რბილი, რომ არ დაზიანდეს ჩლიქთაშორისი ნაპრალი.
- ცხოველმა უნდა მიიღოს წყალი ნებაზე (თავიდან რომ ააცილოთ ორგანიზმის გაუწყ-
ლუება).
- დაავადებულ მცოხნავს, პირის ღრუ გამოურეცხეთ იოდზეფის ხსნარით, დღეში 2-3
ჯერ, 3-5 დღის განმავლობაში, შემდეგი განზავებით: 10-20 მლ/ლ ხსნარში (ნარევი უნდა
გაიხარჯოს 40-60 წუთში). იოდზეფის ხსნარის შემდეგ სასურველია პირის ღრუში გამოავ-
ლოთ გადადუღებული თბილი რძე.

- კიდურების დაზიანების თავიდან ასაცილებლად ჩლიქები გაასუფთავეთ იოდზეფის ან-
ტისეპტიკური ხსნარით (30 მლ-1 ლ წყალში) 2 დღეში ერთჯერ, დაზიანების შემთხვევაში კი
- განზავება 30-50 მლ - 1 ლ წყალში, დამუშავება დღეში 2-ჯერ 3-5 დღე.

მეორადი ბაქტერიული ინფექციის საწინააღმდეგოდ გამოიყენეთ ანტიბიოტიკები:

1. *ოქსიტეტრაციკლინ-200* (მაღალმელწვეადი ანტიბიოტიკი, ნაკლებ სტრესულ) დოზირება: პრეპარატი შეჰყავთ კუნთში, 1 მლ/10 კგ ც.წ-ზე, ერთჯერადად.
2. *პრიმაფული* - 1მლ 10 კგ. ც.წ-ზე, ერთჯერადად.
3. შეგიძლიათ გამოიყენოთ პრეპარატი *“გენტაპრიმი”*. დოზირება: კუნთში, 1 მლ /10 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ 3-5 დღე.
4. ჩირქოვანი გართულებების შემთხვევაში - *“პენბექსი”* დოზირება: კუნთში, 1 მლ /10-15 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ 3-5 დღე.
5. რეკომენდებულია სპეციალური სამკურნალო საშუალებები: *იმუნოლაქტინი, რეკონვა-
ლესცენტური შრატი*.
6. ცხოველის რეზისტენტულობის ასამაღლებლად გამოიყენეთ იმუნოსტიმულატორი *“დასი”* - კუნთში, 1 მლ/100 კგ ც.წ-ზე, დღეგამოშვებით 3-5 ინექცია. *“დასი”* ეხმარება ორგანიზმს სისხლში გააძლიეროს და გაამრავლოს არასპეციფიკური ნივთიერებები (ინჰიბი-
ტორები), რომლებიც თრგუნავენ ვირუსის გამრავლებას. იმუნოსტიმულატორი ინვექს სხ-
ეულში ნივთიერებათა ცვლის მკვეთრ გაძლიერებას, შესაბამისი ელემენტების გამომუშავე-
ბას, რომლებიც მონაწილეობენ თურქულის ვირუსის განეიტრალებასა და ბლოკირებაში.
7. მსხვილფეხა პირუტყვის თურქულის დაავადებისას, პირველ რიგში აუცილებელია აღუდგეს ცოხნა, მადა, ენერჯია. ამისთვის გამოიყენება რუმიფოსი - 1 მლ/ 25კგ ც.წ-ზე, დაღვევებით წყალთან ერთად.
8. სიმპტომატური მკურნალობისათვის - გამოიყენება (200-300კგ) ვიტამინი *AD₃E* კუნთ-
ში, 5 მლ/სულზე, ერთჯერადად. (რეკომენდირებულია ესპანური ფირმის “ინვესას” წარმოე-
ბული ვიტამინი *AD₃E*, რომელიც გახანგრძლივებულად 2-3 თვე მოქმედებს).

9. ლაქტაციის აღდგენისათვის, კარგი საშუალებაა მცენარეული საკვებდანამატი *რუმი-
ფოსი*, დოზით 1 მლ/25 კგ ც.წ-ზე, დღეში ერთჯერ. გამოიყენება მინიმუმ 2 კვირა, მაქსი-
მალური ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის. იგი ეხმარება ლაქტაციის აღდგენასა და მთლიანად ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებაში. ასევე ლაქტაციის აღდგენისთვის რეკო-

მენდებულია ლივ საკი.

10. ორ თვემდე ხბორების სამკურნალოდ გამოიყენეთ ანტიბიოტიკი ოქსიტეტრაციკლინ-200, მძიმე შემთხვევებში "პენბექსი", სიმპტომატური მკურნალობისთვის ვიტამინი *AD₃E*.

მსხვილფეხა პირუტყვის თურქულის დაავადების იოლ ფორმებში მიმდინარეობისას ავად-მყოფობა გრძელდება 7-8 დღე, გართულების შემთხვევაში კი 20 დღე და მეტხანს.

მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის აცრა თურქულის სანიანალმდეგო ვაქცინით, თურქულის დაავადების ყველაზე კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

სიტყვების განმარტებები:

ჰიპოდერმატიტი - ჩლიქის კანის ფუძის ანთება.

ეპიდერმისი - კანის ზედაპირული შრე.

ართრიტი - სახსრების ანთება.

ფლეგმონა - ფაშარი შემეართებელი ქსოვილის მწვავე, უფრო მეტად ჩირქოვანი ანთება, რომელსაც მიდრეკილება აქვს ღიფუზური განვითარებისა და ნეკროზებისაკენ.

20.2. მონიეზიოზი - (*Monieziosis*)

მონიეზიოზი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ჰელმინთოზური დაავადებაა.

ცესტოდების ეს სახეობა პარაზიტობს მცოხნავი ცხოველების ორგანიზმში. ძირითადად გავრცელებულია *Moniezia Expansa* (აღწევს 6-8 მ-მდე) და *Moniezia Benedeni* (აღწევს 2-4 მ-მდე). *Moniezia Expansa* - გვხვდება გაზაფხულზე. *M. Benedeni* - შემოდგომაზე.

ცხოველები ავადდებიან საძოვარზე (შეიძლება თივიდანაც).

გაზაფხულის მონიეზიოზით ძირითადად ავადდება ბატკანი.

შემოდგომის მონიეზიოზით მოზარდი ცხოველი - 7-8 თვის ასაკის.

ცესტოდების სიცოცხლის ხანგრძლივობა ცხვრის ნაწლავში შეადგენს 2,5-3 თვეს, იშვიათად 7 თვეს.

დაინვაზირებიდან 28-40 დღის ასაკში ბატკნები სუსტდებიან და იღუპებიან.

საქართველოში მონიეზიოზის მიმართ განსაკუთრებით არაკეთილსაიმედოა დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, გარდაბნის, სიღნაღის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარნეულის რაიონები.

მონიეზიოზით ბატკნების პირველი დაინვაზირება ხდება მარტის ბოლოს, აპრილის ბოლოს დაინვაზირებულია მათი სულადობის ნახევარი, ხოლო ივნის-ივლისში თითქმის მთელი სულადობა. შემოდგომაზე დაინვაზირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება. 1-2 წლის მოზარდში ინვაზია მაქსიმუმს აღწევს მაისში და მოიცავს სულადობის დაახლოებით მესამედს.

ბატკნის მონიეზიოზი შეიძლება გართულდეს პასტერელოზით, ბრადზოტით, ენტეროტოქსემიით, პარაზიტები ითვისებენ მასპინძლის ორგანიზმისათვის განკუთვნილ საკვებ ნივთიერებებს, ასევე ცვლიან თიმუსის შემადგენლობას, ამიტომ ბატკანი მალე სუსტდება.

აუცილებელია ბატკნის დროული დამუშავება 16 - 27°C-ის ტემპერატურაზე, ამ დროს მონიეზიების ცისტიცერკოიდების განვითარება 55-90 დღეში მთავრდება.

20.2.1. მონეზიონის სამკურნალო საშუალებები

მონეზიონის დეჰელმინთიზაციისათვის გამოიყენება შემდეგი სამკურნალო საშუალებები:

1. ბიოზანი 900;
2. ფისტოკლოზანიდი (375, 500, 1500);
3. ფენბექსი (250, 500);
4. ალბექსი (250, 400, 600);
5. ალბენდაზოლი (თხევადი) 10%.

ბიოზანი 900 და ფისტოკლოზანიდი (500,1500) ითვლება უნივერსალურ პრეპარატად მონეზიონების (და სხვა ჰელმინთური დაავადებების) სამკურნალოდ. როგორც ნაკლებად ტოქსიკური საშუალებები, მათი გამოყენებით მიიღწევა საჭმლის მომნელებელი სისტემის სრული დეჰელმინთიზაცია.

ფენბექსი (250, 500) უნიკალური ანტიჰელმინთური პრეპარატია, როგორც ფისტოკლოზანიდი, ფენბექსი ნაკლებ ტოქსიკურია, დოზის გადაჭარბება არ იწვევს გვერდით მოვლენებს. **ფენბექსი (250, 500)**-ით დამუშავება შესაძლებელია მაკრობის დროს, ასევე ის არის ერთადერთი საშუალება ცერებრალური ცენუროზის ("რეტი") სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, რომელიც გავრცელებულია ცხვარში (ძირითადად ორ წლამდე).

ალბექსი (250, 400, 600) - და ამ ჯგუფის სხვა პრეპარატებით მუშავდება ბატკანი, ცხვარი მონეზიონზე, როგორც პროფილაქტიკისთვის, ასევე სამკურნალოდ, როდესაც არ არის გამოხატული დაინვაზირების მძიმე შემთხვევები.

20.2.2. წერილფეხა პირუტყვის მონეზიონის საწინააღმდეგო ღონისძიებების

სქემა და რეკომენდაციები

გაზაფხულზე:

ბატკნის პირველი დამუშავება საძოვარზე გაყვანიდან 15 დღის შემდეგ **ფენბექსი (250, 500)**-ით.

მეორე დამუშავება 20-25 დღის შემდეგ I-ლი დამუშავებიდან **ალბექსი (250, 400, 600)**-ით.

მესამე დამუშავება 25-30 დღის შემდეგ მე-2 დამუშავებიდან; **ფისტოკლოზანიდით (375, 500, 1500)** და **ბიოზანი 900**-ით - ეს შეიძლება მოხდეს საძოვარზე.

სბოების დამუშავება საძოვარზე გადენიდან 35-40 დღეში, განმეორებითი დამუშავება 25-30 დღეში პირველი დამუშავებიდან.

შემოდგომაზე:

პირველი დამუშავება სექტემბერში ერთხელ, ხოლო ბაგური შენახვის დაწყებიდან 30 დღის შემდეგ მუშავდება მთელი ცხვრის ფარა (დიდი თოხლი, ბატკანი) **ფენბექსი 500**-ით, **ბიოზანი 900**-ით ან **ფისტოკლოზანიდი 500**-ით.

მძიმე დაინვაზირების შემთხვევაში ბატკანი და მოზარდი გაზაფხულზე უმჯობესია დამუშავდეს **ბიოზანი 900**-ით ან **ფისტოკლოზანიდით (375, 500, 1500)**-ით, გამეორება შეგიძლიათ **ალბექსი 600**-ით.

1. **ფისტოკლოზანიდი (375, 500, 1500)** - სამკურნალო დოზა 15 მგ/კგ ც.წ-ზე, პროფილაქტი-

კისტვის 10 მგ/კგ ც.ნ-ზე.

დოზირება:

ფისტოკლოზანიდი 375 - სამკურნალოდ 1 ტაბლ/25 კგ ც.ნ-ზე (პროფილაქტიკა - 1 ტაბლ/35 კგ ც.ნ).

ფისტოკლოზანიდი 500 - სამკურნალოდ 1 ტაბლ/30-35 კგ ც.ნ-ზე (პროფილაქტიკა - 1 ტაბლ/150 კგ ც.ნ).

ფისტოკლოზანიდი 1500 - სამკურნალოდ 1 ტაბლ/100 კგ ც.ნ-ზე (პროფილაქტიკა - 1 ტაბლ/150 კგ ც.ნ).

2. **ბიოზანი 900-ის** - სამკურნალოდ 1 ტაბლ/50-60 კგ ც.ნ-ზე.

3. **ფენბექსი (250, 500)**, სამკურნალო დოზა 10 მგ/კგ ც.ნ-ზე, ე.ი შესაბამისად **ფენბექსი 250** 1 ტაბლ/25 კგ ც.ნ-ზე, **ფენბექსი 500** - 1 ტაბლ/ 50 კგ ც.ნ-ზე.

ცენუროზის (“რეტი”) დროს, სამკურნალო დოზა სამმაგდება და ეძლევა სამი დღე.

4. **ალბექსი (250, 400, 600)** - სამკურნალოდ 15 მგ/კგ ც.ნ-ზე, პროფილაქტიკისათვის 10 მგ/კგ ც.ნ-ზე.

ალბექსი 250 - სამკურნალოდ 1 აბი /16-17 კგ ც.ნ-ზე (პროფილაქტიკა 1 აბი /25 კგ ც.ნ-ზე).

ალბექსი 400 - სამკურნალოდ 1 აბი/25-27 კგ ც.ნ-ზე (პროფილაქტიკა 1 აბი /40 კგ ც.ნ-ზე).

ალბექსი 600 - სამკურნალოდ 1 აბი/40 კგ ც.ნ-ზე (პროფილაქტიკა 1 აბი /60 კგ ც.ნ-ზე).

გვახსოვდეს:

მონიეზიოზის დროს ბატკნები წონაში ჩამორჩებიან 2-3 კგ-მდე, მატყლის და ხორცის ხარისხი დაბალია, თანხებში შემოსავალი მცირდება 25%-ით.

ცხვრების სიკვდილიანობა, დეჰელმინთიზაციის გარეშე წლის ნებისმიერ სეზონზე შესაძლებელი!

ბატკნის სიკვდილიანობამ შეიძლება მიაღწიოს 80%-მდე.

20.3. ფასციოლოზი (Fasciolosis)

ფასციოლოზი - მსხვილფეხა პირუტყვის ცხვრის, თხის ჰელმინთოზური დაავადებაა. მისი აღმძვრელია-*Fasciola Hepatica* და *Fasciola Gigantica*, მიეკუთვნება *fasciolidae-s* ოჯახს.

საქართველოში სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული ღვიძლის ჰელმინთის (ფასციოლა) სახელები:

სამეგრელო - *ფარფალი*;

აღმოსავლეთ - დასავლეთ საქართველო - *ღვიძლის პეპელა*.

ფასციოლოზი საქონლის პროდუქტიულობას (ცოცხალ წონას, წველადობას) ამცირებს 15-25%-ით, რძის ხარისხი დაბალია.

ფასციოლოზი არის ჰელმინთოზი ტრემატოდების ჯგუფიდან, უპირატესად ზიანდება ღვიძლი და ნაღვლის სადინარები.

პათოგენოზი - ფასციოლები არღვევენ ღვიძლში სისხლის ცირკულაციას, მიგრაციის

დროს შლიან მას, ასევე იწვევენ ორგანიზმის ინტოქსიკაციას, არღვევენ რიგი ორგანოების და სისტემის მუშაობას.

20.3.1. ფასციოლოზის სამკურნალო საშუალებები

(იგივეა პარამფისტომატოზის მკურნალობის დროს)

1. **ბიოზანი 900** - უნიკალური საშუალებაა, ფასციოლოზის, პარამფისტომიდოზის, დიქტიოკაულოზის, მონიეზიოზის სანინაალმდეგოდ. ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება შეუზღუდავად, რძეზე შეზღუდვა - 24 საათი.

2. **ფისტოკლოზანიდი 1500 (500)** უნიკალური საშუალებაა, ფასციოლოზის, პარამფისტომატოზის სანინაალმდეგოდ, თავისუფლად გამოიყენება ლაქტაციის პერიოდში, რძეზე შეზღუდვა - 24 საათი.

3. **როლენოლი ან ფაზინტექსი**, შეყავთ კუნთში ან კანქვეშ 1 მლ/20 კგ ც.ნ-ზე. წვრილფეხა ცხოველისათვის კანქვეშ, 1 მლ 10 კგ. ც.ნ-ზე.

4. **ვილმექტინ F** - კანქვეშ, 1 მლ 50 კგ ც.ნ-ზე.

5. **ალბექსი 3000 (250,400,600)** ეძლევა პერორალურად.

დოზირება:

ალბექსი 3000 1 ბოლუსი/200 კგ ც.ნ.

ალბექსი 600 1 ტაბლ/40 კგ ც.ნ.

ალბექსი 400 1 ტაბლ/27 კგ ც.ნ.

ალბექსი 250 1 ტაბლ/12-15 კგ ც.ნ.

ძირითადი გავრცელება:

ქვემო ქართლი, კახეთი, კოლხეთის დაბლობი, გურია, აჭარა და აფხაზეთი.

20.3.2. მსხვილფეხა პირუტყვის ფასციოლოზის სანინაალმდეგო ღონისძიებების

სქემა და რეკომენდაციები

(იგივეა პარამფისტომატოზის* მკურნალობის დროს)

გაზაფხული, (მარტის | ნახევარიდან აპრილის | ნახევრამდე)

1. ბიოზანი 900 ან ფისტოკლოზანიდი 1500 (500) - 10 დღის შემდეგ - ალბექსი 3000 (600, 400, 250).

გაზაფხული, (მარტი, აპრილი)

1*. ბიოზანი 900 ყველაზე თანამედროვე, უნიკალური საშუალებაა პარამფისტომატოზის, ფასციოლოზის, დიქტიოკაულოზის, მონიეზიოზის სანინაალმდეგოდ.

2*. ფისტოკლოზანიდი 1500 (375, 500) - ერთი კვირის შემდეგ - ფენბექსი 500.

რძის გამოყენებაზე შეზღუდვა ამ დროს არის მაქსიმუმ 24 საათი.

შემოდგომა, ზამთარი (დეკემბერი)

3. როლენოლი ან ფაზინტექსი - ორი კვირის შემდეგ - ალბექსი 3000 (600, 400, 250).

შემოდგომა, ზამთარი (დეკემბერი).

4. ალბექსი 3000 (600, 400, 250) - ორი კვირის შემდეგ ვილმექტინ F.

შემოდგომა (ოქტომბრი - ნოემბრი).

5. ფისტოკლოზანიდი 1500 (500) - 10 დღის შემდეგ - პრომექტინი ან ვილმექტინი, ბიომექტინი.

შემოდგომა (ნოემბერი — დეკემბრის I ნახევარი).

6. პრომექტინი ან ვილმექტინი, ბიომექტინი - სამი კვირის შემდეგ - ფისტოკლოზანიდი 1500, 500.

შემოდგომა (ნოემბერი; დეკემბერი).

7. ბიოზანი 900 ან ფისტოკლოზანიდი 1500 (375, 500) - ორი კვირის შემდეგ ვილმექტინ F.

ნებისმიერ დროს მოზარდის (ორ წლამდე ასაკის) დამუშავება:

ალბექსი 3000 და სამი კვირის შემდეგ ვილმექტინ F, ან შეიძლება გამოვიყენო ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ვარიანტი - დანახარჯის და სირთულის მიხედვით.

დეჰელმინთიზაცია მიზანშეწონილია დილის საათებში. ფასციოლოზზე, არაკეთილსაიმედო ადგილებში, პროფილაქტიკურ დეჰელმინთიზაციას ატარებენ ორჯერ წლის განმავლობაში - გაზაფხული, შემოდგომა.

ოქტომბერში ბაგურ კვებაზე გადაყვანილ საქონლს, ფასციოლოზზე დეჰელმინთიზაცია უტარდება დეკემბრის ბოლოს (ამ დროს ფასციოლები ღვიძლში აღწევენ სქესობრივ სიმნიფეს), განმეორება გაზაფხულზე - ერთი თვით ადრე ცხოველების საძოვარზე გაშვებამდე.

20.4. მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის დიქტიოკაულოზი

შინაური ცხოველების დიქტიოკაულოზის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პარაზიტები, ნემატოდების *Dicrocoelidae*-ს ოჯახიდან.

ისინი ძირითადად ლოკალიზდებიან შუა და მსხვილ ბრონქებში, იშვიათად ტრაქეაში.

დიქტიოკაულოზებს ახასიათებს ძაფისებრი სხეული, ღია ნაცრისფერი, რძისფერი ან ღია ჩალისფერი-მოყვითალო ფერის. მსხვილფეხა პირუტყვის დიქტიოკაულოზის გამომწვევია ნემატოდა *Dictyocaulus viviparus*-ის, აღმძვრელი მოყავისფრო-მოყვითალო ფერისაა. მამრების სხეულის სიგრძე 17-44 მმ-ის ტოლია, მდედრების - 23-73 მმ, ღია მოყვითალო ფერის. კვერცხის ზომა ტოლია (0,112 - 0,138)X(0,069X0,090) მმ, ღია ყავისფერი ოვალური.

წვრილფეხა პირუტყვის დიქტიოკაულოზის გამომწვევია ნემატოდა *Dictyocaulus Filaria*, აღმძვრელი რძისფერი-მონაცრისფერო მსხვილი ნემატოდაა, მამრების სიგრძე 30-80 მმ-ია, მდედრების კი 50-150 მმ.

* ლაქტაციის პერიოდში რეკომენდებული მკურნალობა.

* პარამფისტომატიოიდოზი - უმთავრესად მცხოვნავი ცხოველების ჰელმინთოზები (ჰელმინთებით გამოწვეული ცხოველის ინვაზიური დაავადებანი. გამომწვევია პარამპჰისტომიდაე ოჯახის ტრემატოდები, რომლებიც პარაზიტობენ წინა კუჭებსა და ნაწლავებში, ინვეს დიდ ზარალს).

დიქტიოკაულოზის გამავრცელებლები არიან მოზრდილი ცხოველები, რომლებიც კლინიკურად გამონატული ფორმით იშვიათად ავადდებიან.

დიქტიოკაულოზის ლარვები მოხვდებიან რა პირის ღრუში ახდენენ მიგრაციას ღვიძლის, გულის, ფილტვების გავლით, ხვდებიან ბრონქებში, სადაც იზრდებიან სქესობრივად სრულ სტადიამდე.

1. *D. Filaria* - მატლები ოპტიმალური ტემპერატურის დროს (16-28°C) აღწევენ ინვაზიურობას 5-8 დღეში,

2. *D. Viviparus* - მატლები ამთავრებენ თავიანთ განვითარებას 3-5 დღეში.

ამასთან მსხვილფეხა პირუტყვის დიქტიოკაულოზები აღწევენ იმაგოს სტადიას 21-28 დღეში.

ცხვრებში ჰელმინთების სიცოცხლის ხანგრძლივობა აღწევს რამოდენიმე თვიდან ორ წლამდე, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვში 1,5 თვიდან 12 თვემდე.

ინვაზიის მაღალი დონე აღინიშნება აგვისტოს მეორე ნახევარსა და სექტემბრის დასაწყისში.

მოცემული წლის პირობებში ზემოთ აღნიშნული რიცხვები შეიძლება იცვლებოდეს 10-15 დღე-ღამით.

დაავადების ნიშნები:

დაავადების პათოგენების განვითარების შესაბამისად აღინიშნება მშრალი ხველა, რომელიც შემდგომ გადადის სველ ხველებაში, ცხვირის ღრუდან ლორწოვანი გამონადენი, სუნთქვა ზედაპირულია და გახშირებული.

მატლების მიგრაციის ინტენსივობიდან გამომდინარე, წვრილი ნაწლავის ლორწოვან ფენაში ირღვევა საჭმლის მონელების ფუნქცია, აღინიშნება მწვავე და ქრონიკული ინვაზიის მიმდინარეობა.

დაავადების გართულებები:

მიკრობრონქიტი, ბრონქიტი, პერიბრონქიტი, კერული ბრონქოპნევმონია - შეიძლება გართულდეს კატარალური - ჩირქოვანი პნევმონიით.

მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების დეჰელმინთიზაცია ხდება ერთი და იგივე პრეპარატებით.

20.4.1. დიქტიოკაულოზის სამკურნალო საშუალებები

1. *პრომექტინი*;
2. *ვილმექტინი*;
3. *ვილმექტინ F*;
4. *ბიომექტინი*;
5. *ლევამიზოლი 7.5%*;
6. *ფენბექსი 500 (250)*;
7. *ალბექსი 3000 (250, 600, 3000)*;
8. *ბიოზანი 900*.

20.4.2. დიეტოკაულოზის სამკურნალოდ რეკომენდებული სქემა

1. პრომექტინი (ვილმექტინი, ვილმექტინი F, ბიომექტინი) – კანქვეშ 1 მლ. 50 კგ ც.წ-ზე - გამეორება შეიძლება 21 დღეში.

2. ლევამიზოლი 7,5 %-იანი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვისთვის - კუნთში, კანქვეშ 1 მლ - 10 კგ ც.წ-ზე

3. ალბექსი 3000 - ეძლევა პერორალურად 1 ბოლუსი/200 კგ ც.წ-ზე, გამეორება 20 დღეში, თუ ახველებდა და ხველება შეუჩერდა, მაშინ გაამეორეთ ალბექსი 3000-ით, ან პრომექტინი - კანქვეშ 1 მლ/50 კგ. ც.წ-ზე.

4. ლევამიზოლი 7,5% მსხვილფეხა პირუტყვის - კანქვეშ, კუნთში 1 მლ - 10 კგ ც.წ-ზე. წვრილფეხა პირუტყვის - კანქვეშ 1 მლ-10 კგ ც.წ-ზე, ორ კვირაში - ალბექსი 3000, 1 ტაბლ/200 კგ. ც.წ-ზე

5. ფენბექსი 500 (250) - ეძლევა პერორალურად 1 ტაბლ/20-25 კგ ც.წ-ზე დალევინებით, 2 კვირაში გავიმეოროთ. ფენბექსი 250 1 ტაბლ/17 კგ ც.წ-ზე.

6. ბიოზანი 900* ეძლევა პერორალურად, 1 ტაბლ/50-60 კგ ც.წ-ზე დალევინებით. შეგვიძლია ჩავსვათ პრომექტინთან, ბიომექტინთან და ა.შ. კომბინაციაში.

7. ფენბექსი 500 - მკურნალობის შემთხვევაში დოზა სამმაგდება და ერთი ტაბლეტი ეძლევა 17-20 კგ. ც.წ-ზე სამი დღის განმავლობაში. ფენბექსი 250 - 1 ტაბლ/8-10 კგ ც.წ-ზე 3 დღის განმავლობაში.

მეხუთე ვარიანტი არის უნივერსალური, ის შეიძლება გამოიყენოთ მაკეობის, ლაქტაციის პერიოდის დროს.

მოზარდისთვის ჩამონათვალი პრეპარატებით ანტიჰელმინთური დამუშავება რეკომენდებულია წლის ნებისმიერ დროს საჭიროების მიხედვით.

მაკეობის ბოლო 20-30 დღე არ არის რეკომენდებული პრომექტინის, ვილმექტინის, ვილმექტინი F-ის, და ამ რიგის სხვა პრეპარატების გაკეთება.

ლევამიზოლი არ არის რეკომენდებული მაკეობის ბოლო მესამედში და დასუსტებული ცხოველებისთვის. მსხვილფეხა პირუტყვისთვის პრეპარატი შეჰყავთ კანქვეშ, კუნთში, წვრილფეხა პირუტყვის - კუნთში, კანქვეშ.

თუ ცხოველს მიღებული აქვს ფოსფორორგანული პრეპარატები, ლევომიციტინი, მაშინ ინექცია კეთდება 10 დღის შემდეგ.

ალბექსი 3000 (250, 400, 600)-ით შეიძლება ჩატარდეს პროფილაქტიკური დამუშავება, შეზღუდვა მაკეობის ბოლო მესამედში.

დამუშავება ხდება ძირითადად გაზაფხულზე (მარტი, აპრილი) ზაფხულში (აგვისტო) ძირითადად საძოვარზე, შემოდგომაზე (სექტემბერი) უნდა გაითვალისწინოთ რომ ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში ყველა ასაკობრივი ჯგუფის ცხოველი ავადდება უფრო ინტენსიურად. შემოდგომაზე დაავადება მიმდინარეობს ლატენტურად (ფარულად), ამიტომ (ოქტომბერ-დეკემბერში) აუცილებელია ცხოველის პროფილაქტიკური დამუშავება - პრომექტინით (ვილმექტინი, ვილმექტინი F, ბიომექტინი).

დიეტოკაულოზის გართულებების შემთხვევაში (ბრონქოპნევმონიები), ტარდება ანტი-ბიოტიკური თერაპია მაგ - ოქსიტეტრაციკლინი 200 შეყავთ კუნთში 1 მლ-ს 10 კგ ც.წ-ზე, ერთჯერადად; გენტამინი - ინექცია კეთდება კუნთში 1 მლ 10 კგ ც.წ-ზე დღეში ერთჯერ, 3-დღის განმავლობაში.

მძიმე შემთხვევაში მკურნალობენ *ოქსიტეტრაციკლინ 200*-ით და *სულტრიმის* ტაბლეტებით ან მარტო “*პენბექსი*”, ინექცია კუნთში 1 მლ 10-15 კგ. ც.წ-ზე დღეში ერთჯერ, 3-5 დღის განმავლობაში.

გვახსოვდეს!

დიქტიოკაულოზზე აუცილებელია დროული მკურნალობა, დაგვიანების შემთხვევაში მსხვილი ბრონქების, ტრაქეის პარაზიტებით დაცობის შედეგად ცხოველი იღუპება.

დაავადებული ცხოველი სუსტია, გამხდარი, აქვს ცუდი მადა. ჰელმინთები მიგრაციის დროს აზიანებენ ქსოვილებს, ორგანოებს, ჰელმინთებს. ინვევენ პათოლოგიური მიკროფლორის თავმოყრას.

20.5. მსხვილფეხა პირუტყვის პიროპლაზმოზი

(ნაბარევი, ციება, დასიცხვა, ტკიპარა)

პიროპლაზმოზი (*Piroplasmosis*) არის სეზონური (საძოვრის პერიოდი), ჩვეულებრივ სპორადულად, უფრო იშვიათად ენზოოტურად (კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ტკიპების რაოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად იცვლება) მწვავედ მიმდინარე დაავადება, რომელიც ვლინდება მუდმივი ტიპის ციებ-ცხელებით, ანემიით, სიყვილით, მუქი წითელი შარდის გამოყოფით. ეკონომიკური დანაკარგი ენზოოტიის პერიოდში წარმოიშვება დაავადებული ცხოველების დახოცვისა და ლაქტაციის პერიოდში რძის პროდუქტიულობის დაქვეითების შეჯამებით.

პიროპლაზმოზი მწვავე ფორმით მიმდინარე მძიმე დაავადებაა, რომლის აღმძვრელია *Piroplasma Bigeminum*, მისი მკურნალობა იწყება პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე.

რა უნდა ვიცოდეთ პიროპლაზმოზის შესახებ: დაავადების გადამტანია ერთმასპინძლიანი ტკიპა *Boophilus Calcaratus*. (პიროპლაზმებს გადასცემს ნიმფობის ფაზაში). უფრო იშვიათად ორმასპინძლიანი - *Rhipicephalus bursa* (იმაგოს ფაზაში) და სამმასპინძლიანი - *Haemaphysalis punctata* (იმაგოს ფაზაში).

გამომწვევის არსებობის ხანგრძლივობა მსხვილფეხა პირუტყვის ორგანიზმში 6-12 თვეა, თუმცა ზოგჯერ - 12-16 კვირა.

დაავადება გავრცელებულია დედამიწის ყველა კონტინენტის უპირატესად სამხრეთ ზონებში, სადაც გვხვდება გადამტანი ტკიპები. მიმდინარეობს ორი ან სამი ენზოოტური აფეთქების სახით (გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე), სპორადული შემთხვევები შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში.

დაავადება იწვევს:

1. ღრმა ცვლილებებს ერთორციტებში (ერთორციტები იშლება).
2. ვითარდება ანოქსემია (სისხლში ჟანგბადის ნაკლებობა).
3. იწყება ცხოველების ინტოქსიკაცია.
4. ირღვევა თერმორეგულაცია, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობა.
5. საქონელს ეწყება სტრესი, უწვითარდება კუნთების კანკალი, წინაგულებისა და პარკუჭების ატონია.
6. შეიძლება განვითარდეს კიდურების პარეზი.

კლინიკური სიმპტომები:

1. ცხოველს უქვეითდება მადა, დათრგუნულია.
2. ლორწოვანი გარსები ყვითელია.
3. ავადმყოფი ცხოველები ჯოგს ჩამორჩება, ხშირად წვანან.
4. რძის გამოყოფა მკვეთრად მცირდება.
5. სუნთქვა გახშირებულია.
6. სხეულის ტემპერატურა მატულობს $41-42^{\circ}\text{C}$ -მდე.
7. მე-2-3 დღეს აღენიშნებათ ლორწოვანი გარსის სიყვითლე.
8. ვითარდება ყაბზობა და ფალარათი.
9. შარდის გამოყოფა ხშირდება.
10. მიიმე შემთხვევაში შარდი იძენს სისხლნარევე შეფერილობას.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 8-15 დღე.

ავადმყოფ ცხოველს თუ დროზე არ აღმოვუჩინთ დახმარებას, იგი იღუპება 5-7 დღეში.

20.5.1. მკურნალობა

1. ცხოველებს უნიშნავენ სრულ მოსვენებას.
2. საკვებად ეძლევა კარგი ხარისხის თივა, ადვილად მოსანელებელი წვნიანი საკვები, საკმაო ოდენობით წყალი, წვრილად დაჭრილი ძირები ან ფოთლები, კომბოსტო, რძე, რძის შრატი.
3. სამკურნალოდ რეკომენდებულია პრეპარატი *პიროტექსი+B12* (საინექციო ფხვნილი), პრეპარატი იხსნება 12,5 - 15 მლ საინექციო ხსნარში (ვლებულობთ 7% ხსნარს), კეთდება კუნთში 1 მლ 20 კგ ც.წ-ზე, დოზა 3,5 მგ მოქმედი ნივთიერება, 1 კგ ც.წ-ზე.
ასევე გამოვიყენება *პიროტექსი 7% + B12* (საინექციო ხსნარი), კუნთში 1 მლ/15 კგ.ც.წ-ზე. დაგვიანებულ შემთხვევაში, პიროტექსის ინექცია სასურველია გამეორდეს 24 საათში.
4. სიმპტომატური მკურნალობისთვის: საჭმლის გადამამუშავებელი ორგანოების მონესრიგებისათვის - *გლაუბერის მარილი* (400 - 600 გ/10 ლ წყალში), ან სხვა საშუალებები.
5. გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემებისათვის - კოფეინი, ვიტამინები, მიკროელემენტები, ნახშირწყლები და სხვ.
- მკურნალობის დროს აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება პირველ რიგში ცოხნის აღდგენას, საჭმლის მომნელებელი სისტემის სწრაფ მონესრიგებას, შემდეგ მენველი პიროტექსის წველადობას, ეს შეიძლება მიაღწიოთ პრეპარატების "დასი"-ს, "ოლიგოფოსი"-სა და "ლივსაკი"-ს ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებით.
6. ზოგადი სისუსტის დროს კალფოსეტის ინექცია კუნთში, კანქვეშ ან ვენაში, 1 მლ 5 კგ ც.წ-ზე.

20.5.2 პროფილაქტიკა

ენზოოტურ კერებში დაავადების აფეთქების დასაწყისში ცხოველებს ეძლევათ *პიროტექსი + B12* (საინექციო ფხვნილი), *პიროტექსი 7% + B12* (საინექციო ხსნარი), *ტრიპანოსტოპი*, ან სხვა საშუალებები, რომლებსაც უნარი აქვთ ორგანიზმი დაიცვას დაავადებისაგან 2-3 კვირის განმავლობაში.

მეურნეობებში უნდა ჩატარდეს ბრძოლა ტკიპებთან, უმთავრესად აგროტექნიკური და მელიორაციული ღონისძიებებით ტკიპების *Boophilus calcaratus* სტაციებისა და ბიოტოპების მოსპობის გზით.

საქართველოში - დაავადების პირველი აფეთქება *აპრილი-მაისი*, *მეორე* - *ივლისი*, *მესამე* - *აგვისტოს ბოლოდან ნოემბრამდე*.

დიფერენცირება:

პიროპლაზმოზის დიფერენცირება აუცილებელია *ჯილეხისაგან* და *ლეპტოსპიროზისაგან*.

ჯილეხის (ციმბირული წყლული) დროს სისხლი მუქი ფერისაა, არ დედდება, ცხოველს აქვს ქოშინი, იგი დათრგუნულია ძლიერი ციებ-ცხელების გამო, ქიმიოპრეპარატები არაეფექტურია, ცხოველი სწრაფად კვდება.

ლეპტოსპიროზისა და *პიროპლაზმოზის* საერთო ნიშანი ჰემოგლობინურია. *ლეპტოსპიროზის* დროს სიყვითლე მკვეთრად არის გამოხატული, მკურნალობის შემდეგ სიყვითლე კვლავ აღინიშნება. ნორმალური ტემპერატურის დროს შეიძლება გამოვლინდეს სისხლიანი შარდი.

ყველაზე კარგი დაცვა დაავადებისგან არის პროფილაქტიკა!

„აგრო განვითარების ჯგუფი“ აერთიანებს რამდენიმე კომპანიას („ბიოტექსი“, „ასოციაცია მომავლის ფერმერი“, „ლარკი“, „კორონი“, „მამითაღი“) და საქმიანობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით. კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობენ სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პროდუქციის ფართო სპექტრს: სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველებისათვის სამკურნალო პრეპარატები, ვაქცინები, შრატები, საკვები და ბიოლოგიურად აქტიური საკვებდანამატები; ორგანული სასუქები; ცხოველთა მოვლის საგნების სრული სპექტრი; ფერმერის აღჭურვილობა; ტექნიკა.

ჩვენი მომხმარებლები არიან:

- წვრილი და მსხვილი ფერმერები (მემცენარეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა);
- ვეტერინარული აფთიაქები;
- გლეხური მეურნეობები.



„ბიოტექსი“
სამკურნალო-პროფილაქტიკური, ფიტოთერაპიული, ვეტერინარული პრეპარატების წარმოება, 240-77-94



„როქი“
სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველებისათვის სამკურნალო პრეპარატები, ვაქცინები შრატები, ასევე, ცხოველთა მოვლის საგნების სრული სპექტრი; ფერმერის აღჭურვილობა; ტექნიკა. 274-63-96



„ლარკი“
მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური საკვებდანამატებისა და ფიტოთერაპიული პრეპარატებისთვის საჭირო სუბსტანციების წარმოება. 274-63-97



„პრონო“
მეცხოველეობაში მცენარეული წარმოშობის საკვებდანამატების, სადუზინფექციო, სადუზისუნიციო და სადუზრატობრივი საშუალებების და ასევე ბიოლოგიურად აქტიური საკვებდანამატების წარმოება. 240-77-95



„მოფარი“
ასოციაცია მომავლის ფერმერი. ტრენინგები მეცხოველეობასა და მეფუტკრეობაში. საკონსულტაციო მომსახურება ვებქვერსაშუალებით



„მამითაღი“
სოფლად საოჯახო მეურნეობათა თანადგომისა და სტიმულირების ფონდი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თბილისი, ქ. წამებულის 91-ის მოპირდაპირე მხარე (II სართული),

ნავთლუდის ავტოვაგზის მიმდებარე ტერიტორია.

ტელ: 995 32 274 63 96

ფაქსი: 995 32 240 77 95

ელ-ფოსტა: info@agro.ge

ვებგვერდი: www.agro.ge

სასწრაფო ცხელი ხაზი შეტყობინებად: 597 14 10 93, 597 91 53 67

ფუნქციონირებს ტრენინგ-ცენტრი, რომელიც დაგეხმარებათ მიიღოთ საჭირო ცოდნა შემდეგი მიმართულებით: მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებოცველეობა, მეფუტკრეობა, მემცენარეობა.



დარგის განვითარების მიზნით პერიოდულად ტარდება საქველმოქმედო ხასიათის უფასო ტრენინგები ფერმერებისთვის. დაგვიკავშირდით და დარგის-ტერიტორიით – 568 100 190, 995 32 274 63 94, info@agro.ge

